

კენი თეიზანი

ქეთრინ ევანსი

---

---

# ფილოსოფია:

სახელმძღვანელო დამწყებთათვის

---

---

თბილისი

2000

**Jenny Teichman and Kathrine C. Evance**

**Philosophy: A Beginner's Guide**

Second Edition

**Blackwell**

Oxford UK & Cambridge USA

Copyright Jenny Teichman and Kathrine C. Evance 1991, 1995

ISBN 0-631-19617-X (pbk)

**გამოცემის იდეა და წინათქმა:**

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი  
დავით ბაგეშიძე

**მთარგმნელები:** მისხეილ ბაჟანიშვილი

დავით ბაგეშიძე  
ოთარ ბრატიაშვილი

**რედაქტორი:** ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი

ოთარ ჯიოთი

**რეკონსტრუქტი:** ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი

თამაზ ბუაჩიძე

ამ წიგნში გაშუქებული ფილოსოფიური პრობლემების ფართო სპექტრი, სპეციფიკური ტერმინების მინიმუმი, ურთულესი პრობლემების მარტივად გადმოცემა სასარგებლოა როგორც სტუდენტებისათვის, ისე ყველასათვის, ვისაც აინტერესებს ფილოსოფია, აგრეთვე პოლიტიკა, სოციალური მეცნიერებანი და თეოლოგია.

ამასთანავე დანართში მოცემულია მოკლე ცნობები გამოჩენილი ფილოსოფოსების შესახებ.

# შინაარსი

წინათქმა.....	5
ავტორთა წინასიტყვაობა.....	7
შესავალი: რა არის ფილოსოფია?.....	9

## ნაწილი I

მეტაფიზიკა: ყოფიერებისა და უამეცნეობის ფილოსოფია

თავი 1: არსებობის პრობლემასთან დაკავშირებული ზოგიერთი სიძნელე.....	17
თავი 2: ღმერთის არსებობა.....	25
თავი 3: პიროვნების არსებობა და იგივეობა.....	35
თავი 4: ნების თავისუფლების პრობლემა.....	43
თავი 5: ბოროტების არსებობა.....	53
თავი 6: ცოდნის პრობლემა.....	61

## ნაწილი II

ეთიკა: ღირებულებათა ფილოსოფია

თავი 7: მორალი და ილუზია.....	73
თავი 8: ეგოიზმი და ალტრუიზმი.....	79
თავი 9: სარგებლიანობა და პრინციპები.....	89
თავი 10: სიცოცხლე და სიკვდილი.....	99

## ნაწილი III

პოლიტიკური ფილოსოფია: სახელმწიფოს და მოქალაქის ფილოსოფია

თავი 11: ხელისუფლება და ანარქია.....	113
თავი 12: თავისუფლება.....	123
თავი 13: თანასწორობა.....	133
თავი 14: მარქსი და მარქსიზმი.....	143
თავი 15: პოლიტიკა და სქესი.....	153

## ნაწილი IV

მეტეფიზიკის ფილოსოფია

თავი 16: მეტეფიზიკის მეთოდები.....	163
თავი 17: მიზეზობრიობა.....	171
თავი 18: ინდუქცია.....	181

ნაწილი V  
ლოგიკა: დესკანის ფილოსოფია

თავი 19: ლოგიკის საგანი. . . . .	193
თავი 20: სილოგისტური ლოგიკა. . . . .	197
თავი 21: თანამედროვე ლოგიკა. . . . .	209
თავი 22: პროპოზიციული აღრიცხვა. . . . .	213
თავი 23: პრედიკატების აღრიცხვა. . . . .	223

ნაწილი VI  
ფილოსოფია და ცხოვრება

თავი 24: ცხოვრების აზრი. . . . .	235
თავი 25: ფილოსოფიის გავლენა ცხოვრებაზე. . . . .	245

დანართი I

დიდი ფილოსოფოსები. . . . .	253
----------------------------	-----

დანართი II

XX საუკუნის ფილოსოფოსები. . . . .	267
-----------------------------------	-----

დანართი III

ზოგიერთი გამოჩენილი თანამედროვე ფილოსოფოსი. . . . .	273
---	-----

სახელთა საძიებელი. . . . .	277
----------------------------	-----

ქართულ ენაზე ფილოსოფიის სახელმძღვანელოები არაერთხელ გამოცემულა, მაგრამ საკაეშირო პროგრამების შესაბამისად დაწერილი სახელმძღვანელოების შინაარსი წინასწარ იგეგმებოდა. ქართველ ფილოსოფოსთა სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ხშირად არ ითვალისწინებდნენ “პროკრუსტეს სარეცელს” მოთხოვნებს. ზოგიერთი სახელმძღვანელო ორიგინალობით, საკითხების გაბედული ინტერპრეტაციით გამოირჩეოდა. ასე, მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1955 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოზე – “დიალექტიკური მატერიალიზმის საკითხები” – ქართველ ფილოსოფოსთა თაობები აღიზარდნენ.

ქართულ ენაზე გამოცემულია რუსულიდან თარგმნილი რამდენიმე ფილოსოფიური სახელმძღვანელო.

წინამდებარე “ფილოსოფიის სახელმძღვანელო დამწყებთათვის” ინგლისური ტიპის პირველი წიგნია, რომელიც ქართულ ენაზე გამოიცა. მისი ავტორები ჯენი თეიჩმანი და ქეთრინ ევანსი სრულიად განსხვავებულად წარმოგვიდგენენ ფილოსოფიის – “სიბრძნის სიყვარულს” – გასაღებს. მასში ცალკე თავებად არის წარმოდგენილი: მეტაფიზიკა, ეთიკა, პოლიტიკური ფილოსოფია, მეცნიერების ფილოსოფია, ლოგიკა, ფილოსოფია და ცხოვრება. ავტორები საინტერესოდ ხსნიან ეპისტემოლოგიურ პრობლემათიკას. წიგნი შედგენილია კემბრიჯის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამის გათვალისწინებით.

გამოვთქვამთ მადლიერების გრძნობას წიგნის ავტორებისადმი იმის გამო, რომ ისინი სიამოვნებით შეხვდნენ ქართულ ენაზე მათი წიგნის გამოცემას, ამასთანავე მადლიერებით აღვნიშნავთ, რომ წიგნის გამომცემელმა ნიკოლა ბოულტონმა ნება დაგვართო მინიმალური თანხის გადახდის შემდეგ წიგნი ქართულ ენაზე გამოგვეცა. მადლობას მოვაცხსენებთ ლონდონში საქართველოს დიპლომატიური საელჩოს პასუხისმგებელ თანამშრომელს

ქალბატონ მაკა ბაქრაძეს იმისათვის, რომ დიდი დახმარება გაგვიწია წიგნის ავტორებთან და გამომცემელთან კავშირის დამყარებაში.

ქართულ ენაზე ინგლისელი ავტორების ჯენი თეიზმანისა და ქეთრინ ევანსის “ფილოსოფიის სასულმძღვანელო დამწყებთათვის” საინტერესო იქნება არა მარტო საზოგადოებათმეცნიერებების სპეციალისტებისთვის, არამედ ფართო მკითხველისთვისაც.

ეს წიგნი მკითხველთა ფართო წრის, მათ შორის უნივერსიტეტების და კოლეჯების სტუდენტებისათვის არის გათვალისწინებული. მისი დაწერის აუცილებლობის იდეა ქეთრინ ევანს ჯერ კიდევ კემბრიჯის უნივერსიტეტში სწავლის დროს დაებადა. მან იგრძნო ფილოსოფიაში ისეთი ნაშრომის საჭიროება, რომელიც სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ თემებს გასაგები, პოპულარული ფორმით განმარტავდა.

არსებული და მოქმედი წიგნებიდან ამ ღირსებით ძალიან ცოტა ხასიათდება. ტრადიციულად მათში ორი-სამი თემის (როგორც წესი – მეტაფიზიკა და ეთიკა) შინაარსია გადმოცემული, ისინი არც სპეციალური ტერმინოლოგიისაგან არის თავისუფალი. ჩვენი “სახელმძღვანელო დამწყებთათვის” იხსნება განყოფილებით მეტაფიზიკისა და ეთიკის შესახებ, მაგრამ ამასთან ერთად იგი შეიცავს განყოფილებებს მეცნიერების ფილოსოფიის, პოლიტიკური ფილოსოფიის, ფემინიზმის და ცხოვრების საზრისის შესახებ. ჩვენ მიერ განხილული ზოგიერთი თემა კემბრიჯის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამებიდან არის აღებული, მათი განხილვის პოპულარული ხასიათი იმ ადამიანების მოთხოვნილებებსაც დააკმაყოფილებს, რომლებსაც ადრე ფილოსოფიაზე არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ. ფილოსოფიის ისტორიას როგორც ასეთს არ განვიხილავთ, მაგრამ მასთან დაკავშირებული პრობლემები – მათი შესაძლო გადაწყვეტა, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ისტორიულ პერსპექტივაში გაიაზრება. ფილოსოფიის ისტორიაზე ზოგად წარმოდგენას ქმნის წიგნის დამატებით ნაწილში მონაცემები ცნობილი და გამორჩეული ფილოსოფოსების შესახებ.

მეორე გამოცემის ტექსტი გასწორდა და განახლდა. ერთ-ერთ ახალ თავში (“სიცოცხლე და სიკვდილი”) ყურადღება პრაქტიკული ხასიათის ეთიკურ პრობლემებზე გამახვილდა.

პრობლემების განმარტების განსაკუთრებული პოპულარობა, ფართო სპექტრი და სპეციალური ტერმინების მინიმუმი ამ წიგნს სასარგებლოს გახდის არა მარტო მათთვის, ვინც ფილოსოფიას სწავლობს, არამედ მათთვისაც, ვინც სოციალური თეორიის, მეცნიერების, ღვთისმეტყველების და პოლიტიკის საკითხებით არის დაინტერესებული.

*ჰენი თეიჩჰანი*

*ჰეთრინ ეჰანსი*



## რა არის ფილოსოფია?

ფილოსოფია აბსტრაქტულ, ზღვრულ და ყველაზე ზოგადი ხასიათის პრობლემებს განიხილავს. ესენია: არსებობის, შემეცნების, ზნეობრიობის, გონების, ადამიანის ცხოვრების საზრისის პრობლემები.

## ფილოსოფიის შემადგენელი ნაწილები

ფილოსოფიის როგორც ერთიანი სისტემის მეცნიერების შესწავლის პროცესში ტრადიციულად მისი შემდეგი სახით დაყოფა არის მიღებული: მეტაფიზიკა, ეთიკა, პოლიტიკური ფილოსოფია, მეცნიერების ფილოსოფია და ლოგიკა. წინამდებარე წიგნშიც ეს თემები იქნება განხილული. დავიწყებთ თითოეული მათგანის ზოგადი განმარტებით.

### *მეტაფიზიკა: ყოფიერება და შემეცნება*

სიტყვა *მეტაფიზიკა* წარმოიშვა როგორც სახელწოდება, რომლითაც არისტოტელეს ზოგიერთი ტრაქტატი დაასათაურა მათმა პირველმა რედაქტორმა ანდრონიკემ. თვით არისტოტელე ამ თხზულებებს უწოდებდა *პირველ ფილოსოფიას*. პირველ ფილოსოფიად იგი გულისხმობდა ფუნდამენტალურ ფილოსოფიას, საფუძველმდებელს ან ყველაზე არსებითს. პირველი ფილოსოფიის თემებია ყოფიერების ბუნება, მიზეზობრიობის (მომავალი მოვლენების) და ცოდნის ბუნება.

*მეტაფიზიკა* პირველ ფილოსოფიას ეწოდა მეტნაკლებად შემთხვევით. არისტოტელეს ნაშრომების სისტემატიზაციას რომ ახდენდა, ანდრონიკემ გააერთიანა პირველი ფილოსოფიის ტრაქტატები და ტრაქტატი სახელწოდებით “ფიზიკა” ერთი წიგნის ჩარჩოებში, *ფიზიკა* დასაწყისში მოათავსა, ხოლო რამდენადაც ბერძნული სიტყვა “მეტა” აღნიშნავს “შემდეგ”, ანდრონიკემ ამ წიგნის მეორე ნაწილს უწოდა მეტაფიზიკა, ამით მხედველობაში ჰქონდა ის, რაც ფიზიკას მოსდევს.

პირველი ფილოსოფია, ანუ მეტაფიზიკა, მოიცავს ონტოლოგიას (ბერძნ. "ontos" – არსებული და "logos" – მოძღვრება) და ეპისტემოლოგიას, ე. ი. შემეცნების თეორიას. ფილოსოფია განიხილავს გონების, სულის, ღმერთის, დროის, სივრცის, ნების თავისუფლების საკითხებს. ყოფიერების და ცოდნის ზოგადი ბუნების გამოკვლევას მონათესავე მრავალი საკითხის განხილვის აუცილებლობამდე მივყავართ. მაგალითად, საკითხი: "რა არის არსებობა"? საჭიროებს საკითხების გარკვევას "რა არის სივრცე"? "რა არის მატერია"? "რა შეიძლება ითქვას არარსებობაზე"? საკითხი: "რა არის მიზეზი"? მოითხოვს ისეთი საკითხების განმარტებას, როგორებიცაა: "ჰქონდა თუ არა სამყაროს დასაწყისი დროში"? "ჰქონდა თუ არა მას პირველმიზეზი"? "რა არის დრო"? "არსებობს თუ არა ღმერთი"? საკითხი: "რა არის ცოდნა" ისეთი საკითხების გარკვევას საჭიროებს, როგორებიცაა: "შესაძლებელია თუ არა ცოდნა"? არის თუ არა ცოდნა რწმენის სახესხვაობა"? "არის თუ არა ცოდნა ცნობიერების მდგომარეობა"? "არსებობს თუ არა ქვეცნობიერი ცოდნა"?

### ეთიკა: ღირებულებები

სიტყვა "ეთიკა" ბერძნული სიტყვიდან არის წარმოებული და ქცევებს ნიშნავს. XVII საუკუნიდან იგი ზნეობრიობის კვლევას აღნიშნავდა. ეთიკა არის მეცნიერება ზნეობის შესახებ. უფრო ფართო გაგებით, იგი არის მეცნიერება ადამიანთა სხვადასხვა სახის, მათ შორის მორალურ, სამართლებრივ და პოლიტიკურ ვალდებულებათა შესახებ.

ამჟამად სიტყვა "ეთიკა" ორი მნიშვნელობით იხმარება. პირველ რიგში მასში მოიაზრება მორალური პრინციპების ინტელექტუალური წყაროების, მათი დაფუძნების და საერთოდ მორალის თეორიების კვლევა. მეორე მხრივ, იგი ქცევების იმ კონკრეტულ პრინციპებს აღნიშნავს, რომლებითაც ინდივიდები ან ამა თუ იმ პროფესიის ადამიანები ხელმძღვანელობენ. ამიტომ არსებობს: შრომის ეთიკა, სამედიცინო ეთიკა, ბიზნესის ეთიკა და ა. შ. წინამდებარე სახელმძღვანელოში ეთიკის პირველი გაგება იქნება განხილული.

ეთიკა, რომელსაც აგრეთვე მორალურ ფილოსოფიასაც უწოდებენ, სხვადასხვა აზრისეულ გაგებასთან ერთად, საკუთარი სტატუსის საგნობრივ შესწავლასაც გულისხმობს. მის ერთ-ერთ საყურადღებო თემას აგრეთვე მოტივაცია, განსაკუთრებით ალტრუიზმი და ეგოიზმი წარმოადგენს. ეთიკის პრობლემებს შორის, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია: მორალური კანონები, ბედნიერება, სამართლიანობა, მამაცობა, საერთოდ ყოველგვარი ადამიანური მდგომარეობა და თვისება. ისინი შეიძლება განხილული იქნან როგორც სასარგებლო და სასურველი, ან როგორც უსარგებლო და არასასურველი.

## პოლიტიკური ფილოსოფია: მოქალაქე და სახელმწიფო

პოლიტიკური ფილოსოფია სახელმწიფოს მმართველობის, მოქალაქისა და სახელმწიფოს ურთიერთობათა პრობლემებს იკვლევს. მაგრამ ხშირად მმართველობის ქანჩები და ჭანჭიკები, ანუ მმართველობის კონკრეტული ფორმები და საშუალებები, განხილვის საზღვრებს გარეთ რჩება. პოლიტიკური ფილოსოფია ძირითადად შედარებით უფრო ზოგად კითხვებზე პასუხის გაცემას ცდილობს, მაგალითად: “რატომ უნდა დამორჩილოს ადამიანი იმ სახელმწიფოს მთავრობას, რომელშიც მას ცხოვრება უხდება, და არის თუ არა, შიშის გარდა, დამორჩილების სხვა საშუალება”? “გვჭირდება თუ არა სახელმწიფო თუ უკეთესია მისთვის თავის არიდება”? “რა არის თავისუფლება? რამდენი და როგორი ხასიათის თავისუფლება შეიძლება ჰქონდეთ მოქალაქეებს”? “რა არის თანასწორობა და სასურველია თუ არა მისი არსებობა”?

ჩვენი საუკუნის პირველ ნახევარში პროფესიონალმა ფილოსოფოსებმა, თითქოსდა, სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობის პრობლემებისადმი ინტერესი დაკარგეს, მაშინ როდესაც წინა პერიოდში ეს პრობლემები ფილოსოფიის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდნენ. უკვე პლატონის დროიდან შემდგომი პერიოდების სერიოზული მოაზროვნენი პოლიტიკური ფილოსოფიის პრობლემებზე თავიანთ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ. პლატონმა ორი ვრცელი პოლიტიკური თხზულება დაწერა: “სახელმწიფო” და “კანონები”, არისტოტელემ – სპეციალური ტრაქტატი “პოლიტიკა”, ავგუსტინემ “ღვთის ქალაქის შესახებ”, თომა აკვინელმა დაწვრილებით განიხილა მმართველთა და ქვეშევრდომთა უფლება-მოვალეობანი. თომას პოპსის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოები სახელმწიფოს რაობის გაგებისადმი არის მიძღვნილი (რომელსაც მან “ლევიათანი” უწოდა). “ორი ტრაქტატი სახელმწიფოს მმართველობის შესახებ” – ასე დაასათაურა თავისი ცნობილი ნაშრომი ჯონ ლოკმა, დევიდ ჰიუმმა თავის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო ისტორიისა და პოლიტიკის ურთიერთობათა გარკვევას. შედარებით გვიანდელი პერიოდის მოაზროვნეებიდან, რომლებიც პოლიტიკური ფილოსოფიის პრობლემებს სათანადო ყურადღებას უთმობდნენ, შეიძლება დავასახელოთ: ჰეგელი, ბენტამი, ჯონ სტიუარტ მილი და, რა თქმა უნდა, კარლ მარქსი.

სამი-ოთხი ათწლეულის შემდეგ პოლიტიკური თემები კვლავ დადგა დღის წესრიგში ამერიკელი ფილოსოფოსების ჯონ როლზის (“სამართლიანობის თეორია”, 1979 წ.) და რობერტ ნოზიკის (“ანარქია, სახელმწიფო და უტოპია”, 1974 წ.) შრომებში.

## მეცნიერების ფილოსოფია

აზრი იმ ფილოსოფიური პრობლემების არსებობის შესახებ, რომლებიც დამახასიათებელია სწორედ სისტემურ მეცნიერებათათვის, შედარებით ახალია. ის, რასაც ახლა მეცნიერების ფილოსოფია ეწოდება, XIX საუკუნემდე შემეცნების ზოგადი თეორიის ნაწილს შეადგენდა. გასული საუკუნის ზოგიერთი მოაზროვნე, მაგალითად ჯონ სტიუარტ მილი, მას ლოგიკის განყოფილებად – ინდუქციურ ლოგიკად თვლიდა.

ჩვენს დღეებში მეცნიერების ფილოსოფია განიხილება როგორც ფილოსოფიური კვლევის დამოუკიდებელი დარგი და როგორც ასეთს ასწავლიან მსოფლიოს ბევრ უნივერსიტეტში ბუნებათმეცნიერების, ფილოსოფიის და სხვა ფაკულტეტების სტუდენტებს. ხშირად მას შეისწავლიან მეცნიერების ისტორიის პარალელურად. მეცნიერების ფილოსოფიის ბევრი ლექტორი თავის საუნივერსიტეტო ცხოვრებას იწყებდა ბუნებათმეცნიერული ფაკულტეტის სტუდენტად და ფილოსოფიას მხოლოდ შემდეგ ეზიარა.

მეცნიერების ფილოსოფიური პრობლემები მოიცავენ ონტოლოგიურ საკითხებს, რომლებიც ეხებიან თეორიულ საკითხებს, როგორიცაა გრავიტაცია, მაგნიტური ძალა, ელექტრონები და ანტინეიტრონი. მეცნიერების ფილოსოფია შეისწავლის აგრეთვე ურთიერთობას მეცნიერების სხვადასხვა სპეციალობებს შორის, აყენებს ყველა მეცნიერების ერთ მეცნიერებაზე, კერძოდ ფიზიკაზე დაყვანის თეორიულ შესაძლებლობას. იგი განიხილავს მეთოდოლოგიურ საკითხებსაც, დაკავშირებულს ინდუქციურ მსჯელობასთან, შედეგიდან მიზეზზე და პირიქით, საერთოდ მეცნიერულ განხილვასთან.

### ლოგიკა:

#### დასკვნისა და დასაბუთების ფილოსოფია

სიტყვა “ლოგიკა” ბერძნული “ლოგოსიდან” არის წარმოებული, რაც აზრს, გონებას, სიტყვას ნიშნავს. ამიტომ ლოგიკას განსაზღვრავენ როგორც აზროვნების კანონების გამოკვლევას.

არისტოტელე – ლოგიკის ფუძემდებელი მას ახასიათებდა როგორც დასაბუთების კვლევას. მაგრამ არა ყოველგვარი სახის მსჯელობას აქვს მიზნად მკაცრი დასაბუთება. ბევრი მსჯელობის მიზანი მხოლოდ ის არის, რომ აჩვენოს რაიმეს შესაძლებლობა და ალბათობა. მსჯელობის საფუძვლიანობა ან უსაფუძვლობა, განხილული როგორც ალბათობის დადასტურება, ფორმალურ ლოგიკას არ განეკუთვნება, რადგან ეს

უკანასკნელი სწავლობს მხოლოდ მკაცრ დასაბუთებას, ზოგჯერ დედუქციურ დასაბუთებად სახელდება. მკაცრი დასაბუთება დამახასიათებელია მათემატიკისათვის. ამიტომ ბევრი ადამიანისათვის, მიუხედავად იმისა, რომ მათგან ცოტამ იცის მათემატიკა, ცნობილია ასეთი დასაბუთების მაგალითები, თუნდაც ეს მათ გაცნობიერებული არა აქვთ.

ყველაზე სწორად ლოგიკის შემდეგი განსაზღვრება უნდა მივიჩნიოთ: ლოგიკა არის მკაცრი ანუ დედუქციური დასაბუთების კვლევა მისი სისწორის (ან არასისწორის) თვალსაზრისით.

ზოგიერთი ფილოსოფოსი ამტკიცებს, რომ ლოგიკამ უნდა განიხილოს არა მარტო სისწორე, არამედ ჭეშმარიტობაც. მაგრამ ჭეშმარიტობა მოცულობით გაცილებით ფართოა, ვიდრე სისწორე. შეიძლება წამოყენებული იქნას ზოგადი წესები სისწორის შემოწმებისათვის. ზოგადი წესები კი ჭეშმარიტობის დადგენისათვის არ არსებობს, რადგან სხვადასხვა სახის გამოკვლევა ჭეშმარიტების დადგენის სხვადასხვა მეთოდს იყენებს. მაგალითად: სხვადასხვა მეცნიერებაში გამოიყენება დაკვირვებისა და ექსპერიმენტის სხვადასხვა მეთოდიკა. ამიტომ შეიძლება სისწორის ან უსწორობის ისე დადგენა, რომ ჭეშმარიტობა-მცდარობის საკითხს საერთოდ არ შეეხონ.

როგორ ასრულებს ლოგიკა თავის ამოცანას? იგი უმთავრესად აყალიბებს ზოგად წესებს დასაბუთების სისწორის შემოწმებისათვის. უფრო დეტალურად ამას განვმარტავთ შემდეგ (იხ. ნაწ. V) .

## ფილოსოფიის შემადგენელი სხვა ნაწილები

წინამდებარე წიგნი ჩაფიქრებულია როგორც მაქსიმალურად სრული, მაგრამ ფილოსოფიის შემადგენელი ზოგიერთი ნაწილი მასში არ შესულა. ასე მაგალითად: არ განიხილება მათემატიკის ფილოსოფია, ენის ფილოსოფია, სამართლის ფილოსოფია (იურისპრუდენცია), ხელოვნების ფილოსოფია (ესთეტიკა). ფილოსოფიის ამ, პირობითად რომ ვთქვათ, განშტოებათა პრობლემატიკის განხილვა შესავლის ჩარჩოებს სცილდება. ისინი (ეს პრობლემები) ჩვეულებრივი მკითხველისათვის იმიტომ არიან რთულნი, რომ მკითხველისაგან მათემატიკის, სამართლის, ლინგვისტიკის და გრამატიკის საფუძვლების და სხვა მეცნიერებათა ცოდნას მოითხოვენ.

## ფილოსოფიისადმი სხვადასხვა მიდგომა

ზოგადად რომ ვთქვათ, ფილოსოფიის შესწავლისადმი ორი მიდგომა არსებობს: ფილოსოფოსი ცდილობს განსაზღვროს და გააანალიზოს აბსტრაქტული ცნებები, აგრეთვე განიხილოს, ისეთი ცნებების ჩათვლით, საკითხების მრავალრიცხოვანი ინტერპრეტაციების შესაძლებლობანი ან ააგოს ყველაზე ზოგადი და შეძლების ფარგლებში მთლიანად არაწინააღმდეგობრივი თეორია, რომელიც უზოგადესი გვარის, აბსტრაქტულ ცნებებში მოაზრებულ შინაარსს ახსნის (მაგალითად, ისეთებს, როგორიცაა არსებობა და შემეცნება).

ამ ორი სახის მიდგომის თანამედროვე სახელწოდებაა “ანალიტიკური” და “კონტინენტალური”. უნდა ითქვას, რომ ეს სახელწოდება მეტად პირობითია.

ფილოსოფიისადმი აღნიშნული მიდგომა უმრავლეს თანამედროვე უნივერსიტეტებში არის წარმოდგენილი.

“ანალიტიკური” მიდგომა ძირითადად ინგლისურენოვანი ქვეყნების და სკანდინავიის უნივერსიტეტებში არის გავრცელებული.

ანალიტიკურმა ფილოსოფიამ ასეთი სახელწოდება იმიტომ მიიღო, რომ, ვერ ერთი, რთული საკითხების ანალიზს, დანაწილებას და მათ განსაზღვრას გულისხმობს. მეორე მხრივ, რთული საკითხების დანაწევრება და მათი სხვადასხვა ინტერპრეტაციები ახალი არ არის. მის შესახებ გარკვეული ცოდნა სოკრატედან, არისტოტელედან და თომა აქვინელიდან მომდინარეობს. მაგალითად: სოკრატე მსჯელობას, როგორც წესი, იწყებდა იმით, რომ განსაზღვრული იდეის ანალიზი მოეცა; არისტოტელე ხშირად მრავალრიცხოვანი შესაძლო ალტერნატიული თეორიების და განსხვავებული ინტერპრეტაციების განხილვას მიმართავდა; თომა აქვინელის მეთოდი საკითხების სხვადასხვა ნაწილებად დანაწევრებას და შემდგომ მათი არსის შესახებ პასუხის მოცემას გულისხმობდა.

თანამედროვე ანალიტიკური ფილოსოფია XX საუკუნის ბრიტანელი ფილოსოფოსების (ისეთების, როგორებიც ჰილბერტ რაილი, ჯ. ლ. ოსტინი და ჯ. ენსკომბი) და ამერიკელი ფილოსოფოსების (მაგალითად, დონალდ დევიდსონი, ჰილარი პატნემი და საულ კრიაკე) სახელებთან ასოცირდება.

კონტინენტალური მიდგომა კონტინენტალური ევროპის, სამხრეთ ამერიკის და შეერთებული შტატების ზოგიერთი რეგიონის უნივერსიტეტებში არის გავრცელებული. ეს მიდგომა დიდი სისტემატიკოსების: ჰეგელის, შოპენჰაუერის, მარქსის, ჰაიდეგერის, აგრეთვე ჩვენი თანამედროვეების: სარტრის, ჰაბერმასის და ღერიდას სახელებთან არის დაკავშირებული.

წინამდებარე წიგნში ავტორები ანალიტიკური მიდგომის პოზიციას იცავენ.

მეტაფიზიკა:  
ყოფიერებისა და  
შემეცნების  
ფილოსოფია





## არსებობის პრობლემასთან დაკავშირებული ზოგიერთი სიძნელე

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მეტაფიზიკური საკითხი ასეთია: როგორი ნივთები არსებობენ? როგორია სამყაროს რაობა?

### სამყაროს რაობა: ნაწილი და მთელი

ნაწილებისა და მთელის არსებობასთან დაკავშირებული სიძნელეები აზროვნების ისტორიის დასაბამიდან არის ცნობილი.

სალი აზრი გვეუბნება, რომ ხეები და მთები, ვარსკვლავები და ქვიშის მარცვლები, ადამიანები და სხვა ცხოველები (მაგალითად, კატები, ძაღლები, ცხენები) რეალურად არსებობენ. ფიზიკის მონაცემებით კი, ხეები და მთები, ძაღლები და კატები და ა.შ. საბოლოო ანგარიშით იმ მოლექუულათა ერთობლიობაა, რომლებიც ატომებისაგან, ხოლო ატომები სუბატომური ნაწილაკებისაგან შედგებიან.

ფიზიკა გვასწავლის, რომ სუბატომური ნაწილაკები ნამდვილი რეალობაა. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მხოლოდ ისინი არიან რეალურნი? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ ვალიარებთ, რომ ატომები და სუბატომური ნაწილაკები რეალურად არსებობენ, მაშინ ისიც უნდა ვალიაროთ, რომ სკამები, მთები და ა. შ. არ არსებობენ? ბოლოს და ბოლოს უაზრობა იქნებოდა იმის დაშვება, რომ სკამები და მაგიდები არსებობენ ისევე, როგორც ატომები და მოლექულები. ეს იქნებოდა იმის მტკიცების მსგავსი, რომ არმიები ისევე არსებობენ, როგორც გენერლები, ოფიცრები, სერჟანტები და რიგითი ჯარისკაცები. ასეთ შემთხვევაში სამყაროს მოწყობილობას ზედმეტად გავართულებდით.

მაგალითისათვის ავიღოთ ქვიშის გროვები. მატერიალური საგნები რალაცნაირად ჰგვანან მათ. ძირითადი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ქვიშის გროვები მეტი არაფერია, თუ არა ადვილად მოცილებადი მარცვლების

გროვები, მაშინ როდესაც მატერიალური ობიექტები ერთმანეთისაგან ძნელად გამოსაყოფი ატომთა ნაწილაკების მეტად რთული ერთობლიობებია.

სინამდვილეში რა არსებობს – ქვიშის გროვები თუ მხოლოდ ქვიშის მარცვლები? უჭველად შეიძლება ითქვას, რომ ქვიშის გროვები არსებობენ სწორედ იმიტომ, რომ არსებობენ ქვიშის მარცვლები, რომლებიც გროვას შეადგენენ. გროვის არსებობა იგივეა, რაც გარკვეულ ადგილას (ანუ ერთმანეთთან ახლოს, ერთსა და იმავე დროს) ქვიშის მარცვლების არსებობა.

ამის ანალოგიურად შეიძლება ითქვას, რომ ხეები და მთები, კაცები და ქალები, კატები და ძაღლები და ა.შ. არსებობენ სწორედ იმიტომ, რომ არსებობენ ნაწილაკები, რომლებისაგანაც ისინი შედგებიან. ვიტყვი, ბრილიანტის არსებობა იგივეა, რაც იმ გარკვეული სუბატომური ნაწილაკების არსებობა, რომლებიც რთულ კავშირებს ქმნიან და ერთსა იმავე დროს და (დაახლოებით) ერთსა და იმავე ადგილას არიან შეკრებილნი. ამ ნაწილაკების გარეშე ბრილიანტი არ იარსებებდა, და ეს ნაწილაკები არსებობენ იმდენად, რამდენადაც არსებობს ბრილიანტიც.

ცოცხალი საგნის – ხის ან ღორის – არსებობა რამდენადმე განსხვავდება უსუსლო საგნების არსებობისაგან, რამდენადაც იგი გულისხმობს ისეთი ნაწილაკების ნაკადთა არსებობას, რომლებიც მუდმივად იცვლებიან კვებისა და ზრდის კვალობაზე. მაგალითად, ამ ნაწილაკების გარეშე არ იქნებოდა ღორი და, მეორე მხრივ, თუ არსებობენ ნაწილაკები განსაზღვრული სახით და განსაზღვრულ წესრიგში, მაშინ იარსებებს ღორიც.

ამრიგად, არმიები არსებობენ, რამდენადაც არსებობენ ჯარისკაცები, ქალაქები არსებობენ, რამდენადაც არსებობენ სახლები და გზები, ლანდშაფტი არსებობს, რამდენადაც არსებობენ მთები, ხეები, მდინარეები. მოკლედ რომ ვთქვათ, სამყაროს არსებობა მისი ნაწილების არსებობას მოითხოვს. მაგრამ ეს ნაწილები გარკვეული სახით უნდა იყვნენ ორგანიზებული.

საერთოდ რომ ვთქვათ, მთელის როგორც მთელის არსებობა მოითხოვს მთელის ნაწილების ერთობლივ არსებობას დროსა და სივრცეში. ნაპოლეონის არმია არ იქნებოდა არმია, თუ მისი ჯარისკაცები სხვადასხვა საუკუნეში იარსებებდნენ და მთელ გალაქტიკაში იქნებოდნენ გაფანტული. ამიტომ მთელი არ უდრის მის ნაწილებს. გარკვეული აზრით ის, გარდა ამისა, არის თავის ნაწილებზე რალაციით მეტი, ის არის რალაც წესრიგი სივრცესა და დროში, ელემენტთა ნაწილების განლაგება სივრცესა და დროში.

ყოველივე ეს წარმოშობს ახალ მეტაფიზიკურ კითხვებს, სახელდობრ: კონკრეტულად არსებობს თუ არა წესრიგი სივრცესა და დროში? არსებობს თუ არა ადგილი? არსებობს თუ არა დრო?

## სამყაროს რაობა: ადგილი, დრო, თვისებები, მოვლენები

დავუშვათ, ყვითელ კაბაში ჩაცმული ასტრონომი, სახელად ლინდა სპარკი, ეკვატორთან ახლომდებარე ობსერვატორიიდან ტელესკოპით აკვირდება მზის დაბნელებას. ლინდა (როგორც ყველა ადამიანი) დაგვეთანხმება, რომ არსებობს ლინდა, არსებობს კაბა, მზე და ტელესკოპი. ეს არ ეწინააღმდეგება საღ აზრს. მაგრამ რას გვეუბნება იგივე საღი აზრი (და საერთოდ გვეუბნება თუ არა იგი რაიმეს) (კაბის) სიყვითლის არსებობის, დაბნელების, ეკვატორის და დაბნელებაზე დაკვირვებისას?

ზოგიერთი ფილოსოფოსი ამტკიცებს, რომ ისეთი რამეები, როგორიცაა თვისება (სიყვითლე) და მოვლენა (დაბნელება), განსაკუთრებული საგნების ან ობიექტების არსებობა, რომლებიც არსებობენ გარკვეული ხარისხით ისე, როგორც არსებობენ სკამების მსგავსი ჩვეულებრივი საგნები. მაგრამ ეს თეორია არ ეთანხმება საღ აზრს, ამასთანავე არ გვეხმარება არსებობასთან დაკავშირებული სიძნელების დაძლევაში.

სხვაგვარი სახის პასუხს იპოვით საღი აზრის ნათლად გამომხატველ არისტოტელესთან.

არისტოტელეს მიაჩნდა, რომ რეალობა შედგება საგნებისაგან, რომლებიც ათ კატეგორიას განეკუთვნებიან. არისტოტელეს “კატეგორიები” უზოგადესი ცნებებია, მათში სინამდვილის უზოგადესი მხარეებია ასახული. იგი ასახელებდა ასეთი სახის ათ კატეგორიას.

1. არსება – სუბსტანცია: არისტოტელეს მხედველობაში ჰქონდა ისეთი საგნები, როგორიცაა სახლები, ცხენები, მთები, ხეები, ადამიანები.
2. თვისებრიობა – ქვალიტეტი (ატრიბუტები): მწვანე, მასიური, მამაცი, ჭკვიანი.
3. რაოდენობა – ქვანტიტეტი: ორი, მეტრი, ტონა.
4. მიმართება – რელაცია: ნახევარი (რალაცის), ორმაგი, მეტი, ვიდრე.
5. ადგილი – სივრცე: ბაზარში, ლიცეუმში.
6. დრო: შარშან, გუშინ.
7. მდგომარეობა: დგას, წევს, ზის.
8. ქონება: აცვია პალტო, შეიარაღებულია.
9. მოქმედება: ურტყამს, ცრის, აგდება, წვაეს.
10. განცდა (ის, რაც ემართება არსებას): იწვის, იხრჩობა.

არისტოტელეს მიაჩნდა, რომ საგნები, რომლებიც სხვადასხვა კატეგორიას ეკუთვნიან, განსხვავებულად – დამოუკიდებლად ან დამოკიდებულად არსებობენ. თვისებრიობა, რაოდენობა და მიმართება უსათუოდ არსებობენ, მაგრამ არსებობენ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი არიან ყვითელი, მწვანე, გრძელი, მოკლე ან მძიმე, შედარებით ძველი, ან ახალი და ა.შ. თვისებრიობა, რაოდენობა, მიმართება არსებაზე – სუბსტანციაზე არიან დამოკიდებული.

მოქმედება, მაგალითად დაბნელების დაკვირვება, არსებობს მაშინ, როდესაც არსებანი მოქმედებენ. ამდენად მოქმედებაც დამოკიდებულია არსებაზე.

მოვლენები, მაგალითად დავარდნა, არსებობს, რამდენადაც არსებას რაღაც ემართება, მოცემულ შემთხვევაში – რამდენადაც რაღაც ნივთი ვარდება.

კვლავწარმოქმნა არსებობს, იგი არის არსებათა წარმოშობა.

დაშლა არსებობს, იგი არის არსებათა არსებობის შეწყვეტა.

მდგომარეობა და ვითარება არსებობს, რამდენადაც არსება იმყოფება რაღაც მდგომარეობასა და ვითარებაში.

მოკლედ რომ ვთქვათ, ყოფიერება, ანუ რეალობა, მრავალგვარია. მაგრამ არსებობს მისი ზღვრული ანუ ყველაზე მნიშვნელოვანი ფორმა, რომელზეც დამოკიდებულია არსებობის ყველა სხვა ფორმა, ეს არის ყოფიერება, ანუ არსებათა არსებობა.

რა ესმოდა არისტოტელეს არსებაში? არისტოტელესეული არსებები უბრალოდ ჩვეულებრივი ობიექტებია: ხეები, სკამები, ძაღლები და ა.შ.

კატეგორიების თეორია შეიძლება გავიგოთ იმ აზრით, რომ სიტყვას *არის* აქვს ათი განსხვავებული მნიშვნელობა. როდესაც ამბობთ: “კლინტონი არის მაღალი”, თქვენ ხმარობთ სიტყვას *არის* რაოდენობრივი მნიშვნელობით. როდესაც ამბობთ: “კლინტონი არის ვაშინგტონში”, თქვენ სიტყვას *არის* ხმარობთ ადგილის აღსანიშნავად. როდესაც ამბობთ: “კლინტონი არის გამხდარი”, თქვენ სიტყვას *არის* ხმარობთ მდგომარეობის მნიშვნელობით, და როდესაც ამბობთ: “კლინტონი არის ადამიანი”, თქვენ ხმარობთ ყველაზე მნიშვნელოვანი მხრივ სიტყვას *არის* – არსების მნიშვნელობით. უეჭველია მკითხველს თვითონ შეუძლია მაგალითები მოიგონოს *არის* კავშირის სხვა ექვსი მნიშვნელობით.

არისტოტელესეული კატეგორიების ნუსხა სასარგებლოა, მაგრამ არა საესეებით დამაკმაყოფილებელი. უწინარეს ყოვლისა ზოგიერთი კატეგორია ზედმეტად გვეჩვენება, მაგალითად, მდგომარეობის კატეგორია, რადგანაც იგი შეიძლება გავაერთიანოთ ადგილისა და მიმართების კატეგორიებთან.

სხეულის მდებარეობა ან მდგომარეობა არის მხოლოდ მის ნაწილებს შორის სივრცული მიმართება.

ამის მსგავსად შეიძლება მტკიცება, რომ ვნების კატეგორია საჭირო არ არის, რადგან განცდა მეორე მხრიდან დანახული მოქმედებაა.

ეს პრობლემები მხოლოდ ერთეულებს ეხება. არის უფრო ძნელი საკითხი, რომელიც დაკავშირებულია ადგილისა და დროის კატეგორიებთან: შეუძლიათ თუ არა ადგილსა და დროს იარსებონ არსებათაგან დამოუკიდებლად? თუ შეუძლიათ, არიან თუ არ ისინი გარკვეული აზრით საფუძველმდებელნი თვით არსებათა მსგავსად? ფიზიკოსებს, ისევე როგორც ფილოსოფოსებს, გაუჭირდათ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა და ამიტომ ამის შესახებ სხვადასხვა თეორია შეიმუშავეს. ჩვენ არ შევუდგებით ამ კითხვაზე პასუხის გაცემას, დაე მკითხველი თვითონ ჩაფიქრდეს.

კიდევ ერთი ძნელი კითხვა: რომელ კატეგორიას მიეკუთვნება გამოგონილი არსებანი, მაგალითად, ელფები? არიან თუ არა ელფები არსებანი? თუ არა, მაშინ რანი არიან ისინი?

და ბოლოს, მოძღვრება კატეგორიების შესახებ არ გვაძლევს საშუალებას, რომ გავატაროთ მნიშვნელოვანი განსხვავებანი, რომლებსაც შემდეგ თავში განვიხილავთ. ამის მიუხედავად, საჭიროა აღინიშნოს, რომ მოძღვრებაში კატეგორიათა შესახებ ზოგიერთი მნიშვნელოვანი განსხვავების არარსებობა არ ნიშნავს იმას, თითქოს არისტოტელეს მხედველობიდან გამორჩა მისეულ კატეგორიათა სისტემის არასრულყოფილება.

## სამყაროს რაობა: პრედიკაცია და არსებობა

კატეგორიების თეორია საგანთა ათ სხვადასხვა სახის ვითარებას ითვალისწინებს, ამიტომ შეიძლება ის განმარტებულ იქნას სიტყვა *არის* ათი განსხვავებული განსაზღვრების მნიშვნელობით. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ კატეგორიათა ნუსხვაში არსებული საგნების ტიპებია ჩამოთვლილი, იგი იმის საშუალებას არ გვაძლევს ვთქვათ, რომ ისინი არსებობენ. განვიხილოთ მაგალითი:

1. თუ არისტოტელეს კატეგორიათა სისტემას ჯონ მეიჯორზე გამოვიყენებთ, მაშინ მის შესახებ შეგვიძლია ვთქვათ ათი განსხვავებული რამ.

ჯონ მეიჯორი არის ადამიანი (არსება).

ჯონ მეიჯორი არის ფაქიზი (თვისება).

ჯონ მეიჯორი იწონის 85 კგ-ს (რაოდენობა).

ჯონ მეიჯორი ცხოვრობს დაუნინგ-სთრითზე (ადგილი).

ჯონ მეიჯორი წერს წერილს (მოქმედება).

და ა. შ.

ყველა ეს მტკიცება გულისხმობს, რომ მსოფლიოში ნამდვილად არის ილაღი, რომელსაც ჯონ მეიჯორი ჰქვია, რომ ჯონ მეიჯორი, რაც არ უნდა იყოს და ვინც არ უნდა იყოს, რეალურად არსებობს. რეალურად არსებული ამ ინდივიდის დახასიათებისათვის სიტყვა “არის” სხვადასხვა სახით იხმარება.

2. ახლა განვიხილოთ კითხვა-პასუხი.

– არის თუ არა საერთოდ ისეთი ადამიანი, როგორც ჯონ მეიჯორია? დიახ, არის.

ამ კითხვით არ ივარაუდება, რომ ბატონი მეიჯორი არსებობს, არამედ პირველ რიგში დაისმის კითხვა, არსებობს თუ არა ის. პასუხში არ ივარაუდება, რომ იგი არსებობს, არამედ მტკიცდება, რომ ის არსებობს.

მოყვანილი მაგალითები ავლენენ განსხვავებას, რომელიც არ არის ჩაწერილი კატეგორიათა ჩამონათვალში, – განსხვავება “არის” პრედიკაციასა და “არის” არსებობას შორის. კატეგორიათა ჩამონათვალი ეს არის პრედიკაციის სახეთა სია: “არის” არსებობა მისი ფარგლების გარეთ რჩება.

ეს განსხვავება ფილოსოფიის ისტორიაში გარკვეულ როლს ასრულებს: მიაჩნიათ, მაგალითად, რომ ღმერთის არსებობის ონტოლოგიური დასაბუთება (ეგრეთ წოდებული “ონტოლოგიური არგუმენტი”) ეფუძნება “არის” არსებითად სხვადასხვა სახის აღრევას.

ონტოლოგიური არგუმენტი განსჯის საგანი შემდგომ თავში განდება. თავდაპირველად განვიხილოთ არარსებობა.

## სამყაროს რაობა:

### საფრანგეთის არარსებული მეფე

სალი აზრი გვეუბნება, რომ ელფები, კარლსონები და საფრანგეთის ახლანდელი მეფე არ არსებობენ. ჩვენ ვიცით, რომ საფრანგეთი ამჟამად რესპუბლიკაა და ამიტომ საფრანგეთის მეფე არ არსებობს. რაც შეეხება ელფებსა და კარლსონებს, ყოველგვარი მცდელობის მიუხედავად, მათი პოვნა არ შეგვიძლია, ვერ მივაკვლევთ ვერც ელფების ნაკვალევს, ვერც კარლსონების საცხოვრებელს.

ამის მიუხედავად, დიდი ხანია ზოგიერთი ფილოსოფოსი ვარაუდობდა, რომ თუ შეგვიძლია რომელიმე საგანზე მსჯელობა, ეს საგანი გარკვეული აზრით უნდა არსებობდეს. ფილოსოფოსები ამტკიცებდნენ, რომ თუ საგანი

საერთოდ არ არსებულებო, მაშინ მის შესახებ მსჯელობა არ შეგვეძლებოდა. არარაობაზე ფიქრი არ შეიძლება, ფიქრი შეიძლება რაიმეზე. თუ საგანი არის რაიმე, მაშინ იგი როგორღაც უნდა არსებობდეს. მაშასადამე, საფრანგეთის მეფე, კარლსონები და ელფები უნდა არსებობდნენ, სხვაგვარად მათზე მსჯელობა შეუძლებელი იქნებოდა.

მაგრამ, ცხადია, აზრი არარსებული საგნების არსებობის შესახებ მეტად პარადოქსულია.

რათა ასეთი პარადოქსები არ იქნას დაშვებული, როგორც წესი, ამბობენ, რომ არარსებული საგნები არსებობენ მხოლოდ აზროვნებაში. ეს ნაგა-რაუდები გადაწყვეტა გაურკვეველია – როგორი სახის არსებობაა არსებობა აზროვნებაში?

განიხილავდა რა არარსებული არსებების საკითხს, ბერტრან რასელი თავის მკითხველებს მოუწოდებდა არ დავიწყებოდით რეალობის სალი გრძნობა.

ამ პრობლემისადმი თანამედროვე მიდგომა, რომელიც რასელის ნაშრომშია წარმოდგენილი, ვარაუდობს, რომ იგი შეიძლება გადაწყდეს ლოგიკისა და ენის სწორი გაგების მეოხებით.

დავიწყით საფრანგეთის არარსებული ამჟამინდელი მეფით.

რასელი თვლიდა, რომ ყოველი გააზრებული გამონათქვამი უნდა იყოს ან ჭეშმარიტი, ან მცდარი. გააზრებული და ნათელი გამონათქვამი არ შეიძლება ერთდროულად იყოს ჭეშმარიტიცა და მცდარიც, როგორც არ შეიძლება იყოს არც ჭეშმარიტი, არც მცდარი.

რასელი განიხილავდა შესაძლო გამოთქმას “საფრანგეთის ამჟამინდელი მეფე (არის) მელოტი” და კითხულობდა: ეს აზრი ჭეშმარიტია თუ მცდარი? თუ ის ჭეშმარიტია, მაშინ ეს მეფე მელოტია და არა აქვს თემები. თუ ის მცდარია, მაშინ ამ მეფეს აქვს თემები, ე. ი. არ არის მელოტი. მაგრამ როგორ განვსაზღვროთ ეს? ხომ არ შეიძლება საფრანგეთის ამჟამინდელი მეფის თავის ქალის შემოწმება? რასელისეული გადაწყვეტა მისი დესკრიფციის მეთოდის შესაბამისია. იგი ვარაუდობს მოსაზრების ანალიტიკურ დანაწევრებას, იმის გამოვლენას, რასაც ის ფარულ შემცველად თვლის.

რასელის თანახმად, გამოთქმა “საფრანგეთის ამჟამინდელი მეფე (არის) მელოტი” თუმცა ძალიან მარტივად გამოიყურება, სინამდვილეში კი რთულია. იგი არა ერთი “არის” შემცველია, არამედ ოთხის, და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სამი მათგანია არსებობის “არის”.

“საფრანგეთის ამჟამინდელი მეფე (არის) მელოტი” შეიცავს შემდეგი აზრების გამოთქმას:

1. არის ყოველ შემთხვევაში საფრანგეთის ერთი მეფე.

2. არის მაქსიმუმ საფრანგეთის ერთი მეფე.
3. არ არის არაფერი, რაც არის ერთდროულად საფრანგეთის მეფე და არა მელოტი.

თავდაპირველი აზრის გამოთქმის ასეთი სახის ანალიზი ააშკარავებს, რომ იგი მცდარია, რადგან მცდარია მისი პირველი წანამძღვარი (1). ეს წანამძღვარი (1) მცდარია, რადგან საფრანგეთის ამჟამინდელი მეფე არ არსებობს. აზრის გამოთქმა საერთოდ მცდარია არა იმიტომ, რომ საფრანგეთის მეფე არ არის მელოტი, არამედ იმიტომ, რომ იგი საერთოდ არ არსებობს.

რა შეგვიძლია ვთქვათ აზრის გამოთქმაზე “საფრანგეთის ამჟამინდელი მეფე არ (არის) მელოტი?” ჭეშმარიტია იგი? არა. ისიც მცდარია, რამდენადაც მისი ანალიზი შემდეგნაირ სურათს გვაძლევს:

1. არის ყოველ შემთხვევაში საფრანგეთის ერთი მეფე.
2. არის მაქსიმუმ საფრანგეთის ერთი მეფე.
3. არ არის არაფერი, რაც არის ერთდროულად საფრანგეთის მეფე და მელოტი.

ისევ და ისევ პირველი წანამძღვარი მცდარია, ამიტომ მცდარია ყველა ამოსავალი გამოთქმა.

შედეგად ვიღებთ იმას, რომ ორივე გამოთქმული აზრი – “საფრანგეთის ამჟამინდელი მეფე (არის) მელოტი” და “საფრანგეთის ამჟამინდელი მეფე არ (არის) მელოტი” მცდარია.

რასელისეულმა მოსაზრებამ არარსებული საგნების შესახებ ვერ ჰპოვა საყოველთაო აღიარება. მაგალითად, პიტერ სტროსონმა დაამტკიცა, რომ არარსებული საგნების შესახებ მოსაზრება, ისეთი როგორიცაა, საფრანგეთის ამჟამინდელი მეფე, – არ არის მცდარი. ის არც ჭეშმარიტია და არც მცდარი. ფილოსოფოსები სხვადასხვა მოსაზრებას ემხრობიან იმის შესახებ, თუ ვინ შემოგვთავაზა უკეთესი გადაწყვეტა – რასელმა თუ სტროსონმა.

აქ ვამთავრებთ მსჯელობას არსებობის პრობლემის შესახებ. შემდეგ თავში განვმარტავთ რამდენიმე პრობლემას, რომლებიც ღმერთის არსებობის ტრადიციულ დასაბუთებას ეხება.



## ღმერთის არსებობა

იუდაიზმსა და ქრისტიანობას ღმერთი წარმოუდგენიათ როგორც მარადიული, უსასრულო, შეუქმნელი არსება, რომელმაც შექმნა სამყარო და ყველაფერი, რაც არის სამყაროში. ეს არსება ადამიანთა მოდგმას ეპყრობა არა როგორც მხოლოდ შემოქმედი, არამედ, ერთგვარი გაგებით როგორც პიროვნება, როგორც მამა, რომელიც სწყალობს და სჯის თავის შვილებს, ან ამ ცხოვრებაში ან იმქვეყნიურ არსებობაში, ანდა ორივე სამყაროში. შესაძებ მთავარი მონოთეისტური რელიგია – ისლამი – ყურანში ამბობს თავისთავზე, სჯის და სწყალობს ზუსტად ისევე, როგორც ებრაელებისა და ქრისტიანების ღმერთი.

ცხადია, რომ ღმერთებზე შეხედულებები გაცილებით ძველია, ვიდრე ეს რელიგიები. როგორც ჩანს, იგი მნიშვნელოვანი ცნება იყო ჩვენთვის ცნობილ ადამიანთა საზოგადოების ცნობიერებაში. ჩვენი დრო ამ თვალსაზრისით გამონაკლისია.

ფილოსოფოსები ღმერთის შესახებ საუკუნეების განმავლობაში ფიქრობდნენ და მსჯელობდნენ. ყველაზე მეტად მათ ღმერთის არსებობის დასაბუთების საკითხი აინტერესებდათ. შეიძლება თუ არა ღმერთის არსებობის დასაბუთება? თუ საკმარისია მისი არსებობის აღიარება მხოლოდ რწმენით?

ღმერთის არსებობის უმნიშვნელოვანესი დასაბუთებანი ან (საყარაულო დასაბუთებანი) არის დასაბუთებანი, რომლებიც ემყარება გამოცხადებას, ემყარება სასწაულებს, პირველი მიზეზის არგუმენტს, ონტოლოგიურ არგუმენტს, ჩანაფიქრის არგუმენტს.

## გამოცხადებაზე დაფუძნებული დასაბუთება

სამი ძირითადი მონოთეისტური რელიგია (იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი) ამტკიცებს, რომ ღმერთი ზოგჯერ გამოეცხადება ცალკეულ ქალებს ან მამაკაცებს. სამივე რელიგია ასწავლის, რომ ღმერთი მოველინა მოსეს სინას მთაზე და ამცნო მას ათი მცნება – ფიცარი სჯულისა. ქრისტიანებს

სწამთ, რომ ახალი აღთქმა არის იესო ქრისტეს მეშვეობით მიწოდებული ღმერთის კანონი კაცობრიობისათვის. ისლამი ასწავლის, რომ ალაჰი ესაუბრებოდა მუჰამედს, აძლევდა მას რჩევა-დარიგებას და აცნობდა სიბრძნეთა საიდუმლოებებს მართლმორწმუნეებისათვის.

დროდადრო უბრალო მორწმუნეებიც აცხადებდნენ, რომ ისინი იღებდნენ ღვთაებრივი არსებობის პირად გამოცხადებას ზოგჯერ სიზმრების, მოჩვენებებისა და შინაგანი ხმების მეშვეობით, ზოგჯერ კი არაჩვეულებრივი სასწაულებრივი განცდების სახით.

ამის საწინააღმდეგოდ ურწმუნოები ამბობენ: პირად გამოცდილებას, რომელიც თითქოსდა ადასტურებს ღმერთის არსებობას, შეიძლება ჰქონდეს სხვა უფრო ბანალური ახსნა. სიზმრები და მოჩვენებები გვეუბნებიან ისეთი სხვადასხვა საგნის შესახებ, რომელთა არარსებობა შესანიშნავად ვიცით, მაგალითად, შეიძლება დაგვესიზმროს ელფები, მაგრამ ეს არ ამტკიცებს იმას, რომ ისინი სინამდვილეში არსებობენ. სიზმრები და მოჩვენებანი, არასანდო საბუთებია, და პირადი გამოცდილება, რომელიც არ უნდა მივიჩნიოთ ელფების არსებობის დასაბუთებად, არ შეიძლება ღმერთის არსებობის დამაკმაყოფილებელ არგუმენტებად ჩავთვალოთ, თუნდაც იგი ადამიანის ძლიერი განცდა იყოს.

## სასწაულებზე დაფუძნებული დასაბუთება

რა არის სასწაული? ყველაზე გავრცელებული თვალსაზრისით, სასწაული არის არაჩვეულებრივი მოვლენა ადამიანის ცხოვრებაში, როგორც წესი, სასიკეთო – გამოწვეული ან უშუალოდ ღმერთის, ან მოციქულების და წმინდანების მიერ. სასწაულები ეწინააღმდეგებიან ბუნების კანონებს; მაგალითად, გარდაცვლილი ადამიანი მკვდარია, მაგრამ, ღმერთის სურვილის შესაბამისად, თვითონ ღმერთს ან მის მოციქულებს შეუძლიათ მიცვალებული მკვდრეთით აღადგინონ.

სასწაულის ეს განმარტება *გულისხმობს*, რომ ღმერთი არსებობს, ამიტომ არ შეიძლება მისი როგორც ღმერთის არსებობის დასაბუთების წინამძღვრად გამოყენება. სასწაულის განსაზღვრება უნდა იყოს ნეიტრალური, ე.ი. არ უნდა ეფუძნებოდეს ღმერთის არსებობის ვარაუდს.

*სასწაულები განსაცვიფრებელი მოვლენებია, რომლებსაც არა აქვთ მეცნიერული ახსნა, მოაქვთ სარგებლობა ცალკეული ადამიანებისათვის და კეთილმოსურნე დიდსულოვანი ადამიანების სასიკეთო ჩარევის შესაძლებლობას ვეახსენებენ.*

მაგრამ მეცნიერულად მოაზროვნე ფილოსოფოს-მატერიალისტებს ყველაზე არაჩვეულებრივი მოვლენებიც კი მიაჩნიათ არა იმდენად არაჩვეულებრივად, რამდენადაც იმის შედეგად, რომ მათ ვერ უძებნიან მიზეზობრივ ახსნას. ჩვეულებრივი მატერიალური სამყარო, მეცნიერულად მოაზროვნე ფილოსოფოსის თვალსაზრისით, რეალურად არსებობს. ცეცხლი ყოველთვის ანთია, ყინული ყოველთვის ცივია, ყველა ფიზიკური ობიექტი გრავიტაციის კანონს ექვემდებარება, ზაფხულის შემდეგ ყოველთვის ღვება შემოდგომა, ყველა ცოცხალი არსება საბოლოოდ ამთავრებს არსებობას — კვდება. გასაგებია, რომ სამყარო იმართება მიზეზშედეგობრივი კავშირებით და მოჩვენებითი გამონაკლისები პრინციპში შეიძლება მისი მეშვეობით აიხსნას.

ღვეილ ჰიუმმა (1711-1776), რომელმაც ჩამოაყალიბა ბევრი ანტირელიგიური არგუმენტი, მათ შორის ისეთებიც, ღღემდე ურწმუნოთა შორის რომ არის გავრცელებული, გეთავაზობს ამოვიდეთ იმ დებულებიდან, რომ სასწაულები არ არსებობენ. სასარგებლოდ ცნობა სასწაულის არსებობისა, ამბობს ჰიუმი, ყოველთვის უფრო სუსტია, ვიდრე სხვა სახის ჰიპოთეზის სისწორის დასაბუთება, რაც ბუნების კანონთა მოქმედების მრავალმხრივი დადასტურებაა. მაგალითად: გრავიტაციის კანონი, ხოლო ამ კანონის დარღვევის საფუძველზე აგებული სასწაულის რეალობის დადასტურება თითქმის შეუძლებელია. მეტიც, ამტკიცებს ჰიუმი, კარგად არის ცნობილი, რომ ადამიანები ცრუობენ და ცდებიან. ყოველთვის უფრო შესაძლებელია, ადამიანმა მოიტყუოს ან შეცდეს, ვიდრე ის, რომ უარყოფილ იქნას ბუნების კანონები.

აქ არის ოთხი სხვადასხვა საკითხი, რომლებიც ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ.

ჯერ ერთი, ადამიანის ცხოვრებაში მართლაც ხდება თუ არა არაჩვეულებრივი, თითქოსდა აუხსნელი მოვლენები? ჰიუმის შეხედულების მიუხედავად, უნდა მტკიცედ ვთქვათ: ღიახ, ასეთი სახის მოვლენები ხდება.

მეორე, შეგვიძლია თუ არა დარწმუნებული ვიყოთ, რომ მეცნიერება საბოლოო ანგარიშით ჩვეულებრივი მეცნიერული ცნებებით ახსნის ყველა არაჩვეულებრივ მოვლენას? აქ უნდა ვუპასუხოთ: არა, ამაში არ შეგვიძლია ვიყოთ დარწმუნებული. საბოლოო ანგარიშით ადამიანური არსებანი, მათ შორის მეცნიერები და მომავლის მეცნიერებიც კი, არ არიან ყოვლისმცოდნენი. არ არის გამორიცხული, რომ ზოგიერთი საკითხი აუხსნელი დარჩება.

მესამე, ამტკიცებს თუ არა ღმერთის არსებობას ის, რომ არის მოვლენები რომელთა საიდუმლოებას ადამიანები ვერასოდეს ვერ ამოხსნიან? ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხი უნდა გავცეთ. ისეთი მოვლენების არსებობა, რომლებზედაც პასუხის გაცემა კაცობრიობას არ შეუძლია, მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ადამიანთა მოღგმა არც ისე ჭკვიანია, როგორც მას ჰგონია, და რომ

ჩვენ არა ვართ ყოვლისმცოდნენი. ეს არც იმას ამტკიცებს, რომ არის ვიღაც სხვა, ნამდვილად ყოვლისმცოდნე, – ღმერთი.

და, მეოთხე, ამტკიცებს თუ არა ერთი შეხედვით აუხსნელი მოვლენები, რომლებიც თითქოსდა ადამიანებს ეხმარებიან ცხოვრების რთულ მომენტებში, რომ არსებობს კეთილმყოფელი პერსონალური ღმერთი, რომელიც იცავს მათ? უნდა ვუპასუხოთ ასე: არ ამტკიცებს. მიუხედავად ამისა, მეორე მხრივ, თუ ზოგიერთ აუხსნელ მოვლენას, რომელთაც აქვთ პირდაპირი კეთილმყოფელი ხასიათი, თუ ზოგიერთი უცნაური მოვლენა პირდაპირ ეხმარება კეთილ ან უბედურ ადამიანებს მათთვის რთულ ცხოვრებისეულ წუთებში, ეს, რასაკვირველია, არის არგუმენტის ნამდვილად მნიშვნელოვანი მხარე, რომელიც სასწაულს ეფუძვნება. როგორც ჩანს, ზოგი სასწაულის სასიკეთო ხასიათი უსათუოდ წარმოადგენს რწმენის უფრო ძლიერ ფსიქოლოგიურ საფუძველს, ვიდრე ის ბევრად უფრო ნაკლებად გასაკვირი ფაქტი, რომ ზოგიერთი მოვლენა უბრალოდ აუხსნელია, აგრეთვე უფრო ძლიერ საფუძველს, ვიდრე განსაკუთრებული ცოდნის პრეტენზია, რომელსაც ადამიანთა ინსტიტუტები აცხადებენ.

## პირველ მიზეზზე დაფუძნებული არგუმენტი

მიჩნეულია, რომ ღმერთის არსებობის დასაბუთების ყველაზე საფუძვლიანი ვარიანტი – პირველ მიზეზზე დაფუძნებული ვარიანტი – თომა აქვინელმა (1225-1274) შემოგვთავაზა.

არგუმენტის შინაარსი ასეთია: ყველაფერს, რაც ხდება, აქვს მიზეზი, ამ მიზეზსაც აქვს მიზეზი, შემდეგ მიზეზსაც აქვს მიზეზი და ა.შ. – მიზეზთა რიგი მიდის წარსულში და უნდა იყოს ან სასრული, ან უსასრულო. თუ რიგი სასრულია, მაშინ უნდა არსებობდეს სასრული წერტილი, რომელსაც შეგვიძლია დავარქვათ პირველი მიზეზი. ეს პირველი მიზეზი არის ღმერთი.

რას ნიშნავს ამ რიგის უსასრულობა? სვამს კითხვას აქვინელი და უარყოფს იმის შესაძლებლობას, რომ სამყარო უსასრულოდ ძველია და დროში საწყისი არა აქვს. რასაკვირველია, ადამიანის გონებას ძნელად შეუძლია იმ დროის წედომა, რომელიც მარადიულ წარსულში მიდის. ჩვენ, მოკვდავთ, უფრო იოლად შეგვიძლია მომავლის უსასრულობის წარმოსახვა. ამის მიუხედავად აღვნიშნავთ: არისტოტელე არ თვლიდა, რომ ეს იდეა რაიმე წინააღმდეგობასთან იყოს დაკავშირებული. მას მიაჩნდა, რომ სამყარო დაუსაბამოა. არისტოტელეს აზრი, თუ ის ჭეშმარიტია, უარყოფს პირველ მიზეზზე დაფუძნებულ არგუმენტს.

კიდევ ერთი სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ ეს არგუმენტი მიზეზობრიობის ადამიანურ გაგებას ეფუძნება. შეგვიძლია თუ არა ვიყოთ დარწმუნებული იმაში, რომ მიზეზ-შედეგზე ჩვენი მსჯელობა სწორია? და განა არ შეიძლება, რომ მიზეზშედეგობრივი კავშირი როგორც ასეთი მხოლოდ ადამიანის გონებით გამოგონილი იდეა იყოს?

არის სხვა პრობლემებიც, რომლებიც თვით მიზეზის ბუნებას ეხება. იმ შემთხვევაშიც, თუ დაეუშვებთ, რომ პირველი მიზეზი არსებობს, მაშინ შეგვიძლია თუ არა იმის ცოდნა, რომ ეს პირველი მიზეზი არის ღმერთი? თუ დაეუშვებთ, რომ ეს პირველი მიზეზი არის ღმერთი, აქედან უნდა გამოვიტანოთ თუ არა დასკვნა, რომ იგი მუდმივად არსებობდა? ან აქვს თუ არა მას დასაწყისი დროში?

თუ აქვინელი სწორია, როდესაც ვარაუდობს, რომ შეუძლებელია სამყაროს წარმოდგენა მარადიულად არსებულად, მაშინ უნდა ვიკითხოთ: აღვიღია თუ არა (თუ კი, მაშინ რატომ?) წარმოვიდგინოთ მუდმივად არსებული სამყაროს შემოქმედი?

სახეზეა დილემა.

თუ ღმერთი მუდმივად არსებობდა, მაშინ სრულიად შესაძლებელია მუდმივად სამყაროს არსებობის იდეაც. შეიძლება არისტოტელე სწორია: სამყარო თავისთავად არსებობს მუდმივად.

და პირიქით, თუ ღმერთი არ არსებობდა მუდმივად, მაშინ მასაც უნდა ჰქონდეს მიზეზი, მიზეზს კიდევ სხვა მიზეზი და ა.შ.

ზოგიერთი ფილოსოფოსი ღმერთს უწოდებს თავისთავის მიზეზს, მაგრამ თავისთავის მიზეზის ეს ცნება უფრო ძნელი გასაგებია, ვიდრე მარადიულობის იდეა. როგორ შეუძლია არსებულს, რომელიც არ არსებობს, გამოიწვიოს საკუთარი არსებობა?

## ონტოლოგიური არგუმენტი

ონტოლოგიური არგუმენტი ჩამოაყალიბა ანსელმმა (1033-1109), კენტერბერიის არქიეპისკოპოსმა ვილჰელმ წითურის და ჰაინრიხ I-ის მმართველობის დროს. რამდენიმე საუკუნის შემდეგ რენე დეკარტმა (1596-1650) წამოაყენა ამ არგუმენტის უფრო მარტივი ვარიანტი.

ანსელმი იწყებს ბიბლიიდან ციტატიით: “თქვა უგუნურმა თავის გულში: არ არის ღმერთი”. ანსელმი ამტკიცებს, რომ ათვისტებსაც კი უნდა ჰქონდეთ წარმოდგენა ღმერთის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ვერ გაიგებენ საკუთარ სიტყვებს “არ არის ღმერთი”. ამრიგად, ღმერთის რა იდეა აქვს

უგნურს თავის გულში? ღმერთის იდეა, ამბობს ანსელმი, არის იდეა არსებულისა, რომელზეც უზუნაეს ვერ გავიაზრებთ ვერაფერს. მას მხედველობაში აქვს შემდეგი: ჩვენ არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ან გავიაზროთ ღმერთზე უფრო უმაღლესი, ვინაიდან ღმერთის იდეა არის ყოვლისმცოდნის, ყოვლად ძლიერის, მარადიულისა და სრულყოფილი არსების იდეა. შეუძლებელია გავიაზროთ არსებული, რომელიც უფრო მარადიულია, ვიდრე თვით მარადიული, უფრო უცოდველია, ვიდრე თვით უცოდველი, უფრო სრულყოფილია, ვიდრე თვით სრულყოფილი.

ასეთია ღმერთის იდეა. ჯერჯერობით ეს არის მხოლოდ იდეა და არ არის დასაბუთებული, რომ ამ იდეის შესაბამისი რეალობა არსებობს.

შემდეგ ანსელმი ამტკიცებს, რომ არის ორი სახის არსებობა – არსებობა აზრში და არსებობა რეალურად.

ჩვენ ვიცით, რომ ღმერთი არსებობს ადამიანის აზროვნებაში იდეის სახით, მაგრამ არსებობს თუ არა იგი რეალურად?

ანსელმი თვლის, რომ აზრში არსებული არსებობა ნაკლებად სრულყოფილია, ვიდრე რეალურად არსებული (ეს თვალსაზრისი სიმართლეს არ არის მოკლებული). შემდეგ იგი ასე მსჯელობს: ღმერთი მხოლოდ აზროვნებაში რომ არსებობდეს, იგი ნაკლებად სრულქმნილი იქნებოდა, ვიდრე ის რეალობაში რომ არსებულებოდა. ღმერთი მხოლოდ აზრში რომ არსებულებოდა, მაშინ არსებული ღმერთზე უფრო მაღლა უნდა წარმოგვედგინა, სწორედ არსებული, რომელიც არსებობს აზრშიც და რეალურადაც, იქნებოდა ნამდვილი ღმერთი, რადგან ის პირველი ღმერთი, რომელიც ჩვენ მოვიაზრებთ როგორც მხოლოდ აზრში არსებული, საბოლოო ანგარიშით არ იქნებოდა არსებული, რადგან მასზე მაღლისა და პირველსაწყისის ზემოთ არაფრის მოაზრება აღარ იქნებოდა შესაძლებელი.

ანსელმი ასკენის, რომ არსებული, რომელზეც მაღლის მოაზრება არ შეიძლება, უნდა არსებობდეს რეალობაში ისევე, როგორც აზროვნებაში; მაშასადამე, ღმერთი არსებობს რეალურად.

ანსელმი ერთმანეთთან აერთებს ღმერთის იდეას და აუცილებლობის იდეას. ღმერთი რომ შემთხვევით არსებულებოდა, იგი იქნებოდა უფრო ნაკლები, ვიდრე მაშინ, როდესაც იგი არსებობს აუცილებლად. ვინაიდან ღმერთი უზოგადესი ცნებაა, ამიტომ იგი უნდა არსებობდეს აუცილებლად და არა შემთხვევით. აქედან ნათელია, რომ ღმერთი არსებობს, იგი ყოველთვის არსებობდა და ყოველთვის იარსებებს, რამდენადაც ეს განპირობებულია აუცილებელი არსებობით.

ონტოლოგიური არგუმენტის დეკარტისეული ვარიანტი უფრო მარტივია. იგი ასე გამოიყურება:

ჩვენი იდეა ღმერთისა სრულყოფილი არსებულის იდეაა.

სრულყოფილი არსებული უნდა იყოს სრულიად სრულყოფილი.

სჯობს არსებობდე, ვიდრე არ არსებობდე.

სჯობს არსებობდე რეალურად, ვიდრე არსებობდე მხოლოდ ვილაციის გონებაში.

ამიტომ არსებობა, ე.ი. რეალურად არსებობა, არის სრულყოფილება.

მაშასადამე, სრულყოფილი არსებულის შესახებ ჩვენი იდეა არის იდეა არსებულისა, რომელიც რეალურად არსებობს.

მაშასადამე, სრულყოფილი არსებული (ღმერთი) არსებობს რეალურად.

ონტოლოგიური არგუმენტი ბევრჯერ გააკრიტიკეს. ანსელმის თანამედროვემ ბერმა გაუნილომ ანსელმს უპასუხა თხზულებით “წიგნი უგუ-  
ნურის დასაცავად” (იმ უგუნურის, რომელმაც თავის გულში თქვა, რომ “არ არის ღმერთი”).

გაუნილოს განმარტებით, რაიმეს მოაზრება ჯერ კიდევ არ ნიშნავს მისი შესატყვისის რეალურად არსებობას. მე რომ მოვიაზრო სრულყოფილი კუნძულის არსებობა, სადაც ბედნიერი ადამიანები ცხოვრობენ, ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი კუნძული და მისი ბინადრები არსებობენ.

გაუნილოს მიერ აღნიშნულ დებულებას სხვაგვარი სახით გაიმეორებენ თომა აქვინელი და იმანუელ კანტი. კანტის განმარტებით: მე შეიძლება ცნობიერებაში მქონდეს ასი ტალერის იდეა, ხოლო ჯიბეში არც ერთი ტალერი არ მედოს.

ანსელმმა მახვილგონივრული პასუხი გასცა გაუნილოს, როდესაც მიუთითა, რომ კონკრეტული საგნის ცნებასა და აბსოლუტურის ცნებას შორის არსებითი განსხვავებაა – აბსოლუტურის ცნების მოაზრება “არსებობის” ცნების გარეშე არ შეიძლება. ღმერთის არსებობა არა მხოლოდ საყოველთაოდ ცნობილია, არამედ აუცილებელიც. სრულყოფილ კუნძულს, იმ შემთხვევაშიც, რომ ის ნამდვილად არსებულიყო, ექნებოდა არა აუცილებელი არსებობის ნიშანი მარადიულობაში, არამედ შემთხვევითი დროში.

## არის თუ არა არსებობა თვისება?

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ფილოსოფოსები ღმერთის დასაბუთების ონტოლოგიურ არგუმენტს მართებულად არ თვლიდნენ იმიტომ, რომ არსებობა არ არის სრულყოფილების ნიშანი. მათი აზრით, სრულყოფილება თავისებური სახის თვისებაა (მაგალითად, სრული სიკეთე), არსებობა კი არ არის თვისება.

ეს შეპასუხება შეიძლება გამოვთქვათ ასე: “არსებობა არ არის თვისება”. მისი ჭეშმარიტება შეიძლება დადასტურდეს ენის გამოკვლევის გზით, ამ ცნებაში მოაზრებული შინაარსის გამოკვლევის საფუძველზე ცნება “არსებობის” სხვა სიტყვებთან შევედრებით.

სიტყვა “არსებობს” იხმარება სხვაგვარად, ვიდრე სიტყვები, რომლებიც აღნიშნავენ მოქმედებას, თვისებრიობას, დროს, ადგილს და მიმართებას.

ავიღოთ სიტყვა, რომელიც აღნიშნავს მოქმედებას – სიტყვა “ბრდღვინავს”, და განვიხილოთ შემდეგი მაგალითები:

- 1ა არცერთი ვეფხვი არ ბრდღვინავს – ეს, რასაკვირველია, სიცრუეა, მაგრამ არა უაზრობა.
- 2ა ყველა ვეფხვი ბრდღვინავს – ესეც არ არის უაზრობა.
- 3ა ვეფხვთა უმრავლესობა ბრდღვინავს, ზოგიერთი კი არ ბრდღვინავს – ესეც არ არის უაზრობა, შეიძლება ჭეშმარიტიც კი იყოს.

ახლა შევაჯეროთ სიტყვა “არსებობს”:

- 1ბ არცერთი ვეფხვი არ არსებობს.
- 2ბ ყველა ვეფხვი არსებობს.
- 3ბ ვეფხვთა უმრავლესობა არსებობს, ნაწილი კი არ არსებობს.

“არცერთი ვეფხვი არ არსებობს” – აქვს აზრი, თუმცა იგი სიცრუეა. ეს მტკიცება ერთგვარად ჰგავს მტკიცებას “არცერთი კენტაერი ამჟამად არ არსებობს”, რომელსაც აგრეთვე აქვს აზრი და ჭეშმარიტია.

მაგრამ მტკიცება “ყველა ვეფხვი არსებობს”, უშინაარსოა, იგი არაუითარ ინფორმაციას არ გვაძლავს, მტკიცებას კი “ვეფხვთა უმრავლესობა არსებობს, ზოგიერთი კი არ არსებობს”. – საერთოდ არა აქვს აზრი.

ამის ანალოგიურად შეიძლება ვაჩვენოთ, რომ სიტყვა “არსებობს” განსხვავდება ცნებებისაგან, რომლებიც აღნიშნავენ თვისებრიობას, ე.ი. სიტყვებისაგან “ამაღლებული”, “ყოვლისმცოდნე”, “უსაზღვრო” და “მუდმივი”, რომლებიც სრულყოფილებაზე მიუთითებენ.

განვიხილოთ მაგალითი.

- 1გ არცერთი პროფესორი არ არის ყოვლისმცოდნე.
- 2გ ყველა პროფესორი ყოვლისმცოდნეა.
- 3გ პროფესორთა უმრავლესობა ყოვლისმცოდნეა, ზოგიერთი კი არ არის ყოვლისმცოდნე.



ყველა ამ წინადადებას აქვს თავისი აზრი, იმის მიუხედავად, ჭეშმარიტია თუ მცდარი. მაგრამ შევადაროთ სიტყვას “არსებობს”.

1დ არცერთი პროფესორი არ არსებობს.

2დ ყველა პროფესორი არსებობს.

3დ პროფესორთა უმრავლესობა არსებობს, ზოგიერთი მათგანი კი არ არსებობს.

ისევ და ისევ, პირველ წინადადებას (“არცერთი პროფესორი არ არსებობს”), იმის მიუხედავად, რომ მცდარია, აქვს აზრი. მაგრამ მეორე წინადადება (“ყველა პროფესორი არსებობს”) უმინაარსოა. მესამე წინადადება კი (“პროფესორთა უმრავლესობა არსებობს, ზოგიერთი მათგანი კი არ არსებობს”) – უბრალოდ უაზროა. სიტყვა “არსებობს” იქცევა სხვაგვარად, ვიდრე “ყოვლისმცოდნე”.

მამსაღამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ არსებობა არ არის მოქმედება (“ბრძღვნისაგან განსხვავებით”) და არ არის სრულყოფილება (“ყოვლისმცოდნისაგან” განსხვავებით).

## ჩანაფიქრის არგუმენტი

ეს არგუმენტი ღმერთის არსებობის ფილოსოფიურ დასაბუთებათა შორის ყველაზე საფუძვლიანია. მოკლედ რომ ვთქვათ, იგი იმაში მდგომარეობს, რომ სამყარო (და ყოველივე მასში) ისე საუცხოოდ არის ორგანიზებული, რომ ნამდვილად მისი უშესანიშნავესად მომწყობის ბრწყინვალე ნაწარმოებია. ამაზე მეტყველებს ყველაფერი, რაც ჩანს: პლანეტების მოძრაობიდან დაწყებული ტვინის უმცირესი სტრუქტურებით დამთავრებული. არაფერი არ არის შემთხვევითი, ყველაფერი ექვემდებარება რაღაც გეგმას ან ჩანაფიქრს.

ასეთ სამყაროს არ შეეძლო არსებობის დაწყება შემთხვევით ან ჩანაფიქრის გარეშე. გარკვეული აზრით ჩვენი სამყარო ჰგავს სასწაულებრივ ნაწარმოებს. უილიამ პელიმ (1743-1805) იგი საათს შეადარა. ჩვენ რომ უდაბნოს ქვიშაში გვეპოვნა საათი, არ მოგვივიდოდა თავში გაგვეფიქრებინა, რომ მისი წარმოშობა ან მექანიზმის აგებულება მხოლოდ შემთხვევის ამბავია, თუნდაც წინათ არასოდეს არ გვენახა საათი. პირიქით, მაშინვე მივხვდებოდით, რომ იგი მთელი მისი ნაწილებით მოფიქრებულია და დამზადებულია ვიღაც ჭკვიანი არსების მიერ. ასევე ღმერთი ედრება საათის მექანიზმის შემქმნელს.

ეს არგუმენტი ყველაზე დამაჯერებლად დევიდ ჰიუმმა გააკრიტიკა. იგი აღნიშნავს, რომ თუნდაც შეგვძლებოდა იმის დამტკიცება, რომ სამყარო ჭკვიანი შემოქმედის ნაყოფია, მაშინ აუხსნელი დარჩებოდა სხვადასხვა ურთიერთმოქიშპე რელიგიების არსებობა და იმის დაზუსტება, თუ მათ შორის რომელია ჭეშმარიტი.

ჰიუმი ამბობს, რომ, მტკიცებათა საპირისპიროდ, სინამდვილეში სამყარო ნაკლებად ჰგავს ადამიანური საქმიანობის შედეგს. მისი აზრით, იგი გვაგონებს უზარმაზარ ცხოველს ან გიგანტურ ბოსტნეულს, როგორც საათს. ცხოველები და ბოსტნეული, სხვადასხვა საათისგან განსხვავებით, შექმნილნი არიან არა გონიერი მომწყობის მიერ, არამედ ბუნებრივი აღწარმოების პროცესში.

და ბოლოს, ჰიუმი ამტკიცებს, რომ სამყარო ნამდვილად უნდა გამოიყურებოდეს როგორც გარკვეული ჩანფიქრით შექმნილი. ჩვენი სამყარო შედარებით მდგრადია, ამიტომ მდგრადი სამყაროს ნაწილები ერთმანეთთან უნდა იყვნენ მიზნობრივად განლაგებული. მაგალითად, სხვადასხვა ცხოველები, რომლებიც სამყაროში არსებობენ, სიცოცხლის შესანარჩუნებლად უნდა იყვნენ შეგუებული. სხვაგვარად არც ერთი ცხოველი არ იარსებებდა. მაგრამ ისმება კითხვა: შეიძლებოდა თუ არა სამყაროს არსებობა შემოქმედის გარეშე? ჰიუმი პასუხობს, რომ მდგრადობა გრძელდება უფრო ხანგრძლივად, ვიდრე არასტაბილურობა ან ქაოსი. თუ სამყარო დაიწყო როგორც მოუწესრიგებელი ქაოსი და მდგრადობას მიაღწია შემთხვევით, მაშინ სტაბილურობის მდგომარეობა შენარჩუნებული იქნება, ყოველ შემთხვევაში, გარკვეულ დრომდე.

ასეთია ღმერთის არსებობის ან არარსებობის ფილოსოფიური დასაბუთების ძირითადი არგუმენტის შინაარსი.

და ბოლოს, გაგაცნობთ ამ საკითხზე იმანუელ კანტის (1724-1804) იდეების შინაარსს.

კანტს მიაჩნია, რომ ღმერთის არსებობის დასაბუთება შეუძლებელია, მაგრამ მაინც ამტკიცებს, რომ ჩვენ გვესაჭიროება ვირწმუნოთ ღმერთი. ღმერთის იდეას და თავისუფლების (თავისუფალი ნების) იდეას, რომლებსაც კანტი გონების იდეებს უწოდებს, ადამიანის ცხოვრების აუცილებელი წინამძღვრებია. ეს აუცილებლობა ფსიქოლოგიური ან სოციალური კი არ არის, არამედ გაცილებით ღრმაა. გონების სიცოცხლე, ადამიანთა არსებობას, როგორც გონების მქონე არსებათა სიცოცხლე შეუძლებელი იქნებოდა ამ ორი იდეის გარეშე. კანტის თანახმად, ჩვენს მეცნიერულ და ფილოსოფიურ თეორიებს აზრი არ ექნებოდათ ღმერთის იდეის გარეშე, ხოლო კაცობრიობის ჩვეულებრივი საზოგადოებრივი პრაქტიკული ცხოვრება თავისუფალი ნების გარეშე ქაოსად იქცეოდა.

## პიროვნების არსებობა და იგივეობა

ფილოსოფოსებმა დიდი ხანია გაიაზრეს, რომ პიროვნების ბუნებაში არსებობს რაღაც საიდუმლოება, რომელიც ადამიანის ცნობიერებასთან, მექსიერებასთან და ფსიქიკურ ცხოვრებასთან არის დაკავშირებული. გამოთქმული მოსაზრების სიცხადის მიზნით ჯერ განვიხილოთ ურთიერთდაკავშირებული სამი საკითხი. უწინარეს ყოვლისა, რა გვაძლევს იმის უფლებას, რომ ვთქვათ, როდის არის ერთი (ან ორი) პიროვნება ერთი ა და როდის – განსხვავებული? მაგალითად, რა არის იმის გარანტი, რომ ა ადამიანი, რომელსაც ორშაბათს შევხვდით, იგივეობრივია ხუთშაბათს შეხვედრილ ბ ადამიანთან ან მისგან განსხვავდება?

შემდეგ, საიდან ვიცით, რომ ვრჩებით იმავე პიროვნებად, რაც ვიყავით გუშინ ან შარშან?

ეს ორი საკითხი ეხება პირობებს, რომლებიც საშუალებას გვაძლევს ვილაპარაკოთ იგივეობაზე (იგივეობის პირობები), მაგრამ დასმულ კითხვებზე ვერ ვუპასუხებთ მანამ, სანამ არ ვუპასუხებთ მესამე კითხვაზე: რა არის პიროვნება?

### ჯონ ლოკი იგივეობის შესახებ

პიროვნების იგივეობის შესახებ თანამედროვე ფილოსოფიური შეხედულებები ჯერ კიდევ ინგლისელი ფილოსოფოსის ჯონ ლოკის (1632-1704) იდეების საგრძნობ გავლენას განიცდიან.

ლოკი იწყებს მსჯელობას საგნების განსხვავებულ სახეობათა იგივეობიდან და ამის შემდეგ თითოეული სახეობის იგივეობის პირობებს ახასიათებს.

უწინარეს ყოვლისა ამ თვალსაზრისით იგი უსულო საგნებს განიხილავს, მაგალითად, ბრილიანტს. მისი აზრით, ბრილიანტისათვის არსებობს იგივეობის ერთადერთი პირობა: მას უნდა ჰქონდეს ერთი და იგივე ატომები, ანუ უმცირესი ნაწილაკები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბრილიანტი, რომელიც ორშაბათს ნახეთ, და ბრილიანტი რომელიც ოთხშაბათს ნახეთ, იმ შემთხვევაში

იქნება ერთნაირი, თუ მას ერთი და იგივე ატომები ექნება. თუ ატომების შემადგენლობა შეიცვალა, მაშინ თქვენ წინ იქნება ახალი, წინანდელისაგან განსხვავებული ბრილიანტი. მაგრამ ის საგნებიც კი, რომლებიც მეტად მკვერივი მასალისაგან არის შექმნილი, დროთა განმავლობაში გარკვეული რაოდენობით კარგავენ ატომებს. ჩვენ ვიცით, რომ არიან რადიოაქტიური ნივთიერებანი, რომლებიც მუდამ კარგავენ, ასხივებენ ან გამოყოფენ უმცირეს ნაწილაკებს. რასაკვირველია, ლოკისათვის უცხო იყო რადიოაქტიური პროცესები, მაგრამ მიაჩნდა, რომ ყველა მატერიალური სუბსტანცია თანდათან კარგავს ნაწილაკების გარკვეულ რაოდენობას, და ამიტომ ვარაუდობდა, რომ დროში იგივეობის სრულყოფილებას ბრილიანტიც კი ვერ ინარჩუნებს.

ამის მიუხედავად, ლოკის მსჯელობით, ბრილიანტი უფრო მდგრადი საგანია, ვიდრე ის საგნები, რომლებიც ზრდას და გახრწნას განიცდიან. რაც შეეხება მინერალებსა და ცოცხალ ორგანიზმებს შორის განსხვავებას, აქ ჯონ ლოკი საღ გონებას ეყარება. იგი ამბობს, რომ მართალია აბსოლუტური იგივეობა გულისხმობს უცვლელ საგანს, სინამდვილეში, ეს გვინდა თუ არ გვინდა, ცოცხალი არსების იგივეობა სხვაგვარად უნდა წარმოვიდგინოთ.

როგორია ამ შემთხვევაში იგივეობის პირობა? მაგალითად, მუხის? რასაკვირველია, ეს არ არის ერთი და იგივე ატომების უცვლელობა. ხე ხომ იზრდება, ისხამს ფოთლებს, ქარიშხლის დროს ემტვრევა ტოტები და ა.შ. ამის მიუხედავად, ის მაინც ერთი და იგივე ხედ რჩება.

ლოკის დასკვნით, ცოცხალი ხის იგივეობის პირობა *უწყვეტი სიცოცხლეა*, რაც ასეთი სახეობის ხეების ნორმალური სასიცოცხლო ციკლისათვის არის დამახასიათებელი.

ის, რომ ხის სიცოცხლე უნდა იყოს უწყვეტი, ვლინდება ფაქტში: როდესაც ხეს ჭრიან, ან იგი ტყის ხანძრის შემთხვევაში იწვის, იმ ადგილას ამოსული ახალი ხე არ იქნება ისეთი, როგორიც ძველი ხე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხეებისათვის უცხოა გარდასახვა.

შეგვიძლია თუ არა იმის თქმა, რომ ხე, რომელიც იზრდება უკვე მკვდარი ან დამწვარი ძველი ხის დანამყნობზე, აგრძელებს ამ უკანასკნელის სიცოცხლეს? თუ ის არის ახალი ხე? ცხადია, იგი არცთუ ისე განსხვავდება ახალი ხისაგან, რომელიც თესლიდან აღმოცენდა. ხეების სიცოცხლეში ნამყენები იმავე როლს ასრულებენ, რასაც თესლები. შეიძლება ითქვას, რომ ახალი ხე ძველის ამონაყარია.

განსაკუთრებული შემთხვევაა ზეთისხილის ხე, იმ აზრით, რომ იგი არასოდეს არ კვდება, ისევ და ისევ ღორძინდება ძველი ხეებიდან. თითქოსდა

ამიტომ ბუნებაში არის შედარებით მცირე რაოდენობის ზეთისხილის ხეები და ისინი მუდმივად ცოცხლობენ.

ლოკის ახსნა გონივრული განხილვისას საკმარისია იმ ძნელი შემთხვევებისთვისაც, რომლებიც რთულია იმიტომ, რომ ცხოველების ქცევა არაფრით არ ჰგავს ხეების ქცევას. ხეებს სიცოცხლისა და სიკვდილის საკუთარი კანონები აქვთ. და ლოკი ამ კანონების საფუძველზე მცენარეთა იგივეობის პირობებს განსაზღვრავს. ყოველი სახეობის ხეს თავისი სიცოცხლისა და ნაყარის საშუალებით კვლავწარმოების ციკლი გააჩნია, და კალმით გამრავლება, აგრეთვე ზეთისხილის ხის განახლება ხეების სიცოცხლის ნორმალურ აქტად უნდა ჩაითვალოს. ზეთისხილის ხე თუთიყუშის მცენარეული ვარიანტია: ორივენი ძალიან დიდხანს ცოცხლობენ.

შემდეგ ლოკი განიხილავს ცხოველების იგივეობის პირობებს. ირკვევა, რომ მათი იგივეობის ძირითადი პირობა (ვთქვათ, კატებისა) არ განსხვავდება ხეების იგივეობის პირობისაგან. ეს იგივე უწყვეტი სიცოცხლეა. კატის კნუტი თანდათან იზრდება, სანამ მოზრდილ კატად არ იქცევა, და მთელი ამ ხნის განმავლობაში მისი ორგანოების უჯრედები, მისი შემცველი ატომები რამდენჯერმე იცვლებიან, თუმცა თანდათანობით, და თუ კატის სიცოცხლე არ შეწყდება სიკვდილით, იგი იმავე კატად რჩება, კატებს არ შეუძლიათ გარდასახვა, რადგან ცხოველის სიკვდილი მის იგივეობას უკანასკნელ წერტილს უსვამს.

ბოლოს ლოკი განიხილავს პიროვნებათა იგივეობის პირობებს. მისი მსჯელობის თანახმად, ადამიანს ორადი ბუნება აქვს – ადამიანური არსება არის ცხოველი, და აგრეთვე პიროვნება. ლოკის აზრით, პიროვნება არის ცხოველის არა განსაკუთრებული სახეობა, არამედ სრულიად სხვა რამ.

## ადამიანური არსებანი და პიროვნებანი

ლოკის მტკიცება, რომ პიროვნებები მარტო ადამიანური ცხოველები არ არიან, XX საუკუნეში თითქმის ყველა ფილოსოფოსმა აღიარა, მათ შორის იმ ფილოსოფოსებმაც, რომლებიც მის სხვა შეხედულებებს არ იზიარებდნენ. მაგრამ ჩვენ თავს ნებას მივცემთ, არ დავეთანხმოთ არც ლოკს, არც სხვა ფილოსოფოსებს.

ლოკი განასხვავებს პიროვნების იგივეობას ადამიანური, ანუ ცხოველური იგივეობისაგან. მათ შორის განსხვავება ძირითადად განისაზღვრება ცნობიერებით და განსაკუთრებით მეხსიერებით. ჩვენ რომ გვქონდეს იმის უნარი – გავიხსენოთ ყოველივე ის, რასაც 2500 წლის წინათ ათენში სოკრატე

აკეთებდა, მაშინ, ლოკის მსჯელობის თანახმად ისეთივე პიროვნება ვიქნებოდით, როგორც სოკრატე იყო, თუმცა სხვა ადამიანური არსება. როგორ უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ასეთია ლოკის თეორიის არსი. მისი აზრით, ადამიანური არსებანი შეიძლება იყვნენ პიროვნებები, მაგრამ პიროვნულობა არ არის ცხოველურობა, რომელსაც ფიზიკურ მახასიათებლებთან არაფერი საერთო არ გააჩნიათ. ადამიანური არსებები პიროვნებანი იმდენად არიან, რამდენადაც მათ ცნობიერება და მეხსიერება აქვთ. შეიძლება ეს თეორია ნაკლებად უცნაურად მოგვეჩვენოს, თუ ანალოგიას მივმართავთ.

ბერტი ვუსტერი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულიც და მემკვიდრეც. იყოს კურსდამთავრებული, არ ნიშნავს იყოს მემკვიდრე. ბერტი შეიძლება იყოს მემკვიდრე იმის გამო, რომ მამიდამ მას უანდერძა მემკვიდრეობა. იგი კურსდამთავრებულია იმიტომ, რომ სწავლობდა ოქსფორდის უნივერსიტეტში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი მუდმივად რჩება ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულად (ერთი და იგივე კურსდამთავრებულად). მაგრამ იგი შეიძლება აღარ იყოს მემკვიდრე, თუ მისი მამიდა თავის ანდერძს შეცვლის.

ამ მაგალითში “იყო კონკრეტული კურსდამთავრებული” განხილულ უნდა იქნეს როგორც ანალოგი – “იყო განსაკუთრებული პიროვნება”. ხოლო “იყო ვიღაცის მემკვიდრე” – როგორც ანალოგი “იყო განსაკუთრებული ადამიანური არსება, განსაკუთრებული ადამიანური ცხოველი”.

როდესაც სოკრატე გარდაიცვალა, მან შეწყვიტა არსებობა როგორც ადამიანი, მაგრამ მისი არსებობის როგორც პიროვნების გაგრძელების შესაძლებლობა ღიად დარჩა. თანამედროვე კვინბოროს მერს რომ ჰქონდეს სოკრატეს შესახებ ყველა მოგონება, მაშინ იგი, მერი, იქნება სოკრატე – სოკრატე როგორც პიროვნება და არა სოკრატე როგორც ადამიანი.

## მოგონებები და მცდარი მოგონებები

ერთი შეხედვით, ლოკის თეორია იმის საშუალებას გვაძლევს, რომ პასუხი გავცეთ ჩვენს მიერ დასმული სამი კითხვიდან მეორე კითხვაზე: საიდან იცის ადამიანმა, რომ ის ყოველდღე იგივე პიროვნებაა, რაც გუშინ იყო? ლოკი პასუხობს: თქვენი საკუთარი თვალსაზრისით, სწორედ თქვენი მოგონებები გაქცევთ იმავედ ან სხვა პიროვნებად. თქვენ იცით, რომ თქვენ იგივე პიროვნება ხართ, რაც გუშინ იყავით, მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენი მოგონებების შინაარსი დღეს ძირითადად ისეთია, როგორიც გუშინ იყო.

მაგრამ ეს პასუხი აღადგენს მცდარი მოგონებების აჩრდილს, რომელიც ლოკის თეორიას გარდაუვლად ანგრევს.

საბოლოო ანგარიშით მე არ შემიძლია ჩემი მესხიერება ჩავთვალო იმ მსჯელობის საფუძვლად, რომ მე იგივე (ლოკისეული გაგებით) პიროვნება ვარ, რამდენადაც ყოველთვის არსებობს ისეთი ალბათობა, რომ ჩემი მოგონებები მცდარია. ამიტომ მე უნდა ვიცოდე, რის საფუძველზე შემიძლია დავამტკიცო ჩემი მოგონებების ჭეშმარიტობა. მაგრამ ეს ნიშნავს, რომ მე უნდა დავეყრდნო მეორე მოგონებებს, როგორც მსჯელობის საფუძველს პირველი მოგონებების ჭეშმარიტობის შესახებ. ამის შემდეგ მე დამჭირდება მესამე მოგონებები, რომ დავრწმუნდე მეორე მოგონებების ჭეშმარიტობაში და ა.შ. უსასრულოდ.

როგორც ვიტყვნშტანმა აღნიშნა, არ შეიძლება დღევანდელი გაზეთის ინფორმაციის სისწორის დადგენა იმით, რომ მისი მეორე, მესამე, მეოთხე და ა.შ. ეგზემპლარი შეიძინო.

არსებობს თუ არა რაიმე ხერხი საკუთარი ან სხვა ადამიანების მოგონებათა ჭეშმარიტობის შესამოწმებლად? დიას, არსებობს. მაგრამ შემოწმების ეს მეთოდი ვარაუდობს, რომ პიროვნების იგივეობის პირობები იგივეა, რაც ადამიანური (ცხოველური) იგივეობის პირობები. ეს კი ლოკის თეორიის სისუსტეს მოწმობს.

რა არის მცდარი მოგონებები? არსებითად, ეს არის მოგონებები, რომლებიც იმას გაცნობებთ, რომ თქვენი სხეული არსებობდა კონკრეტულ ადგილას კონკრეტულ დროში, მაშინ როდესაც შეიძლება დაამტკიცოთ, რომ სინამდვილეში იგი სხვა ადგილას იყო. დაუშვათ, მაგალითად, თქვენ ამტკიცებთ, რომ უინსტონ ჩერჩილი ხართ, გახსოვთ, როგორ გახდით პრემიერ-მინისტრი, გახსოვთ, როგორ წარმოთქვამდით მრავალ მოხსენებას თემთა პალატაში, გახსოვთ, როგორ დაქორწინდით კლემენტინა ჩერჩილზე.

როგორ შეგიძლიათ თქვენ (და სხვა ადამიანები) დარწმუნდეთ საკუთარი განცხადებების ჭეშმარიტობასა თუ მცდარობაში? იგივეობის როგორი პირობების გამოყენება შეგიძლიათ თქვენი რეალური იგივეობის დასადგენად?

თქვენი რეალური იგივეობა დადგინდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაირკვევა, სად იყო თქვენი სხეული ჩერჩილის ცხოვრების დროს. ეს დადგინდება მხოლოდ მაშინ, როდესაც პასუხი გაეცემა შემდეგ კითხვებს: არის თუ არა ეს ინდივიდუალური სხეული ის, რაც ჩერჩილის სხეულია? არის თუ არა ამ ინდივიდუალური სხეულის სიცოცხლე განუყოფელი ჩერჩილის სხეულის ცხოვრებისაგან? იყო თუ არა ეს ინდივიდუალური სხეული ყოველთვის იქვე და იმავე დროს, სადაც და როდესაც იყო ჩერჩილის სხეული?

თუ ამ კითხვებზე პასუხები ყოველ ცალკეულ შემთხვევებში არ იქნება დამაკმაყოფილებლად გაცემული, მაშინ თქვენი მეხსიერების პრეტენზიები იქნება მცდარი. მცდარი მოგონებები ხომ, როგორც უკვე დავადგინეთ, არის მოგონებები, რომლებიც გაცნობებენ, რომ თქვენი სხეული იმყოფებოდა კონკრეტულ ადგილას კონკრეტულ დროს, მაშინ როდესაც სინამდვილეში იგი კიდევ სადღაც იყო.

დაუშვათ, ყველა არსებული ცნობა ადასტურებს, რომ თქვენს სხეულსა და ჩერჩილის სხეულს შორის საზღვრები ერთმანეთს არ ემთხვევიან. მაშინ ნუთუ ძველებურად არ შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ თქვენ ჩერჩილი ხართ? ნუთუ თქვენი მოგონებები არ შეიძლება მის მოგონებებზე მოგეჩვენოთ? დიახ, ეს შესაძლებელია. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ისინი მცდარი მოგონებები იქნებიან. ადამიანის პირადი რწმენა მისი იგივეობის შესახებ ყოველთვის არ არის სწორი. შეიძლება ადამიანმა დაკარგოს მეხსიერება და გაუქრეს იგივეობის აღქმის ყოველგვარი გრძნობა. ასეთ შემთხვევაშიც თქვენ ისევ აგრძელებთ იყოთ იგივე ადამიანური ცხოველი, როგორც იყავით მეხსიერების დაკარგვამდე, და ამიტომ სხვა ადამიანებისათვის ყოველთვის დარჩება იმის შესაძლებლობა, რომ თქვენი, როგორც კონკრეტული ადამიანური არსების იგივეობა დაადგინონ.

## ლოკის თეორია დღეს

ლოკის თეორია პიროვნების იგივეობის შესახებ კვლავ აქტუალურია. თანამედროვე ფილოსოფოსთა ერთი ნაწილი ისევ დაჟინებით იცავს აზრს იმის შესახებ, რომ ადამიანური არსება არ არის იგივე, რაც პიროვნება. უკანასკნელ ხანებში ეს თეორია ვითარდებოდა იმ თეორიების მიმართულებით, რომლებიც ამტკიცებდნენ დისკრიმინაციას რასის, სქესისა და ასაკის მიხედვით.

საინტერესოა, რომ სტუდენტები ტერმინებს “პიროვნება” და “ადამიანური არსება” ხმარობენ როგორც ურთიერთშემცვლელს, ვიდრე მათ არ შეაჩერებენ ფილოსოფიის მასწავლებლები. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ფილოსოფიის მასწავლებლებმა იციან მრავალი ისეთი ფიზიოლოგიური ფაქტი პიროვნებათა და ადამიანთა არსებების შესახებ, რომლებიც სტუდენტებისათვის უცნობია? რა თქმა უნდა, არა. ფილოსოფოსები ფიზიოლოგები არ არიან და ნებისმიერ შემთხვევაში საქმესთან დაკავშირებული ფაქტები ყველასათვის ცნობილია. საკითხავია, ფილოსოფიის მასწავლებლებმა უკეთ იციან სიტყვების “პიროვნება” და “ადამიანური არსება”, ვიდრე სტუდენტებმა? არა, ეს ასე



არ არის. ჩვეულებრივი სიტყვახმარება და ლექსიკონი უფრო სტუდენტების მხარეზეა, ვიდრე მასწავლებლების.

ჩვეულებრივ ლექტორები არ ემყარებიან რაიმე საფუძველებს განხილულ განსხვავებათა მსჯელობისას, არამედ სჯერდებიან მხოლოდ პოსტულირებას, მაგალითად, პროფესორი მაიკლ ტული სტატიაში აბორტების შესახებ წერს: “მე პიროვნების ცნებას განვიხილავ როგორც მორალურ ცნებას... ყოველგვარი დამატებითი შინაარსისაგან თავისუფალს ... სინონიმურს გამოთქმისა: “მას უნდა ჰქონდეს ცხოვრების სერიოზული მორალური უფლება”.

ტულის თავისუფლად შეეძლო ეთქვა: “მე პიროვნების ცნებას განვიხილავ როგორც ენტომოლოგიურ ცნებას, სინონიმს ცნებისა “ხოჭო”...”

ლოკის მიერ ადამიანურ არსებებსა და პიროვნებებს შორის განსხვავების ანალიზმა მიგვიყვანა იქამდე, რომ ფილოსოფოსთა ნაწილმა ადამიანთა სახეობა ორ ჯგუფად დაყო: ცხოვრებაზე უფლებამოსილნი და ამ უფლებას მოკლებულნი (თვითონ ლოკს ამისათვის არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრება). სწორედ ასეთი გათიშვა და დაყოფა არის რასიზმის, სექსიზმისა და ფაშიზმის აღმოცენების საფუძველი. ისინი (ასეთი სახის იდეები და მტკიცებანი) უარსაყოფია.

## ადამიანთა პიროვნებები

მაშინ რაღაა პიროვნება? რას აკეთებს ეს პიროვნება? აკეთებს თუ არა იმავეს, რასაც გუშინ აკეთებდა? ჩვენ ვამბობთ, რომ პიროვნება სხვა არაფერია, თუ არა ადამიანური ცხოველი, იმის მიუხედავად, იქნება იგი თეთრი თუ შავი, მამაკაცი თუ ქალი, ბავშვი თუ მოზრდილი? აქედან გამომდინარეობს, რომ პიროვნების იგივეობის პირობები იგივეა, რაც ადამიანური არსების იგივეობის პირობები.

მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, თითქოს ადამიანური ცხოველები არ წარმოადგენენ სრულიად განსაკუთრებულ ცხოველებს. ადამიანურ არსებებს შეუძლიათ შეიცნონ, იაზროვნონ და გაიხსენონ. პიტერ სტროსონი წერს: “პიროვნებანი არიან გარკვეული უნიკალური ტიპის ინდივიდები, ისეთები, რომ ამ ტიპის თითოეულ ინდივიდს აუცილებელია ან შეიძლება მიეწეროს როგორც ცნობიერების მდგომარეობა, ისევე სხეულებრივი მახასიათებლებიც”. როგორც ჩანს, ეს დაახლოებით სწორია. თუმცა უნდა დავძინოთ, რომ მძინარე და საერთოდ უგონო პიროვნება მაინც პიროვნებაა. სტროსონის განსაზღვრებაში მოხსენიებული ცნობიერების მდგომარეობა არ

არსებობს ყოველთვის აქტუალური ფორმით. იგი შეიძლება იყოს როგორც აქტუალური, ისე პოტენციალური. ეს განსაზღვრება პოტენციულობის შესახებ სრულ უფლებას გვაძლევს ვამტკიცოთ (ტულისა და სხვების საპირისპიროდ), რომ ჩვილი ბავშვები, ისევე როგორც მოზრდილები, პიროვნებები არიან. საზოგადოება აგრეთვე აღიარებს ცნობიერების პოტენციულობის მნიშვნელობას (როცა ლაპარაკობს სამართლებრივ სისტემაში) ჩვილ ბავშვებზე როგორც პიროვნებებზე.

მაგრამ აქედან არ უნდა გავაკეთოთ ნაჩქარევი დასკვნა, თითქოს ადამიანური არსებანი წარმოადგენენ ერთადერთ განსაკუთრებულ ცხოველებს სამყაროში. სადღაც უკიდევანო კოსმიურ სივრცეში შეიძლება არსებობდნენ ადამიანური ცხოველები, რომლებსაც ჩვენ მსგავსად ახასიათებთ აზროვნება, მეხსიერება და ცნობიერების რთული მდგომარეობანი. მაგრამ თუ ასეთი არსებანი არსებობენ, მაშინ ისინიც იმავე აზრით როგორც ადამიანური არსებანი იქნებიან პიროვნებანი.

დაბოლოს, არ ინდა ვიჩქაროთ დასკვნების გამოტანა, რომ არ შეიძლება არსებობდნენ წმინდა გონითი არსებანი, ღმერთები, ანგელოზები და ა. შ. ლოგიკურად მათი არსებობაც შესაძლებელია. ყოველ შემთხვევაში მტკიცედ ვიცით, რომ ჩვენ ვართ ადამიანური არსებანი და არაწმინდა გონითი არსებანი. ზუსტად ვიცით, რომ ვართ ადამიანური არსებანი და, რომ ამ პლანეტაზე პიროვნება არის მხოლოდ ადამიანური ცხოველი.

## ნების თავისუფლების პრობლემა

ნების თავისუფლების პრობლემა მიზეზისა და მოქმედების პრობლემასთან არის დაკავშირებული, იგი აგრეთვე რელიგიის ფილოსოფიისა და მორალის ფილოსოფიის პრობლემების განხილვის საგანია.

ზოგადი განმარტებით, ნების თავისუფლება არჩევანის თავისუფლებას ნიშნავს. ნების თავისუფლების უარყოფა – დეტერმინიზმი – თეორიაა, რომლის მიხედვით, არც ერთ ინდივიდს თავისუფალი მოქმედება და მასზე კონტროლი არ შეუძლია.

დეტერმინისტთა აზრით, ადამიანების ყველა მოქმედება მათ მიერ არაკონტროლირებადი ფაქტორებით წინასწარ არის განსაზღვრული. ადამიანის საქციელი განპირობებულია არა თავისუფალი არჩევანით, არამედ გენეტიკური კოდით, ინსტინქტებით, ადრინდელი ბავშვობის პერიოდის განცდებით ან სოციალური სფეროს გარკვეული ფაქტორებით. მიზეზობრიობის რკინის კანონი ისეთ დეტერმინირებულობას – წინასწარგანსაზღვრულობას გულისხმობს, რომ ამ აზრით ყოველივე მთლიანად დაპროგრამებულია და მასში რაიმე ცვლილებების შეტანა ყოვლისშემძლე ღმერთსაც არ ძალუძს.

ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენ ვგრძნობთ, რომ შეგვიძლია რაღაც ან ვიღაც ავირჩიოთ. მეორე მხრივ, ვრწმუნდებით, რომ ბუნებაში ბატონობს მიზეზობრიობის კანონი, აგრეთვე იმაში, რომ ჩვენ თვითონ ბუნების ნაწილი ვართ.

ნების თავისუფლების პრობლემა მჭიდროდ უკავშირდება მორალური პასუხისმგებლობის საკითხებს, ამიტომ იგი თითქმის ყველა ადამიანის წინაშე დგება. მაგალითად, გვეკითხებიან: “შეუძლიათ თუ არა დამნაშავეებს არ გააკეთონ ის, რასაც ისინი აკეთებენ?” ხომ გვეჩვენება, რომ ნამდვილი ზნეობრიობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ თავისუფლად ვმოქმედებთ, ხოლო თუ არა ვართ თავისუფლები, მაშინ არც ვალდებულნი ვართ პასუხი ვაგოთ ჩადენილი მოქმედებისათვის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენს მიმართ უადგილოა დასჯაც და ქებაც. ზოგიერთი ფილოსოფოსი ნების

თავისუფლების აღიარებას იმიტომ მოითხოვს, რომ, მათი მტკიცებით, მისი უარყოფა ზნეობრიობის თვალსაზრისით მანვე შედეგებამდე მიგვიყვანს.

## მიზეზი და შემთხვევითობა

დაუშვათ, ადამიანთა ქმედებანი მიზეზობრიობის კანონის გამონაკლისს წარმოადგენენ. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ისინი შემთხვევით ხორციელდებიან, რადგან მიზეზის არარსებობა უსათუოდ შემთხვევითობაა. ასეთ პირობებში არის თუ არა ადამიანი, რომლის ქმედებანი შემთხვევითია, უფრო თავისუფალი, ვიდრე ადამიანი, რომლის საქციელი განპირობებულია? როგორც ჩანს, არა.

ადამიანის ნების თავისუფლების დასაცავად არ არის საკმარისი დეტერმინიზმის უბრალოდ უარყოფა, რამდენადაც ნების თავისუფლება არ არის მიზეზობრიობის არარსებობა, არ არის შემთხვევითობა. ჩვენ წინაშეა დილემა, რომელიც უნდა გადავწყვიტოთ. იგი შემდეგში მდგომარეობს:

თუ ადამიანის მოქმედება უმიზეზოა, შემთხვევის შედეგია, მაშინ ინდივიდი არ არის თავისუფალი. ადამიანი, რომლის მოქმედებას განსაზღვრავს შემთხვევა, თავისუფალი კი არაა, შეშლილია. ნებისმიერი მოქმედება, რომელიც არჩევანის შედეგია, არ არის შემთხვევითი. თუ *მე გადავწყვიტე*, რომ წავიდე პარიზში, მაშინ არ შეუძლიათ თქვან, რომ იქ შემთხვევით აღმოვჩნდი.

მეორე მხრივ, თუ ყველა ადამიანური ქმედება მიზეზობრივად განპირობებულია, ინდივიდი ამ შემთხვევაშიც არ არის თავისუფალი, რადგან თუ ადამიანის ყველა მოქმედება მიზეზობრივად განპირობებულია, მაშინ ასევე განპირობებულია მისი არჩევანიც. არჩევანი თავს ვერ დააღწევს მიზეზობრიობის ბატონობას. ხშირ შემთხვევაში არჩევანი ინსტინქტით ან სოციალური გარემოთია განსაზღვრული. მაშასადამე, ყველა შემთხვევაში ნების თავისუფლება არ არსებობს.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ჩვენს მსჯელობაში შეცდომა გაგვეპარა, რამდენადაც ორმა ურთიერთდაპირისპირებულმა თეზისმა ერთი და იგივე დასკვნამდე – ნების თავისუფლების არარსებობამდე მიგვიყვანა .

## შეთავსებადია თუ არა ნების თავისუფლება და დეტერმინიზმი?

ამ დილემის გადაწყვეტას დევიდ ჰიუმი შეეცადა, როცა განიზრახა დაემტკიცებინა, რომ ნების თავისუფლება და მიზეზობრიობა ერთმანეთს არ უპირის-

პირდება. ნების თავისუფლება, ჰუმანის მტკიცებით, შეთავსებადია მიზეზობრიობასთან, მეტიც, დამოკიდებულია მიზეზობრიობაზე. თავისუფალი არჩევანი შეგვიძლია გავაკეთოთ მხოლოდ იმ სამყაროში, სადაც მიზეზობრიობა ბატონობს. სხვაგვარად არ გვეცოდინებოდა, თუ რა მოხდებოდა მას შემდეგ, რაც გავაკეთებ ჩვენი არჩევანი, და მაშინ ჩვენი არჩევანი უაზრო იქნებოდა. არჩევანი როგორც ასეთი თავისთავად არის მიზეზი: სამყაროში უმიზეზოდ არჩევანს არავითარი შედეგი არ ექნებოდა.

მაგალითისათვის განვიხილოთ ხელის მხრის ძვლის მოძრაობა მხრის მყესში. თუ რევმატიზმით არა ხართ დაავადებული, მაშინ ხელს თავისუფლად მოძრაობა შეუძლია.

დავუშვათ, ვინმე ჩივის, “თავისუფლად ვერ ვმოძრაობ, რადგან შეზღუდული მაქვს მხრის მყესის მოძრაობაო”. შეიძლება თუ არა ამ შენიშვნის მიღება გონივრულად? არა, რადგან იგი ვარაუდობს, რომ ხელის მოძრაობა მთლიანად თავისუფალი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მოსცილდება მხარის მყესს. მაგრამ, მეორე მხრივ, ხელს, რომელიც მყესის გარეშე თავისუფლად ჰკიდია, საერთოდ არ ექნება მოძრაობის უნარი.

შეიძლება თუ არა ამ შემთხვევაში იმის თქმა, რომ ნების თავისუფლება შესაძლებელია მიზეზობრიობის საშუალებით? ჩვენ შეგვეძლო დაეთანხმებოდით, რომ არჩევანი შესაძლებელია მიზეზობრიობის საშუალებით, მაგრამ რადგან დავიწყებთ საუბარი მიზეზობრიობაზე, უნდა ვთქვათ, რომ თვითონ არჩევანი არის მიზეზი. ამით ჩვენ გადავწყვიტეთ არჩევანის საქმე, მაგრამ არა ნების თავისუფლების საკითხი.

ეს პრობლემა დღის წესრიგში ნაწილობრივ იმიტომ დგება, რომ ტერმინები “ნების თავისუფლება”, “თავისუფლება” და “დეტერმინიზმი” შეიძლება სხვადასხვა აზრით იქნეს გაგებული.

## სურვილი და არჩევანი

როგორც ჩანს, ნების თავისუფლებას შემთხვევითობასთან არავითარი კავშირი არა აქვს. მაშინ, შეიძლება, ნების თავისუფლება მხოლოდ იმას ნიშნავდეს, რომ ადამიანს აქვს უნარი დაიკმაყოფილოს ჭამის, სიგარეტის მოწვევის, შურისძიების და სხვა მოთხოვნებიანი? ასეთი თავისუფლება ესადაგება დეტერმინიზმს. განმარტების მიზნით მივუთითებთ მაგალითზე: თქვენ გინდათ პური; შეგიძლიათ გამოხვიდეთ სახლიდან და იყიდოთ პური, რასაც აკეთებთ კიდევ. ამ ახსნის თანახმად, მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ პური იმიტომ მოგინდათ, რომ მოგშივდათ, გრძნობთ არაჩვეულებრივ წყურვილს,

გალიზიანებული ხარტ საზიანო მიდრეკილებებით, ან ცუდი სოციალური გარემოთი.

თუ აღნიშნული ნების თავისუფლების დასაბუთება მიღებული იქნება, უნდა ვცნოთ ისიც, რომ ნარკომანის მოქმედება მივიჩნიოთ თავისუფალ ქცევად, როცა იგი მისთვის საყვარელი ნარკოტიკით სარგებლობს.

ასეთი შეპასუხების უარყოფის მცდელობის მიზნით ზოგიერთმა ფილოსოფოსმა სხვა სახის სურვილის თეორია წამოაყენა. ნების თავისუფლება უნდა გავიგოთ იმ აზრით, რომ ადამიანი სურვილის შესაბამისად მოქმედებს თავისუფლად მხოლოდ მაშინ, თუ *სურს ჰქონდეს ისეთი სურვილები*, რომლებიც ფაქტიურად აქვს. მაშასადამე, ნარკომანები აუცილებლად არ მოქმედებენ თავისუფლად, თუ სურთ ნარკოტიკი და იღებენ მას, რამდენადაც შესაძლოა მათ არ *სურთ სურდეთ* ნარკოტიკი. ისინი განსხვავდებიან სხვა ადამიანებისაგან, რომლებსაც სურთ რაღაც არამაგნე, მაგალითად პური. ისინი არ არიან თავისუფლები.

მაგრამ განა ჩვეულებრივ ადამიანებს მართლაც აქვთ სურვილი სურდეთ პური? ეს მეტად არაბუნებრივად გაისმის.

შემდეგ ძნელი არ არის წარმოვიდგინოთ ნარკომანი, რომელსაც სურდეს ნარკოტიკი, რადგან იგი მიჩვეულია და ამის მიდრეკილება აქვს. ეს შესაძლებელია, ყოველ შემთხვევაში ლოგიკურად. ასეთ დროს ჩვენ, რომლებსაც არ გვაქვს ნარკოტიკებისადმი მიდრეკილება, იძულებული ვართ სავსებით დავეთანხმოთ თვით ნარკომანების მტკიცებას. ამასთანავე შესაძლებელია, თვით ნარკომანებიც კი, რომლებსაც სურთ ნარკოტიკები, მოქმედებენ არათავისუფლად. მათ ხომ შეუძლებელია მისწრაფება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ აღარ შეუძლიათ თავი შეიკავონ ნარკოტიკების მიღებისაგან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამას მოინდომებენ.

ეს მაგალითი ცხადყოფს, რომ ნების თავისუფლება რაღაც უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ უნარი – დაიკმაყოფილო სურვილები, თუნდაც მეორე რიგის სურვილები.

## პოზიტიური და ნეგატიური დეტერმინიზმი

დეტერმინიზმი შეიძლება განვიხილოთ, ერთი მხრივ, როგორც პოზიტიური და ნეგატიური, მეორე მხრივ, როგორც მკაცრი და არამკაცრი.

ნების თავისუფლების ყველაზე ჯიუტმა დამცველებმაც უნდა ცნონ, რომ ბევრ შემთხვევაში ჩვენი არჩევანი და მოქმედება დეტერმინირებულია სიტყვის უბრალო, ანუ ნეგატიური, აზრით. მაგალითად, თეორიულად შესაძლო

არჩევანი შეიძლება უარყოფითად იყოს დეტერმინირებული, ესე იგი გამორიცხული, იმ ფაქტით, რომ ჩვენ თევზები კი არა ვართ, არამედ ადამიანური არსებანი. ის, რომ ჩვენ არა ვართ თევზები, ბუნებრივად გვზღუდავს. მაგალითად იმით, რომ ჩვენ არა გვაქვს ლაყუნები, ამიტომ არ შეგვიძლია წყალქვეშა ცხოვრების არჩევა, თუ სპეციალური აპარატით არ აღვიჭურვებით. მაგრამ უარყოფითი დეტერმინიზაცია, როგორც წესი, არ აღიქმება როგორც თავისუფლების შეზღუდვა ან შემცირება. ის ფაქტი, რომ თქვენ არ შეგიძლიათ მთვარეზე გადახტომა, იმას არ ნიშნავს, რომ არა გაქვთ არჩევანის თავისუფლება. თქვენ არ შეგიძლიათ შეუძლებელის არჩევა, ამიტომ არჩევანის საკითხი (თავისუფლების ან არათავისუფლების) არ წარმოიშობა.

ადამიანური არსებანი დეტერმინირებულნი არიან ასევე პოზიტიურადაც, თუმცა ხშირად ძალიან ზოგადი ფორმით. ჩვენ ვმოქმედებთ ადამიანურად უბრალოდ იმიტომ, რომ ადამიანურ არსებებს წარმოვადგენთ. ეს ადამიანური ჩარჩოები მრავალმხრივ მოქმედებებს უშვებს.

ჰიუმი მიუთითებდა ნებისმიერი ერისა და ასაკის ყველა ადამიანის მოქმედებათა ერთგვარობაზე, აგრეთვე იმაზე, რომ ადამიანური ბუნება ერთი და იგივე რჩება მისი ყველა პრინციპის გატარებასა და მოქმედებაში. თუ უფრო თანამედროვე ენაზე ვიტყვი, ერთნაირი მოქმედებანი წარმოიქმნებიან ერთნაირი მიზეზებით, და ადამიანები ერთნაირი სახის ზოგადი ბიოლოგიური პროგრამით არიან დეტერმინირებულნი.

ზოგადსაკაცობრიო ბიოლოგიური პროგრამის არსებობა მთლიანად შეთავსებადია მოქმედების თავისუფლებასთან მრავალმხრივი საშუალებებით. უბრალო დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ზოგადი ბიოლოგიური პროგრამა ხელს არ უშლის ადამიანებს სხვადასხვაგვარად განავითარონ ან შეზღუდონ თავიანთი უნარი და მიდრეკილებანი. ამიტომ სამყაროში არიან და იყვნენ სხვადასხვა ადამიანები – სტალინი და ფლორენს ნაიტინჯილი, ივანე მრისხანე და ფრანცისკ ასიზელი.

## მკაცრი და არამკაცრი დეტერმინიზმი

ზოგადად რომ ვთქვათ, მკაცრი დეტერმინიზმი ორგვარი სახესხვაობით – რელიგიურითა და მეცნიერულით – არის წარმოდგენილი.

მკაცრი კალვინიზმი გვასწავლის, რომ ღვთაებრივი ყოვლისმცოდნეობა შეუთავსებადია ადამიანის ნების თავისუფლებასთან, ვინაიდან თუ ღმერთმა ყველაფერი იცის, მან უნდა იცოდეს ყოველგვარი ადამიანური ქცევის შესახებ, წარსულსა და მომავალზე. აქედან კალვინისტები ასკენიან, რომ ადამიანური

ქმედებანი დადგენილია წინასწარ, მათი შეცვლა არ შეიძლება. ღმერთმა იცის, რომელი ქცევა არის კარგი და რომელი ცუდი, მან წინასწარ იცის, რომელ ადამიანს ელოდება სამოთხე და რომელს – ჯოჯოხეთი.

თუმცა ქრისტიანობის სხვა კონფესიების მიმდევრები ასაბუთებენ, რომ, როგორც წმინდა წერილი ადასტურებს, ღმერთმა ადამიანს მისცა ნების თავისუფლება და კიდევ მეტი, რაღაც – ღვთაების მისადაგებული. წინააღმდეგ შემთხვევაში სამოთხისა და ჯოჯოხეთის არსებობას აზრი არ ექნებოდა.

მეცნიერული დეტერმინიზმის კლასიკურ წარმომადგენელს მათემატიკოს პიერ სიმონ ლაპლასს (1749-1827) სწამდა, რომ ფიზიკურ სამყაროში მექანიკის კანონების საშუალებით ყველაფრის ახსნა შეიძლება.

დეტერმინისტულ მეცნიერებაში მტკიცე რწმენამ ჩვენს საუკუნემდე გაძლო, იცოცხლა, იმის მიუხედავად, რომ დღეს მათემატიკისა და მექანიკისადმი სასოება აღარ აღინიშნება. ჩვენს დღეებში დეტერმინიზმის ზოგიერთი მომხრე დარწმუნებულია, რომ ადამიანური მოქმედებები მომდევნო ცხოვრებაში გენეტიკური კოდით არის წინასწარგანსაზღვრული, ის ემბრიონშია ჩადებული და დაპროგრამებული.

მეორენი თვლიან, რომ ჩვენი მოქმედება და ხასიათი განპირობებულია ბავშვობის დროს მომხდარი მოვლენების ზეგავლენით. საერთოდ წინასწარგანსაზღვრულია არა მხოლოდ ჩვენი ნევროზები, არამედ ამ ნევროზების დაძლევის უნარებიც. ზოგიერთი მოაზროვნე აერთებს ამ ორ თვალსაზრისს. ასე მაგალითად, ამერიკელი ფსიქოლოგი ბ. ფ. სკინერი ამტკიცებს, რომ ყოველგვარი ადამიანური მოქმედება ან გენეტიკური პროგრამის, ან განმეორებადი (განმტკიცებული) განცდების შედეგია. როგორც ბევრი დეტერმინისტი, ასევე სკინერი ამტკიცებს, რომ ნების თავისუფლების ცნება არ არის დაფუძნებული გონებაზე, იგი უბრალოდ პრიმიტიული გადმონაშთია.

ნების თავისუფლების თანამედროვე დამცველები უარყოფენ კალენისტური წინასწარგანსაზღვრულობის ფორმის რელიგიურ დეტერმინიზმს, რადგანაც არიან ან აგნოსტიკოსები, ან მორწმუნეები, რომლებიც კალენიზმის პრინციპებს არ იზიარებენ.

ვინ უნდა წარმოადგინოს მტკიცება მეცნიერული დეტერმინიზმის სასარგებლოდ? თვითონ დეტერმინისტებმა ხომ არა? არ იქნება სწორი, თუ სკინერის შეხედულებების გარკვევის შემდეგ მოწინააღმდეგე მხარეს ცრურწმენაში დავდებთ ბრალს. დასაბუთება მკაცრი დეტერმინიზმის მომხრეებმა უნდა წარმოადგინონ. მათ უნდა ცხადყონ, თუ როგორ არის ყველა სახის ქცევა მკაცრად დეტერმინირებული, და ნამდვილად ასეა თუ არა ეს. მეცნიერების ღირებულებაზე ზოგადი მითითება ამ შემთხვევაში საკმარისი არ არის. უბრაველეს ყოვლისა ჩვენს ასწლეულში მეცნიერულმა ახსნამ სერიოზული



ცვლილებები განიცადა. დეტერმინიზმი, რომელიც ეფუძნება ძველ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მეთოდოლოგიას, ისეთებს, როგორიცაა ასტრონომია, დღეს უფრო არადადამაჯერებელია, ვიდრე ლაპლასის დროს. თანამედროვეობის არა ყველა მეცნიერს სწამს, რომ მეცნიერება ხსნის იმ კანონების მარადიულობას, რომლებიც სამყაროში საგნების აუცილებელ წესრიგს მკაცრად განსაზღვრავენ. ისინი კი, ვისაც სურთ გაუგონ ადამიანებს, ახსნისათვის უფრო ბიოლოგიას მიმართავენ, ვიდრე ფიზიკას, მექანიკას ან ქიმიას. და ხშირად აღნიშნავენ იმას, რომ ჩვენ მოგვიხდება დავკმაყოფილდეთ დასაბუთებებით, რომლებიც ბიოლოგიურ მეცნიერებათა მონაცემებს და ურთიერთმოქმედ სისტემებს დაეყრდნობიან, ვიდრე მექანიკის კანონებს, რადგან ეს უკანასკნელნი ვერ ახსნიან ადამიანურ მოქმედებას, რამდენადაც ასეთი კანონები არც არსებობს.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ თვითონ მიზეზობრიობა არ არის ძალიან მკაცრი. არა ყველაფერი მიზეზობრივად განპირობებული არის მკაცრად დეტერმინირებული. ბევრ შემთხვევაში მიზეზობრივ კავშირს ალბათური, განუსაზღვრელი ხასიათი აქვს. ამიტომ არ უნდა დაეუშვათ, რომ არა მკაცრად დეტერმინირებული ნიშნაეს შემთხვევითს. და, პირიქით, არ უნდა ვთქვათ, რომ თუ მოვლენა არ არის შემთხვევითი, მაშინ იგი მთლიანად დეტერმინირებულია.

## განმარტბანი

თავისუფალი ნებისა და დეტერმინიზმის თეორიებს იყენებენ ადამიანთა ქცევების ახსნისათვის. ამიტომ იმის გადასაწყვეტად, თუ რომელი მათგანია სწორი, შევადაროთ ისინი ერთმანეთს და ვნახოთ, რომელი ცნება – თავისუფალი ნება თუ დეტერმინიზმი – ეთანხმება უკეთ ჩვენი გამოცდილების ფაქტებს.

ადამიანები თავისუფლები რომ არ იყვნენ, მაშინ ისინი არ იქნებოდნენ პასუხისმგებელი თავიანთ საქციელზე. მაგრამ არავინ რომ არ იყოს თავის ქცევებზე პასუხისმგებელი, მაშინ სამყაროში ემოციებს – ისეთებს, როგორიცაა მადლიერება ან შურისძიების წყურვილი – ადგილი არ ექნებოდა. სისულელეა შურისძიების გრძნობით ანთო იმ არსებათა მიმართ, რომლებსაც არჩევანის შესაძლებლობის უნარი არა აქვთ, ვთქვათ, ბაქტერიების მიმართ. უფრო მეტიც, არავითარი აზრი არ ექნებოდა მიტვებას. თუ ადამიანური არსება, რომელიც გადაწყვეტს მომაცუნოს ზიანი, იძულებული იქნება თავისი არჩევანი განახორციელოს მისგან არაკონტროლირებადი ფაქტორების გავლენით, თუ

იგი მხოლოდ ინსტრუმენტია მკაცრად დეტერმინირებული სამყაროსი, მაშინ შენდობა შემძლეა თუ არა? ასეთ შემთხვევაში მე შევინდობ მიზიდულობის ძალას, რომელიც ჩემი დაცემის მიზეზი იყო.

ჩვენს ადამიანურ რეაქციებს – ადამიანურ შურისძიებას, მაღლიერებას, მოწყალებას, შექებას, ბრალდებას და ა. შ. – მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს აზრი, თუ ჩვენ თვითონ და სხვა ადამიანები პასუხისმგებელნი ვიქნებით ჩვენი მოქმედებისათვის (თუ არა ყველაფრისათვის, ყოველ შემთხვევაში ბევრი რამისათვის). (შეიძლება, ნაწილობრივ ეს ჰქონდა კანტის მხედველობაში, როდესაც თავისუფლების იდეას ახასიათებდა როგორც გონების იდეას. იხ. ნაწილი II).

ვარაუდი, რომ ჩვენი მოქმედებანი მთლიანად დეტერმინირებულნი არიან, ჩვენს ინტუიციას ეწინააღმდეგება. ჩვეულებრივ ცხოვრებაში ჩვენ ვქმნით ახსნითი ხასიათის რთულ სისტემას, რომელიც ითავსებს ისეთ წარმოდგენებს, როგორიცაა შურისძიება, მაღლიერება, მოწყალება, შექება, დანაშაული, სიძულვილი და ა. შ. რომ აღარაფერი ვთქვათ თვით არჩევანის იდეაზე. ეს იდეები მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ადამიანური ქცევის ახსნაში და თანმიმდევრული დეტერმინირებული იდეის გამო მათზე უარის თქმა არ შეგვიძლია.

განვიხილოთ მაგალითი. ფილოსოფოსი მერი მიჯლი მოგვითხრობდა (ტელევიზიის საშუალებით) დენის ნილსენის დღიურების შესახებ. მან არაერთი მკვლელობა ჩაიდინა. ნილსენის ემოციურად ღარიბი ბავშვობა მთლიანად ემთხვეოდა ფსიქოლოგების წარმოდგენებს ადამიანის წარსული ცხოვრების ხასიათის გავლენის შესახებ, რომელსაც გარკვეულ დანაშაულამდე მივყავართ. მაგრამ ნილსენის დღიურების ანალიზის საფუძველზე მერი მიჯლი მიდის იმ დასკვნამდე, რომ იგი არ თვლის თავის თავს შეზღუდულად თავისუფლების არჩევანში. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მას, მკვლელს, როგორც ჩვენ ყველას, ჰქონდა სინდისის თავისებური გაგება. დღიურიდან ირკვევა, რომ ის თავის თავში ხედავდა კარგს და ცუდს, ებრძოდა თავისთავს, როდესაც ფიქრობდა იმის შესახებ, ჩაედინა თუ არა დანაშაული. ცუდმა მხარემ საბოლოო ანგარიშით სძლია, მაგრამ არ იყო გამორიცხული ისიც, რომ კარგ მხარეს გადაეძლია.

მერი მიჯლის დასაშვებად მიაჩნია, რომ წარსული წინასწარ განაწყობს ადამიანებს დაჰყენენ მათში არსებული ბოროტი საწყისის ზემოქმედებას, მაგრამ იმასაც ხაზს უსვამს, რომ, თუ ფაქტებს ვერწმუნებით, ავისმქმნელები არ არიან ავტომატები, ნების თავისუფლებას მოკლებულნი. ნილსენი არ გრძნობს თავის თავს ავტომატად, არ თვლიდა, რომ მას არ ჰქონდა არჩევანის

უფლება. მას სწამდა, რომ სწორი იყო, როდესაც ერთგვარი მერყეობის შემდეგ თავისუფლად მიიღო გადაწყვეტილება, – ჩაედინა მკვლელობა.

შეიძლება ვიფიქროთ, თითქოს მერი მიჯლიმ იპოვნა მკვლელის დღიურებში ის, რასაც ეძებდა. ადამიანური საქმიანობის მისი ახსნა ფსიქოლოგიურად სიმართლის მსგავსია. მაგრამ ეს არ შეიძლება ითქვას იმ ახსნაზე, რომელსაც მკაცრი დეტერმინიზმის პრინციპი გვთავაზობს. ყველა ჩვენთაგანი განიცდიდა სინდისის ქენჯენას, რომლის შესახებ ამბობდა მიჯლი. ყველა ინდივიდი თვლის თავის თავს თავისუფლად მკაცრი დეტერმინიზმისაგან. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ადამიანი თავის ყველა უბედურებაში ადანაშაულებს ბედს, სულის სიღრმეში იგი დარწმუნებულია, რომ ხანდახან მაინც აქვს არჩევანის თავისუფლება. ჩვენი ყველა მსჯელობა და ყველაზე მეტად თვით ჩვენი ქცევა გვაჩვენებს, რომ არ შეგვიძლია არ ვირწმუნოთ თავისუფალი მოქმედების ჩვენი უნარი. ადამიანის მკვლელ ნილსენს აგრეთვე სწამდა, რომ იგი თავისუფალია არჩევანში, იმის მიუხედავად, რომ მძიმე ბავშვობა მის მოქმედებაზე გავლენას ახდენდა.

აზრი არადეტერმინირებული არჩევანის შესაძლებლობის შესახებ არ არის მთლიანად არაწინააღმდეგობრივი. იგი წინააღმდეგობრივია, თუ მის ინტერპრეტაციას მოვასწავებთ არა ჩვენი არჩევანის შემთხვევითი ხასიათის აზრით, არამედ თუ იგი ისეთი მთლიანი და მკაცრი დეტერმინირებული ფაქტორებით არის განპირობებული, რომლებიც ჩვენს კონტროლს არ ექვემდებარებიან, ჩვენ თვითონ ვართ ჩვენი არჩევანის მიზეზი – ჩვენი არჩევანი მიზეზობრივად თვით ჩვენს მიერ არის განპირობებული.

ნების თავისუფლება იმაში ვლინდება, რომ ჩვენ სინამდვილეში ვირჩევთ მოქმედების ჭეშმარიტად ალტერნატიულ ვარიანტებს შორის. მოქმედების ალტერნატიული ვარიანტები რეალური უნდა იყოს. მაგალითად, ჩვენ არ შეგვიძლია მივიღოთ თავისუფალი გადაწყვეტილება ლაყურების მეშვეობით სუნთქვის შესახებ, თუ არა გვაქვს ლაყურები. რეალური ალტერნატივა, ყოველ შემთხვევაში მინიმალური, შესაძლებელია ადამიანური არსებებისათვის. აქაც უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანური არსებები გასაოცრად გამომგონებლები არიან.

რა ხდის არჩევანს რეალურად? ნამდვილი არჩევანი მიზეზობრივად განპირობებულია ადამიანის მიერ, რომელიც მას ასრულებს. ადამიანები უსულო კი არა, არამედ ცოცხალი, ენერგიული და აქტიური არსებანი არიან. ამით განისაზღვრება მათი უნარი – იყვნენ საკუთარი მოქმედების მიზეზები. იგულისხმება, რომ რეალური არჩევანი უნდა იქნას მიღებული უფრო ზოგადი მიზეზობრიობის ჩარჩოებში, სხვაგვარად იგი უაზრო იქნება.

რეალური არჩევანი აგრეთვე გულისხმობს, რომ პიროვნებას გაცნობიერებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა საკუთარი არჩევანისათვის.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ნების თავისუფლების ჩვენს მიერ მოცემული ახსნა დამაკმაყოფილებელია. ნების თავისუფლების ჩვენი გაგება არ გულისხმობს იმას, რომ სამყაროს შემთხვევითობა განაგებს, მაგრამ არც იმის შესაძლებლობას ვარაუდობს, რომ ჩვენი არჩევანი ყოველთვის გარეშე გარემოებებით არის ნაკარნახევი. ჩვენ ვიკვლავთ თავისუფლების მესამე გზას და ვამტკიცებთ, რომ როდესაც რთულ აქტიურ არსებებს (ადამიანებს) აქვთ რეალური ალტერნატივები, ისინი ირჩევენ და მოქმედებენ ისე, როგორც იმ მოქმედებათა გამომწვევი მიზეზები, რომლებსაც ისინი ახორციელებენ. სახელდობრ ამ ფაქტიდან, რთული დინამიზმისა და აქტივობის უბრალო ფაქტიდან, წარმომშობი მიზეზების ფაქტიდან გამომდინარეობს პასუხისმგებლობის იდეები დამსახურებულ დანაშაულებათა და შექებათა, მადლობებისა და შურისძიების წყურვილისა და მიტევებისა – იდეებისა, რომლებიც აუცილებელია ადამიანთა ქცევის ახსნისათვის.

## ბოროტების არსებობა

ბოროტების არსებობის პრობლემა წარმოიშობა უმთავრესად მონოთეისტურ საღვთისმეტყველო ტრადიციებში, რომლებიც ღმერთს ახასიათებენ როგორც ყოვლისმოსიყვარულეს და ყოვლადძლიერს. სხვა რელიგიების ღმერთები არ გამოირჩევიან არც განსაკუთრებული ძლიერებით, არც განსაკუთრებული კეთილი ნებით. ხოლო ზოგიერთი რელიგია ქადაგებს ღმერთების ბუნების შეუცნობადობას, ამიტომ, მათი თეორეტიკოსების მსჯელობის თანახმად, ისინი ეთაყვანებიან იდუმალ ღმერთებს.

ქრისტიანობის, იუდაიზმის და ისლამისაგან განსხვავებით, პოლითეიზმს შეუძლია ბოროტების არსებობა ახსნას არაყოვლისშემძლე და არაკეთილმოსურნე ღმერთებს შორის წინააღმდეგობებით.

დევიდ ჰიუმი ბოროტების პრობლემას შემდეგნაირად განმარტავს:

“თუ ბოროტება სამყაროში უთანხმდება ღმერთის ჩანაფიქრს, მაშინ ღმერთი არაკეთილმოსურნეა. თუ ბოროტება სამყაროში ეწინააღმდეგება მის ჩანაფიქრს, მაშინ იგი არაყოვლისშემძლეა. მაგრამ ბოროტება ან უთანხმდება მის ჩანაფიქრს, ან ეწინააღმდეგება მას, მაშასადამე, ღმერთი ან არაკეთილმოსურნეა, ან არაყოვლისშემძლე”.

შესაძლებელია ბოროტების პრობლემის მესამე გადაწყვეტაც – მტკიცება, რომ ღმერთი არ არსებობს. ჰიუმი ამ ვარაუდს პირდაპირ ამკარად არსად არ გამოთქვამს, მაგრამ მის თხზულებებში გადაკერით აღინიშნება, რომ ბოროტება ღმერთის არარსებობის დამადასტურებელია.

## ბოროტების რეალობა

ბოროტების პრობლემის ერთ-ერთი შესაძლო გადაწყვეტა ბოროტების რეალობის უარყოფაზე დაიყვანება, მაგრამ იგი არ არის დამაჯერებელი.

მისი სისუსტე ნათლად გამოჩნდება, როგორც კი განვსაზღვრავთ, თუ რა იგულისხმება ბოროტებაში.

საერთოდ განასხვავებენ ბოროტებას, რომელსაც ადამიანები სჩადიან, და ბოროტებას, რომელიც ადამიანებს არ ექვემდებარება. ადამიანთა ქცევები, მიმართული სხვა ადამიანებისადმი და სისასტიკით გამორჩეული (მაგალითად, წამება), მორალური ბოროტებაა. ისეთი მოვლენები, როგორიცაა შიმშილი, ავადმყოფობა, მიწისძვრები მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში, ბუნებრივი ბოროტების მაგალითებად ითვლება.

განა შეიძლება ითქვას, რომ სისასტიკე, წამება, შიმშილი და ავადმყოფობა სინამდვილეში არ არსებობს? ტანჯვა, მიყენებული ადამიანური სისასტიკით და ბუნებრივი კატასტროფებით, ნამდვილად რეალურია.

ზოგიერთი თეოლოგი ამტკიცებს, რომ ბოროტება სუბიექტური ცნებაა. შეიძლება, ისეთი ტერმინები, როგორიცაა “ცუდი” და “ბოროტი”, მხოლოდ დაწინებებს გამოხატავენ. შეიძლება მტკიცება “წამება არის ბოროტება” მხოლოდ ნიშნავს “მე პირადად წამების წინააღმდეგი ვარ”. მაგრამ არის განსხვავება “მომწონს” და “არ მომწონს” შორის, ერთი მხრივ, და სიკეთესა და ბოროტებას შორის, მეორე მხრივ. ადამიანთა ერთ ჯგუფს მოსწონს ერთი, ადამიანთა სხვა ჯგუფს – მეორე. ზოგს უყვარს ჩაი რძით, ზოგს – ჩაი რომით. როდესაც ვეხებით ბოროტს და ბოროტებას, სრულიად განსხვავებულ კონცეპტუალურ სფეროში შევდივართ. საერთოდ რომ ვთქვათ, ჩვენ ნამდვილად არ გვიყვარს ის, რასაც ბოროტებად ვთვლით, მაგრამ არა იმ ტრივიალური აზრით, რომ შეიძლება გეზიზღებოდეთ მარწყვი. გარდა ამისა, ადამიანებს ყოველთვის როდი არ მოსწონთ ის, რაც მათ ბოროტებად მიაჩნიათ, ზოგს სწორედ ის იზიდავს, რასაც ბოროტებად თვლის. ზოგიერთის “არ მომწონს” არ არის იმის დამტკიცების მთავარი მოტივი, რომ იგი ბოროტებაა. აღნიშნულ მსჯელობათა სისწორეს სხვა, უფრო ფუნდამენტალური მოსაზრებანი დაამტკიცებენ. ადამიანები ბოროტებას უწოდებენ ავადმყოფობას, შიმშილს, არაპროვოცირებულ მკვლევლობას მთელ რიგ სერიოზულ მიზეზთა გამო. მათ შეუძლიათ თქვან, მაგალითად, რომ ასეთი სახის ქცევები არღვევენ მსოფლიო წონასწორობის იდეას და სამყაროს კეთილისმსურველი შემქმნელის თვალსაზრისით სასურველი არ იქნებოდნენ. და არა იმიტომ, რომ ვინმეს არ მოსწონს მკვლელობის შემდეგ სისხლის მოწმენდის პერსპექტივა.

## არის თუ არა ბოროტება სიკეთის არარსებობა?

ზოგიერთი ფილოსოფოსის აზრით, ბოროტება არის არა რაღაც პოზიტიურად არსებული, არამედ სიკეთის არარსებობა. მაგალითად, მაიმონიდი წერს: “სიკედელი ადამიანისათვის არის ბოროტება, მაგრამ იგი ემთხვევა არამუნყოფიერებას. ასევე დაავადება, სიდუხჭირე და უმეცრება ადამიანისათვის არის ბოროტება. მაგრამ ისინი ემთხვევიან განსაზღვრულ თვისებათა არარსებობას”. მაიმონიდი აგრძელებს ამ განმარტებას და ამბობს: “არ შეიძლება იმის თქმა, რომ ღმერთი ქმნის ბოროტებას”. ეს უბრალოდ არ მოიაზრება... ღმერთი მხოლოდ არსებულს ქმნის, ყოველივე არსებული კი არის სიკეთე. ყოველგვარი სახის ბოროტება არის შემოქმედის უარყოფა”.

ჩვენ შეგვეძლო დაეთანხმებოდით, რომ ისეთი სახის ბოროტება, როგორც არის სიბრძავე, მხოლოდ მხედველობის არარსებობაა. მაგრამ ყოველგვარი სახის არარსებობა არ არის ბოროტება. ბანალური იქნება სიმელოტეს ვუწოდოთ ბოროტება, რამდენადაც იგი თმების არარსებობას ნიშნავს. მეორე მხრივ, მალარიით გათანგული ადამიანები უბრალოდ ჯანმრთელობის ან სხვა რაიმეს არარსებობას კი არ განიცდიან, არამედ მალარიის მიზეზი სისხლში გარკვეული მიკრობების სიჭარბეა.

ბოროტების როგორც სიკეთის არარსებობის თეორიის კიდევ ერთი არგუმენტი მიმართულია ბოროტების როგორც მიზეზობრივი ძალის გაგების წინააღმდეგ. შეიძლება იმის მტკიცება, რომ რაიმეს არარსებობა არ შეიძლება იყოს რაიმეს მიზეზი. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ჩვენი გამოცდილი გონება უარყოფს ბოროტი სულების არსებობას, ამის მიუხედავად, დარწმუნებული ვართ იმაშიც, რომ ზოგიერთი ადამიანის (მაგალითად, ჰიტლერის და სტალინის) დანაშაულებრივ ქმედებას საშინელი ბოროტება მოჰყვა. ამ ბოროტებამ კი თავის მხრივ სხვა ბოროტება გამოიწვია. რამდენადაც ორივე ეს ადამიანი და მათ მიერ გამოწვეული სიტუაციები იყო მიზეზები (ბოროტებისა და შემდგომი ბოროტებისა), იგულისხმება, რომ არც ეს ადამიანები, არც მათი მანკიერებანი, არც მათ მანკიერებათა შედეგები არ შეიძლება იყოს მხოლოდ რაიმეს უარყოფა ან არარსებობა.

მაგრამ არ შეიძლება აბსოლუტურად თავისთავად ცხადად ჩაითვალოს ის, რომ არარსებობა არ შეიძლება იყოს რაიმეს მიზეზი. არარსებობა რომ ნამდვილად იყოს მიზეზი, ბოროტების როგორც სიკეთის არარსებობის თეორიის მტკიცე დამცველებს შეუძლიათ იოლად დაამტკიცონ, რომ ბოროტება მესამე რაიხისა და მასში მმართველი ინდივიდებისა სხვა არაფერი იქნებოდა სიკეთისა და სათნოების არარსებობის გარდა. შეიძლება თავისთავად ეს დაუჯერებელია, მაგრამ ეს უკვე სხვა საკითხია.

საბოლოო ანგარიშით, ბოროტების როგორც სიკეთის არარსებობის თეორია ბოროტების პრობლემას ვერ წყვეტს. აღნიშნული თეორია მხოლოდ აუბრალოებს რთულ ფენომენს. ბოროტება რომ სიკეთის უბრალო არარსებობა იყოს, საკითხავია: რატომ აქვს ადგილი სიკეთის საშინელ არარსებობას? რატომ უშვებს ღმერთი სიკეთის საშინელ არარსებობას, თუ იგი ყოვლადკეთილი და ყოვლისშემძლეა?

## კეთილმოსურნეობა და ძლევამოსილება

განსხვავდება თუ არა ღმერთის კეთილმოსურნეობა ადამიანის კეთილმოსურნეობისაგან? შეიძლება თუ არა მივუყენოთ მას შეფასების ადამიანური კრიტერიუმები?

შევთანხმდეთ იმაში, რომ ღმერთისეული კეთილმოსურნეობა და ადამიანური კეთილმოსურნეობა სხვადასხვაა. წყვეტს თუ არა ეს ბოროტების პრობლემას? ეს შესაძლო გადაწყვეტა სვამს საკითხს: იმსახურებს თუ არა თაყვანისცემას ღმერთი, რომელიც არ არის კეთილმოსურნე ამ სიტყვის ჩვეულებრივი აზრით? კეთილმოსურნეობის ჩვეულებრივი გაგება არ უშვებს, რომ კეთილმოსურნე ღმერთმა ჩვენს სამყაროში არსებული საშინელი ტკივილი და ბოროტება გამოიწვიოს ან მოითმინოს. რომელიმე ადამიანმა რომ მოახდინოს ბავშვთა იზოლაცია და მათი შიმშილით სიკვდილამდე მიყვანა, მას სამუდამოდ ჩავეკეტავდით ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, მაგრამ ყოვლისშემძლე ღმერთი დღენიადგ ბავშვთა სიკვდილს უშვებს და ითმენს.

საკითხი დაისმის აგრეთვე იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა პრობლემის ეს გადაწყვეტა დაბადების წიგნს, სადაც ნათქვამია (1:26), რომ ღმერთმა ადამიანი შექმნა თავისი სახის მსგავსად. თეოლოგები (და ჩვეულებრივი მორწმუნეების უმრავლესობა) თვლიან, რომ ღმერთსა და ადამიანს შორის არა ხორციელი, არამედ სულიერი მსგავსება – ცნობიერების მსგავსებაა.

ხომ არ გამომდინარეობს აქედან, რომ ჩვენ უარვეყოფთ დაბადების წიგნის საყოველთაოდ მიღებულ განმარტებას? დევიდ ჰიუმს მიაჩნია, რომ აზრი ღმერთისა და ადამიანური არსებების მსგავსების შესახებ სრულიად მცდარია:

“შესაძლოა თუ არა, ... რომ ... შენ უხეშად დაიცვა შენი ანთროპომორფიზმი და ამტკიცო, რომ ღმერთისეული მორალური ატრიბუტები, მისი სამართლიანობა, მისი კეთილმოსურნეობა, მისი შემწყნარებლობა, მისი სიმართლე იგივე ბუნებისაა, როგორც ადამიანური მოქმედების შესატყვისი სათნოებანი? ჩვენ ვუშვებთ, რომ ღმერთის ყოვლადსიძლიერე უსაზღვროა: ყველაფერი, რაც მას სურს, სრულდება; მაგრამ არც ადამიანი, არც სხვა



ცხოველები არ არიან ბედნიერები, მაშასადამე, მას არ უნდა მათი ბედნიერება”.

საინტერესოა ბოროტების შესახებ კ. ს. ლიუისის წიგნში “ტანჯვის პრობლემები” გამოთქმული მოსაზრება, რომლის თანახმად ღმერთის ყოვლისშემძლეობასა, კეთილმოსურნეობასა და ბოროტების არსებობას შორის კონფლიქტი უნდა გადაწყდეს ღმერთისეული სიყვარულის განმარტებაზე უარის თქმით, რადგან ამ შემთხვევაში ყოველივე სიკეთის ცნებაზე არის დამოკიდებული:

“თქვენ მეკითხებოდით ღმერთის სიყვარულზე: თქვენ იგი გაქვთ მოაზრებული როგორც დაჩაჩანაკებული მოხუცი, მაშინ როდესაც ეს სიყვარული გულისხმობს ისეთი სიყვარულის ცეცხლს, რომელმაც შექმნა სამყარო, სიყვარულს ხელოვანისა თავისი შემოქმედებისადმი. ეჭვიანს, შეუქცევადს, მომთხოვნს, ისეთს, როგორცაა სიყვარული სხვადასხვა სქესის ადამიანებს შორის”.

ეს ძალიან რადიკალური პოზიციია. სრულიად შესაძლებელია, რომ სიყვარული არ არის სიკეთის ანალოგი, მაგრამ ლიუისის გამანადგურებელი ცეცხლი უფრო ნაკლებად ჰგავს ჩვეულებრივად გაგებულ სიყვარულს.

აქედან გამომდინარე უნდა გამოვიტანოთ თუ არა დასკვნა, რომ ღმერთი კეთილმოსურნეა, მაგრამ არა ყოვლისშემძლე? ირონიულად განწყობილი პიუმი ვარაუდობს, რომ ღმერთი, რომელმაც ჩვენი სამყარო შექმნა, დააუდებული იყო მოხუცებისათვის დამახასიათებელი გონებრივი სისუსტით. მისი აზრით, ისიც შესაძლებელია, რომ მისი შემქმნელი იყო ღვთაებრივი ჩვილი, რომელსაც თავისი ხელობა ახალი ათვისებული ჰქონდა.

## ლაიბნიცი და ვოლტერი

ლაიბნიცმა (1646-1716 ) პრობლემა თავდაყირა დააყენა. ის ამტკიცებდა, რომ რამდენადაც ღმერთი უნდა იყოს კეთილმოსურნე და ყოვლისშემძლე, ამდენად მის მიერ შექმნილი სამყარო ყველა სხვა სამყაროსთან შედარებით უნდა იყოს საუკეთესო. ამიტომ სამყარო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, უნდა იყოს “საუკეთესო ყველა შესაძლო სამყაროთა შორის”.

ვოლტერმა (1694-1778 ) მოთხრობაში “კანდიდი” დოქტორ პანგლოსის სახით ლაიბნიცი სატირული ფორმით წარმოადგინა. ამ ნაწარმოების გმირი კანდიდი, გაითავისა რა პანგლოსის, ანუ ლაიბნიცის, მოძღვრება, დაადგა ბედნიერების ძიების გზას, იგი განიცდის განუწყვეტელ სიღუფჭირეს, მაგრამ, როგორც წესი, ცდილობს პანგლოსის თეორიებში ჰპოვოს ნუგეში, რომლებიც

გმირის ყოველი ახალი უბედურების შემდეგ კიდევ უფრო სისულელედ წარმოჩინდება.

## სიკეთე, ბოროტება და ნების თავისუფლება

ბოროტების პრობლემის ყველაზე დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტა (ანუ შესაძლო, სავარაუდო გადაწყვეტა) ადამიანების ნების თავისუფლების ცნებაზეა დაფუძნებული.

ამ სავარაუდო გადაწყვეტის თანახმად, ბოროტება არის ადამიანის ნების თავისუფლების არსებობის შედეგი. მისი მომხრეები ამტკიცებენ, რომ სამყარო, დასახლებული ისეთი არსებებით, რომლებსაც ნების თავისუფლება აქვთ, უფრო მდიდარი, მრავალფეროვანი და გარკვეული აზრით იმ სამყაროზე უკეთესია, სადაც მხოლოდ კეთილი ავტომატები სახლობენ. ადამიანები იქნებოდნენ მუდამ კეთილნი, ღმერთს რომ თავისი კანონების შესაბამისად შეექმნა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ისინი იქნებოდნენ მანქანები, რომლებიც ავტომატურად გააკეთებდნენ სიკეთეს.

ალბათ, ადამიანის ნების თავისუფლების არსებობა მორალური ბოროტების ჩადენის შესაძლებლობას ხსნის და თავისუფლების ღირებულება ამართლებს ღმერთის გადაწყვეტილებას – შექმნა თავისუფალი არსებანი, რომლებსაც უნარი შესწევთ აირჩიონ როგორც სიკეთე, ასევე ბოროტება.

მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისე ჩანს, რომ ნების თავისუფლება უზრუნველყოფს მორალური ბოროტების ახსნას და გამართლებას, იგი მაინც ვერ ხსნის არსებული ბოროტების რაოდენობას. შეიძლებოდა თუ არა ჩვენ გვექონოდა ნაკლები ბოროტება და ამასთან ერთად დაერჩინილიყავით თავისუფლები? ინტუიცია გვკარანახობს, რომ ბოროტების რაოდენობა სამყაროში გაცილებით მეტია, ვიდრე ნების განხორციელების აუცილებლობა.

შემდეგ, პრობლემის სავარაუდო გადაწყვეტა არ იძლევა ბუნებრივი ბოროტების – წყალდიდობების, შიმშილის და ავადმყოფობის ახსნას. თუ ადამიანური არსებანი თავისუფალნი არიან, მაშინ იგულისხმება, რომ მათ უნარი უნდა შესწევდეთ სიკეთესთან ერთად აირჩიონ ბოროტება, მაგრამ საერთოდ ბუნებრივი ბოროტება – შიმშილი, ავადმყოფობა, წყალდიდობა, გვალვა, ქარიშხალი, მიწისძვრა – თავისთავად ცხადია, არ შეიძლება იყოს ადამიანის არჩევანის შედეგი.

ჰიუმი ასკვნის, რომ ღმერთის ბუნება ჩვენთვის უცნობია და არც შეიძლება არ იყოს უცნობი. მეტიც, ჩვენ არ შეგვიძლია ღმერთის ატრიბუტების ცოდნა,

არც ამ ატრიბუტებს შორის არსებული ურთიერთობანი, მაშასადამე, არა გვაქვს უფლება ვიმსჯელოთ ამ საკითხზე.

## ათეიზმი და ბოროტება

ნამდვილი ათეისტისათვის ბოროტების პრობლემა არ არსებობს. ისე მოხდა, რომ სამყაროში არის ბოროტება, და ამის მეტის თქმა საჭირო არ არის. მეორე მხრივ, ზოგიერთი ახლად გამომცხვარი ათეისტი თვლის, რომ სწორედ ბოროტების არსებობამ დააჯერა ისინი ათეიზმის სისწორეში.

მაგრამ ეგრეთ წოდებული ბოროტების პრობლემა არ არის ათეიზმის საიმედო საძირკველი. მართლაც, ზოგჯერ ეს პრობლემა ღმერთის არარსებობის დასაბუთების გადამწყვეტ არგუმენტად არის მიჩნეული. სინამდვილეში კი იგი არცერთი კონკრეტული თეზისის დასაბუთების საკმაო საფუძველს არ იძლევა.

ბოროტების პრობლემის ფორმულირება შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ.

სამი გამოთქმა –

ბოროტება არსებობს,  
ღმერთი ყოვლადსიყვარულია,  
ღმერთი ყოვლისშემძლეა –

ურთიერთწინააღმდეგობრივია: ჭეშმარიტი ამ სამიდან შეიძლება იყოს ორი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში სამივე.

პრობლემის შესაძლო გადაწყვეტის ვარიანტები ბევრია. თუ გამოცდილება გვაიძულებს უარყოფით პირველი გადაწყვეტა (იხ. ქვემოთ), მაშინ გვრჩება სხვა ალტერნატივები, და ათეიზმი (იხ. ქვემოთ, მეორე ვარიანტი) არის მათგან ერთ-ერთი. ამასთან ერთად სხვა ალტერნატივებიც შეიძლება არ აღმოჩნდეს პირველზე უკეთესი.

ძირითადი შესაძლო გადაწყვეტები შემდეგია:

1. ბოროტება არ არსებობს.
2. ღმერთი არ არსებობს.
3. ბოროტება არსებობს და ღმერთიც არსებობს: იგი ყოვლად სიყვარულია, მაგრამ არა ყოვლისშემძლე.

4. ბოროტება არსებობს, ღმერთიც არსებობს: იგი ყოვლისშემძლეა, მაგრამ არაყოვლადსიყვარულია.
5. ბოროტება არსებობს და ღმერთიც არსებობს: იგი არაყოვლისშემძლეა და არა ყოვლადსიყვარული.
6. ღმერთი არსებობს, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია შევიცნოთ ან გავიგოთ მისი ბუნება.
7. არაერთი პირობები: ჩვენთვის ცნობილი ღმერთის კეთილგანწყობილება და ყოვლისშემძლეობა, აგრეთვე ჩვენთვის ცნობილი ბოროტების არსებობა შეთავსებადია, მაგრამ ეს შეთავსებადობა არის საიდუმლოება, რომლის წვდომა ადამიანურ გონებას არ შეუძლია.

## ცოდნის პრობლემა

რა გვაქვს მხედველობაში, როდესაც ვამბობთ, რომ რაიმე ვიცით? როგორია ცოდნის დამოკიდებულება ჭეშმარიტობასა და მცდარობასთან, შეხედულებასთან (რწმენასთან) და თვალნათლივ სინამდვილესთან?

### *ცოდნა, ჭეშმარიტობა და მცდარობა*

შეიძლება იცოდეს რაიმე, რაც არ არის ჭეშმარიტი? მაგალითად საუკუნეების მანძილზე ადამიანები ფიქრობდნენ, რომ პლანეტების რიცხვი შეიძლება შეადგენდა, შემდგომ ეს შეხედულება შეიცვალა, როდესაც დამკვიდრდა აზრი იმის შესახებ, რომ მათი რიცხვი რვას გაუტოლდა. ამჟამად ეს რიცხვი ცხრაა. შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ ადამიანებმა, რომლებიც თვლიდნენ, თითქოს არსებობდა მხოლოდ შვიდი პლანეტა, სინამდვილეში იცოდნენ, რამდენი პლანეტა არსებობდა? უკეთეს შემთხვევაში ისინი მხოლოდ ფიქრობდნენ, რომ მათ იცოდნენ ეს. შეხედულება შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი, ცოდნა კი არ შეიძლება იყოს მცდარი. მცდარი შეხედულება არ არის ცოდნა.

აღნიშნული აზრი დაახლოებით ასი წლის წინათ იყო გამოთქმული. თანამედროვე თვალსაზრისითაც ცოდნა არ შეიძლება იყოს მცდარი, რადგან ამას გამოორიცხავს თვით ცნება “ცოდნის” განსაზღვრება. ორი თვალსაზრისი ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება, რამდენადაც სრულიად შესაძლებელია, რომ ცოდნა იყოს ჭეშმარიტი განსაზღვრებით და ამასთან ერთად აზრის შეუმცდარი მდგომარეობა.

### *ცოდნა, ჭეშმარიტობა და საფუძვლები*

ადამიანის ცოდნა გარკვეულად მენტალურ უნართან არის დაკავშირებული. ცოდნა არის ცნობიერების მდგომარეობა ანუ თავისებური მენტალური განწყობილება, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ:

შეხედულება (რწმენა) შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი, ცოდნა კი მხოლოდ ჭეშმარიტი.

ერთი ძველი თეორიის თანახმად, რომელიც პლატონიდან მომდინარეობს, ცოდნა იგივეა, რაც ჭეშმარიტი შეხედულება.

თუმცა პლატონი თვლიდა, რომ ეს თეორია მთლიანად დამაკმაყოფილებელი არ იყო, რადგან ხომ შეიძლება ჭეშმარიტ შეხედულებამდე მიხვიდე შემთხვევით. დიალოგში “მენონი” პლატონს შემდეგი მაგალითი მოჰყავს: დაფიქვით, რომ მიდისხართ ლარისაში, გზაჯვარედინზე ხვდებით უცნობს და ეკითხებით, რომელი გზა მიდის ლარისისაკენ – მარცხნივ თუ მარჯვნივ. ამ ინდივიდს წარმოდგენა არა აქვს, სინამდვილეში რომელ გზას შეუძლია ლარისამდე მიყვანა, მაგრამ, ცნობილი ირლანდიელის მსგავსად, სურს იყოს სასარგებლო. იგი დაბეჯითებით გამოთქვამს თავის მოსაზრებას: “წადით მარჯვნივ”. თქვენ ეთანხმებით მის რჩევას და მალე მართლაც მიხვალთ ლარისაში, რადგან ამ ადამიანის მიხედვით ამ შემთხვევაში სწორი გამოდგა. აქედან გამომდინარე:

1. მარჯვენა გზა ნამდვილად მიდის ლარისამდე, და

2. თქვენ გვეუბრებით, რომ ეს ასე იყო.

მაშასადამე, თქვენი რწმენა ჭეშმარიტი იყო.

თუმცა პლატონი თვლის, რომ ეს კონკრეტული ჭეშმარიტი შეხედულება არ არის ცოდნის მაგალითი. სინამდვილეში თქვენ არ იცოდით, როგორ მიგელწიათ ლარისამდე, და იქ მოხვდით სრულიად შემთხვევით. ამიტომ პლატონმა დაუმატა ცოდნის მახასიათებელს მესამე აუცილებელი ელემენტი. ცოდნა, ვარაუდობდა იგი, არის ჭეშმარიტი შეხედულება, რომელსაც აქვს შესაბამისი საფუძველი. თუ რომელიმე ადამიანმა X-მა იცის რაღაც (ფუნჯოლოთ მას P), მაშინ

1. P უნდა იყოს ჭეშმარიტი, და

2. X-ს უნდა სწამდეს, რომ P, და

3. X-ს უნდა ჰქონდეს საფუძვლიანი დასაყრდენი, რაც P-ს ჭეშმარიტებას უზრუნველყოფს.

ამ მაგალითში ლარისისაკენ მიმავალი გზის შესახებ საფუძველი იყო, მაგრამ იგი სუსტი იყო. თქვენ ენდეთ კეთილ, მაგრამ ქარაფშუტა უცნობს, რომელმაც თვითონაც არ იცოდა, სინამდვილეში რომელ გზას მიყავდით ნამდვილად ლარისამდე.

პლატონის მიერ ცოდნის სამსაფუძვლიანი ანალიზი საუკეთესოა ყველა დანარჩენს შორის. ამის მიუხედავად, იგი ბადებს მრავალ კრიტიკულ შენიშვნას, რადგან რთულ კითხვებს წარმოშობს.

## ვიცოდეთ “რა” და ვიცოდეთ “როგორ”

განვიხილოთ რამდენიმე საკითხი, რომლებსაც აქვთ დამოკიდებულება შეხედულებასთან (რწმენასთან).

ადამიანი მართლა უნდა იყოს დარწმუნებული რაიმეში, რომ იცოდეს იგი? განა თქვენ დარწმუნებული ხართ ყველაფერში, რაც იცით? თუ არ მივემხრობით ცოდნის შესახებ ვიწრო თვალსაზრისს, მაშინ ამ კითხვაზე უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ.

ნამდვილი ცოდნა გულისხმობს პრაქტიკულ ჩვევებს. პრაქტიკული ჩვევების მაგალითებია უნარი (იმის ცოდნა, როგორც საჭიროა) საკერავი მანქანის ხმარებისა, ველოსიპედით სარგებლობა. პრაქტიკული ცოდნა არის ცოდნა “როგორ”. ზოგიერთი პრაქტიკული ცოდნა ინსტინქტურია. მაგალითად, ბავშვმა იცის, როგორ იტიროს, თევზებმა – როგორ იცურონ. იცოდეთ “როგორ” ერთგვარი აზრით არის საკითხის არსის ბუნებრივი ცოდნა.

იცოდეთ “როგორ” განსხვავდება “რას” ცოდნისაგან. იცოდეთ “როგორ” ნიშნავს გქონდეს უნარი, ხოლო იცოდეთ “რა” ნიშნავს გქონდეს ინფორმაცია. თუ გაქვთ ინფორმაცია, მაშინ თქვენ ჩვეულებრივ გჯერათ ამ ინფორმაციის. ხოლო გქონდეთ ჩვევა არ ნიშნავს იმას, რომ დარწმუნებული ხართ ამ ჩვევაში, რადგან უაზრობაა გწამდეთ ჩვევა. შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ გაქვთ (ან არა გაქვთ) რაიმე სახის ჩვევა, მაგრამ არ შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ თვით ამ ჩვევაში.

თუ თვლით, რომ პრაქტიკული ჩვევები ცოდნას განეკუთვნება, ეს ნიშნავს, რომ არა ყოველგვარი ცოდნა შეიცავს რწმენას.

## არაცნობიერი ცოდნის სამი ტიპი

როგორც ჩანს, “რა”-ს ცოდნა შეიძლება იყოს ან არაცნობიერი, შეუმეცნებელი, ანუ ფარული. არ არის ნათელი, რომ არაცნობიერი, ანუ ფარული, ცოდნა უნდა შეიცავდეს რწმენას.

ჩვენ არ ჩაუღრმავდებით ფროიდის არაცნობიერი თეორიის დეტალებს, რადგან არის არაცნობიერი ცოდნის უფრო მარტივი მაგალითები.

1. ჩვეულებრივი ყოფითი ცოდნის სოლიდური ნაწილი გარკვეულ დრომდე სულის სიღრმეში რჩება. ჩვენ ხშირად არა გვაქვს განსაკუთრებული საბაზი ვიფიქროთ ზოგიერთ ისეთ საკითხზე, რომლებიც წლების განმავლობაში ვიცით. მაგრამ ადვილად შეგვიძლია მათი გახსენება, თუ საჭირო გახდა. როგორც ჩანს, ეს ჩვეულებრივი არაცნობიერი ცოდნა არ არის დაკავშირებული რაიმე შეგნებულ რწმენებთან, რამდენადაც სანამ ეს ცოდნა თვლემს,

თვლემს შესაბამისი რწმენაც. მაგრამ ეს რას ნიშნავს? თუ დავეთანხმებით არაცნობიერი ცოდნის იდეას, მაშინ, რასაკვირველია, შეგვიძლია მივიღოთ არაცნობიერი რწმენის იდეაც. ამიტომ მარტივი ფაქტი, რომ ზოგიერთი ცოდნა გვეჩვენება არაცნობიერად, არ არის იმ საკითხის აუცილებელი გადაწყვეტა, გულისხმობს თუ არა ცოდნა (“რა”-ს ცოდნა) რწმენას.

2. ახლა განვიხილოთ მეხსიერების დროებითი დაკარგვა, რომლისთვისაც თავის გართმევა არცთუ ისე იოლია. ამ შემთხვევაში არ არის არც შეგნებული ცოდნა, არც შეგნებული რწმენა. მაგრამ ძალიან ხშირად, როდესაც რაიმეს დავიწყება ხდება (მაგალითად, ნაცნობის სახელის), ადამიანი გრძნობს, რომ სინამდვილეში მან იცის დავიწყებული ფაქტი. ასეთი სიტუაციის დროს ამბობენ ხოლმე, სახელი “ენის წვერზე მადგაო”. ამ შემთხვევაში ადამიანი აბსოლუტურად დარწმუნებულია, რომ მეხსიერების დაკარგვა არ არის მუდმივი.

მაგრამ თუ მეხსიერების დაკარგვა საბოლოო ანგარიშით შეუქცევადად გადაიქცევა? რა ვუყოთ, თუ დავიწყებულ სახელს ველარასოდეს გაიხსენებთ?

გასაგებია, მეხსიერების დაკარგვის შეუქცევადობა სხვა არაფერია, თუ არა ცოდნის დაკარგვა. უიმედოდ დავიწყებული ფაქტი არის ფაქტი, რომელიც უკვე აღარ იციან. თუმცა ადამიანი შეიძლება გრძნობდეს, რომ რაღაც დროებით დაივიწყა, არ არის იმის არავითარი გარანტია, რომ თვით ეს გრძნობაც მცდარი არ იქნება. ამიტომ, როდესაც გრძნობთ, რომ რაღაც “გადგათ ენის წვერზე”, ეს იმის გარანტიას არ იძლევა, რომ გაიხსენებთ ამ ინფორმაციას. მაშასადამე, არ შეიძლება იცოდეთ დარწმუნებით, რომ მეხსიერების დროებითი დაკარგვა დროებითი მოვლენაა. აქედან გამომდინარეობს: არ შეგიძლიათ დანამდვილებით იცოდეთ, რომ მართლაც იცით დავიწყებული სახელი.

მაშასადამე, თუ ვილაპარაკებთ ამ სახეობის არაცნობიერ ცოდნაზე, თქვენ არ შეიძლება დანამდვილებით იცოდეთ, რომ ფლობთ მას, და მსჯელობა თქვენს ცოდნასა და არცოდნაზე შეიძლება მხოლოდ მომავალი მოვლენების საფუძველზე. მაგრამ შეიძლება სწორედ ასეთი უნდა იყოს არაცნობიერი ცოდნა. ნებისმიერ შემთხვევაში ეს არ ამტკიცებს, იმას, რომ რწმენა (არაცნობიერი) არის ან არ არის არაცნობიერი ცოდნის ნაწილი.

3. მაგრამ არის არაცნობიერი ცოდნის კიდევ ერთი სახეობა. ყველა ადამიანმა იცის ისეთი რამ, რომლის თაობაზე არასოდეს არ ჩაფიქრებულა. თუ თქვენ არასოდეს არ გიფიქრიათ რაიმე შესაძლებლობაზე, მაშინ, იგულისხმება, მის შესახებ არ შეგიძლიათ გქონდეთ რაიმე აზრი (რწმენა). ერთია არასოდეს არ ჩაფიქრდეთ რამეზე, სხვაა ჩაფიქრდეთ რამეზე, შემდეგ კი დაგავიწყდეთ.

ადამიანებმა იციან ბევრი ისეთი ტრივიალური რამ, რომელთა შესახებ



არასოდეს უფიქრიათ. მაგალითად, თქვენ იცით, რომ არ ხართ წარმოშობილი კუსა და მუხის ქორწინების შედეგად. ნუთუ გუშინ, როდესაც ჯერ არ წაგეკითხათ ეს სულელური წინადადება, იზიარებდით შეხედულებას: “მე არ წარმოვმოვიღეარ მუხისა და კუს ქორწინების შედეგად”? რასაკვირველია, არა. თქვენ წინასწარ იცოდით ეს, მაგრამ ამის შესახებ არ გქონდათ რწმენა. გქონდათ თუ არა თქვენ შესაბამისი არაცნობიერი რწმენა? ესეც საეჭვო ჩანს, იყო თუ არა იგი როდისმე შეცნობილი რწმენა? როგორ შეიძლება იყოთ რომელიმე აზრში დარწმუნებული, რომელიც არასოდეს არ მოგსვლიათ თავში?

არაცნობიერი ცოდნის ეს სახეობა ეხება ხშირად უარყოფითი ხასიათის ფაქტებს, რომლებიც სხვა ფაქტებს მოსდევენ და შეგნებული ცოდნის საგანს წარმოადგენენ. მოყვანილ მაგალითში ფაქტი, რომ თქვენ არა ხართ წარმოშობილი მუხისა და კუს ქორწინების შედეგად, გამომდინარეობს იმ რეალობიდან, რომ ადამიანური არსებანი წარმოიშებიან მხოლოდ ადამიანური გენეტიკური მასალიდან. თქვენ შეგნებულად იცით ეს ფაქტი და დარწმუნებული ხართ მის ჭეშმარიტებაში ადამიანურ არსებათა მთელი თაობის მაგალითზე. მაგრამ რადგანაც არასოდეს არ მოგსვლიათ აზრი კუსაგან თქვენი წარმოშობის შესახებ, ამიტომ არ შეიძლება საკითხის დასმა იმის შესახებ, გწამთ თუ არ გწამთ. შეგნებულად ან შეუგნებლად თქვენი წარმოშობა კუსაგან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თქვენ არა გაქვთ არავითარი აზრი ამის თაობაზე მანამდე, სანამ არ გიკარნახებენ ამ აზრს. მაშინ არაცნობიერი აზრი იმწამსვე გადაიქცევა შეცნობილად და ამავე დროს იძენთ შესაბამის რწმენას.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არა ყოველგვარი ცოდნა გულისხმობს რწმენას; პირველ ყოვლისა, მას არ გულისხმობს “როგორ”-ის ცოდნა, მეორე მხრივ, “რას” არაცნობიერი ცოდნის ერთი სახეობა არ გულისხმობს წინასწარ მსჯელობას საგნის შესახებ.

და მაინც ცოდნის თავდაპირველი სამსაფეხურიანი ანალიზი არ არის მთლიანად უარყოფილი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი არ შეესაბამება “როგორ”-ის ცოდნას და გაუცნობიერებელი ცოდნის ზოგიერთ სახეს, იგი შესანიშნავად ხსნის ჩვეულებრივ გაუცნობიერებელ “რა”-ს ცოდნას. მაგრამ ცოდნის ეს სამსაფეხურიანი განსაზღვრება სხვა, უფრო სერიოზული სიძნელეს წარმოშობს.

## საფუძვლების რეგრესი

ქველასზე სერიოზული სიძნელე, რომელიც ცოდნის სამსაფეხურიან განსაზღვრებასთან არის დაკავშირებული, თვალნათლივი მოწმობისა და საფუძვლის საკითხებს ეხება.

რა არის კარგი საფუძველი? რა არის კარგი თვალნათლივი მოწმობა? მაგალითად, რა იქნება იმის კარგი დასაბუთება, რომ ლარისისაკენ მიმავალი გზა ნამდვილად არის მარჯვნივ მიმავალი გზა? დაუშვათ, თქვენ გაქვთ რუკა და იგი გარეგნობს, რომ მარჯვნივ მიმავალ გზას ნამდვილად მიჰყავხართ ლარისისაკენ. საკმარისია თუ არა ეს? ნამდვილად არასაკმარისია. ხომ შეიძლება, რომ რუკები არაზუსტი იყოს? მაგალითად, მოძველებული, რომლებზედაც არ არის აღნიშნული ახალი გზები. ახლა განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც თქვენ უკვე იყავით ლარისაში და გახსოვთ, რომ იქ ნამდვილად ჩახვედით მარჯვნივ მიმავალი გზით. საკმარისია თუ არა ეს? რასაკვირველია, არა. შეიძლება ეს გზა ამჟამად დაკეტილი იყოს, ან იქნებ ახალი გზა გაიყვანეს, ან იქნებ თქვენ ვერ ასხვავებთ მარცხენას მარჯვენისაგან.

რას მეტყველებს ყოველივე ეს? ეს იმას მეტყველებს, რომ თქვენ უნდა იცოდეთ, რომ თქვენი რუკა ახალია და თანაც ზუსტი; იცოდეთ, რომ არ ჩატარებულა არავითარი ახალი საგზაო მშენებლობანი; იცოდეთ განსხვავება მარცხენასა და მარჯვენას შორის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმისათვის რომ იცოდეთ, რომელი გზა მიდის ლარისისკენ, უნდა იცოდეთ სხვა რამეც ad infinitum (გქონდეთ საკმაო ინფორმაცია).

ამრიგად,

1. X იცის, რომ გზა მარჯვნივ მიდის ლარისაში =

(ა) გზას მარჯვნივ ნამდვილად მიყუევართ ლარისაში +

(ბ) X სჯერა, რომ გზას მარჯვნივ მიყუევართ ლარისაში +

(გ) X აქვს კარგი საფუძველი, რომ ეს სჯეროდეს.

თავის მხრივ (გ), სახელდობრ, რომ X აქვს კარგი საფუძველი — სჯეროდეს, რომ გზას მარჯვნივ მიყუევართ ლარისაში, აღნიშნავს:

2. X იცის, რომ რუკა ზუსტია, და იცის განსხვავება მარჯვენასა და მარცხენას შორის და ა. შ.

რამდენადაც აქ საქმე ეხება ცოდნას, ეს გამოთქმა შეიძლება შემდეგნაირად გავაანალიზოთ.

(დ) სწორია, რომ რუკა ზუსტია (და ა. შ.), +

(ე) X სჯერა, რომ რუკა ზუსტია (და ა. შ.), +

(ვ) X აქვს კარგი საფუძველი, სჯეროდეს, რომ რუკა ზუსტია და ა. შ.

თავის მხრივ (ვ), ე. ი. რომ X აქვს კარგი საფუძველი — სჯეროდეს, რომ რუკა ზუსტია და ა. შ. ნიშნავს:

3. X იცის, რომ რუკა ახალია, და მამასადამე არ ჩატარებულა არავითარი საგზაო სამუშაოები.

რამდენადაც აქ იხსენიება ცოდნა, გავაანალიზოთ ეს გამოთქმა შემდეგნაირად:

(ზ) სწორია, რომ რუკა ახალია (და ა. შ.), +

(თ) X სჯერა, რომ რუკა ახალია (და ა. შ.), +

(ი) X კარგი საფუძველი აქვს სჯეროდეს, რომ რუკა ახალია და ა. შ.

თავის მხრივ (ი), ე. ი. X აქვს კარგი საფუძველი სჯეროდეს, რომ რუკა ახალია და ა. შ. ნიშნავს:

4. X იცის, რომ რუკაზე აღნიშნულია 1995 წელი, რაც შეიძლება გავანალიზოთ შემდეგნაირად.

(კ) სწორია, რომ რუკა აღნიშნულია 1995 წლით, და

(ლ) X სჯერა...

(მ) X აქვს კარგი საფუძველი...

და ა. შ. უსასრულობამდე.

მოკლედ რომ ვთქვათ, თუ ცოდნის სამსაფეხურიანი ანალიზი სწორია, მაშინ უნდა დავეთანხმოთ აზრს იმის თაობაზე, რომ უბრალო მოვლენის შესახებ ცოდნა უსაზღვროდ ბევრი საგნის შესახებ ცოდნას მოითხოვს. მაგრამ რადგანაც ადამიანის გონება სასრულია, ეს შეუძლებელია. მაშასადამე, ადამიანური არსებებისათვის ცოდნა შეუძლებელია.

ეს საწყენი დასკვნა ეწინააღმდეგება საღ აზრს. თუ სამყაროს საიდუმლოებაც კი რჩება გაუგებარი, ჩვენ, ადამიანურმა არსებებმა, ვიცით უფრო უბრალო რამ. მაგალითად, ვიცით, რა ვჭამეთ სადილზე, რომელი ქალაქია საფრანგეთის დედაქალაქი და ა. შ.

სკეპტიკოსები ამტკიცებენ, რომ ცოდნა შეუძლებელია. არასკეპტიკოსები ეძებენ შესაძლებელ პასუხებს.

აი რამდენიმე მათგანი.

## ცოდნა არის პრაქტიკული და არა თეორიული

პრაგმატიკოსი, ანუ საქმის ადამიანი, ამტკიცებს, რომ თუმცა საფუძვლების რეგრესი თეორიულად უსასრულოა, პრაქტიკაში იგბ ძალიან მალე აღწევს ბოლოს. უნდა ვაღიაროთ, რომ ადამიანის ცოდნა ბოლოვადია. მაშინ უნდა ვუპასუხოთ კითხვაზე: რა არის ადამიანის ბოლოვადი ცოდნა? პრაგმატიკოსი პასუხობს: ადამიანის ცოდნა არის ის, რაც პრაქტიკაში ხორციელდება. თუ ინფორმაციის მოპოვების ჩვენი მეთოდები პრაქტიკულად ქმედითია, მაშინ ისინი კარგია. რასაკვირველია, პრაქტიკულად ახალი რუკის მეშვეობით და პასუხისმგებელი ადამიანების გონივრული რჩევით ლარისამდე მისვლა ძალიან ადვილია.

## რეგრესი არ არის მავნე: ადამიანის გონება უსასრულოა

კიდევ ერთი შესაძლებელი გადაწყვეტა იწყება რიტორიკული კითხვით: ნუთუ ასე ცუდია უსასრულო რეგრესი? შეიძლება ცოდნის ანალიზი ნამდვილად არის უსასრულო რეგრესი, მაგრამ რაშია პრობლემა? რასაკვირველია, არავითარი ადამიანის ჭკუა არ არის უსასრულო, მაგრამ ადამიანთა მოდემის კრებითი გონებრივი ძალა უსასრულოა. ადამიანთა მოდემა ეცნობა სულ ახალ და ახალ საგნებს. ცოდნა არ არის ინდივიდის სტატისტიკური მდგომარეობა, იგი არის აღმოჩენების პროცესი, რომელშიც მონაწილეობს ადამიანთა მთელი მოდემა. ეს პროცესი შეიძლება მუდმივად გაგრძელდეს – იგი მხოლოდ ადამიანთა მოდემის არსებობის ხანგრძლივობით განისაზღვრება.

ამ გადაწყვეტის ნაკლი ის არის, რომ შესაძლებლად მიაჩნია ადამიანთა მოდემამ მიიღოს (წარსულის, აწმყოს და მომავლის) ნამდვილი ცოდნა, ინდივიდისათვის კი ასეთ შესაძლებლობას უარყოფს. მაგრამ სალი აზრი გვეუბნება, რომ ინდივიდები სინამდვილეში ფართო ცოდნას ფლობენ.

## რეგრესი არ არის უსასრულო, მაგრამ წრეში ტრიალებს

ამ თეზისის გადაწყვეტის თანახმად, საფუძვლების რეგრესი არ არის უსასრულო, იგი შემოწერს ღიდ წრეს და ბოლოს უბრუნდება საწყის პუნქტს. ა-ს ცოდნა ნიშნავს, რომ თავდაპირველად უნდა ვიცოდეთ ბ, ხოლო ბ-ს ცოდნა გულისხმობს იმას, რომ თავდაპირველად უნდა იცოდეთ გ და ა.შ. და ა.შ. მაგრამ ეს პროცესი არ არის უსასრულო, რადგან მივალთ თუ არა, მაგალითად, ჰ-ს ცოდნამდე, აღმოვაჩინებ, რომ ჰ-ს ცოდნა ნიშნავს ა-ს ცოდნას, და ყველაფერს თავიდან ვიწყებთ.

ამ თვალსაზრისის ნაკლი ის არის, რომ მანკიერი წრე ისევე ცუდია, როგორც უსასრულო რეგრესი. თუ ა-ს ცოდნა მოითხოვს ბ, გ, დ, .... ა.შ. ჰ-ს ცოდნას, ხოლო ჰ-ს ცოდნა მოითხოვს ა-ს, ბ-ს და ა.შ. ცოდნას, მაშინ რაში ვივებთ? დასკვნა ის არის, რომ ა-ს ცოდნა მოითხოვს სწორედ ა-ს ცოდნას – ეს თეზისი, საუკეთესო შემთხვევაში, არადამაჯერებელია.

## რეგრესი არ არის უსასრულო, არამედ სასრულია

პრობლემის ასეთი გადაწყვეტის თანახმად, საფუძვლების რეგრესი ყოველთვის მოითხოვს საფუძველს, რომელიც არ საჭიროებს საფუძველს. ასეთი საფუძველი იქნება ან თვალნათლივი აქსიომა, ან ისეთი სახის ინფორმაცია, რომლის უარყოფა არ შეიძლება, და რომელიც მიიღწევა გონების მიერ გრძნობების საშუალებით, მაგალითად, ტკივილის განცდა.

თვალსაზრისს, რომლის თანახმად ცოდნა, რომელსაც საფუძველი აქვს ცხად აბსოლუტურ ან შეფარდებით ჭეშმარიტებებში, ეპისტემოლოგიური ფუნდამენტალიზმი ეწოდება. ყველაზე გამოჩენილი ფუნდამენტალისტი არის რენე დეკარტი, რომლის მსჯელობის თანახმად ადამიანის ცოდნა დაფუძნებულია მსჯელობაზე “ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ”. სხვა ფუნდამენტალისტები აცხადებენ, რომ ცოდნა იწყება მათემატიკის ან ლოგიკის თავისთავად ცხადი აქსიომებით. მაგალითად, “ $1+1=2$ ” ან “საგანი არის ის, რაც არის, და მეტი არაფერი”. სხვები კი ამტკიცებენ, რომ ცოდნა უბრალო გრძნობადი ცდიდან იწყება.

ფუნდამენტალიზმის ერთ-ერთი ნაკლი ის არის, რომ მისი საწყისი დებულების სისწორე არავის დაუმტკიცებია, რომ ადამიანის ცოდნა მის ყველა დეტალში დაფუძნებულია თავისთავად ცხად საგნებსა და გრძნობად ცდაზე. ასე რომ ეს საგარაუდო გადაწყვეტები მხოლოდ ჰიპოთეზებია. ეს ჰიპოთეზები შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს, მაგალითად, თუ მათ შევავრთებთ პრაგმატიკოსის მიერ მოწოდებულ უსასრულო რეგრესის პრობლემის გადაწყვეტასთან.

## რამსეის გადაწყვეტა

ფრენკ რამსეის (1903-1930) აზრით, კარგი საფუძვლების არსებობა იმას ნიშნავს, რომ გარკვეული დასკვნისათვის შემოწმებულ წანამძღვრებს ემყარებოდით.

იგი კითხულობს: არის თუ არა შემოწმებული პროცესი მოგონება? ტელეპათია? ინტუიცია? და მიდის იმ დასკვნამდე, რომ ყველა ეს პროცესი შეიძლება ასეთებად ჩაითვალოს მაშინ, როცა დაცულია მიზეზშედეგობრივი პროცესის რიგი, რომელიც აკავშირებს მოგონებებს (გადაიცემა ტელეპატიურად, აღიქმება ინტუიციურად და ა.შ.) მოგონების ინფორმაციასთან (ინტუიციით, ტელეპატიური კომუნიკაციებით და ა.შ.).

მიზეზშედევობრივი კავშირის შესაბამისი რიგი, რომელიც აკავშირებს ადამიანის ცდას მის აზრებთან, იძლევა მოსაზრების ჭეშმარიტობის გარანტიას – მაშასადამე, ნამდვილ ცოდნას.

რამსეის თეორიის ნაკლი ის არის, რომ ცოდნა შეუძლებელი ხდება, რამდენადაც, სხვა ფორმით, მაგრამ უსაზღვრო რეგრესი რჩება. როგორც კი ჩვენ შევეცდებით იმის გადაწყვეტას, თუ რომელი პროცესია შემოწმებული, მაშინვე ცოდნის პრობლემა დგება დღის წესრიგში. როგორც ჩანს, ამის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი სახის გადაწყვეტას შემოწმებული პროცესის საფუძველზე ვიღებთ. ეს კი, როგორც ჩანს, ისევ და ისევ შემოწმებული პროცესების უსაზღვრო რეგრესთან მიგვიყვანს. იმისათვის, რომ გვქონდეს რეალური ცოდნა, აუცილებელია შემოწმებული პროცესის, ფენომენის არსებობა. ეს ნიშნავს იმის მოთხოვნას, რომ პროცედურის შემოწმება ამავე პროცესის შემოწმებით დასაბუთდეს.

თვითონ რამსეი თავის პატარა სტატიაში არ ამბობს, ხსნის თუ არა, მისი აზრით, მის მიერ შემოთავაზებული მიდგომა უსასრულო რეგრესის პრობლემას.

ცოდნის განსაზღვრება, რომელსაც ფილოსოფოსები გვთავაზობენ, ეხება თავისებურ იდეალურს, სტატიკურს, ცნობიერების უცვლელ მდგომარეობას ან საქმის ვითარებას. მაგრამ რეალური ცოდნა უფრო შედარებითია. რეალურ ცხოვრებაში შემეცნებულად ითვლება არა მარტო ის საგნები, რომლების ჭეშმარიტობა დამტკიცებული იყო ყოველგვარი ეჭვის გარეშე. მეცნიერებაში ცოდნად ხშირად იწოდება თანამედროვე თეორიები. მაგრამ საფუძვლიან პრინციპად ითვლება, რომ ძველი თეორიები სისტემატურად უთმობენ ადგილს ახალ თეორიებს. გამოთქმა: “ჩვენი ცოდნის დღევანდელი მდგომარეობა გულისხმობს, რომ ცოდნას როგორც ასეთს შეიძლება ჰქონდეს დროებითი ხასიათი”. თუ ცოდნის არსებული მდგომარეობა ხანმოკლე აღმოჩნდება, შეგვიძლია მივმართოთ მხსნელ ფრაზას: “ბოლოს და ბოლოს ჩვენ არ ვიცოდით”.

ცოდნად თვლიან აგრეთვე იმას, რაც პრაქტიკულად მუშაობს. ცოდნის შესახებ ეს პრაგმატული შეხედულება ცხოვრების ბევრ სფეროშია გავრცელებული. მაგრამ განსხვავება იმას შორის, რაც მუშაობს პრაქტიკაში, და რაც არ მუშაობს პრაქტიკაში, ეხება არა სახეობას, არამედ ხარისხს. ზოგიერთი იღეა მუშაობს სხვებზე უკეთ, მაგრამ შემდეგ ისინიც ადგილს უთმობენ ახალ იდეებს, რომლებიც უფრო უკეთ მუშაობენ. ხშირად ვამბობთ, რომ ვიცით, როდის გვაქვს იმის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ვეყრდნობით საუკეთესო ხელმისაწვდომ იდეებს. გონიერი ადამიანები არ აცხადებენ პრეტენზიას უცოდველობაზე, შეუცდომლობაზე. ისინი ამტკიცებენ, რომ იციან იმდენი, რამდენიც შეუძლიათ იცოდნენ.

ეთიკა:  
ღირებულებათა  
ფილოსოფია





## მორალი და ილუზია

ხშირად ამბობენ, რომ მორალი როგორც ასეთი უბრალოდ შეხედულების საკითხია. ხოლო სიკეთე, ისე როგორც სილამაზე, გემოვნების საქმეა.

საიდან მომდინარეობს ეს წარმოდგენა მორალის შესახებ? და რას აღნიშნავს იგი? ამ კითხვაზე პასუხისათვის სჯობს განვიხილოთ შესაბამისი ფილოსოფიური თეორიები. ამიტომ მივმართოთ მათს სათავეებს.

წარმოდგენა, თითქოს მორალი ეფუძნება მხოლოდ და მხოლოდ ადამიანთა შეხედულებებს, ძალიან ძველია და დასაბამს იღებს ყოველ შემთხვევაში პლატონის თხზულებებიდან. ასეთ შეხედულებას მორალზე იცავს ფრასიმახე პლატონის დიალოგში “სახელმწიფო”. ამიტომ, როცა მას აყალიბებენ თანამედროვე ფილოსოფოსები, კიდევ ერთხელ იგონებენ ველოსიპედს. ასეთი თვალსაზრისის პოპულარობა მორალის თაობაზე ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას იმით, რომ იგი ძველთაგან იყო ცნობილი. მაგრამ გამოდგება კი ეს ველოსიპედი?

## შოპენჰაუერი და ნიცშე

თუმცა წარმოდგენა მორალის როგორც თავისებური ილუზიის შესახებ ძველისძველია, ჩვენ ამ საკითხზე გამოვიყენეთ უმთავრესად XIX საუკუნის მოაზროვნეების, განსაკუთრებით შოპენჰაუერის (1788-1860) და ნიცშეს (1844-1900), თხზულებანი.

შოპენჰაუერი ამბობს, რომ მორალის აღმოჩენა კი არ ხდება, არამედ მას ქმნიან. მისი თაყვანისმცემელი ნიცშე მორალს უწოდებს გამონაგონს – მართალია, აუცილებელ გამონაგონს, ურომლისოდაც კაცობრიობა ვერ იცხოვრებდა. უნდა აღინიშნოს, რომ, ნიცშეს შეხედულებით, კაცობრიობას ესაჭიროება რამდენიმე აუცილებელი გამონაგონი, და მორალი მხოლოდ ერთ-ერთი მათგანია. სხვა გამონაგონები მეტაფიზიკური ხასიათისაა – ასეთებია, კერძოდ, იმის რწმენა, რომ მოვლენებს აქვთ მიზეზები, და რომ სამყარო მატერიალურია. ნიცშეს სკეპსისი ვრცელდება არა მარტო ეთიკაზე, არამედ

მეცნიერებაზე, პოლიტიკაზე, ფიზიკური სამყაროს არსებობაზე და თვით გონებაზეც კი.

ნიცმუს შემდეგ აღმოჩნდა კიდევ რამდენიმე მოხსენიებული ფილოსოფიური ველოსიპედის გამომგონებელი: XX საუკუნის პირველ ნახევარში უწინარეს ყოვლისა-ლოგიკური პოზიტივისტები, საუკუნის მეორე ნახევარში კი ფილოსოფიური ემპირიზმის მომხრე ჯ.ლ. მეკი.

## ემოტივიზმი

ლოგიკური ემოტივიზმის თვალსაზრისი კარგად გამოხატა ა.ჯ. აიერმა თავის განთქმულ წიგნში “ენა, ჭეშმარიტება და ლოგიკა”.

აიერი ამტკიცებს, რომ მორალის ფილოსოფიას არაფერი აქვს საერთო ქცევასთან. მორალის ფილოსოფია განიხილავს მხოლოდ და მხოლოდ სიტყვათა მნიშვნელობებს. შემდეგ იგი ასაბუთებს, რომ ისეთი სიტყვები, როგორცაა “კეთილი”, “სამართლიანი”, “არასწორი” და ა.შ. ისეთს არაფერს არ აღწერენ, რაც ხდება რეალურ სამყაროში, არამედ გამოხატავენ მხოლოდ ემოციებს. ამიტომ აიერის თეორიას უწოდებენ ეთიკის ემოტიურ თეორიას, ანუ ემოტივიზმს.

ემოტიური თეორიის თანახმად, ყველა წინადადება, რომლებიც შეიცავენ ისეთ ეთიკურ ტერმინებს, როგორცაა “კარგი” და “ცუდი”, გამოხატავენ მხოლოდ მოლაპარაკის ემოციურ მდგომარეობას. ისეთი ტიპის წინადადებები, როგორცაა “მე ვიწონებ ამასა და ამას”, ან “მე არ ვიწონებ ამასა და ამას”, რომლებიც შეიძლება მოგვეჩვენოს მოლაპარაკის განწყობილების ინფორმაციად, სინამდვილეში სხვა ფუნქციას ასრულებენ. ისინი გამოხატავენ განწყობილებებს ან ემოციებს, მაგრამ არაფითარ ინფორმაციას არ იძლევიან. ეთიკურ სიტყვებსა და წინადადებებს არა აქვთ მეტი მნიშვნელობა, ვიდრე შორისდებულებს, “ფუ”, “ემმაკმა წაილოს” და “ვაშა”. წინადადებები ასეთი ტიპისა: მშობლებზე ზრუნვა თქვენი მოვალეობაა, გამოხატავენ მხოლოდ მოლაპარაკის ემოციურ სურვილს – გირჩიოთ იზრუნოთ თქვენს მშობლებზე. ამის გამოთქმა შეიძლება აგრეთვე ასე: “ზრუნავთ მშობლებზე – ვაშა”.

ამიტომ ემოტივიზმს უწოდეს “ფუ-ვაშას” ეთიკური თეორია.

ეს თეორია, კერძოდ, ამტკიცებს, რომ ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობს არაფითარი საფუძველი უპირატესობა მივანიჭოთ “ფუს” ან “ვაშას”. მე შემიძლია ვთქვა “ფუ”, თქვენ კი – “ვაშა” და ორივე რეაქცია ყოველთვის ერთნაირად კარგია.

ლოგიკური პოზიტივისტების ამ თეზისის საწინააღმდეგოდ შეიძლება ითქვას შემდეგი: აიერი რომ მართალი იყოს, ეთიკის თაობაზე შეუძლებელი იქნებოდა წამოგვეყენებინა მორალური არგუმენტები, მაგრამ ადამიანები ყოველთვის გვთავაზობენ მორალურ არგუმენტებს. ისინი კამათობენ იმის შესახებ, თუ ვინ არის დამნაშავე, დაეობენ რასიზმისა და ანტირასიზმის ღირსება – ნაკლოვანებებზე. პირად გადაწყვეტილებებზე, პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, სექსუალურ ქცევებზე და ა.შ. ამ არგუმენტებსა და დისკუსიებს არაეითარი აზრი არ ექნებოდათ, ყველა მორალური მტკიცება “ფუსა” და “ვაშაზე” რომ დაიყვანონ. და მაინც მორალურ დავას და არგუმენტებს გარკვეული აზრი აქვთ.

უფრო ზოგადი საწინააღმდეგო მოსაზრებანი იმით გამოიხატება, რომ ემოტივიზმი უცხოა ადამიანის გამოცდილებისათვის, უბრალოდ შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ, მაგალითად, ჰიტლერის და სტალინის ქმედებანი არ შეიძლება ობიექტურად დახასიათდეს როგორც მანკიერი და ცუდი. ასევე, ადამიანურად თუ ვიტყვი, შეუძლებელია მივიჩნიოთ, რომ “ვაშა” ადექვატური რეაქციაა სიმკაცრის გამოვლინებაზე.

## ფარდობითობა და უცნაურობა

ახლა განვიხილოთ ჯ.ლ. მეკის თეორია. მან წამოაყენა ორი არგუმენტი, რომლებიც, მისი აზრით, ასაბუთებენ მორალის ილუზორულობას. პირველია არგუმენტი ფარდობითობის თაობაზე. მეკი დარწმუნებულია, რომ სხვადასხვა ქვეყნის, სხვადასხვა რელიგიისა და ისტორიული პერიოდების მორალურ ნორმებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებანი არსებობს. ეს მას აფიქრებინებს, რომ მორალური ნორმები გამოხატავენ მხოლოდ ცხოვრების სხვადასხვა წესს, და არც ერთი ცხოვრების წესი მორალური მხრივ არ სჯობს სხვა წესებს. ადამიანი მონოგამიას მისდევს არა იმიტომ, რომ მონოგამია მორალურად უკეთესად მიაჩნია, არამედ იმიტომ, რომ ცხოვრობს მონოგამიურ საზოგადოებაში. იგივე ითქმის პოლიგამიაზეც.

ამ თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ შეიძლება მოვიყვანოთ სამი მოსაზრება.

ჯერ ერთი, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ განსხვავებანი მორალის შესახებ შეხედულებებში არაფერს არ ამტკიცებს. ბოლოს და ბოლოს სხვადასხვა შეცნიერი სხვადასხვა თეორიას იზიარებს სამყაროს წარმოშობის ან შიღის მიზეზის შესახებ, მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს დასკვნა, თითქოს

მეცნიერული ჭეშმარიტებანი გემოვნების საქმეა, რომ მეცნიერება მთლიანად შეხედულებებზე დაიყვანება.

მეორეც, შეიძლება გვემტკიცებინა, რომ იმის ფიქრი, თითქოს ადამიანები მუდამ იღებენ იმ ქვეყნის ცხოვრების წესს, რომელშიც ცხოვრობენ, არასწორია. მონები მონათმფლობელურ საზოგადოებაში ყოველთვის როდი იღებენ ცხოვრების იმ წესს, რომელსაც მათ მათი მდგომარეობა კარნახობს. ქალები ყოველთვის უსიტყვოდ როდი იწონებენ პოლიგამიური ცხოვრების წესს, ან საერთოდ ქალების მდგომარეობას საზოგადოებაში. დიქტატურის პირობებში მცხოვრები მოქალაქენი თავიანთი მოქმედებებით ცხადყოფენ (როცა არ არსებობს ტოტალური დათრგუნვა), რომ დიქტატურა მიაჩნიათ მორალურ ბოროტებად ობიექტური აზრით და არა მხოლოდ “მათი შეხედულებით”. სასტიკი დიქტატურის პირობებში მცხოვრები ადამიანები ძალიან ხშირად მზად არიან თქვან არა მარტო “ფუ”.

მესამე და, შეიძლება ითქვას, ყველაზე კონსტრუქციული საწინააღმდეგო შენიშვნა ის არის, რომ განსხვავებანი მორალურ ნორმებს შორის არარსებითია, შეიძლება ითქვას, რომ ყველა მორალური ნორმა ემყარება ძალიან ზოგადი ხასიათის ერთნაირ პრინციპებს. სწორედ ეს პრინციპები გამოხატავენ ჭეშმარიტ ობიექტურ მორალს. განსხვავებული კლიმატი, განსხვავებული დამოკიდებულება შრომისადმი და ა.შ. წარმოშობს მორალური ნორმების თვალსაჩინო განსხვავებას, მაგრამ სიღრმისეულ დონეზე კაცობრიობა ერთნაირად მისდევს ჭეშმარიტად ობიექტური მორალური პრინციპების ერთობლიობას. სამწუხაროდ, ეს კონსტრუქციული მტკიცება შეიძლება დავასაბუთოთ ან უარვეყოთ მხოლოდ დიდძალი ანთროპოლოგიური და ისტორიული მონაცემების საფუძველზე. ვინაიდან დღეს ასეთი ინფორმაცია მიუწვდომელია, იძულებული ვართ შევეურიგდეთ ამ შეპასუხების დაუსაბუთებლობას. ის შეიძლება ჭეშმარიტიც იყოს და მცდარიც. მაგრამ მაშინაც კი, თუ ყველა ადამიანი ყველა დროში მართლაც მისდევდა ძირითადი მორალური პრინციპების მინიმუმს, აქედან არ გამომდინარეობს, რომ მორალი არ არის ილუზია. ზოგი ილუზია ძალიან ფართოდ არის გავრცელებული და საესებით შეიძლება მორალი ერთ-ერთი მათგანი იყოს. ეს ცხადყოფს, რომ მოწინააღმდეგე მხარეთა “გოლების რიცხვი” ვერ დაასაბუთებს მეკის თეზისის მცდარობას და, მაშასადამე, ვერც მის ჭეშმარიტებას. ამრიგად, მეკის მიერ შემოთავაზებული არგუმენტი ფარდობითობის შესახებ, აგრეთვე არგუმენტი მისი არგუმენტის წინააღმდეგ გამოუსადეგარია.

თავის მეორე არგუმენტს მორალის როგორც ილუზიის თეორიის დასაცავად მეკი უწოდებს არგუმენტს უცნაურობის შესახებ. იგი ამბობს:

ობიექტური მორალური ღირებულებანი ნამდვილად რომ არსებობდნენ, ისინი მეტად უცნაური არსებანი იქნებოდნენ, არ ემგვანებოდნენ სამყაროს დანარჩენ არსებებს. მაგალითად, სიკეთე არ ჰგავს სიწითლეს: იგი თვალით არ დაინახება. არ ჰგავს სწორ ზედაპირს: თითუბით არ მოისინჯება. არც სიმძიმეს ჰგავს: არ აიწონება. ამიტომ ის უცნაურია. ანდა, ამტკიცებს მეკი, იგი უფრო უცნაური იქნებოდა, ნამდვილად რომ არსებულიყო, ამიტომ არც არსებობს.

აქ ჩნდება პირველი კითხვა: საიდან ვიცით, რომ უცნაური არსებები არ არსებობენ? უცნაურობა, რასაც არ უნდა ნიშნავდეს იგი, აუცილებლად არ წარმოადგენს დაბრკოლებას არსებობისათვის.

შემდეგ, თუ სიკეთე მართლაც უცნაურია, საკითხავია, როგორი არსებანი და თვისებანია ნორმალური. მაგალითად, როგორ მოვახდინოთ ისეთ თვისებათა კლასიფიკაცია, როგორიცაა ძალა, აუცილებლობა, გენი, ელექტრონი, აინშტაინის სივრცულ-დროითი კონტინუუმი? არ შეიძლება არც ერთის უშუალოდ დანახვა, მოსმენა, გემოს გასინჯვა ან შეხება. არც ყველა მათგანი გაიზომება. განა ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა ისინი უცნაური და ამიტომ ილუზორული არიან? რა თქმა უნდა, არა. ჩვენ ამ არსებათა შესახებ სხვა გზით შევიტყობთ და არა ჩვეულებრივი მხედველობითა და შეხებით.

უცნაურობას როგორც ასეთს განსაზღვრავს დამკვირვებლის თვალსაზრისი. ვის შეუძლია განსაჯოს, როგორი არსებანი და თვისებებურებანია უცნაური და რომელი – ნორმალური? არაპროფესიონალს აინშტაინის სივრცულ-დროითი კონტინუუმი, უეჭველია, მეტად უცნაურად მოეჩვენება, მაგრამ განათლებულ ადამიანთა უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ აინშტაინმა იცოდა, რას ამბობდა. უცნაურობა უფრო სუბიექტური ცნებაა, ვიდრე ღირებულება, და ამიტომ ვერ იქნება მეკის თეორიის საიმედო საფუძველი.

მეკი კითხულობს: “თუ მორალური ღირებულებანი ილუზიებია, მაშინ რატომ სწამთ ისინი? საიდან ჩნდება ეს ილუზია?” და პასუხობს: “ჩვენ გვაქვს ეს ილუზია, ვინაიდან ღირებულების რწმენას იცავს და განამტკიცებს საზოგადოება”. საზოგადოება ვერ იარსებებს უდისციპლინოდ, ხოლო მორალის ილუზია ხელს უწყობს დისციპლინის დაცვას. დისციპლინა აუცილებელია ყველა ადამიანთა საზოგადოებაში და ამიტომ საყოველთაო იმის რწმენაც, რომ არსებობს სიკეთე, ბოროტება, სამართლიანობა და უსამართლობა.

მეკი ამბობს, რომ მორალი ძალიან წააგავს კანონმდებელს მოკლებულ სამართლებრივ სისტემას, და ეს იდეა მოგვაგონებს ნიცშეს ცნობილ მტკიცებას – “ღმერთი მოკვდა”. საბოლოო ანგარიშით მორალი არის დადებითი

სამართლის, ან რელიგიის, ან ერთის და მეორის ერთგვარი განშტოება. ობიექტური მორალის მომხრეები ამტკიცებენ, რომ ადამიანის ცხოვრებას აქვს მიზანი: ასე, მაგალითად, უტილიტარისტები (იხ. თავი 9) ამბობენ, რომ სიცოცხლის მიზანი საყოველთაო ბედნიერებაა და რომ კეთილი ადამიანი ცდილობს თავისი ქცევით მიაღწიოს რაც შეიძლება მეტი ადამიანის რაც შეიძლება მეტ ბედნიერებას. ხოლო ისინი, ვინც მორალს უკავშირებენ რელიგიას, ამბობენ, რომ ადამიანის სიცოცხლის მიზანია ღმერთთან ერთიანობის მიღწევა (ქრისტიანობა) ან სამოთხეში შესვლა (ისლამი).

მეკი დარწმუნებულია, რომ არავითარ მიზანს არ შეიძლება ჰქონდეს ობიექტური ღირებულება, რამდენადაც ყველა ღირებულება სუბიექტურია. რელიგიის თაობაზე იგი აღნიშნავს, რომ ღმერთი ან ღმერთები, რომლებთანაც ერთიანობას ესწრაფვიან მორწმუნეები, უკიდურესად განსხვავებულნი არიან და რომ მათ თავისებურებებს განსაზღვრავს საზოგადოება, რომელსაც მიეკუთვნებიან მორწმუნენი. აზრი ღირებულებების ობიექტურობაზე მცდარია. ღირებულება, როგორც თვით მორალი, ადამიანის გამოგონებაა.

მაგრამ ადამიანის გამოგონებები ხშირად საშუალებას გვაძლევს მივალწიოთ ობიექტურ ჭეშმარიტებას, კარტეზიანული გეომეტრია ადამიანის გამოგონებაა. იგი გამოიგონა რენე დეკარტმა; დიფერენციალური აღრიცხვა ადამიანის გამოგონებაა – მისი ავტორი იყო ისააკ ნიუტონი. ეს ადამიანური გამოგონებანი საშუალებას გვაძლევენ მივიღოთ ობიექტური (მათემატიკური) ჭეშმარიტებანი. და საერთოდ ყველა აბსტრაქტული იდეა ადამიანთა გამოგონებაა. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, აბსტრაქტული იდეები მხოლოდ ადამიანებისთვისაა ცნობილი.

ნიცშე ვარაუდობს, რომ მორალი აუცილებელი გამონაგონია. მეკიც აგრეთვე ფიქრობს, რომ ეს შეცდომა აუცილებელია. მაგრამ ძნელი გასაგებია, როგორ შეიძლება რაიმე აუცილებელი გამონაგონი და შეცდომა იყოს, თუ შეცდომად არ ჩავთვლით ყოველგვარ სასარგებლო აბსტრაქტულ იდეას.

ალბათ, შეიძლება ასე ვთქვათ: ღირებულებანი არ წარმოადგენენ ფიზიკურ ობიექტებს, მათ ვერც დავინახავთ, ვერც შევვხებით. მათი რეალობა არ შეიძლება ვირწმუნოთ უშუალოდ თვალის ან ყურის მეოხებით. რამდენადაც აზრი აქვს აბსტრაქტული იდეების რეალობაზე ლაპარაკს, მათი რეალობა დაკავშირებული უნდა იყოს არა იმასთან, რის აღქმაც შეიძლება ხუთი გრძნობის ორგანოს საშუალებით, არამედ ჩვენი ცხოვრების რალაც სხვა ფაქტორთან. შესაძლოა, აუცილებლობა არის აბსტრაქტული იდეის რეალობის შემოწმების საუკეთესო შესაძლებლობა.

## ეგოიზმი და ალტრუიზმი

წინა თავში განვიხილეთ ღირებულებათა რეალობის პრობლემა. ამ თავში შევეხებით ეთიკურ მოტივაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს – თავკერძობასა და უანგარობას.

დავიწყოთ ეგოიზმისა და ალტრუიზმის განსაზღვრებით. ეგოიზმი შეიძლება განვსაზღვროთ როგორც (1) სისტემატური თავკერძობა ან როგორც (2) ანგარებაზე დაფუძნებული მორალის თეორია.

ალტრუიზმი შეიძლება განვსაზღვროთ როგორც (1) სისტემატური უანგარობა, შეგნებული გადაწყვეტილება – იცხოვრო სხვების სიკეთისათვის ან როგორც (2) უანგარობაზე დაფუძნებული მორალის თეორია (თეორიული ეგოიზმის საპირისპიროდ).

თითოეული ეს განსაზღვრება ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი აღნიშნავს მოტივაციას (ანგარებას ან უანგარობას) და აზროვნების ხასიათს (მიდრეკილებას სისტემატურად ინელმძღვანელოს ანგარების ან უანგარობის მოტივებით). მეორე ნაწილი აღნიშნავს ფილოსოფიურ თეორიას, რომელიც მორალს აფუძნებს ანგარებას ან სხვა ადამიანების ინტერესებზე. ფილოსოფიისათვის საინტერესოა სწორედ თეორიები და არა პიროვნების თავისებურებანი.

არსებობს ეგოიზმის დაფუძნების ოთხი სახეობის ფილოსოფიური თეორია. ვუწოდოთ მათ ეგოიზმის თეორიები.

ეგოიზმის თეორიის პირველი სახეობა ემყარება ადამიანის ბუნების ემპირიულ აღწერას. ვუწოდოთ მას ცინიზმი.

ეგოიზმის თეორიის მეორე სახეობაა ტრივიალურ სიტყვიერი, მას საფუძვლად უდევს სიტყვების – “სურვილი”, “ნდომა” და “მოწონება” – ბუნდოვანი გაგება. ვუწოდოთ მას ვერბალური, ანუ ვერბალიზმი.

ეგოიზმის მესამე თეორიის თანახმად, გონივრულია მხოლოდ თავკერძობის მოტივები. ვუწოდოთ მას ეგოიზმის გონივრულობის თეორია.

ეგოიზმის მეოთხე თეორია ამტკიცებს, რომ კარგია იყო ანგარებიანი და ცუდია იყო უანგარო. უკეთესი ტერმინის უქონლობის გამო ვუწოდოთ მას ნიცშეანური.

## ეგოიზმის თეორია: ცინიზმი

ცინიზმის ემპირიული თეორია ემყარება ადამიანის ბუნების აღწერას. არსებობს ამ თეორიის ორი ვარიანტი – ჩვეულებრივი ცინიზმი და თეორიული ცინიზმი.

ჩვეულებრივი ცინიზმი დაიყენება იმაზე, რომ ყველა ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ თავკერძაა. ამ თვალსაზრისის მომხრენი ვარაუდობენ, რომ ერთი შეხედვით ალტრუისტული მოქმედებანიც კი სინამდვილეში თავკერძულია. ისინი ამტკიცებენ, რომ ყურადღებიანი დაკვირვება ცხადყოფს ფარულ თავკერძობას ადამიანის ყველა ქცევაში.

ამ თვალსაზრისს ყოველ შემთხვევაში ის ღირსება აქვს, რომ გვიბიძგებს უფრო გულმოდგინედ გვაანალიზოთ საკუთარი მოტივები, მაგრამ საბოლოო ანგარიშით იგი გარდაუვლად ფაქტებზეა დამოკიდებული, ფაქტები კი ამ თეორიას არ ადასტურებენ. მართლაც, ადამიანის ქცევა სშირად ეგოისტურია, მაგრამ იგი უანგაროც, გმირული თავგანწირვაც კი არის ხოლმე. გმირები და წმინდანები შედარებით ცოტანი არიან, მაგრამ მათი მაგალითი ცხადყოფს, რომ ადამიანის ქცევა ყოველთვის მდაბალი არ არის. ადამიანთა უმრავლესობისათვის ყოველთვის უცხო არ არის არც თავკერძობა, არც ალტრუიზმი და ამ მოტივების თანაფარდობა ბევრ გარემოებაზეა დამოკიდებული. ცინიკოსები უარყოფენ ამას, მაგრამ მათი დოგმატური უარყოფა აშკარად ეწინააღმდეგება ფაქტებს.

წარმოდგენას ადამიანზე როგორც ანგარებიან, ასოციალურ, აგრესიულ არსებაზე გარკვეულწილად იზიარებდა უდიდესი ინგლისელი ფილოსოფოსი თომას ჰობსი. მის წიგნში “ლევიათანი” არის აზრები, რომ ადამიანები ერთმანეთთან თანამშრომლობენ მხოლოდ ანგარებიანი მოსაზრებებით. ამგვარად გაგებულმა ჰობსის ფილოსოფიამ ერთგვარი გავლენა მოახდინა ინგლისურ-ამერიკულ მორალურ და პოლიტიკურ ფილოსოფიაზე. და მაინც საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ სინამდვილეში ჰობსს მიაჩნდა, თითქოს ადამიანები მხოლოდ თავკერძები არიან, სინამდვილეში იგი სხვანაირად ფიქრობდა.

ჯონ ობრი ყვება საინტერესო ამბავს: ჰობსის მეგობარმა დაინახა, როგორ არიგებდა იგი მოწყალეებს, და სთხოვა აეხსნა მისი საქციელი. ჰობსს უპასუხნია, რომ მოწყალეების გაცემა არა მარტო ღატაკს უმსუბუქებს ხვედრს, არამედ მასაც უმცირებს გლახის დანახვით გამოწვეულ ტანჯვას. სხვა სიტყვებით, ჰობსი ამტკიცებდა, რომ მას ამოძრავებდა ეგოისტური მოტივი – საკუთარი ტანჯვის შემსუბუქების სურვილი.

ჰობსის ახსნა მართლაც ამდაბლებს მის ალტრუისტულ საქციელს ეგოისტურობამდე? განა მოწყალეების გაცემისას იგი არ იჩენდა ალტრუიზმს?



თვით თავისი თავის ტანჯვით? პობსს არ უთქვამს, რომ მან ფული მისცა, რათა უკან დაებრუნებინა მათხოვარს, ან ადამიანების ყურადღება მიეპყრო, მათზე შთაბეჭდილება მოეხდინა, ან ხელისუფალთა ბრძანება შეესრულებინა, ანდა ადამიანთა თუ ღმერთის შიშით. ყოველივე ეს ეგოისტური მოსაზრებანია. არსებითად მან თქვა, რომ მოწყალება გაიღო, რათა შეემსუბუქებინა საკუთარი და მათხოვრის ტანჯვა.

მაგრამ განა ეგოიზმია ეს? პირიქით, ეს ალტრუიზმია; რა თქმა უნდა, სხვისადმი თანაგრძნობა – ეს უპირატესად ალტრუისტული გრძნობაა. ამის უარყოფა შეგვეძლო მხოლოდ სიტყვიერ ღონეზე, მხოლოდ მაშინ, თუ უარს ვიტყვი ალტრუიზმი ვუწოდოთ ტანჯვას სხვა ადამიანის ტანჯვის დანახვაზე. ამ შემთხვევაში ჩვენ მივატოვებთ ადამიანის ბუნების შესახებ ემპირიული ცოდნის სფეროს და შევალთ სიტყვიერი ეკვილიბრისტიკის სფეროში (იხ. შემდეგ).

თეორიული ცინიზმი სასარგებლო საერთო იარლიყია ისეთი ფსიქოლოგიური და ფსიქოანალიზური დოქტრინებისათვის, როგორცია სიამოვნების პრინციპი. სიამოვნების პრინციპი გულისხმობს, რომ თითოეული ადამიანის მოქმედებათა იღუმალი ზამბარაა ალტრუიზმის ფარდის მიღმა მიმალული სიამოვნების წყურვილი. თეორიულ ცინიზმს, ჩვეულებრივი ცინიზმის მსგავსად, ასაბუთებენ ემპირიული მონაცემებით და, ჩვეულებრივი ცინიზმის მსგავსად, ვერც ის უძლებს ამ შემოწმებას.

ჩვენს დროში აზრი ადამიანთა ბუნებრივი თავკერძობის შესახებ სერიოზულ ეჭვებს იწვევს. ისინი წარმოშვა ეგრეთ წოდებულმა ეგოისტური გენის თეორიამ, რომლის თანახმად, ადამიანში ერთადერთი ნამდვილად ეგოისტური ფაქტორია ეგოიზმის გენი. გარემოებათა მიხედვით ადამიანები (და ცხოველები) იქცევიან ხან ანგარებით, ხან უანგაროდ. მათ ქცევას მნიშვნელოვან წილად და უმთავრესად განსაზღვრავს მათი გენების თავკერძობა, რომელთა მიზანია გადარჩენენ როგორც გენები. უხეშად რომ ვთქვათ, თუ თავგანწირვა უზრუნველყოფს საუკეთესო შანსს გენების გადარჩენისათვის, მაშინ ინდივიდი მოიქცევა როგორც ალტრუისტი და თავს დადებს მეგობრებისათვის. ხოლო სხვა სიტუაციებში, როცა გენების გადარჩენის საუკეთესო შანსებს უზრუნველყოფს თავკერძობა, ინდივიდი ეგოისტურად მოიქცევა.

ეგოისტური გენის თეორია ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ სრული გარკვეულობა საკითხის გადაწყვეტაში არ შეაქვს. თავკერძობა გულისხმობს შეგნებულ არჩევანს, ცნობიერებას, გენს კი ცნობიერება არ გააჩნია. ჩვენ უნდა მივიღოთ გამოთქმა “ეგოისტური გენი” მხოლოდ და მხოლოდ როგორც მეტაფორა.

თუ განხილული თეორია ჭეშმარიტია, იგი უარყოფს ყოველგვარ ემპირიულად დასაბუთებულ შეხედულებას იმის თაობაზე, თითქოს ადამიანს ამოძრავებს მხოლოდ ეგოიზმი და თავკერძობა – უარყოფს ეგოიზმის ცინიკური თეორიის ორივე ნაირსახეობას. მისი ჭეშმარიტების შემთხვევაში ალტრუიზმი, ჭეშმარიტი თავგანწირვა ხომ ბუნებრივ ადამიანურ რეაქციათა რიგს მიეკუთვნება.

## ეგოიზმის თეორია: ვერბალიზმი

ეგოიზმის ვერბალისტური თეორია ემყარება ენის არასწორ გაგებას.

იგი შემდეგში მდგომარეობს. თუ თქვენ ეხმარებით სხვა ადამიანს, რამდენადაც ის გიყვართ და გსურთ უშველოთ მას, ან რამდენადაც გიყვართ საერთოდ იყოთ სასარგებლო და გსურთ სიკეთე გაუკეთოთ სხვა ადამიანებს, ეს მანც თქვენ თავკერძობას მოწმობს. ვერბალისტური თეორიის თანახმად, ყოველგვარი ჩვენი ტანჯვა – უშუალოდ საკუთარი თუ სხვა ადამიანის ტანჯვით გამოწვეული – ყოველთვის ჩვენი საკუთარი ტანჯვაა და ამიტომ ეგოისტურია თვით თავისი ბუნებით; ყოველგვარი სურვილი, თვით სხვა ადამიანის კეთილდღეობისა და ბედნიერების სურვილი, მუდამ ჩვენს საკუთარ სურვილად რჩება.

ეს თეორია საწინააღმდეგო შენიშვნას იწვევს – *ტანჯვის ან სურვილის განცდა განსხვავდება ამ ტანჯვისა და სურვილის შინაარსისაგან*. სურვილის შინაარსი არის ის, რაც სურთ; ტანჯვის შინაარსი არის ის, რისგანაც იტანჯებიან. ერთი და იგივე ადამიანის სურვილების შინაარსები განსხვავდება ერთმანეთისაგან, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ეს ადამიანი მუდამ რჩება იმ ადამიანად, რომელიც განიცდის ამ სურვილებს.

ვერბალისტური თეორია ერთმანეთში ურევს იმ ჭეშმარიტებას, რომ სურვილი, ნდობა, ტანჯვა და ა.შ. *განიცდება* ადამიანის მიერ, რომელიც მათ განიცდის, სრულიად სხვა მცდარ თვალსაზრისთან, რომლის თანახმადაც, სურვილი, ნდობა, ტანჯვა *თავისი შინაარსით* მუდამ იზღუდება იმ ადამიანით, რომელიც მათ განიცდის.

## ეგოიზმის გონივრულობის თეორია

ამ თეორიის თანახმად, ანგარებით განპირობებული ქცევები უფრო გონივრულია, ვიდრე ალტრუიზმით ნაკარნახევი ქცევები.

ანგარების უმაღლეს გონივრულობაში დარწმუნებულ ფილოსოფოსებს ეს თავისთავად ცხადად მიაჩნიათ. მათი აზრით, უანგარო ქცევები

შესაძლებელია, მაგრამ მაინც ამტკიცებენ, რომ ანგარება ქცევის ერთადერთი გონივრული საფუძველია.

ვინაიდან ეს თეორია მიჩნეულია თავისთავად ცხადად, მას კი არ ასაბუთებენ, არამედ აქსიომად იღებენ. ამიტომ ალტრუიზმის შესაძლებლობის საკითხი ძალზე პრობლემატური ხდება.

ძნელია დაარწმუნო ადამიანები, რომ რაც მათ თავისთავად ცხადი ჰგონიათ, სინამდვილეში სულაც არ არის თავისთავად ცხადი. თუ ფილოსოფოსები ამბობენ, რომ ანგარებიანი მოქმედების გონივრულობა ისეთივე თავისთავად ცხადია, როგორც “1+1=2” ტოლობის ჭეშმარიტება, განა შეიძლება დაუმტკიცო მათ, რომ ისინი ცდებიან? უსარგებლოა ამტკიცო, რომ ეგოიზმს გამართლება არა აქვს, რამდენადაც ეს არგუმენტაცია არ უარყოფს მათ აქსიომას, არამედ, პირიქით, გულისხმობს მას.

მეორე მხრივ, იგივე მოსაზრება ცხადყოფს, რომ ანგარება, თუნდაც გონივრული იყოს ის, გონივრულია მხოლოდ და მხოლოდ თვით ანგარების თვალსაზრისით, ის გონივრულია, რამდენადაც კარგი შედეგები მოაქვს სწორედ თვით ანგარების თვალსაზრისით.

ის ფაქტი, რომ ეგოისტურ ქცევებს ხშირად სარგებლობა მოაქვთ თვით ამ ადამიანისთვის და არა სხვებისათვის, სრულიად არ არის იმის საფუძველი, რომ უარი ვთქვათ ეგოიზმზე იმ შემთხვევაში, თუ ეს ადამიანი დარწმუნებულია, რომ საკუთარი სარგებლობისკენ სწრაფვა თავისთავად ცხადია გონივრულია, ხოლო სხვებისათვის სასარგებლოდ ქცევა თავისთავად ცხადია, რომ უგუნურებაა. ეგოისტი ამბობს: “ბუნებრივია, მე არ ვეხმარები სხვებს – მერე რა? მე გონიერი ვარ გონივრულობის საკუთარი გაგების თვალსაზრისით. ამიტომ ფილოსოფიური თვალსაზრისით მართალი ვარ”.

მაგრამ ნამდვილად მართალია? სრულიადაც არა, რამდენადაც ეს პოზიცია შეიძლება უკუმიმართულებით წარიმართოს. ალტრუისტს შეუძლია ამტკიცოს, რომ ალტრუიზმიც თავისებურად გონივრულია, იმდენად რამდენადაც საკეთე მოაქვს სხვებისათვის. ის ფაქტი, რომ ალტრუისტული მოქმედებანი ჩვეულებრივ სხვებისთვის არის სასარგებლო და არა თვით მოქმედი ადამიანისთვის, არ წარმოადგენს ალტრუიზმზე უარის თქმის საფუძველს, თუ ამ ადამიანს სწამს, რომ ესწრაფო სხვების სარგებლობისათვის თავისთავად ცხადი გონივრულობაა, ხოლო მისი საკუთარი სარგებლობა თავისთავად ცხადი უგუნურებაა. ალტრუისტი ამბობს: “ბუნებრივია, მე არ ვზრუნავ საკუთარი ინტერესებისათვის – მერე რა? მე გონიერი ვარ გონივრულობის საკუთარი გაგების თვალსაზრისით, ამიტომ ფილოსოფიური მხრივ მეც მართალი ვარ”.

რაღას ამბობს სალი გონება? ორ რამეს. უწინარეს ყოვლისა, სალი გონება

ამბობს, რომ ინდივიდი, რომელიც უგულბებელყოფს საკუთარ კეთილდღეობას, თუ არ არსებობს ღირსეული მიზანი (მაგალითად, ნებაყოფლობით იკლავს თავს), ეს ადამიანი ფსიქიკურად არაჯანსაღია. რაც შეეხება მეორე უკიდურესობას, საღი გონება ამბობს, რომ ინდივიდი, რომელსაც მუდამ ამოძრავებს ეგოისტური მოტივები, სრულიად უგუნურია. მართლაც, საღი გონების თანახმად, მუდამ ანგარებიანი მოქმედება უგუნურების ტიპური ნიშანია. საღი გონება თანამიმდევრულ ანგარებიან საქციელს განიხილავს როგორც სრულ უგუნურებას. საღი გონება თანამიმდევრულ ალტრუისტულ საქციელს განიხილავს როგორც ნებაყოფილობითს, მაგრამ არა ყოველთვის სავალდებულოს და, შეიძლება, როგორც დონკიხოტურს. ასეთია, მაგალითად, ალტრუიზმი, რომელიც ისახავს მიულწვევლ მიზნებს.

საღი გონება თვითმკვლელობას, ისევე როგორც სხვა ადამიანების მკვლელობას, სიგიჟედ თვლის.

ზოგიერთი ადამიანი ამტკიცებს, რომ ეგოიზმი და ალტრუიზმი შეთავსებადია. ხშირად ამბობენ, რომ ჭეშმარიტი ღრმად განცდილი ალტრუიზმი პირადი ბედნიერების მიღწევის საუკეთესო საშუალებაა. მეორე მხრივ, თავისუფლების თანამედროვე კონსერვატორული თანამებრძოლნი ამტკიცებენ, რომ ანგარება ადამიანს საზოგადოებისთვის უფრო სასარგებლოს ხდის. ამრიგად, ეგოიზმის მქადაგებელნი ფარულად აღიარებენ, რომ კარგია იყო საზოგადოებისათვის სასარგებლო; ხოლო ალტრუიზმის მომხრენი აგრეთვე ფარულად აღიარებენ, რომ პირადი ბედნიერება არც ისე ცუდია.

ახლა განვიხილოთ გონივრულობის იდეა სხვა თვალსაზრისით.

საერთოდ რომ ვთქვათ, გონივრულობა არის ისეთი მოქმედების და აზროვნების უნარი, რომლებიც დასახული მიზნების მიღწევის საშუალებას იძლევიან. მაგრამ შეიძლება ვიკითხოთ, როგორი მიზნებია გონივრული. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია. მაგრამ მაინც ცხადია, რომ არაგონივრულია აირჩიო და დაისახო მიულწვევლი მიზნები, ანუ მიზნები, რომელთა მიულწველობა ცხადია.

რეალურ ცხოვრებაში მხოლოდ ეგოიზმით ნაკარნახევი ქცევის მიზნები ფაქტიურად მიულწვევლია. წმინდა, უცვლელი, განუზავებელი ეგოიზმი ვერ მიაღწევს საკუთარ მიზნებს. წარმოუდგენელია, რომ ჯოჯოური ინდივიდი ყოველთვის ისახავდეს ან ყოველთვის ახორციელებდეს მხოლოდ წმინდა ეგოისტურ მიზნებს, რა თქმა უნდა, თუ იგი მართლ არ ცხოვრობს უკაცრიელ კუნძულზე. შეიძლება დაუშვათ, რომ თანამიმდევრული ალტრუიზმი უფრო ცხოველუნარიანია, მაგრამ ამას სრული დამაჯერებლობით ვერ ვამტკიცებთ.

ალტრუიზმთან შედარებით ეგოიზმის უპირატესი და თავისთავადცხადი

გონივრულობის თეორია მეტად მიმზიდველია თანამედროვე ფილოსოფოსებისათვის, მაგრამ ეგოიზმის უმაღლესი გონივრულობის მათი რწმენა მოკლებულია ემპირიულ საფუძველს. ისინი აღიარებენ, რომ ალტრუიზმი ემპირიულად შესაძლებელია, მაგრამ ეს ბუნების საწინააღმდეგო აღზრდა-განათლების შედეგია. ამით ირკვევა, რომ ისინი ეგოიზმს გონივრულად თვლიან, რადგან სწამთ, რომ იგი უფრო ბუნებრივია, ვიდრე ალტრუიზმი.

ალტრუიზმის გონივრულობის თეორიას აქვს აგრეთვე ბუნდოვანი საფუძვლები. ფილოსოფიური ალტრუიზმის ფარული ბაზისია სავარაუდო კავშირი გონივრულობასა და ობიექტურობას შორის. ანგარება ამჟამად სუბიექტურია, ამ სიტყვის ჩვეულებრივი აზრით (ორიენტირებულია თავის სუბიექტზე), ხოლო ალტრუიზმი ობიექტურია ამ სიტყვის ჩვეულებრივი აზრით (ორიენტირებულია სხვა ადამიანებზე). ალბათ, ალტრუიზმის გონივრულობის რწმენის საფუძველია უფრო ობიექტურობის, ვიდრე სუბიექტურობის გონივრულობის რწმენა.

## ეგოიზმის ნიცშეანური თეორია

ამ თეორიის თანახმად, ანგარება არ წარმოადგენს თანამედროვე მორალის საფუძველს, მაშინ როცა სასურველია ასე ყოფილიყო.

ასეთი ფილოსოფიური ეგოიზმის ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი დამცველია ნიცშე. თავის ცხოვრებაში იგი ცდილობდა დაეკავებინა ჩვეულებრივი ადამიანების შეხედულებისაგან თავისუფალი სკეპტიკური დამკვირვებლის, თავისუფალი გონის პოზიცია.

ნიცშე თავის ღირებულებით მსჯელობებს აყალიბებს დიდი გზნებითა და ლიტერატურული ოსტატობით. მისი ღირებულებანი განსაკუთრებით მტრულია ქრისტიანობისა და იუდაიზმის მიმართ; დემოკრატია კი, მისი აზრით, იმ რელიგიების მხოლოდ და მხოლოდ სეკულარიზებული უბადრუკი ფორმაა, რომელიც მას ეზიზღებოდა. ნიცშეს მგზნებარე პათოსმა ის აქცია ფილოსოფოსად, რომელიც ან სძულთ, ან უყვართ.

ნიცშე იცავს ჭეშმარიტების რელატივისტურ თეორიას და მიაჩნია, რომ თეორიები ჭეშმარიტია მხოლოდ მაშინ, თუ ისინი სასარგებლოა ადამიანთა მოდგმისათვის ან, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ადამიანის განსაკუთრებული, უმაღლესი სახეობისთვის. ნიცშე არ იყო ფემინისტი, და უნდა აღინიშნოს, რომ, როცა ლაპარაკობს ადამიანსა და ხალხზე, მას მხედველობაში აქვს მამრობითი სქესი. მისეული დაყოფა უმაღლეს და მდაბალ ადამიანებად გამორიცხავს ქალებს, რამდენადაც, მისი თვალსაზრისით, თვით ქალის ბუნება მდაბალი და მონურია.

ნიცშე ამბობს, რომ მორალი თანასაზოგადოების შენახვის საშუალებაა. მაგრამ იგი იმასაც ამტკიცებს, რომ არსებობს მორალის ორი ურთიერთ-საპირისპირო სახეობა. მორალის ერთი სახეობა (მონების მორალი) შესაძლებელია მართლაც ხელს უწყობს თანასაზოგადოების გადარჩენას, მაგრამ, ალბათ, მხოლოდ დროებით; ბატონების მორალი კი შეეფერება გამოჩენილ ინდივიდებს. გამოჩენილი ადამიანის მიზნები არასოდეს არ არის სოციალური ან ალტრუისტული. სამწუხაროდ, არ არის საესეებით გასაგები, როგორი უნდა იყოს მათი პოზიტიური მიზნები, თუ ისინი საერთოდ არსებობენ.

მონების მორალში “კარგი” ნიშნავს “სასარგებლოს, დამხმარეს, გულმოდგინედ, შემბრალეს, თანამგრძობს, ალტრუისტულს”. ეს სათნოებანი შეესაბამება საზოგადოების ჩვეულებრივი წევრების, მათ შორის უაღრესად სუსტების საჭიროებებსა და მიზნებს. მონების მორალში “ცუდი” ნიშნავს “თავკერძას, არაკონფორმისტულს, არაგულმოდგინედ, შეუბრალებელს, სასტიკს”.

ნიცშეს თანახმად, მონების მორალი არის უმაღლესთა მიმართ უმდაბლესი ადამიანების შურისძიების წყურვილის, ჟინის ნაყოფი. იგი შურის, დაქვემდებარებისა და სისუსტის განსახიერებაა. ნიცშე ქრისტიანობასა და იუდაიზმს გმობს უმთავრესად იმისათვის, რომ მათში ბატონობს მონების მორალი.

ბატონების მორალში “კარგი” ნიშნავს “არისტოკრატულს, თავისუფალს, ინდივიდუალურს”, ხოლო “ცუდი” ნიშნავს “მონურს, საზიზღარს, ჯოგურს”. ბატონების მორალი განასახიერებს საკუთარი თავის პატივისცემას, ინდივიდუალიზმს, გენიალობასა და თავისუფლებას, რაც ჯანსაღი ეგოს მქონე გამოჩენილი ადამიანების ნიშან-თვისებებია.

ადამიანის უმაღლესი ტიპი ქმნის საკუთარ მორალს. მდაბალი ტიპი იღებს ჯოგის მორალს, რამდენადაც იგი სასარგებლოა ჩვეულებრივი და სუსტი ადამიანებისათვის. საბოლოო ანგარიშით უმაღლესი და უმდაბლესი მორალი ვერ თანაირსებებენ, რამდენადაც უმდაბლესი მორალი თავისი არსებით საყოველთაოა და გამორიცხავს თავისუფალ გონს, ადამიანურ ინდივიდუალობას, ეგოიზმის უფლებას ან ახალი მორალის შექმნის უფლებას.

ნიცშე ამბობს, რომ არსებობს ორი ძირითადი ტიპის მორალური კოდექსი, რომელთაგან თითოეული აუცილებელი გამოწვევია იმათთვის, ვინც აღიარებს ამ მორალს. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ნიცშე უარყოფს აბსოლუტურ ღირებულებათა არსებობას. იგი დარწმუნებულია, რომ მორალურ ნორმებს როგორც ასეთებს აქვთ ღირებულება, თავისებური ღირებულება. ეს მორალური კოდექსები ერთმანეთის მგობია. ყველაზე უვარგისია ის კოდექსები, რომლებიც ქებას ასხამენ ალტრუიზმს, სიბრალულს, დახმარებისათვის მზადყოფნას, უანგარობასა და თავგანწირვას.

ხოლო ყველაზე საუკეთესოა ისინი, რომლებიც გამობნეულ იუდეურ, ქრისტიანულ სათნოებებს და საფუძვლად უდევთ გენიალობა, არისტოკრატიული მსოფლმხედველობა, თავის თავის პატივისცემა და გამოჩენილი ინდივიდის თავისუფლება.

წიგნში "სიკეთისა და ბოროტების მიღმა" ნიციშვილმა განმარტავს, რომ სიკეთისა და ბოროტების საზღვრების გარეთ გასვლა ნიშნავს დაძლიო ჩვეულებრივი ჯოგური მორალი, რათა შექმნა საკუთარი მორალი. მაგრამ იმისათვის, რომ თავი გაართვა ამ ამოცანას, უმაღლესი ტიპის ადამიანი უნდა იყო. ცხადია, ქალებს ამის უნარი არ შესწევთ მათი მონური ბუნების გამო. მამაკაცები კი, რომლებიც შეეცდებიან თავი დააღწიონ ჯოგურ მორალს, უმეტეს შემთხვევაში განიცდიან გულგატეხილობას და იქცევიან შურისმაძიებელ მონებად, ხოლო მათი ძალისხმევა არ გაიყვანს მათ სიკეთისა და ბოროტების მიღმა მხარეს. ეს მამაკაცები იქცევიან ჩვეულებრივ დამნაშავეებად. ჯოგში მცხოვრებთათვის შესაძლებელია მხოლოდ ჯოგის მორალი.

როგორია ნიციშვილს უმაღლესი მორალის კონკრეტული შინაარსი? როგორც უკვე ვთქვით, დეტალები ბუნდოვანი და მეტწილად ნეგატიურია. უმაღლესი მორალი მიმართულია ალტრუიზმის წინააღმდეგ, სიბრალულის წინააღმდეგ, კონფორმიზმის წინააღმდეგ, საშუალო და სუსტი ადამიანების წინააღმდეგ, დასავლური რელიგიების მიერ რეკომენდებულ ტრადიციულ ღირებულებათა წინააღმდეგ.

ნიციშვილს წინასწარმეტყველს უწოდებდნენ, და მან მართლაც რამდენიმე გასაოცრად ზუსტი რამ იწინასწარმეტყველა. მან იწინასწარმეტყველა, რომ მალე მისი სიკვდილის შემდეგ კაცობრიობა შევიდოდა ეპოქალური იდეოლოგიური ომების ხანაში. იგი გარდაიცვალა 1900 წელს და ამ დროიდან მსოფლიოში მართლაც დაიწყო იდეოლოგიური ბრძოლის ეპოქა.

მან აგრეთვე იწინასწარმეტყველა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ დაიწყებოდა რეაქცია XIX საუკუნის მეცნიერული რაციონალურობის წინააღმდეგ, დაიწყებოდა ბარბაროსობა. თუ გადავხედავთ წარსულს, შეიძლება დავეთანხმოთ მას, თუმცა XX საუკუნეში ბარბაროსობა გაცილებით უარესი გახდა, რამდენადაც თავის სამსახურში ჩააყენა მეცნიერება და ტექნოლოგია.

ნიციშვილს მიაჩნდა, რომ XIX საუკუნის კულტურა იყო მჭვრეტელობითი, დაძაბუნებულ-ქრისტიანული, პროგრესში დარწმუნებული და დემოკრატიისა და ჩვეულებრივის ბატონობისაკენ მსწრაფი. ახალი ბარბაროსობა, ამბობდა იგი, ალგვის ყოველივე ამას, მაგრამ ამის შემდეგ გაბატონდებიან უმაღლესი ღირებულებანი. ბარბაროსობის აფეთქება აუცილებელია: იგი გზას მისცემს უფრო სრულყოფილ ადამიანს.

ნიციშვილს სიკვდილის შემდგომი რეპუტაციის საუბედუროდ, მისი ერთ-ერთი უდიდესი თაყვანისმცემელი იყო ჰიტლერი. ნაცისტები ამტკიცებდნენ, ომისა

და გენოციდის პროგრამები განასახიერებენ ნიცშეანურ იდეალებსო, მაგრამ ნიცშეს თაყვანისმცემლები ასაბუთებენ, რომ ნიცშე ჰიტლერს ჩათვლიდა ერთ-ერთ ბარბაროსად, რომელიც, როგორც ის ამბობდა, გზას გაუკაფავდა უმაღლესი მორალისა და მომავალი ზეადამიანისაკენ.

შეიძლება თუ არა ნიცშეს იდეები გამოვყოთ ნაციზმის იდეებისაგან? ამ კითხვაზე პასუხი ნაწილობრივ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ვხედავთ უმაღლეს ადამიანს. როგორია ის უმაღლესი ადამიანი, რომელიც ნამდვილად მოგვაგონებს მომავალ ზეაკაცს?

მოგვაგონებს თუ არა ზეაკაცი წარსულის დიდ ფილოსოფოსებს? ნიცშეს დამოკიდებულება სხვა ფილოსოფოსებთან არ იყო მაინცდამაინც პატივმცემლური. იგი ცოტას ფიქრობდა სოკრატეზე, ხოლო მისი მოწიწება შოპენჰაუერისადმი საგრძნობლად შენედა, როცა მან შეიტყო, რომ ეს დიდი პესიმისტი აღმერთებდა ფლიეტაზე დაკრას. თუმცა ჩვენ შეგვიძლია დავეთანხმოთ იმას, რომ წარსულის ფილოსოფოსები ნამდვილად გენიოსები იყვნენ, ჰქონდათ მაღალგანვითარებული ინდივიდუალობა, იყვნენ მეტად არაჩვეულებრივნი და ზოგჯერ მეტისმეტად ბრძენები და ჭკვიანები, ამასთან აუცილებლად უნდა ვაღიაროთ, რომ უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ ზოგიერთი მათგანი ქადაგებდა ეგოიზმს, ზოგიერთი კი პირდაპირ იცავდა ალტრუიზმს. ისე რომ ნიცშე, ალბათ, იტყოდა, რომ ზეაკაცი არ ემგვანებოდა დიდ ფილოსოფოსებს.

თუ ასეა, რაღაა ეს ნიცშეს უმაღლესი ტიპები? სადღა არიან ის მამაკაცები, ვინც შექმნეს საკუთარი მკაცრი და ულმობელი მორალი? ისინი არ უნდა ვეძებოთ ფილოსოფოსებსა და მხატვრებსა და პოეტებს შორისაც კი (თუმცა ზოგიერთმა მათგანმა, განსაკუთრებით ფერმწერებმა, ბოჰემური ცხოვრების შესახებ ნიცშეანური სულისკვეთებით დაწერილი რომანების გარკვეული გავლენა განიცადეს). არა! ულმობელი მორალის გამტარებლები საძებნია უფრო დიქტატორებსა და მათ გენერლებს, ციხის გუშაგებსა და პოლიციის შეფებს შორის.

ამიტომ ნიცშეანელებს უჭირთ დაიცვან თავიანთი გმირი. ალბათ, მისი გამართლებისათვის შეიძლება გამოდგეს მხოლოდ ის გარემოება, რომ, დემოკრატიისა და საშუალოობის წინააღმდეგ მისი ლაშქრობის მიუხედავად, ომის შესახებ შეზღუდული პირადი ცოდნის მიუხედავად, საბოლოო ანგარიშით მისთვის უცხო იყო პოლიტიკა, არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა პოლიტიკური ციხეების, პრუსიული გენერლების, დიქტატორებისა და სხვა ძალაუფლების მქონე მმართველებზე და სულაც არ ფიქრობდა, როგორ შეიძლებოდა მისი იდეები გაეგოთ პოლიტიკოსებს.



## სარგებლიანობა და პრინციპები

ეთიკური კონსექვენციონალიზმის თეორიის თანახმად, ქცევების შესახებ უნდა ვიმსჯელოთ მხოლოდ მათი შედეგების მიხედვით. ამ თეორიის ყველაზე ცნობილი ნაირსახეობაა უტილიტარისმი, ხოლო ფილოსოფოს-უტილიტარისტებს შორის ყველაზე ცნობილი არიან იერემია ბენტამი, ჯეიმს მილი და ჯონ სტიუარტ მილი.

ფილოსოფოსი უტილიტარისტები არ ცნობენ სპეციალური მორალური პრინციპების აუცილებლობას, ისეთებს, როგორიცაა “არ იცრუო”, გიჟვარდეს სამართლიანობა, შეასრულე შენი დანაპირები. უტილიტარისტების შეხედულებით, ყოველთვის სწორია ისეთი მოქმედება, რომლის შედეგია ყველაზე დიდი შესაძლებელი ბედნიერება ყველაზე მეტი ადამიანებისათვის (ეგრეთ წოდებული ყველაზე დიდი ბედნიერების პრინციპი). მსოფლიოში ერთადერთი აბსოლუტური და შინაგანი ღირებულების მქონეა ბედნიერება და ტკბობა, ყოველივე სხვას კი მხოლოდ იმდენად აქვს ღირებულება, რამდენადაც ბედნიერება მოაქვს.

უტილიტარისმიის საპირისპიროა თეორიები, რომლებიც ხაზს უსვამენ მოტივის, მოვალეობის, უფლებებისა და პრინციპების დიდ მნიშვნელობას. ამ სახის თეორიებს ჩვეულებრივ უწოდებენ დეონტოლოგიურ თეორიებს (მოვალეობის თეორიებს).

ანტიუტილიტარისტული მიმართულების ყველაზე განთქმული ფილოსოფოსია კანტი. კანტის აზრით, უსარგებლოა ბედნიერება და ტკბობა ეძიონ (არა აქვს მნიშვნელობა, თავისთვის თუ სხვა ადამიანებისათვის), ვინაიდან ბედნიერების ძიება განწირულია მარცხისათვის. კანტი ამბობდა, რომ ბედნიერება როგორც ასეთი არ წარმოადგენს ღირებულებას. ეს რომ ასე იყოს, ჩვენ არ ალგვაშფოთებდა ამბების მოსმენა ბედნიერი ვიგინდარების შესახებ. აზრი იმის თაობაზე, რომ მიწიერი ადამიანი განცხრომით, ბედნიერად ცხოვრობს, გულს წყვეტს ადამიანთა უმრავლესობას. კანტის თვალსაზრისით, ერთადერთი აბსოლუტური ღირებულებაა კეთილი ნება. კეთილი ნება არის სურვილი და გადაწყვეტილება, რომ მოიქცე სწორად. კეთილი ნების

ადამიანები, რომლებიც ყველაზე მაღლა აყენებენ ჯეროვან ქცევას, მისდევნენ გარკვეულ პრინციპებს. კანტის მიხედვით, ეს პრინციპები გონივრულია და ყველა გონიერ არსებას შეუძლია მისდიოს და უნდა მისდიოს მათ, თუმცა, რა თქმა უნდა, საქმით ყოველთვის არ ასრულებენ მათ.

კანტის მაქსიმები ასეთია:

იყო მართალი;

იყო პატიოსანი;

არ მისცე ტყუილი დაპირებები;

იყო კეთილშობილი და კეთილმოსურნი;

ფუჭად არ გაფანტო შენი ნიჭი;

იყო მზად – დასაჯო მკვლევლები და სხვანი, ვინც სასჯელი დაიმსახურა;

იყო კეთილი ცხოველების მიმართ;

არ მოიკლა თავი.

კანტის აზრით, გონიერი არსებისათვის ცხადი უნდა იყოს, რომ მორალურ წესებს გამოწვევის არ გააჩნიათ. ეს შემდეგს ნიშნავს: ჯერ ერთი, ყველა, გამოწვევის გარეშე, და არა მარტო სიკეთის მოყვარული, უნდა იყოს პატიოსანი, მართალი და ა. შ. ასეთია თითოეული ადამიანის მოვალეობა, თუნდაც ეს გაცნობიერებული არ ჰქონდეს. მეორე, ადამიანი ყოველთვის უნდა იყოს მართალი და პატიოსანი. გარემოებანი არავითარ როლს არ ასრულებენ, მაშინაც კი, თუ ტყუილი დიდ სარგებლობას გიქადით, არ უნდა იცრუოთ.

როგორ განესაზღვროთ, ამ ორი პოზიციიდან რომელია ყველაზე უფრო ღირებულების მქონე რეალური ცხოვრების თვალსაზრისით? თავდაპირველად საჭიროა ვნახოთ, როგორ მუშაობენ ეს თეორიები რთულ სიტუაციებში, რომლებიც ადამიანს არჩევანის წინაშე აყენებენ. ზოგჯერ უტილიტარისტული და დეონტოლოგიური თეორიები ერთი და იგივე ქცევას გვიჩვენებენ (თუმცა სხვადასხვა საფუძველზე), მაგრამ ხდება ხოლმე, რომ ისინი ერთმანეთის საწინააღმდეგო რეკომენდაციებს იძლევიან. განვიხილოთ ეს განსხვავებანი და ვცადოთ გავიგოთ, არსებითად რას წარმოადგენენ ისინი ამ თეორიებისათვის.

## მაგალითი 1. დაპირება მომაკვდავს

ვთქვათ, ბიძია კელერი კვდება უკაცრიელ კუნძულზე და შესაძლებლობა არა აქვს დოკუმენტალურად დაამოწმოს თავისი უკანასკნელი ნება. მის

საბედნიეროდ, იქვე ცხოვრობს მისი ძმისშვილი გრიზელდა, და ამიტომ ბიძა სთხოვს მას ცივილიზებულ სამყაროში დაბრუნების შემდეგ განაგოს მისი ქონება. გრიზელდა ჰპირდება, რომ შეასრულებს მის უკანასკნელ ნებას და მთელ ქონებას, რომელიც შეადგენს 500 000 გირვანქა სტერლინგს, გადასცემს პროვინციულ სამხატვრო გალერეას.

მაგრამ სამშობლოში დაბრუნებულმა გრიზელდამ იცის, რომ იგი ბიძა კელერის ერთადერთი ნათესავია და ამიტომ მემკვიდრეობით მან უნდა მიიღოს ეს ქონება. უნდა შეასრულოს მომაკვდავი ბიძისათვის მიცემული პირობა, თუ სხვა რამეზე დახარჯოს ფული? დაუშვათ, რომ ეგოიზმსა და მიკერძობებაში შესაძლო დადანაშაულების თავიდან ასაცილებლად გრიზელდას არ სურს თავისთვის დახარჯოს ფული, მაგრამ ამჯობინებს ეს თანხა მისცეს გაჭირვებულ ბავშვთა საავადმყოფოს და არა გალერეას.

მამ ასე: უნდა შეასრულოს თუ არა გრიზელდამ დანაპირები?

დღონტოლოგიური ეთიკის მომხრე იტყვის: “ღიან. დაპირებათა დარღვევა უფარგისი, ხოლო დაპირებათა შესრულება ქცევის მართებული პრინციპია. თუ გრიზელდას არ მოსწონს ფულის სამხატვრო გალერეისათვის მიცემა, მაშინ არც უნდა დაედო შესაბამისი დაპირება, ხოლო თუ შესაბამისი დაპირება დადებულია, იგი უნდა შესრულდეს.

შემდეგ, მომაკვდავისათვის მიცემული პირობის დარღვევა კიდევ უფრო უარესია, ვიდრე ცოცხალი ადამიანისათვის მიცემული პირობის შეუსრულებლობა. მომაკვდავი ადამიანის მდგომარეობა ხომ მეტად გულსატკეპია, იგი იძულებულია გენდოთ და არ შეუძლია გააკონტროლოს თქვენი მოქმედება. მოატყუოთ მომაკვდავი – ნიშნავს ჩაიდინოთ საშინლად მდაბალი საქციელი.

უტილიტარისტი კი იტყვის: “ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რამდენ ბედნიერებას მოიტანს სამხატვრო გალერეა საავადმყოფოსთან შედარებით. თუ გალერეა უფრო მეტ ბედნიერებას მოიტანს, ვიდრე საავადმყოფო, მაშინ გრიზელდამ უნდა შეასრულოს დაპირება. თუ, პირიქით, საავადმყოფო მოიტანს მეტ ბედნიერებას, ვიდრე გალერეა, მაშინ გრიზელდამ უნდა დაარღვიოს დაპირება.”

იმის თაობაზე, რომ გრიზელდა არ უნდა შეპირებოდა ბიძას, უტილიტარისტი სულ სხვა შეხედულებას ადგას: შესაძლოა, გრიზელდამ კელერს დაპირების მიცემით უკანასკნელი ბედნიერი წუთები განაცდევინა; ხოლო გრიზელდას დაპირებაზე უარი რომ ეთქვა, კელერი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში უბედურად იგრძნობდა თავს; რამდენადაც უტილიტარისტული თეორიის თანახმად, ბედნიერება ერთადერთი აბსოლუტური ღირებულებაა ამქვეყნად, ამიტომ გრიზელდა სწორად მოიქცა, პირობა რომ მისცა, თუნდაც

შემდეგ გადაწყვიტა დაერღვია იგი, თუნდაც მისი დარღვევა თავიდანვე ჰქონოდა განზრახული.

რაც შეეხება აზრს, რომ განსაკუთრებული სიმდაბლეა მომაკვდავისათვის მიცემული პირობის დარღვევა, არ არის სწორი. მომაკვდავი ვერასოდეს ვერ გაიგებს, რომ დაარღვიეს დაპირება და ეს ქცევა ვერ გახდის მას უბედურად.

## მაგალითი 2. დედა ტერეზას მოღვაწეობა

დედა ტერეზას და მისი თანაშემწეების საქმიანობას კალკუტაში ძირითადად შეადგენდა ღარიბებისა და მომაკვდავი მარტოხელა ადამიანების მოვლა.

უტილიტარისტს შეიძლება მოეჩვენოს, რომ ეს დროის უქმი დაკარგვაა. უტილიტარისტის თვალსაზრისით, ღარიბი და მარტოხელა მომაკვდავის სიცოცხლე შეიძლება არც იყოს სასარგებლო, უკეთეს შემთხვევაში ასეთი ადამიანების ინტერესები ყველაზე დაბლა იქნება სარგებლიანობის შკალაში.

რა თქმა უნდა, მათთვის დახმარებას ერთგვარი ბედნიერება მოაქვს. შესაძლოა, თვით მოვლით ადამიანები განიცდიან ბედნიერებას; შესაძლოა, მომაკვდავი ოდნავ უფრო ბედნიერად გრძნობენ თავს (ყოველ შემთხვევაში მცირე ხანს), ვიდრე მაშინ, როცა ისინი უპატრონოდ რჩებიან.

ღარიბებისა და მომაკვდავი ადამიანებისათვის დახმარების უტილიტარისტულ შეფასებას განსაზღვრავს ხანმოკლე ბედნიერება, რაც ასეთ ქმედებას მოსდევს. ამიტომ, უტილიტარისტების თვალსაზრისით, უკეთესი იქნებოდა, დედა ტერეზას თავისი ძალისხმევა ცოცხლებზე ზრუნვისაკენ წარემართა. შესაძლოა, მას უნდა ემუშავა ჩვეულებრივ საავადმყოფოში, რასაც, რა თქმა უნდა, მოჰყვებოდა არა მარტო ხანმოკლე, არამედ შედარებით ხანგრძლივი დაღებიანი შედეგი.

ამ სიტუაციიდან გამომდინარე, ბევრი ადამიანი, თვით უტილიტარისტებიც კი, სულის სიღრმეში იგრძნობდა სიმპათიას ღეონტოლოგიური თეორიებისადმი. მათ ხომ იციან, რა თქმა უნდა, რომ დედა ტერეზა და მისი თანაშემწეები ძალზე კარგი ადამიანები არიან. ცხადია, მათი შრომა მეტად კეთილშობილურია. ვინ ვართ ჩვენ, რომ მივიჩნიოთ, მათ ძალისხმევას მეტი სარგებლობა უნდა მოეტანათ? განა დედა ტერეზა და მისი თანამებრძოლნი ჩვენ სამყაროს უფრო სრულყოფილს არ ქმნიან?

თუ მათი შრომა კეთილშობილური და ღირსეულია, რაში მდგომარეობს მისი ღირსეულობა? იგი ხომ სარგებლიანობაზე არ დაიყვანება. მათი მოღვაწეობით მიღებული სარგებლიანობა სამედიცინო დახმარების შედეგად მიღებულ შემწეობასთან შედარებით ხომ მეტად მცირეა.

საქმე ის არის, რომ მათი შრომის ღირებულება მათს მოტივებში, ანუ მორალურ და რელიგიურ პრინციპებშია. შესაძლოა, აქ მთავარი თავგანწირვაა. შესაძლოა, მათი შრომის კეთილშობილებას განსაზღვრავს სწორედ პატივისცემა ადამიანისადმი, თვით ლატაკებისა და განწირულებისადმი, შეიძლება რწმენა მისი ღირსებისა და წმინდანობისაც კი ადამიანებისადმი. ჩვენ თავად ვართ ადამიანები და როგორც ასეთებმა უნდა ვირწმუნოთ ადამიანური ღირსება. ვინ შეიძლება უწოდოს ამ რწმენას უგუნურება? უტილიტარისტები ამტკიცებენ, რომ ამქვეყნად ერთადერთი აბსოლუტური ღირებულება ბედნიერებაა. მაგრამ ვინ იტყვის, რომ არის მხოლოდ ერთი აბსოლუტური ღირებულება? ვინ იტყვის, რომ ადამიანური ღირსება არ არის აბსოლუტური ღირებულება?

### მაგალითი 3. დამსმენი

დავუშვათ, რომ პოლიცია წლების მანძილზე ეძებდა ნარკოტიკების დამამზადებელ განთქმულ ბანდას, მაგრამ ვერ შეძლო მათი დანაშაულების დამადასტურებელი მასალების მოძიება. და აი, ბანდის ერთი მონაწილე მიდის პოლიციაში და ჰპირდება მისცეს ინფომარცია, რომელიც აუცილებელია ყველა ბანდის დასაჭერად. დამსმენის მოტივია არა მონაწილეობა, ჩადენილი დანაშაულის გამო, არამედ გაბოროტება ყოფილი ამხანაგების წინააღმდეგ, რომლებსაც იგი წაეჩხუბა. ამ დახმარების სანაცვლოდ იგი მოითხოვს პატიებას. როგორ მოიქცეს პოლიცია?

უტილიტარისტები პასუხობენ, რომ აუცილებელია მას მიეცეს ხელშეუხებლობის გარანტია, ზოგჯერ ასე აკეთებენ კიდევ რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებში. ამასთან ემყარებიან იმას, რომ ასეთი გადაწყვეტილების სარგებლიანობის ერთობლიობა გადაწონის ყველა დანარჩენ მოსაზრებას.

დეონტოლოგები კი, განსაკუთრებით კანტიანელები, იტყვიან რომ დამსმენი უნდა დაისაჯოს წარსულში ჩადენილი დანაშაულებათათვის. სამართლიანობა მოითხოვს, რომ დანაშაულებანი ისჯებოდეს კანონის მთელი სიმკაცრით, მით უმეტეს, თუ დამნაშავემ არ მოინანია. დეონტოლოგების ლოზუნგია: “გაუმარჯოს სამართლიანობას, თუნდაც დაიქცეს ქვეყნიერება!”

მაგრამ კანტიანური პრინციპების გაზიარება ამ შემთხვევაში შეიძლება იმას მოასწავებდეს, რომ ნარკოტიკების დამამზადებლებს არ დაიჭერენ და მათ თავისუფლად ყოფნას შეიძლება უფრო სერიოზული შედეგები მოჰყვეს. ამ შემთხვევაში განა არ სჯობს, რომ პასუხისმგებლობისაგან ერთი დამნაშავე გაავათავისუფლოთ?

## მაგალითი 4. უდანაშაულოს უფლებები

დაუშვათ, რომ ტერორისტებმა ხელთ იგდეს თვითმფრინავი და მოითხოვენ გამოსასყიდს. პირობას იძლევიან, ყველა მგზავრს გავათავისუფლებთ, თუ გადმოგვცემთ ერთ მოქალაქეს და ნებას დაგვრთავთ იგი მოეკლათო. შეიძლება ის მიეკუთვნება (სამართლიანად თუ უსამართლოდ) მტრულ დაჯგუფებას ან ანტიტერორისტულ მოქმედებათა თანამონაწილეთ. ასეთ თუ ისე, მათ სურთ მოკლან ეს ადამიანი, და იმუქრებიან, ადგილობრივ ხელისუფალთა დახმარების მხრივ უარის შემთხვევაში, თვითმფრინავს ავაფეთქებთო.

ადგილობრივმა ხელისუფლებმა იციან, რომ ეს ადამიანი უდანაშაულოა, და, გარდა ამისა, არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ანტიტერორისტულ საქმიანობასთან. მაგრამ მათ არა აქვთ დრო განუმარტონ ეს ტერორისტებს. და არ ეჭვობენ, რომ ტერორისტები შეასრულებენ თავიანთ მუქარას, თუ არ მიიღებენ ამ უდანაშაულო ადამიანს. საკითხავია, უნდა გასწირონ უდანაშაულოს სიცოცხლე მგზავრების გადასარჩენად?

ადგილობრივი ხელისუფალნი უტილიტარისტები რომ იყვნენ, შესაძლებლად ჩათვლიდნენ ტერორისტებისადმი დათმობას. მათ გადაწყვეტილებას განსაზღვრავდა ის, უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევდნენ მგზავრების გადარჩენის სარგებლიანობას თუ ტერორისტებისათვის კვერის დაკერის უსარგებლობას.

დეონტოლოგებისათვის კი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლის გაწირვა მორალურად შეუძლებელია. ისინი აღნიშნავენ იმის აუცილებლობას, რომ უნდა დაეცვათ ადამიანის უფლება, ამ შემთხვევაში უდანაშაულო ადამიანის უფლება, და უარი ეთქვათ ამ უფლების დარღვევაზე. ტერორისტები კი, რომლებმაც დაარღვიეს ასევე უდანაშაულო მგზავრების უფლებები, სწაღიან დანაშაულს, რომლისთვისაც ადგილობრივი ხელისუფლება პასუხს არ აგებს. მოკლედ რომ ვთქვათ, დეონტოლოგების აზრით, უდანაშაულოს უფლების დარღვევა მორალური დანაშაულია.

## შენიშვნა დეონტოლოგიური თეორიების წინააღმდეგ

ხშირად ამბობენ, რომ მოქმედებათა რეზულტატების გათვალისწინებაზე სრულ უარის თქმას შეიძლება საშინელი შედეგები მოჰყვეს. ეს შენიშვნა გულისხმობს, რომ ამ შედეგებს დიდი მნიშვნელობა აქვთ; დეონტოლოგები კი, უეჭველია, უპასუხებდნენ, შედეგებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვთო.

ყველაზე საფუძვლიანი შენიშვნა დეონტოლოგიური თეორიების წინააღმდეგ ასეთია: ადვილი სათქმელია, რომ ადამიანმა არ უნდა იცრუოს და ზიანი არ უნდა მიაყენოს უდანაშაულოებს. მაგრამ თუ ეს ორი მორალური წესი (ან საერთოდ ნებისმიერი ორი მორალური წესი) ეწინააღმდეგება ერთმანეთს? თუ თქვენთან სხვენში მალავთ ებრაელებს, საძებრად მოსულ ნაცისტებს უნდა უთხრათ სიმართლე და მშვიდად უყუროთ, როგორ წაიყვანენ უდანაშაულო ადამიანებს სიკვდილის ბანაკში? თუ უნდა იცრუოთ და ამით გადაარჩინოთ რამდენიმე უდანაშაულო? ნებისმიერ შემთხვევაში თქვენ არღვევთ ერთ წესს მეორის შესასრულებლად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეუძლებელია ყველა წესი ერთად დავიცვათ მუდამ.

შიძლება მოგვეჩვენოს, თითქოს ამ მხრივ უტილიტარიზმს სერიოზული უპირატესობა აქვს დეონტოლოგიურ თეორიებთან შედარებით. უტილიტარისტებს მიაჩნიათ, რომ პრინციპში ყოველთვის შიძლება წინასწარ ვიცოდეთ, რომელი მომავალი სიტუაცია მოგვიტანს ყველაზე მეტ ბედნიერებას ყველას, და ყოველთვის შიძლება ვიცოდეთ, როგორი მოქმედებანი აქცევენ ამ სიტუაციებს რეალურად. ალბათ, ისინი ცდებიან. ვინაიდან, როგორც ქაოსის თეორია გვასწავლის, მომავლის წინასწარმეტყველება შეუძლებელია.

დავუბრუნდეთ წინააღმდეგობებს მორალურ წესებს შორის. ადამიანებს ჩვეულებრივ მიდრეკილება აქვთ მორალური წესების რანჟირება მოახდინონ მათი შედარებითი მნიშვნელობების შესაბამისად. დასავლურ საზოგადოებათა მოქალაქეების უმრავლესობას მიაჩნია, რომ თუ ჩნდება არჩევანის სიტუაცია, მაშინ უდანაშაულო ადამიანის სიკვდილისაგან ხსნა უნდა ვარჩიოთ მორალურ პერფექციონიზმს.

დავუშვათ, რომ თანახმა ვართ მორალური წესების კლასიფიკაცია მოვახდინოთ მათ მნიშვნელობათა შესაბამისად, მაშინ რა საფუძველზე შიძლება ერთი წესი უფრო მნიშვნელოვნად მივიჩნიოთ, ვიდრე მეორე? შიძლება თუ არა ასეთ საფუძველად მივიჩნიოთ ის, რომ ერთი წესის დაცვა უფრო მეტ ბედნიერებას მოგვიტანს, ვიდრე მეორე წესის დაცვა? თუ წესების რანჟირება ემყარება სარგებლიანობისა და ყველაზე დიდი ბედნიერების პრინციპს, მაშინ საბოლოო ანგარიშით უტილიტარიზმის თეორია ჭეშმარიტია.

## ზოგიერთი შენიშვნა უტილიტარიზმის წინააღმდეგ

და მაინც უტილიტარიზმის პოზიციას ბევრი ხარვეზი აქვს. კლასიკური შენიშვნა უტილიტარიზმის წინააღმდეგ ის არის, რომ იგი ადამიანს ღორად აქცევს.

დაეუშვათ, რომ ბედნიერება და სიამოვნება ერთადერთი უცილობელი ღირებულებანია. ამ შემთხვევაში, ცხადია, ყველა უნდა ვცდილობდეთ შევექმნათ, აგრეთვე მივიღოთ რაც შეიძლება მეტი უცილობელი ღირებულებანი. მაგრამ ბედნიერებისა და სიამოვნების ზოგიერთი სახეობა ძალიან ძნელად მიიღწევა, ვიდრე სხვები. მაგალითად, გახდეს დიდი მოჭადრაკე ან ბალეტის ვარსკვლავი მხოლოდ ძალზე ცოტას ხვედრია. სიამოვნებისა და ბედნიერების ყველაზე საიმედო და ჩვეულებრივი სახეობანია უმარტივესი და მეტად ცხოველური: ჭამა-სმა, სექსი, სითბო და სიმყუდროვე, უსაქმურობა, ჭიდაობა, აზარტული თამაშები, მარტივი და ყველასათვის გასაგები თამაშები და ა.შ. მაშინაც კი, თუ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყოველივე ეს თავისებურად კარგია, ვერ ვიტყვით, თითქოს მათ შორის ზოგიერთი განსაკუთრებით ღირსეულია. გავრცელებული შეხედულების თანახმად, უტილიტარიზმი გვასწავლის; რომ სჯობს იყო ბედნიერი ღორი, ვიდრე უბედური ფილოსოფოსი. მაგრამ ეს აზრი ბევრ ადამიანში შინაგან პროტესტს იწვევს.

რობერტ ნოზიკი უტილიტარიზმის წინააღმდეგ სხვა არგუმენტს აყენებს. მისი აზრით, უტილიტარიზმი გულისხმობს, რომ რეალობას ილუზია უნდა ვამჯობინოთ. სინამდვილეში კი, ამბობს იგი, ადამიანს ილუზიას რეალობა ურჩევნია, თუნდაც იდეალისაგან ძალზე დაშორებული.

დაეუშვათ, ვილაცამ გამოიგონა მანქანა, რომელიც რეალური ცხოვრების იმიტაციას ქმნის. ეს მანქანა გარკვეულად სტიმულს აძლევს თქვენს ტვინს, გიჩნდებათ ილუზია, თითქოს განიცდით სხვადასხვანაირ ბედნიერებას, სიამოვნებას, მაგრამ სინამდვილეში ეს მხოლოდ თქვენი წარმოსახვაა.

ნოზიკი ფიქრობს, რომ ჩვენ ინსტინქტურად ვგმობთ ილუზორული სიამოვნების იდეას და უარს ვიტყვით ასეთ მანქანაზე, ვამჯობინებთ რეალურ სიამოვნებათა და უსიამოვნებათა ნარევს და არა არსებობას მხოლოდ ილუზიებით, რაც უნდა სიამოვნებას გვანიჭებდნენ ისინი. აგრეთვე გვირჩევენია თავად ვეძებდეთ ბედნიერებას საკუთარი პასუხისმგებლობით, ვიდრე იგი მივიღოთ მექანიზმისაგან, რაც არჩევანის შესაძლებლობას გვისპობს.

უტილიტარიზმის კიდევ ერთი ნაკლი ის არის, რომ იგი გვასწავლის ჩვენი ძალისხმევა წარემართოთ იმ ადამიანებზე, ვისაც მცირე რამ ახარებს, და არა იმათზე, ვისთვისაც დახმარება ძნელია.



განვიხილოთ უბრალო მაგალითი. დაეუშვათ, რომ მორგანი თავისი ხუმრობით სიამოვნებას, ბედნიერებას ჰგერის ადამიანებს. ის სასაცილო ამბებს უყვება ბლობებისა და გრობების ოჯახებს. ისინი მხიარულად იცინიან, მაგრამ ბლობები ამბობენ, რომ ხუმრობამ მათ ოდნავ გამოუყეთა გუნება, მაშინ როდესაც გრობები ამბობენ, რომ ათასჯერ უფრო ბედნიერად გრძნობენ თავს. საერთოდ გრობებს შეუძლიათ სარგებლობა და ბედნიერება ნახონ ფაქტიურად თითქმის არაფრიდან. ჩანს, მორგანს, როგორც უტილიტარისტს, მთელი ძალისხმევა გრობებისათვის უნდა მოეხმარებინა.

ასეთი არჩევანი შეიძლება რეალურ ცხოვრებაში მოხდეს. ცხადია, უფრო იოლია გააბედნიერო ის ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ სიცოცხლით ხარობდნენ, ვიდრე ის ადამიანები, ვისი ცხოვრებაც აღსავსეა უბედურებებით.

განვიხილოთ გადაწყვეტილებები, რომლებიც უნდა მიიღონ იმათ, ვინც განაგებს გადასახადის გადამხდელთა სახსრებს (მაგალითად, საცხოვრებლების დეპარტამენტი). ეს დეპარტამენტი შეიძლება შეეჯახოს იმ აუცილებლობას, რომ ფული დახარჯოს მაღალი ხარისხის, მაგრამ მცირე რაოდენობის სახლების მშენებლობაზე (რომლებიც დიდ ბედნიერებას მოუტანენ მათ მცირერიცხოვან მობინადრეებს), ანდა ააშენოს ნაკლები ხარისხის ბინები, რომლებიც არცთუ დიდ ბედნიერებას მოუტანენ უფრო მეტ ადამიანებს. თუ პირველ შემთხვევაში ამ სახლის მობინადრენი გრობებივით მცირე რაოდენობით გაბედნიერდებიან, ვიდრე საშუალო დონის ადამიანები, ჩანს, დეპარტამენტი, რომელიც უტილიტარიზმის პრინციპებით ხელმძღვანელობს, სახლებს ააშენებს სწორედ მათთვის. მაგრამ სამართლიანობა პირდაპირ საპირისპირო მოქმედებას მოითხოვს. განსაკუთრებით, თუ საშუალო დონის ადამიანების ცხოვრება გაცილებით უარესია, ვიდრე მიღებულია საზოგადოებაში. ჯ.ე. მური გვთავაზობს ამ პრობლემის თავისებურ გადაწყვეტას. იგი ამბობს, რომ უფრო მნიშვნელოვანია თავიდან ავაცილოთ ადამიანებს ტანჯვა, ვიდრე შევქმნათ პოზიტიური ბედნიერება. მკაცრად რომ ვთქვათ, ეს თვალსაზრისი მოკლებულია გონივრულ საფუძველს და მისი სამართლიანობის ერთადერთ საფუძვლად მიჩნეულია საღი გონების ინტუიცია. საბოლოო ანგარიშით არც დეონტოლოგიური თეორიები, არც ის თეორიები, რომლებიც ითვალისწინებენ შედეგებს, სრულად ვერ პასუხობენ საღი გონების ინტუიციას. შესაძლოა, ეს აიხსნება აღნიშნული თეორიების მონისტური ხასიათით, შესაძლოა, საჭიროა პლურალისტური თეორია. ბოლოს და ბოლოს, რატომ უნდა მივიჩნიოთ სწორად რაიმე მარტივი იდეა, მაგალითად ბედნიერების იდეა, როგორც ერთადერთი აბსოლუტური ღირებულების იდეა? განა გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ მარტივი იდეები რთულ იდეებზე ყოველთვის უკეთესია? განა მონიზმი მართლაც უფრო

ახლოსაა ჭეშმარიტებასთან, ვიდრე პლურალიზმი? რეალურ ცხოვრებაში ადამიანები მართლაც მისდევენ გარკვეულ ქცევის პრინციპებს, მაგრამ ისინი ითვალისწინებენ შედეგებსაც. ალბათ, ეს საუკეთესო და ერთადერთი შესაძლებელი ქცევის წესია. შეიძლება ვივარაუდოთ აგრეთვე, რომ პლურალიზმს შეუძლია დაგვეხმაროს ძნელი პრობლემების გადაჭრამი, როგორცაა, მაგალითად, მომაკვდავისათვის მიცემული პირობების შესრულების პრობლემა.

მაგრამ საბოლოო ანგარიშით ჩვენ, ალბათ, ყოველთვის წავაწყდებით ძნელ არჩევანს, რაც უნდა ძლიერი იყოს ჩვენი სურვილი, რომ მოვიქცეთ სწორად. მართალია, ჩვეულებრივ საკმაოდ ცხადია, რა უნდა გავაკეთოთ. თუ ადამიანი იქცევა იმის საწინააღმდეგოდ, რაც უნდა გააკეთოს, ამის მიზეზიც აგრეთვე სრულიად ცხადია: ეგოიზმი, სისუსტე და ა. შ. მაგრამ შესაძლებელია ზოგიერთ საკითხს არა აქვს სწორი პასუხები. შესაძლებელია ზოგიერთი ძნელი გადაწყვეტილება ძნელია სწორედ იმიტომ, რომ ურთიერთსაწინააღმდეგო არგუმენტები თანაბარი ძალისაა. ასეთია ცხოვრება. საბედნიეროდ, იგი ასეთია არა ყოველთვის.

## სიცოცხლე და სიკვდილი

ზოგიერთი უძველესი ფილოსოფიური პრობლემა დაკავშირებულია სიცოცხლისა და სიკვდილის საკითხებთან. მეტაფიზიკაში სულის ან (აღდგომის შემდეგ) სხეულის უკვდავების შესაძლებლობა და მიწიერი გარდასახვის ჰიპოთეზა ფილოსოფიური განსჯის თემებად რჩებოდა სულ ცოტა ორი ათასწლეულის მანძილზე. მორალის ფილოსოფიაში განიხილება ისეთი საკითხების მართლზომიერება-არამართლზომიერება, როგორიცაა მკვლელობა, თვითმკვლელობა, ევთანაზია, აბორტები და ადამიანების სიკვდილი იმ სიტუაციებში, როცა ჯერ კიდევ შეიძლება მათი გადარჩენა.

ამ თავში ზემოდასახელებული თემებიდან განვიხილავთ მხოლოდ ორ მათგანს – სახელდობრ *მკვლელობას* და *თვითმკვლელობას*. განვიხილავთ სხვადასხვა თვალსაზრისსა და არგუმენტებს – ტრადიციულს, ფილოსოფიურს, მოსაზრებებს ისტორიისა და სამართლის დარგებიდან.

### რა არის მკვლელობა?

მკვლელობა არის ხოცვა, მაგრამ არა ყოველგვარი ხოცვა, არამედ წინასწარ განზრახული ხოცვა ადამიანისა ადამიანის მიერ. ამრიგად, ცხოველების, ადამიანებისაგან განსხვავებული არსებების, მოსპობა სხვა ცხოველების ან ადამიანების მიერ ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, არ არის მკვლელობა. შემდეგ, მკვლელობის ჩამდენმა ან იცის, რომ მის უშუალო მოქმედებას მოჰყვება სხვა ადამიანის სიკვდილი, ან არ იცის ეს, რაც თავისთავად სასჯელს იმსახურებს. თუ ადამიანი ესერის მეორე ადამიანს, რომელიც მოხერხებულად შენიღბულია ხის ქვეშ, და ამასთან ვერ ცნობს მას, მაშინ იგი არ სჩადის მკვლელობას. ის ადამიანი კი, რომელიც გაუფრთხილებლად ხსნის ცეცხლს ადამიანთა თავყრილობის ახლოს ისე, რომ არაფრად აგდებს მათ სიცოცხლეს, სხვა თანაბარ პირობებში ნამდვილად ითვლება მკვლელად. აქ უნდა აღინიშნოს, რომ მკვლელობა სამართლებრივი ცნებაა და სხვადასხვა ქვეყანაში მკვლელობის შედგენილობა კანონით მეტნაკლებად განსხვავებულად განისაზღვრება.

ძალიან პატარა ბავშვები ვერ ჩაიდნენ მკვლელობას, ვინაიდან მათ არაფერი გაეგებათ სიკვდილისა და მიზეზშედეგობრივი კავშირისა. მაგრამ მოზრდილ ბავშვებზე ეს აღარ ითქმის. მათ იციან, რა არის სიკვდილი და ხოცვა, მათ შეუძლიათ ჩაიდინონ მკვლელობა. ფსიქიკურად ჯანმრთელ ადამიანს, რომელიც ირწმუნება, არ ვიცი, რატომ არის საშიში იარაღი და რატომ არის დაუშვებელი მკვლელობაო, არ დაეჯერება.

ეს მოკლე განმარტება ბევრ კითხვას უპასუხოდ ტოვებს. შეიძლება თუ არა ლაპარაკი მკვლელობის სხვადასხვა ტიპზე? არის თუ არა ომი მკვლელობის სახეობა? შეიძლება თუ არა თავდაცვა იყოს მკვლელობა?

ამბობენ, რომ არსებობს მკვლელობის რამდენიმე სახეობა. ამერიკის კანონმდებლობა განასხვავებს პირველი, მეორე და მესამე ხარისხის მკვლელობებს. ეს კლასიფიკაცია ასახავს განსხვავებებს, რომლებსაც განაპირობებს ის, თუ რამდენად წინასწარგანზრახულია მკვლელობა. დიდ ბრიტანეთში მკვლელობისათვის დასჯა შეიცავს წინასწარგანზრახულ და არაწინასწარგანზრახულ მკვლელობებს. წინასწარგანზრახული მკვლელობა გულისხმობს ან განზრახვას, ან მიუტყვებელ გაუფრთხილებლობას. წინასწარგანუზრახველი მკვლელობა წინდაუხედაობის შედეგია. ნებისმიერი ტიპის მკვლელობას შეიძლება ჰქონდეს შემამსუბუქებელი გარემოებანი. ბრიტანული კანონმდებლობის მიხედვით არაწინასწარგანზრახული ზოგიერთი მკვლელობა ამერიკული კანონმდებლობის მიხედვით შეიძლება შეფასდეს როგორც მეორე ან მესამე ხარისხის მკვლელობა.

შეიძლება ვილაპარაკოთ აგრეთვე განსაკუთრებით მძიმე და საშუალო მკვლელობებზე. პირველ ტიპს მიეკუთვნება გულმოდგინედ მომზადებული მკვლელობები მშვიდობიან დროს და არა თავდაცვის მიზნით საღ გონებაზე მყოფი ადამიანების მიერ გარეგანი ზეწოლის, იძულების გარეშე. საშუალოდ ითვლება ის მკვლელობები, რომლებსაც სწადიან წინდაუხედავად (ზოგიერთი მკვლელობა სასამართლოს შეცდომის შედეგად) და, უკიდურეს შემთხვევაში, ზოგიერთი მკვლელობა, ჩადენილი ომის დროს. ცალკე კატეგორიებად გამოყოფენ არაწინასწარგანზრახულ მკვლელობებს და ადამიანებისა და ცხოველების მოკვლას, რომლებიც არ ისჯება. პირველი ხარისხის მკვლელობები (აშშ-ის კანონების მიხედვით) მიეკუთვნება მძიმე მკვლელობას, მეორე და მესამე ხარისხისა – საშუალოებს. ინგლისში ზოგიერთ მკვლელობას არა აქვს ერთმნიშვნელოვანი კლასიფიკაცია და არაწინასწარგანზრახულ მკვლელობებსა და საშუალო სიმძიმის მკვლელობებს შორის საზღვარზეა. იუდეურ-ქრისტიანული ტრადიცია გვასწავლის, რომ უდანაშაულო ადამიანების წინასწარგანზრახვით მოკვლა ყოველთვის მკვლელობაა. აქედან,

რა თქმა უნდა, არ გამოძინარეობს, რომ მხოლოდ უდანაშაულო ადამიანების მოკვლა არის მკვლელობა. მაშასადამე, აღმოჩნდა, რომ განსხვავება უდანაშაულობასა და დამნაშავეებს შორის ყოველთვის საშუალებას გვაძლევს მკვლელობა განვასხვაოთ ხოცვისაგან. მაგალითად, შეიძლება მოვკლათ ადამიანი, რომელიც ქურდია, არა იმ დროს, როცა ქურდობს, და არა დანაშაულებრივი წარსულისათვის, არამედ უბრალოდ რაღაც პირადი მოტივით. სხვა დანარჩენი თანაბარი პირობების დროს ასეთი საქციელი შეიძლება შეეფასოს როგორც მკვლელობა – ყოველ შემთხვევაში დასაყვლური სამართლებრივი სისტემების თანახმად, – მაშინაც კი, თუ მსხვერპლი სრულიადაც არ არის უდანაშაულო ადამიანი. მკვლელობის ტრადიციული გაგება შეიძლება შემდეგნაირად გამოვხატოთ: “მკვლელობა არის წინასწარგანზრახული მოსპობა ადამიანებისა, რომლებიც არ არიან დამნაშავენი სხვა საქმეში, რაც შეიძლება გახდეს მათი ხოცვის მიზეზი (თუკი ასეთი მიზეზი არსებობს)”. ამ განსაზღვრების თანახმად, პროფესიული დამნაშავე, რომელიც ჩამოახრჩვეს პოლიციის მიერ შეკოწიწებული ყალბი დანაშაულით. უნდა მივიჩნიოთ მსხვერპლად. მკვლელობის მსხვერპლად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე უმწყობრო ჯარისკაცები და ნეიტრალური სახელმწიფოების მოქალაქეები, რომლებიც მოხვდნენ თანამედროვე ომის პირობებში. უნდა ითქვას, რომ იურისტები შეიძლება არ დაეთანხმონ ორ უკანასკნელ დასკვნას.

## მკვლელობა და ომი

უდანაშაულობის ცნებასთან დაკავშირებულია სხვა პრობლემებიც. ამტკიცებდნენ, რომ უსამართლო ომის შემთხვევაში მოხალისენი და მობილიზებული ჯარისკაცები ერთნაირად დამნაშავეები არიან: თუ ომი უსამართლოა, მაშინ ყველანი მკვლელები არიან. ეს დოქტრინა საშუალებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ თავის მართლება (მაგალითად, იმათი, ვინც გარეულია გენოციდში): “მე მხოლოდ ვასრულებდი ზემოდან დაშვებულ ბრძანებებს”, არ არის გამართლება. მაგრამ, მეორე მხრივ, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში საერთო დანაშაულის თეორია გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებს განსხვავებას ნებაყოფლობითსა და იძულებითს მოქმედებებს შორის.

უდანაშაულობისა და დანაშაულობის თეორია მოწოდებულია, კერძოდ, დაასაბუთოს, რომ საჭიროა საომარ მოქმედებათა სახეობების უმრავლესობის ამოღება მკვლელობის კატეგორიიდან. სამართლიანი ომის შუასაუკუნეობრივი თეორიის თანახმად, თავდაცვითი ომი დასაშვებია, თუ მასში არ

გამოიყენება უზნეო საშუალებანი. აზრი მანკიერ საშუალებათა შესახებ, რომლებიც მოჰყავთ ვიტორიოს, გროციუსსა და სხვებს, შემდეგში მდგომარეობს: უმწყობრო ჯარისკაცებისათვის წინასწარგანზრახული ცეცხლის გახსნა არ შეიძლება გავამართლოთ და იგი უნდა მივიჩნიოთ ან მკვლელობად, ან ისეთივე ცუდ მოქმედებად, როგორცაა მკვლელობა.

ეს თორია აღნიშნავს აგრეთვე შეტყევითი ომის დაშვებას სამართლიანი საქმისათვის, თუმცა იგივე შენიშვნებით, როგორც თავდაცვითი ომის დროს. მისი ყველაზე გვიანდელი ვერსიების თანახმად, შეტყევითი საომარი მოქმედება არ წარმოადგენს დანაშაულს, თუ თქვენ იცავთ სამართლიანობას, ანდა არ იცით, რომ იბრძვით სამართლიანობის წინააღმდეგ. უდანაშაულობის მნიშვნელობის ეს ინტერპრეტაცია არსს აცლის ტრადიციულ მოძღვრებას სამართლიანი ომის შესახებ, რამდენადაც ზედმეტად ამართლებს თავდამსხმელთა უმეცრებასა და თავის მოტყუებას, რითაც აქეზებს სხვადასხვა სახეობის საერთაშორისო, რასებს შორის ძალმომრეობას. მკითხველები, ალბათ, დაგვეთანხმებიან, რომ დღეს აუცილებელია სამართლიანი და უსამართლო ომის კონცეფციის განახლება. ვიდრე ასეთი კონცეფცია არ შემუშავებულა, ძნელია გავავლოთ ზღვარი ომსა და მკვლელობებს შორის.

## მკვლელობა და თვითდაცვა

არსებობს თუ არა მკვლელობის უფლება თვითდაცვის მიზნით? რამდენად ფართოდ ვრცელდება ის? ვრცელდება თუ არა იგი კერძო საკუთრების დაცვაზე? არსებობს თუ არა უფლება ან მოვალეობაც კი – გადავარჩინოთ სხვა ადამიანები მკვლელის თავდასხმისაგან და აუცილებლობის შემთხვევაში დავხოცოთ თავდამსხმელები?

ბევრი ფილოსოფოსი, და განსაკუთრებით თომას ჰობსი, საკუთარი სიცოცხლის დაცვის უფლებას აღიარებს აბსოლუტურად. ჰობსი წერს: “ადამიანს არ შეუძლია უარი თქვას იმ უფლებაზე, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს იმათ, ვინც ძალის გამოყენებით ცდილობს სიცოცხლეს გამოასაღმოს იგი”, აგრეთვე: “შეთანხმება, რომ ძალისაგან ძალით არ დავიცვათ თავი, ყოველთვის უშედეგოა”. იგი ამბობს, რომ მსჯავრდებული არ უნდა დაისაჯოს ციხიდან გაქცევის ან ჯალათზე თავდასხმისათვის. მეორე მხრივ, უკლებლივ ყველა მთაფრობა მკაცრად ზღუდავს მოქალაქეთა უფლებას – იმოქმედონ თვითდაცვის მიზნით, და ამტკიცებენ, თითქოს თვითდაცვის უფლებამ ადგილი დაუთმო პოლიციური დაცვისა და ზარალის სამართლებრივ ანაზღაურების მექანიზმებს. და მაინც მოსამართლესა და

პოლიტიკოსებსაც კი დასაშვებად მიაჩნიათ, რომ მოქალაქეს უფლება აქვს დაიცვას თავისი სიცოცხლე (მოკლას კიდევ თავდამსხმელი, თუ ამას სიტუაცია მოითხოვს), როცა შეუძლია დაამტკიცოს, რომ ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრივ დაცვის იმედი არ ჰქონდა. მაგრამ დიდ ბრიტანეთსა და ევროპაში (ამერიკის შეერთებული შტატებისაგან განსხვავებით) სასამართლოები მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში აღიარებენ, რომ ასეთ უკიდურეს სიტუაციებს მართლაც ჰქონდა ადგილი.

თვითდაცვის ტრადიციული დასავლური კონცეფცია ემყარება წანამძღვარს, რომ თითოეულ ადამიანს აქვს სიცოცხლის ბუნებრივი უფლება, მაგრამ ეს უფლება იზღუდება, რაც იმით არის ნაკარნახევი, რომ სერიოზული დანაშაული უნდა დაისაჯოს (სიკვდილითაც კი). სიცოცხლის უფლება განუყოფელია საკუთარი სიცოცხლის დაცვის უფლებისაგან პირდაპირი თავდასხმისას, მაგრამ თავდამცველმა უნდა გამოიყენოს ადეკვატური დაცვის საშუალებანი. მისი მოტივი უნდა იყოს თავდაცვა და არა თავდამსხმელთათვის ზიანის მიყენება. თავდამსხმელის მკვლელობა დაუშვებელია, თუ ამის თავიდან აცილება შეიძლება. მკვლელობის უფლება პირდაპირი თავდასხმისაგან მეორე ადამიანის გადასარჩენად იგივე შენიშვნებსა და შეზღუდვებს ითვალისწინებს. თავდამსხმელის მოკვლა, როცა ეს ნამდვილად ერთადერთი საშუალებაა საკუთარი სიცოცხლის შესანარჩუნებლად, დასავლურ სამართლებრივ სისტემებში არ კვალიფიცირდება მკვლელობად.

საგაზეთო ცნობები ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთში მოწმობენ, რომ ამ სახელმწიფოებში ქურდის მკვლელობა დაშვებულია კერძო საკუთრების დაცვის მიზნით.

### რატომ არის მოკვლა ცუდი?

ცუდია თუ არა მკვლელობა *განსაზღვრების მიხედვით?* თუ არა, მაშინ საჭიროა სერიოზულად დასაბუთდეს მისი არამართლზომიერებანი.

განვიხილოთ შემდეგი განსაზღვრება: “სისხლით ნათესავი ბიძები მამის მხრიდან მამის ძმები არიან”. ეს ჭეშმარიტება ემყარება ენის წესებს, რომლებიც არეგულირებენ სიტყვებს “ბიძა”, “მამა”, “ძმა” და ა.შ. და რამდენადაც ეს წმინდა წყლის ვერბალური წესებია, სისულელე იქნება ვიკითხოთ, რა კონკრეტულ საფუძველზეა ყველა სისხლით ნათესავი ბიძა მამის მხრიდან მამის ძმები. პასუხი ტრივიალურია. ასეთია ამ სიტყვების მნიშვნელობა. ასევე, თუ მკვლელობა ცუდია განსაზღვრების მიხედვით, მაშინ უაზროა ვიკითხოთ, რატომ არის სწორედ ის ცუდი.

დღეს, როცა ცდილობენ გაამართლონ მოკვლის ზოგიერთი სახეობა, გაჩნდა ტენდენცია ამ ქმედებას დაერქვას ახალი სახელწოდება – მოკვლინება თანაგრძობის გამო, პოლიტიკური მკვლელობა ან მკვლელობა თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ტენდენცია, რომ შეარჩიონ ახალი სახელწოდება იმ მკვლელობათათვის, რომლების გამართლებასაც ცდილობენ სიტყვების უნაგლიორობით, ამაგრებს თვალსაზრისს მკვლელობათა ბიწიერების შესახებ. თუმცა ეს დასკვნა მთლად დამაკმაყოფილებელი არ არის. მკვლელობის მანკიერების რწმენა, ცხადია, მხოლოდ ენის შესახებ მოსაზრებას არ ემყარება.

რატომ გმობენ მკვლელობას მთელ ცივილიზებულ სამყაროში? ეს აიხსნება სამი ურთიერთდაკავშირებული მიზეზით, სახელდობრ, *შინაგანი ღირებულებებით, სუბიექტური ღირებულებებით და ბუნებრივი უფლებებით.*

სოკრატე ამბობს, რომ ზოგიერთი რამ და სიტუაციები კარგია როგორც მიზნების მიღწევის საშუალება, ზოგიერთი კარგია როგორც მიზნები (შინაგანად კარგი), ზოგიერთი კი როგორც საშუალებაც და როგორც მიზანიც ერთდროულად. ყველა ადამიანი, შეგნებული აქვს მას ეს თუ არა, ზოგიერთ რამესა და სიტუაციებს განიხილავს როგორც მიზნებს. მაგალითების მონახვა ძნელი არ არის. ჯანმრთელობა და ბედნიერება ყველგან უცილობელ სიკეთედ ითვლება. ასევე აღიქმება სილამაზე და ძალა. მრავალ ადამიანს დამოუკიდებელ ღირებულებებად მიაჩნია განათლება, ცოდნა, გამოცდილება.

ადამიანის სიცოცხლე ღირებულების მქონეა როგორც ასეთი. შეუძლებელია მივიჩნიოთ, რომ ადამიანის სიცოცხლე როგორც ასეთი ღირებულების მქონეა მხოლოდ როგორც ჩვენი სხვა მიზნებისათვის მიღწევის საშუალება. რა თქმა უნდა, ასე არაფერია აღიქვამს საკუთარ სიცოცხლეს ან ახლობლების სიცოცხლეს. ადამიანის სიცოცხლის შინაგანი ღირებულება ცხადია საღი გონებისათვის. ადამიანის სიცოცხლე რომ არ იყოს ღირებული როგორც ასეთი, მაშინ რაღას უნდა ვუწოდოთ საერთოდ ღირებული? რა აზრი ექნებოდა ადამიანის ჯანმრთელობას ან ბედნიერებას, თვით ადამიანი რომ არაფერს ნიშნავდეს?

ადამიანის სიცოცხლის შინაგან ღირებულებას ტრადიციულად რელიგიური საფუძველი აქვს, და ამიტომ სიცოცხლეს ზოგჯერ წმინდას უწოდებენ. ეს რელიგიური ახსნა, რა თქმა უნდა, ბიბლიიდან მომდინარეობს. სახარებაში ნათქვამია, რომ ღმერთმა შექმნა ადამიანი თავისი საკუთარი ხატის მსგავსად. ადამიანის სიცოცხლე წმინდაა, რამდენადაც კაცობრიობა ღმერთის მსგავსია. მიუხედავად ამისა, შინაგანი ღირებულება, კერძოდ ადამიანის სიცოცხლის შინაგანი ღირებულება, შეიძლება გავიგოთ რელიგიური მოსაზრებების გარეშეც.



ტერმინი “სუბიექტური ღირებულება” გამოხატავს იმ ფაქტს, რომ თითოეული ინდივიდი, როგორც წესი, დიდად აფასებს საკუთარ სიცოცხლეს. რა თქმა უნდა, ამ წესს გამონაკლისებიც აქვს: ზოგიერთ ადამიანს, როგორც ჩანს, არ აღუვებს, ცოცხლები არიან ისინი თუ მკვდრები. მაგრამ ძალიან ხშირად ასეთი ადამიანები მძიმე ავადმყოფები ან ფსიქიურად არანორმალურები არიან. ამასთან უნდა ვაღიაროთ, რომ დიდმა დარდმა ადამიანებს შეიძლება სიკვდილის სურვილი აღუძრას მაშინაც კი, თუ ისინი ახალგაზრდები და ჯანსაღნი არიან. ამ ფენომენებს განვიხილავთ შემდეგ, როცა თვითმკვლელობაზე ვილაპარაკებთ.

მკვლელობის დაგმობის მქსამე მიზეზი აიხსნება ბუნებრივი უფლებების ისტორიული და ფილოსოფიური მნიშვნელობით. როგორც უკვე ვნახეთ, თომას ჰობსი აღნიშნავს, რომ არ შეიძლება უარი ვთქვათ სიცოცხლის უფლებაზე, რადგან მისგან გაუცხოება არ შეიძლება. ჯონ ლოკი, რომლის პოლიტიკური იდეები, როგორც აღიარებულია, ამერიკისა და საფრანგეთის რევოლუციების ინტელექტუალურ ფუნდამენტად იქცა, თვლის, რომ თითოეულ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების ბუნებრივი უფლება. ცხადია, სიცოცხლის უფლება ფუძემდებლური უნდა იყოს, რადგან ყველა დანარჩენ უფლებაზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი ცოცხალია. მკვლელი არღვევს ყველაზე ფუნდამენტალურ ადამიანურ უფლებას.

### რა არის თვითმკვლელობა?

ზოგჯერ ამბობენ, რომ თვითმკვლელობა შეიძლება იყოს კეთილშობილური ან სათნო ქცევაც კი. ამ თვალსაზრისის განსამტკიცებლად ზოგჯერ იმოწმებენ სოკრატეს სიკვდილს. სხვა მაგალითად მოჰყავთ კაპიტან ოტსის, სკოტის ერთ-ერთი ამხანაგის, ქცევა. 1912 წელს სამხრეთ პოლუსიდან დაბრუნებისას ოტსი დიდ ქარიშხალში დაადგა ძნელ გზას, რათა გადაერჩინა თავისი მეგობრები. ის შეცდა: მისი მეგობრები მალე დაიღუპნენ. მაგრამ მისი საქციელი კეთილშობილების ნიმუშად არის მიჩნეული.

ეს მაგალითები მოწმობენ არა ზოგიერთი თვითმკვლელობის კეთილშობილებას, არამედ უფრო იმას, რომ ყველა ასეთი ქცევა არ უნდა მივიჩნიოთ თვითმკვლელობად. რისკის სიყვარული და სამიში თავგადასავლები, მაგალითად, ალპინისტებისა, არ მეტყველებენ იმას, რომ ამ ადამიანებს აქვთ მიდრეკილება თვითმკვლელობისადმი. სწრაფი მანქანების ტარებას შეიძლება მოჰყვეს სიკვდილი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ სპორტის მოყვარულები

სიკვდილს ესწრაფვიან, არმიაში სამსახური საშიშია სიცოცხლისათვის, მაგრამ იგი არ წარმოადგენს თვითმკვლელობას. თვით იმ ჯარისკაცს, რომელიც სიკვდილის შემდეგ დააჯილდოეს მამაცობის მედლით საკუთარი სიცოცხლის ფასად ამხანაგების გადარჩენისათვის, არ ჩაუდენია თვითმკვლელობა, თუმცა აქ შეიძლება ვილაპარაკოთ მის თავგანწირვაზე (მაგრამ სინამდვილეში ეს თავგანწირული სიბამაცე არის მხოლოდ მოჩვენებითი თვითმკვლელობა).

ცხადია, რომ სოკრატეს სიკვდილი არ იყო თვითმკვლელობა. საწამლაის მიღება ბერძნებთან იყო სასჯელის ფორმა. უეჭველია, რომ თუ პატიმარი უარს იტყოდა საწამლაის მიღებაზე, მას მოკლავდნენ უფრო სასტიკი წამებით. სოკრატეს თანხმობა – მიეღო საწამლაი ანალოგიურია იმ შემთხვევებისა, როცა თანამედროვე ადამიანი თანახმაა მოკლან საჯალათო კუნძულზე.

თუ ადამიანის ქცევას შედეგად მოჰყვა მისი სიკვდილი, ეს ჯერ კიდევ არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ მისი ქცევა ჩავთვალოთ თვითმკვლელობად – მაშინაც კი, თუ ეს აქტი ჩადენილია შეგნებული გადაწყვეტილებით. სოკრატე არ დალევდა საწამლავს, ათენის ხელისუფლებს მისთვის თავისუფლება რომ ებოძებინათ.

### შეიძლება თუ არა გავამართლოთ თვითმკვლელობა?

მხედრელები თვითმკვლელობის შესახებ უკიდურესობებით ხასიათდებიან. ტრადიციული იუდეურ-ქრისტიანული თვალსაზრისით, მოსეს კანონი მკვლელობის წინააღმდეგ აბსოლუტურია; ჩვეულებრივ მიაჩნიათ, რომ იგი თვითმკვლელობაზეც ვრცელდება. საპირისპირო უკიდურესობაა თვალსაზრისი, რომლის თანახმად თვითმკვლელობა ან სრულიად არამართლზომიერია, ან არამართლზომიერია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ცუდი შედეგები მოსდევს. ასე, უტილიტარისტები თვლიან, რომ თვითმკვლელობა დასაგმობია მხოლოდ მაშინ, თუ მას მოსდევს ცოცხალ ადამიანთა დარდი და სასოწარკვეთა. სხვები კი ამტკიცებენ, რომ, რაკი ჩემი სიცოცხლე მეკუთვნის მე, შემიძლია მას ისე მოვექცე, როგორც მსურს, მიუხედავად იმისა, მოჰყვება თუ არა მძიმე შედეგები ჩემს სიკვდილს და დაადარდიანებს თუ არა სხვებს.

ჩვენი თვალსაზრისი უფრო ზომიერია. ყველაზე ხშირად თვითმკვლელობა უგუნურებაა, მაგრამ მაინც ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება მისი გამართლება. ამ პოზიციის დასაცავად განვიხილავთ ზოგიერთ მნიშვნელოვან საწინააღმდეგო მაგალითს, შემდეგ კი განვიხილავთ იმ თვალსაზრისს, რომლის მიხედვით “ჩემი სიცოცხლე მეკუთვნის მე”.

## თვითმკვლელობა უკიდურეს სიტუაციებში

თუმცა იმის სურვილი, რომ მოკვდეს აზრით “რაც იქნება იქნება” და დადებითი, თანამიმდევრული, დამოუკიდებელი მოქმედება ამ სურვილის შესასრულებლად თვითმკვლელობის საკმაო პირობაა, ისინი მაინც არ წარმოადგენენ აუცილებელ პირობას. ცნობილია თვითმოსაპობის შემთხვევები, რომლებიც უნდა განვიხილოთ როგორც თვითმკვლელობა და ასე მიაჩნია ადამიანების უმრავლესობას, თუმცა ინდივიდმა გადაწყვიტა მომკვდარიყო არა აზრით “რაც იქნება, იქნება”, არამედ იმ მიზნით, რომ თავიდან აეცილებინა საშინელი ალტერნატივა. გერმანელი ნაცისტების წინააღმდეგ ომის დროს ბრიტანელი საიდუმლო აგენტები ზოგჯერ ყლაპავდნენ საწამლაფიან კაქსულებს, რომლებიც დამზადებული იყო ტყვედ ჩაყარდნის შემთხვევისათვის. ამ ადამიანებს არ სურდათ მომკვდარიყვნენ აზრით: “რაც იქნება, იქნება”, მათ სურდათ მომკვდარიყვნენ ჩქარა და თავიდან აეცილებინათ ნელი სიკვდილი და წამება, რაც აიძულებდათ მათ გამცემლობას. ჩანს, არსებობს საფუძველი ასეთი სიკვდილი გამართლებულ თვითმკვლელობად ჩავთვალოთ. უეჭველია, ასეთივეა ონკოლოგიური ავადმყოფების სიკვდილი მორფის სასიკვდილო დოზის მიღებით იმ დროს, როცა ტკივილების გაყუჩების საშუალებანი არ იყო ისეთი სრულყოფილი, როგორც დღეს არის.

მაშასადამე, ადამიანები, რომლებმაც თვითმკვლელობა ჩაიდინეს უკიდურეს სიტუაციებში, შეიძლება გაეამართლოთ.

### ჩემი სიცოცხლე მეკუთვნის მე

შეიძლება თუ არა ვამტკიცოთ, რომ თვითმკვლელობა ყოველთვის დასაშვებია? ზოგჯერ ამბობენ, როგორც ადამიანს უფლება აქვს მოსაპოს პირადი საკუთრება (მაგალითად, გაზეთები, ჩაიდნები ან ნახმარი, გაცვეთილი ტანსაცმელი), ზუსტად ასევე უფლება აქვს მოისაპოს საკუთარი სიცოცხლე. სიცოცხლე ხომ საკუთრებაა, და თითოეულ ადამიანის სიცოცხლე ეკუთვნის მხოლოდ თვით მას.

ვთქვათ, ჩემი სიცოცხლე მართლაც მხოლოდ მე მეკუთვნის, გამომდინარეობს თუ არა აქედან, რომ მე თვითმოსაპობის უფლება მაქვს? ჩემი უფლება, რომ მოვსაპო რომელიმე გამოუსადეგარი საგანი, მაგალითად, გაზეთი ან ჩაიდანი, ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ნიშნავს ეს იმას, რომ უფლება მაქვს მოვსაპო

ყველაფერი, რაც ჩემი საკუთრებაა? მაგალითად, შეიძლება, მე ვფლობ ხელოვნების ნაწარმოებთა მშვენიერ კოლექციას, მაგრამ ამ საკუთრების, ამ კოლექციის მოსპობა საზიზღარი საქციელი იქნებოდა.

ადამიანის სიცოცხლე ღირებულებაა, თითოეული ინდივიდი უნიკალურია. საეჭვოა, რომ საკუთრების უფლება გულისხმობდეს აბსოლუტურ უფლებას მოსპონ ძვირფასი და უნიკალური ნივთები.

ასეა თუ ისე, საკუთრების უფლების ცნებას საკუთარ სიცოცხლესთან მიმართებაში სრულიად განსაკუთრებული აზრი აქვს. საკუთრება ამ აზრით აღიქმება როგორც ხელისუფლების ან უფლების მეტაფორა. კიდევ უფრო უარესია მაგალითები სოცოცხლის საკუთრების უფლების შესახებ. ძველ რომში, მამებს კანონიერი უფლება ჰქონდათ მოეკლათ ახალშობილი ბავშვები; უცვლელია, ეს უფლება ემყარებოდა იმის რწმენას, რომ შვილები თავისი მამების კუთვნილებათაა. ქმრის უფლება, რომ მოეკლა ორგული ცოლი, აგრეთვე ემყარებოდა იმ შეხედულებას, რომ ისიც ქმრის საკუთრებას წარმოადგენს. თანამედროვე დასავლურ საზოგადოებებში, რომლებიც ჩამოყალიბებულია ქრისტიანობის, ხოლო მოგვიანებით ფემინიზმის გავლენით დამკვიდრდა შეხედულება, რომ ბარბაროსული ხასიათისა იყო ძველი წარმოდგენები საკუთრების შესახებ, რომლებიც აბსოლუტურ უფლებას აძლევდნენ მამებსა და ქმრებს განეგოთ თავიანთი ოჯახის წევრების სიკვდილ-სიცოცხლე.

არსებობს აგრეთვე შეხედულება, რომ ჩემი სოცოცხლე არ მეკუთვნის მე მთლიანად თუნდაც მეტაფიზიკური აზრით, რომ ჩემი სიცოცხლე ნაწილობრივ ეკუთვნის საზოგადოებას, რომელშიც დავიბადე და რომელმაც გამზარდა. ეს თვალსაზრისი გაიზიარა ბევრმა სახელმწიფომ. როგორც ძველმა, ისე თანამედროვემ.

ზოგიერთ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი იაპონიაში, თვითმკვლელობა არ მიაჩნიათ ასე უარყოფით მოვლენად. იაპონელი ბიზნესმენი, რომელიც უსინდისოდ მოიქცა და რომელსაც ემუქრება საჯარო მხილება, საზოგადოების თვალსაზრისით იგებს, თუ შერცხვენას თავიდან აიცილებს თვითმკვლელობით. დასავლურ სახელმწიფოთა თვალსაზრისით, ასეთი სახის თვითმკვლელობა პოლიციისაგან გაქცევაზე ოდნავ უკეთეს საქციელად გამოიყურება. დასავლეთში უსინდისო ბიზნესმენის თვითმკვლელობა განიხილება არა როგორც დანაშაულის გამოსყიდვის ღირსეული საშუალება მის მსხვერპლთა წინაშე, არამედ როგორც შურისძიებისაგან თავის არიდების უღირსი საქციელი. რომელი თვალსაზრისია უფრო გონივრული? ბიზნესმენის სიკვდილი იაპონიაშიც კი ზარალის კომპენსაციის მხოლოდ სიმბოლური გამოსა-

ტულებაა. იმის მზადყოფნა, რომ აანაზღაუროს თავისი ქცევით გამოწვეული ზარალი, უფრო სამართლიანია. ამრიგად, შეიძლება წინასწარ დავასკვნათ, რომ სირცხვილისა და დასჯისაგან თვითმკვლელობით თავის არიდება არ წარმოადგენს ეთიკურად გონივრულ ქცევას.

## თვითმკვლელობა და სარგებელი

თვითმკვლელობის თაობაზე უტილიტარისტული პოზიცია ასეთია: ტანჯვა-წამება თვითმოსპობის საკმაო საფუძველია, თუ ამ ინდივიდის თვითმკვლელობა ტანჯვას არ მიაყენებს სხვა ადამიანებს. გარდა ამისა, მხოლოდ თვით ადამიანს შეუძლია განსაზღვროს საკუთარი ტანჯვის სიმძიმე. გარეშემ შეიძლება ხელი შეუშალოს ადამიანს ჩაიდინოს თვითმკვლელობა, ე.ი. გადაეადოს თვითმკვლელობა დროებით, რაც აუცილებელია იმის დასადგენად, აქვს თუ არა მას მოვალეობანი კმაყოფაზე მყოფთა მიმართ და მორალური ვალდებულებანი მეგობრების წინაშე, აგრეთვე დარწმუნდეს, რომ საღ გონებაზეა და გაცნობიერებული აქვს თავისი საქციელის შედეგები. თუ მას არ ჰყავს მეგობრები და კმაყოფაზე მყოფნი, თუ იგი ფსიქიკურად ჯანმრთელია და გადაწყვიტა, რომ მისი უბედურება სერიოზული და უსაშველოა, მას ნება უნდა დაერთოს თავი მოიკლას.

უტილიტარისტული პოზიცია ღრმად მცდარია, რადგან ემყარება იმ წანამძღვარს, რომ მხოლოდ უბედურმა ადამიანმა იცის თავისი უბედურების სიმძიმე. ცხოვრებისეული გამოცდილება ცხადყოფს, რომ დიდი უბედურებაც კი შეიძლება წარმავალი იყოს. ეს განსაკუთრებით ეხება ახალგაზრდა კაცებს ან ქალებს, რომლებმაც თავის მოკვლა გადაწყვიტეს. საესეებით შესაძლებელია, რომ შედარებით უფროსი ადამიანები, რომლებიც უკეთესად იცნობენ ცხოვრებას, შეძლებენ აუხსნან ასეთ ახალგაზრდებს, რომ მათი უბედურება წარმავალია და არც ისე სერიოზულია, როგორც ჰგონიათ.

ღრმად მოხუცი ადამიანის ქცევა სხვა საქმეა. მოხუცი და უძლური ადამიანების გადაწყვეტილება – უარი თქვან სამედიცინო დახმარებაზე, არ უნდა მივიჩნიოთ იმ განზრახვად, რომ თავი მოიკლან. ასეთი გადაწყვეტილება გამოწვეულია გარდაუვალი ბუნებრივი სიკვდილის მოახლოებით და მისწრაფებით არ დაკარგონ თავდაჭერილობა.

## დასკვნები

სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში მკვლელობები, რომლებიც იმსახურებენ სერიოზულ სასჯელს, და ნაკლებად მძიმე მკვლელობები სხვადასხვანაირად განისაზღვრება, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში დასაველეთის ქვეყნებში, ეს განსხვავება არ არის არსებითი. მთლიანად საზღვრები მკვლელობასა და მოკვლის სხვა სახეობებს შორის მეტად მერყევია. ყველაზე მეტი გაურკვევლობა დაკავშირებულია ომთან და სასჯელთან სასიკვდილო განაჩენის ფორმით. სრულიად არ არის ნათელი, როდის და რამდენად არის ომი და სასჯელი სასიკვდილო განაჩენის ფორმით მკვლელობასთან ახლოს (რა თქმა უნდა, პაციფისტები გვიპასუხებენ: “ყოველთვის და მთლიანად”).

არც თვითმკვლელობა, არც მკვლელობა არ არის ცუდი განსაზღვრების მიხედვით. საფუძვლები, რომელთა თანახმად ეს მოქმედებანი ცუდია, დაკავშირებულია, ჯერ ერთი, ადამიანის სიცოცხლის შინაგან ღირებულებასთან, მეორე, ადამიანის სიცოცხლის სუბიექტურ ღირებულებასთან, მესამე, სულ ცოტა, მკვლელობის შემთხვევაში ადამიანის ბუნებრივ უფლებებთან.

შეიძლება წარმოვიდგინოთ (თუმცა ეს სინამდვილეში ნაკლებ სავარაუდოა), რომ მკვლელობა შეიძლება იყოს მცირე ბოროტება სხვა არჩევანთან შედარებით. უფრო სავარაუდოა, რომ თვითმკვლელობა ყოველთვის არ არის უგუნურება და ყოველთვის არ არის ცუდი.

უტილიტარისტებს სამართლიანად მიაჩნიათ, რომ ცოცხლად დარჩენილი ახლობლების დარდი საფუძვლიანი საბუთია თვითმკვლელობის ჩადენის წინააღმდეგ.

მტკიცებას, რომ ჩემი სიცოცხლე მეკუთვნის მე, განსაკუთრებული აზრი აქვს. პირდაპირი აზრით არავის არა აქვს უფლება ვიღაცის სიცოცხლეზე. ამ კონტექსტში საკუთრება, უკეთეს შემთხვევაში, ხელისუფლების, კანონის ან უფლების მეტაფორაა, ხოლო ხელისუფლება, კანონი და უფლება საჭიროებს დასაბუთებას, გამართლებას.

სალი გონება და ცხოვრებისეული გამოცდილება მოწმობს, რომ უბედური ადამიანები შეიძლება შეცდნენ თავისი საკუთარი უბედურების სიმძიმის შეფასებაში. ბედნიერება და უბედურება ისეთი მდგომარეობაა, რომ ერთმანეთს ენაცვლებიან ყველა ადამიანის ცხოვრებაში და ეს ნიშნავს, რომ თვითმკვლელობა მაშინაც კი, როცა მას სჩადიან არა სულმოკლეობით, ხშირად უაზრობაა.

პოლიტიკური ფილოსოფია:  
სახელმწიფოს და მოქალაქის  
ფილოსოფია





## ხელისუფლება და ანარქია

ბევრი მკითხველი სიტყვას “ანარქია” უკავშირებს სოციალურ ქაოსს და უკონტროლო ძალმომრეობას. მაგრამ ანარქიზმის თეორეტიკოსები არ ამტკიცებენ, სოციალური ქაოსი არის იმის ღირსი, რომ მისწრაფების საგნად ვაქციოთო. ანარქიზმის თეორია ვარაუდობს, რომ ჩვენ, ადამიანთა მოღვაძე, უკეთესად ვიცხოვრებდით, სახელმწიფოები რომ არ ყოფილიყო. ანარქისტის მტკიცებით, არსებობენ ადამიანთა საზოგადოების მოწყობის უფრო მარტივი და სრულყოფილი მეთოდები. პ.ე. პრუდონის თანახმად, მაგალითად, სოციალური ქაოსისა და ძალმომრეობის მიზეზები არიან არა ინდივიდები და ინდივიდთა მცირე ჯგუფები, არამედ თვით სახელმწიფო.

### მემარცხენე და მემარჯვენე ანარქიზმი

განსხვავება მემარცხენე და მემარჯვენე ანარქიზმს შორის შემდეგში მდგომარეობს: მემარცხენე ანარქისტებს (მაგალითად, XIX საუკუნეში მცხოვრებ თავად კროპოტკინს) სწამთ, რომ იდეალური (უსახელმწიფო) ადამიანთა საზოგადოება დაეფუძნება ნებაყოფლობითს დემოკრატიულ კოოპერაციას. მასში თითქმის არ სულ არ იქნება კერძო საკუთრება (გარდა პირადი ნივთების, მაგალითად, ტანსაცმლისა), ვინაიდან მიწა და ძირითადი წარმოების საშუალებანი საერთო მფლობელობაში გადავა.

მემარჯვენე ანარქიზმი თანამედროვე პოლიტიკური თეორიის განშტოებაა, რომელსაც ზოგჯერ კაპიტალისტურ ლიბერტარიზმს უწოდებენ. ამ თეორიის მომხრეებს სურთ სახელმწიფოს ფუნქციები დაიყვანონ მინიმუმამდე, ზოგიერთი მათგანი – ანარქისტები – კი ქადაგებს სახელმწიფოს სრულ გაუქმებას. მემარჯვენე ანარქისტებს სწამთ, რომ იდეალურ ადამიანთა საზოგადოების საფუძველი იქნება კერძო საკუთრებაზე აბსოლუტური უფლება და დაემყარება ნებაყოფლობითს კოოპერაციას ინდივიდებს შორის და ინდივიდების მცირე და დიდ გაერთიანებებს შორის ეკონომიკურ გაცვლას. მემარჯვენე ანარქისტები და მათი უახლოესი თანამოაზრენი – მინიმალური

სახელმწიფოს მომხრენი – იმედოვნებენ, რომ კაპიტალიზმი განვითარდება საკუთარი, მეტნაკლებად დაუბრკოლებელი გზით. მათი აზრით, კაპიტალიზმს მუდამ უდიდესი სარგებელი მოაქვს ყველასათვის, თუმცა უფლებრივი შეზღუდვები და გადასახადები ამცირებენ ამ სისტემის ეფექტიანობას, მაშასადამე, მის მიერ მოცემულ სარგებლობასაც. თუ გაუქმდება გადასახადები, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა და სხვა მსგავსი შეზღუდვები, მაშინ კაპიტალისტური სისტემის ბუნებრივი ფუნქციონირება ავტომატურად აღმოფხვრის დაბალხარისხოვანი საქონლის წარმოებას, გარემოს დაბინძურებას და დამტკიცებს თავის ეფექტიანობას.

## შეიძლება თუ არა სახელმწიფოს გაუქმება?

დავუშვათ, მივედით იმ დასკვნამდე, რომ მმართველობის სახელმწიფოებრივი ფორმები ცუდია. შეიძლება თუ არა თავი დავაღწიოთ მათ? ჩვენ არ შეგვიძლია გავიქცეთ სახელმწიფოდან, ვინაიდან დედამიწაზე არ დარჩა ადგილები, სადაც მას დაემალებიან. მიწის ყოველი მტკაველი რომელიმე ეროვნულ სახელმწიფოს ეკუთვნის.

წარსულში მემარცხენე (სოციალისტურად განწყობილი) ანარქისტები ამტკიცებდნენ, რომ სახელმწიფოსაგან თავის დაღწევის ერთადერთი საშუალებაა მმართველების მოკვლა ან რადიკალური რევოლუციის მოხდენა. აქ უნდა გავიხსენოთ ერთი მნიშვნელოვანი გამონაკლისი – განდი. განდი იყო თავისებური მემარცხენე ანარქისტი, მას სწამდა, რომ ყველაზე სრულყოფილი საზოგადოება უნდა ემყარებოდეს მცირე ჯგუფების (სოფლების ან თემების) ნებაყოფლობით კოოპერაციას. მაგრამ ილაშქრებდა ყოველგვარი ძალმომრეობის წინააღმდეგ, აჯანყებების ჩათვლით, და მოითხოვდა გამოეყენებინათ პასიური წინააღმდეგობის ტაქტიკა.

თანამედროვე მემარჯვენეები (კაპიტალისტური განწყობილების ანარქისტი ლიბერალები) ხშირად გვირჩევენ მიემართოთ არარევოლუციურ მოქმედებებს. ზოგიერთი მათგანი ვარაუდობს, რომ სახელმწიფოს გაუქმება შეიძლება დემოკრატიული პოლიტიკური საშუალებებით, ზოგს კი მიაჩნია, რომ სახელმწიფოები რაც უფრო მეტ კონტროლს უწევენ მოსახლეობას, მით უფრო ნაკლებ ეფექტიანი ხდებიან ისინი და ბოლოს კვდებიან ბუნებრივი სიკვდილით. ზოგიერთი “სახელმწიფოს მოწინააღმდეგენი” გვირჩევენ გამოვიყენოთ ულიტის ტაქტიკა. ანარქისტებს მიაჩნიათ, რომ უნდა ვეცადოთ დავარწმუნოთ ჭკვიანები და განათლებულები მაღალი თანამდებობის და სახელმწიფო სათავეში მდგომნი (გენერლები, დიდი ბიზნესმენები), რომ

აუცილებელია გაწყვიტონ თანამშრომლობა მთავრობასთან. როცა ელიტა დარწმუნდება ანარქიზმის გონიერულობაში, სახელმწიფო მოკვდება.

ძველი ყალიბის მარქსისტები ამბობენ, რომ მხოლოდ ძალმომრეობითი რევოლუცია გვიხსნის კაპიტალიზმისაგან და კაპიტალისტური მმართველობის ფორმებისაგან. მარქსი ამტკიცებს, რომ წარმატებული ანტიკაპიტალისტური რევოლუციის შემდეგ ჩამოყალიბდება ახალი, მაგრამ გარდამავალი სახელმწიფო – პროლეტარიატის დიქტატურა. ამ პროლეტარულ სახელმწიფოს მალე შეცვლის კომუნიზმი და სახელმწიფო ჩვენი გაგებით აღარ იარსებებს. ისტორია კი ცხადყოფს, რომ პროლეტარიატის დიქტატურას არ სურს წარსულს ჩაბარდეს, პირიქით, იგი იღვამს ბრწყალებს ადამიანთა ცხოვრების ყველა სფეროში, მაშასადამე, მარქსისტულ რევოლუციას არ მოაქვს არც ანარქია, არც თავისუფლება. ყოველგვარი ძალმომრეობითი რევოლუცია, რა მიზანსაც არ უნდა ისახავდეს იგი, ყოველთვის დიდ რისკთან არის დაკავშირებული.

შეიძლება თუ არა გაუქმდეს სახელმწიფო და სახელმწიფოებრივი მართვა დემოკრატიული საშუალებებით? რამდენადმე უცნაურია ჩატარდეს არჩევნები სახელმწიფოებრივი მმართველობის გაუქმების ლოზუნგით. მისცემენ თუ არა ამომრჩევლები ხმას იმ ინსტიტუტების გაუქმების მოსურნე კანდიდატებს, რომლებშიც თვითონ სურთ იყვნენ არჩეულნი? განა დაიჯერებს ვინმე, რომ მათი პოლიტიკა საქმით არ არის ცრუ და პირფერული?

რეალურია თუ არა სახელმწიფოს ბუნებრივი სიკვდილი? სახელმწიფოს არაეფექტიანობა არ არის მისი მოსაზრების საკმაო მიზეზი. ოტომანთა უდიდესი უმართავი იმპერია, ისტორიკოსების აზრით, არაეფექტიანი, კორუმპირებული, არსებობდა რამდენიმე საუკუნის მანძილზე. მის კრახს მოჰყვა არა სახელმწიფოს მოსაზობა, არამედ წვრილი და უფრო ნაკლებ ეფექტიანი სახელმწიფოების წარმოშობა.

შეუძლიათ თუ არა ანარქისტებს, რომლებიც თავს არიდებენ ძალმომრეობით მეთოდებს, როგორმე ხელი შეუწყონ სახელმწიფოს კვდომას? ზოგიერთი იდეა, მაგალითად, რომ ანარქისტებმა უნდა მიმართონ ელიტას, – უფრო ფანტაზიაა. საერთოდ სრულიად არ არის გასაკვირი, რომ პოლიტიკური იდეოლოგიები – და “სახელმწიფოს მომხრეები” (მაგალითად, სკინერი) და “სახელმწიფოს მოწინააღმდეგენი” (ეინ რენდი) – ამჯობინებენ თავიანთი თეორიები გადმოსცენ უტოპიური რომანებისა და მეცნიერული ფანტასტიკის ფორმით. ვინაიდან არაეინ იცის, რა პოლიტიკური მომავალი გველის.

## სახელმწიფო და ბუნებრივი მდგომარეობა

რატომ შეიქმნა სახელმწიფო? და რატომ უნდა ვემორჩილებოდეთ სახელმწიფოს? ვალდებულნი ვართ, რომ ვემორჩილებოდეთ? ხომ არ არის სახელმწიფო რაღაც განსაკუთრებული ანდა მხოლოდ ძლიერი უაჩაღთა ბანდა, რომელსაც უნარი შესწევს იბატონოს ჩვენზე, თუმცა არა აქვს ამის უფლება? თუ მხოლოდ შიმის გამო ვემორჩილებით?

ერთი ძველი პასუხი პირველ კითხვაზე ასეთია. კაცობრიობა ცხოვრობს სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმის პირობებში იმავე მიზეზით, რომლითაც ფუტკრები ცხოვრობენ სკებში, რამდენადაც იგი იძულებულია იცხოვროს ასე და არ შეუძლია იცხოვროს სხვაგვარად: თვით ბუნება კარნახობს ფუტკრებს სკაში იცხოვრონ, ხოლო ადამიანებს – სახელმწიფოში.

მაგრამ ეს ასე არ არის. უწინარეს ყოვლისა, ბუნებრივი ჯერ კიდევ არ არის გარდაუვალი და მუდამ ყველაზე საუკეთესო. ძროხებისათვის, ცხვრებისა და თხებისათვის ბუნებრივია ველური თავისუფალი ცხოვრება, მაგრამ მაინც (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ხორცის მრეწველობას), როგორც ჩანს, მოშინაურებული ძროხები (თავისუფლად მძოველი მეწველი ძროხები) და სხვა ცხოველები (მაგალითად ანგორის თხები) უფრო ღიღხანს და კარგად ცოცხლობენ. ასევე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მაშინაც კი, თუ ბუნებრივად ადამიანის ცხოვრება სახელმწიფოში, ასეთი ცხოვრება სულაც არ არის აბსოლუტურად გარდაუვალი. და შეიძლება ისინი უფრო ბედნიერები იქნებოდნენ, თავისუფლად რომ დაეხეტებოდნენ ტყეებსა და ველებში.

შემდეგ, ადამიანთა მოდგმა იმდენად მრავალსახოვანია, რომ საერთოდ ძნელი სათქმელია, რა არის მისთვის ბუნებრივი და რა არაბუნებრივი. ცვალებადობა – აი ამ ცხოველის ნამდვილი ბუნება.

ზოგიერთი ადამიანი ამბობს, რომ კაცობრიობისათვის ბუნებრივია ყველაფერი, რაც შესაძლებელია. ჩვენი აზრით, ისინი რამდენადმე აზვიადებენ საქმეს. ადამიანებს და ვირთხებს შეეძლოთ ერთად ეცხოვრათ სიმბიოზურ კოლონიებად ანტარქტიკის სივრცეებში, ესვათ მხოლოდ ვირთხების რძე, მაგრამ განა ეს ბუნებრივია. ძნელი სათქმელია, რა არის ბუნებრივი და რა არაბუნებრივი ადამიანთა მოდგმისათვის.

და ბოლოს, ფუტკრები ყოველთვის სკებში ცხოვრობენ, ისტორია და ანთროპოლოგია კი მოწმობს, რომ ადამიანები ყოველთვის არ ცხოვრობდნენ სახელმწიფოებში. ზოგიერთი ადამიანთა ჯგუფი ცხოვრობს პატრიარქალურ ჯგუფებად, რომლებსაც მეთაურობენ პოლიგამიური უხუცესები. ზოგიერთი ჯგუფი კი უფრო მრავალრიცხოვან ტომებად, რომლებსაც სათავეში უდგანან მეფეები, ქურუმები, მსაჯულნი ან უამათოდაც, ზოგიერთნი კი – განდე-

გილებად. ადამიანთა უმრავლესობა ჩვენს დროს ცხოვრობს ეროვნულ სახელმწიფოებში, რამდენადაც ასეთი სახელმწიფოები ძლიერნი არიან და აქვთ ტენდენცია მოსპონ ყველა მცირე დამოუკიდებელი ტომი ან გვარობა, რომლებიც მათ გზაზე სვდებიან.

## ჰობსი და ლოკი

თომას ჰობსი, რომელიც ცხოვრობდა ინგლისში სამოქალაქო ომის დროს, ამბობს, რომ სახელმწიფოს არაფერი საერთო არა აქვს კაცობრიობის ბუნებრივ მდგომარეობასთან. მისი სიტყვით, კაცობრიობის ბუნებრივი სიტუაციაა (ბუნებრივი მდგომარეობა) ველური და საფრთხეებით აღსავსე ცხოვრება, რომელთაგან მთავარი საფრთხის მიზეზი სხვა ადამიანები არიან. “ბუნებრივ მდგომარეობაში ადამიანის სიტუაცია... არის სიტუაცია ომისა ყველასი ყველას წინააღმდეგ, ხოლო სიცოცხლე – განკერძოებული, არაფრის მაქნისი, საზიზღარი, უხეში და ხანმოკლე. ადამიანები სახელმწიფოს ქმნიან, რათა თავიდან აიცილონ ცხოვრების ბუნებრივი წესის საშინელებანი”. ჰობსი ამბობს, რომ პირველი სახელმწიფო შეიქმნა ხელშეკრულების შედეგად: ინდივიდები შეთანხმდნენ დაეწესებინათ მეფის წოდება, რომელსაც ექნებოდა მონოპოლური ძალაუფლება მათზე და რომლის მთავარი მიზანი იქნებოდა მშვიდობის შენარჩუნება. ჰობსი ამტკიცებს, რომ სახელმწიფოს მუდმივი და მთავარი ფუნქციაა მშვიდობის შენარჩუნება, რომელიც შეიძლება შესრულდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეფეს ან სხვა მმართველს ექნება აბსოლუტური ძალაუფლება. ჰობსის აზრით, მმართველის ძალაუფლების ყოველგვარ შესუსტებას მოჰყვება სამოქალაქო ომი.

ჰობსის შეხედულებანი სახელმწიფოსა და ბუნებრივ მდგომარეობაზე გააკრიტიკეს სხვა ფილოსოფოსებმა, და მათ შორის ყველაზე ცნობილმა ჯონ ლოკმა. იგი ამბობს, რომ ადამიანებს ურჩევნიათ იცხოვრონ მშვიდობიანად და შეუძლიათ იცხოვრონ მშვიდობიანად ბუნებრივ მდგომარეობაშიც კი; რომ ადამიანებს აქვთ გარკვეული ბუნებრივი უფლებები: სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების უფლებები. სახელმწიფო არსებობს არა მარტო მშვიდობის შენარჩუნებისათვის, არამედ აქვს აგრეთვე სხვა დადებითი მოვალეობანიც: დაიცვას ბუნებრივი უფლებები და უზრუნველყოს მათი შესრულება. მონოპოლია ხელისუფლებაზე ეწინააღმდეგება ამ ვალდებულებებს. ამიტომ ძალაუფლება სახელმწიფოში უნდა შეიზღუდოს და განაწილდეს სხვადასხვა ორგანოსა ან ინსტიტუტებს შორის.

ლოკის იდეებმა ღრმა ზემოქმედება მოახდინეს ამერიკის რევოლუცი-  
აზე – დამოუკიდებლობის დეკლარაციაში პირდაპირ არის მითითებული, რომ  
ბუნებრივი უფლებების არსებობა თავისთავად ცხადია.

ლოკი და ჰობსი განსხვავებულ შეხედულებებს იცავენ იმის თაობაზე, თუ  
როგორ მოიქცეოდნენ ადამიანები, სახელმწიფო რომ არ არსებობდეს. ჰობსი  
ვარაუდობს, რომ ისინი გაუთავებლად იომებდნენ, ლოკი კი ფიქრობს, რომ  
შესაძლებელია მშვიდობა. არსებითად ეს საკითხი ფაქტიურია, ამიტომ იგი  
უნდა გადაეწყვიტოს მოწმობათა საფუძველზე. მოწმობები კი, სამწუხაროდ,  
ერთგვაროვანი არ არის. ადამიანთა გვარეობის ცვალებადობა გამოიხატება  
მისი მეტისმეტად განსხვავებული სოციალური მისწრაფებებით. ზოგიერთი  
გვარეობა და ტომები ცხოვრობენ მშვიდობიანად, ზოგნი კი განუწყვეტლივ  
ომობენ, თავს ირჩენენ მხოლოდ მეზობლებზე თარეშით. არ ვიცით, როგორ  
იცხოვრებდნენ ადამიანები ბუნებრივ მდგომარეობაში, მაგრამ ის კი ნამდვი-  
ლად ვიცით, რომ ისინი თავიანთ ცხოვრებას სხვადასხვანაირად აწყობდნენ:  
ზოგს ომი ერჩივნა, ზოგს მშვიდობა.

ჰობსი სამოქალაქო ომზე ლაპარაკობს როგორც უდიდეს კატასტროფაზე,  
რომელიც შეიძლება მოხდეს სახელმწიფოში. დღეს სამოქალაქო ომის პერსპექ-  
ტივა გაცილებით ნაკლებად გვაშინებს, ვიდრე ქვეყნებს შორის ბირთვული  
ომი. ომის ხასიათი შეიცვალა, შეიცვალნენ სახელმწიფოებიც. მმართველობის  
სახელმწიფოებრივი ფორმის ჰობსისებური გამართლება მხედველობაში არ  
იღებს იმ საფრთხეს, რომელიც წარმოშვა სამხედრო ტექნოლოგიის განვითა-  
რებამ. შეიცვალა სამოქალაქო ომის ხასიათიც. ჩვენს დროში სამოქალაქო  
ომები, განსაკუთრებით, რომლებსაც ახლავს პარტიზანული მოქმედება,  
შეიძლება ადვილად გადავიდეს სხვა ქვეყნებშიც. ცივი ომის დამთავრების  
შემდეგაც კი ეგრეთ წოდებული სამოქალაქო კონფლიქტები სინამდვილეში  
ხშირად წარმოადგენენ იმ უფრო დიდი სახელმწიფოების ფარულ ბრძოლას,  
რომლებიც ომობენ პატარა სახელმწიფოების ტერიტორიებზე. ასეთ კონფ-  
ლიქტებში ადგილობრივი მოსახლეობა დაქირავებულთა ან მარიონეტების  
როლს ასრულებს გარეშე ძალების გამოუცხადებელ ომში. ამაში რომ  
დავრწმუნდით, საკმარისია გავიხსენოთ ლიბანი ან ცენტრალური ამერიკა.  
ამ მიზეზით ანარქიზმი – ყოველ შემთხვევაში თეორიულად – უფრო  
მიმზიდველად წარმოგვიდგება, ვიდრე ჰობსს XVII საუკუნეში.

## სახელმწიფო და მისი ძალაუფლება

ამ თავის ბოლოს განვიხილოთ ერთი თანამედროვე თეორია, რომელიც წარმოადგენს ჰობსის თეორიის უახლეს ვარიანტს და ჯ. ე. მ. ენსკომბმა განავითარა სტატიაში “სახელმწიფოს ძალაუფლების წყარო”.

ენსკომბი ამბობს, რომ აუცილებელია არსებობდეს ერთგვარი განსხვავება სახელმწიფოსა და ნებაყოფლობით ასოციაციას შორის. და უეჭველია ისიც, რომ აუცილებლად უნდა არსებობდეს ერთგვარი განსხვავება სახელმწიფოსა და ყაჩაღების ბანდებს შორის. მაგრამ როგორი უნდა იყოს ეს განსხვავება?

მთავარი განსხვავება ნებაყოფლობით ასოციაციასა და სახელმწიფოს შორის ის არის, რომ ნებაყოფლობითი ასოციაციიდან შეიძლება გამოსვლა, მაშინ როდესაც სახელმწიფოდან გამოსვლა შეუძლებელია.

ენსკომბი აზვიადებს, რამდენადაც ზოგიერთი ორგანიზაცია დასაშვებად თვლის ნებაყოფლობით შესვლას, მაგრამ არ ითვალისწინებს უბრალოდ გამოსვლას, მაგალითად, ფრანგული უცხოური ლეგიონი ან ნებისმიერი მოხალისეთა არმია. ხოლო მეორე მხრივ, ზოგჯერ შეიძლება სახელმწიფოს ნებართვით დატოვოს მისი საზღვრები და გახდეს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე.

და მაინც, საერთოდ რომ ვთქვათ, განსხვავება სახელმწიფოებსა და ნებაყოფლობითს ორგანიზაციებს შორის არსებობს და იმაში მდგომარეობს, რომ თითოეული ადამიანი უნდა ეკუთვნოდეს ამა თუ იმ სახელმწიფოს, მაგრამ ჩვეულებრივ შეუძლია თავი აარიდოს ნებაყოფლობითს ორგანიზაციაში მონაწილეობას.

უფრო ძნელია განესაზღვროთ განსხვავება სახელმწიფოსა და ეფექტიანად მოქმედ ისეთი ბანდიტების ბანდას შორის, როგორიცაა მაფია. ენსკომბი იმასაც კი ვარაუდობს, რომ განსაკუთრებული განსხვავება მათ შორის არ არსებობს. სახელმწიფოც და ბანდიტებიც იყენებენ ძალას, რათა გვაძულონ დავემორჩილოთ; სახელმწიფოები, ბანდიტების მსგავსად, შეიძლება იყვნენ თავნებანი და დესპოტური (დესპოტური მართვის მაგალითად იგი იმონუმებს XV საუკუნის თურქეთის დიდ სულთანს). ბანდიტები, ისევე როგორც სახელმწიფოები, შეიძლება ზოგჯერ კეთილმოსურენი იყვნენ; სახელმწიფოები, ისევე როგორც ბანდიტები, ხშირად უკიდურესად ბოროტგანმზრახველნი არიან.

მაგრამ ენსკომბი მაინც იმ დასკვნამდე მიდის, რომ განსხვავება სახელმწიფოებსა და ბანდიტებს შორის არსებობს. ეს განსხვავება იმით გამოიხატება, რომ სახელმწიფოს აქვს ძალაუფლება.

ენსკომბი ძალაუფლებას განსაზღვრავს როგორც იმის უფლებას, რომ მიიღოს გადაწყვეტილებანი და მოითხოვოს მორჩილება, როცა ეს აუცილებელია.

მაგრამ როგორია ამ უფლების წყარო?

ენსკომბი ამტკიცებს, რომ არსებობს უფლების სამი სახეობა: 1) ჩვეულებრივი უფლებანი; 2) სახელშეკრულებო უფლებანი; 3) უფლებამოსილებანი, რომ გადაწყვიტოს ადამიანთა საერთო ცხოვრების ამოცანები.

## ჩვეულებრივ უფლებათა მაგალითი

საკუთარ სახლში თქვენ უფლება გაქვთ თავაზიანად მიმართოთ თქვენს სტუმრებს, მაგალითად: “გეთაყვა, არ ისარგებლოთ ზემო აბაზანით, ის ბებიასათვის არის განკუთვნილი”. ეს თავაზიანი მოთხოვნები, ამბობს ენსკომბი, სინამდვილეში აკრძალეზია, რის უფლებაც, თქვენ, როგორც სახლის პატრონს, გაქვთ (ეს ჩვეულებრივი უფლებაა). სახელმწიფოს მიერ ქვეშევრდომების დამორჩილების უფლება ასეთი არ არის. უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფოს ხელისუფლება აუცილებლობის შემთხვევაში მუდამ ძალას ეყრდნობა, ჩვეულებრივ უფლებებს კი, როგორც წესი, ადასტურებენ მღუმარე, თითქმის არაცნობიერი აღიარებითა და თანხმობით.

## სახელშეკრულებო უფლებათა მაგალითები

სახელშეკრულებო უფლებებს მიეკუთვნება ფორმალური და არაფორმალური საქმიანი ხელშეკრულებანი, დაპირებანი საერთოდ, ქორწინება, გაყრა და ა.შ. ხელშეკრულებებს ჩვეულებრივ დებენ ნებაყოფლობით. სახელმწიფოს ხელისუფლება არ არის სახელშეკრულებო უფლება, რამდენადაც ჩვენ, მოქალაქეები, არასოდეს არ შევზირებივართ სახელმწიფოს, რომ დავემორჩილებოდით და არ მოვლაპარაკებოვართ ამის თაობაზე; ჩვენ ვიბადებით ამა თუ იმ ეროვნულ სახელმწიფოს ტერიტორიაზე და ვაწყდებით აუცილებლობას დავემორჩილოთ, გვინდა თუ არა.

## უფლებამოსილებანი, რომ გადაწყვიტონ ადამიანთა საერთო ცხოვრების ამოცანები

ასეთი სახის უფლებებს წარმოშობს იმ ამოცანის არსებობა, რომელიც სასურველი ან აუცილებელია. მაგალითად, ადამიანთა მოდგმის გადარჩენისათვის



აუცილებელია ბავშვების აღზრდა. მშობლის ან მეურვის უფლებას – აღზარდოს ბავშვი წარმოშობს ამ ამოცანის გადაწყვეტის აუცილებლობა. ეს უფლება გულისხმობს შემდეგს: ჯერ ერთი, ბავშვის აღზრდა დაუბრკოლებლად; მეორე, იმის შესაძლებლობა, რომ გადაწყვეტილება მიიღონ ბავშვის სახელით, როცა ის მეტად პატარაა და ვერ მიიღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას; მესამე, იმის შესაძლებლობა, რომ აიძულონ ბავშვი, დაემორჩილოს მათ, როცა ის უკვე საკმაოდ მოზრდილია, მაგრამ არა იმდენად, რომ არ ავნოს თავის თავს.

უფლებამოსილებანი, რომ გადაწყვიტონ ადამიანთა საერთო ცხოვრების ამოცანები, გულისხმობს იმ ამოცანების არსებობას, რომელთა გადაწყვეტა სასურველი და აუცილებელია. ენსკომბი ამტკიცებს, რომ სახელმწიფოს ძალაუფლებას – მის კანონშემოქმედების, დანაშაულებათა თავიდან აცილების, დამნაშავეთა დასჯის და სხვა უფლებებს – წარმოშობენ აუცილებელი ამოცანები, რომლებიც ჩნდება მაშინვე, როგორც კი ადამიანები იწყებენ ერთად, ჯგუფებად ცხოვრებას. ეს აუცილებელი ამოცანებია: ჯერ ერთი, ადამიანების ერთმანეთისაგან დაცვა (აქ ჰობსი მართალია); მეორე, ადამიანების ერთმანეთთან დადებულ ხელშეკრულებათა უზრუნველყოფა; მესამე, ყველა იმ ჩვეულებრივი უფლების დადასტურება და დაცვა, რომლებიც სასურველად და სასარგებლოდ გვესახება; მეოთხე, ფართომასშტაბიანი საქმეების ორგანიზება თემის საკეთილდღეოდ – ასეთებია, მაგალითად, გზების და რკინიგზების მშენებლობა, არმიის შექმნა გარეშე თავდასხმებისაგან თემის დასაცავად.

ენსკომბი ამტკიცებს, რომ სახელმწიფო აუცილებელია და აქვს ძალაუფლება, ე.ი. უფლება – დაიმორჩილოს მოქალაქენი, რამდენადაც ეს ამოცანები მნიშვნელოვანი და მწვავეა. მაგრამ იგი აღიარებს, რომ პატარა თემში ისინი შეიძლება გადაწყდეს სახელმწიფოს გარეშე, ნებაყოფლობითი კოოპერაციის გზით. იგი აღიარებს, რომ ერთ-ერთი მთავარი ამოცანა არ იარსებებდა, ადამიანები მეტად მაღალი ზნეობისანი რომ იყვნენ და არ ავნებდნენ ერთმანეთს.

დავუშვათ, რომ ამოცანები, რომლებსაც ასრულებს სახელმწიფო, აუცილებელი ამოცანებია და მათი გადაწყვეტა შეუძლია მხოლოდ ისეთ ფართომასშტაბიან ორგანიზაციას, როგორცაა სახელმწიფო. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ყველა საკმაოდ ეფექტიან სახელმწიფოს აქვს უფლება მოითხოვოს დამორჩილება? აუქმებს თუ არა აჯანყების უფლებას, ტირანების წინააღმდეგაც კი? რა თქმა უნდა, არა.

ენსკომბი სრულად არ წყვეტს პრობლემას. სახელმწიფოს ძალაუფლება, ანუ ლეგიტიმურობა, დაკავშირებულია არა უბრალოდ რომელიმე ამოცანის

ეფექტიან შესრულებასთან, ამოცანის შესრულება არის სახელმწიფო ძალაუფლების აუცილებელი, მაგრამ არა საკმარისი პირობა.

შემდეგ განყოფილებებში განვიხილავთ უფლებამოსილი ძალაუფლების რამდენიმე სავარაუდო დამატებით პირობას. ეს პირობები – თავისუფლება და თანასწორობა – დასავლური დემოკრატიის ორი ტრადიციული იდეალია.

## თავისუფლება

თავისუფლება თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოების ერთ-ერთი საფუძველმდებელი იდეალია. მაგრამ რა არის თავისუფლება?

1941 წლის 6 იანვარს ამერიკის კონგრესისადმი თავის წერილში პრეზიდენტმა რუზველტმა ოთხი თავისუფლების შესახებ თქვა: “ჩვენ გვსურს ვიცხოვროთ მსოფლიოში, რომელიც ემყარება ოთხ არსებით თავისუფლებას. პირველი – სიტყვისა და გამოთქმის თავისუფლება, – ყველგან მსოფლიოში, მეორე – თავისუფლება თითოეული ადამიანისა – თაყვანი სცეს ღმერთს, როგორც მას საჭიროდ მიაჩნია, – ყველგან მსოფლიოში; მესამე – თავისუფლება გაჭირვებისაგან... მთელ მსოფლიოში; მეოთხე – თავისუფლება შიმშისაგან... მთელ მსოფლიოში”.

### პოზიტიური და ნეგატიური თავისუფლება

ზოგიერთი ფილოსოფოსი ცდილობდა ერთმანეთისაგან განესხვავებინა პოზიტიური თავისუფლება, ანუ თავისუფლება – გააკეთოს (მოიქცეს)..., და ნეგატიური თავისუფლება, თავისუფლება რაღაცისაგან. რუზველტის წერილში მოხსენიებულია ორი პოზიტიური თავისუფლება (ლაპარაკისა და თაყვანისცემის თავისუფლება) და ორი ნეგატიური თავისუფლება (თავისუფლება გაჭირვებისა და შიმშისაგან).

მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ განსხვავებას პოზიტიურ და ნეგატიურ თავისუფლებას შორის არა აქვს დიდი ფილოსოფიური მნიშვნელობა. თავისუფლება – აკეთო რაღაც და თავისუფლება რაღაცისაგან ხშირად ხომ ერთი მედლის ორი მხარეა. მაგალითად, სოციალურ და პოლიტიკურ კონტექსტში თავისუფლება ცენზურისაგან ნიშნავს იგივეს, რასაც თავისუფლება – ილაპარაკო და წერო ის, რაც საჭიროდ მიგაჩნია. სარწმუნოებისათვის დევნისაგან თავისუფლება იმასვე ნიშნავს, რაც თავისუფლება თაყვანი სცე იმას, ვისაც გსურს, ან არავის.

მოკლედ რომ ვთქვათ, ძირითადი განსხვავება პოზიტიურ და ნეგატიურ თავისუფლებას შორის ჩვეულებრივ მხოლოდ სიტყვიერი ხასიათისაა. ამიტომ ამ განსხვავებას მხედველობაში არ მივიღებთ.

## პოლიტიკური თავისუფლება

ცნებას “თავისუფლება” ყოველთვის არა აქვს პოლიტიკური აზრი. ავიღოთ რუზველტისეული თავისუფლება შიშისაგან. თვით რუზველტი, უეჭველია, ლაპარაკობდა იმ შიშზე, რომელსაც იწვევენ ტირანული პოლიტიკური რეჟიმები. მაგრამ ადამიანებისათვის ცნობილია სხვა შიშებიც. ისინი ისწრაფვიან განთავისუფლდნენ ავადმყოფობის, მარტოობის, მარცხის, ფსიქიკური დამოკიდებულების შიშისაგან. ამიტომ ზოგიერთი პოლიტიკური ფილოსოფოსი ჩაეფლო იმ ფსიქოლოგიური პრობლემების ჭაობში, რომლებსაც კავშირი არა აქვთ მათი საგნის ინტერესთან. მაგალითად, ისინი სვამენ კითხვას იმის შესახებ, რომ გასარკვევია, თავისუფალია თუ არა ადამიანი ჩაიდინოს X მოქმედება, თუ ფსიქოლოგიურად მას ეკრძალება ეს საქციელი. შესაძლოა, ეს პრობლემა საინტერესოა, მაგრამ იგი მეტად დაშორებულია პოლიტიკური თავისუფლების საკითხისაგან.

ჩვენ განვიხილავთ თავისუფლებას სიტყვის პოლიტიკური მნიშვნელობით, ე.ი. ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთდამოკიდებულების პლანით.

პოლიტიკური თავისუფლება ვრცელი თემაა, ამიტომ შემოვიფარგლებით მხოლოდ სამი ძირითადი საკითხით, სახელდობრ:

პოლიტიკური თავისუფლების რამდენი სახეობა არსებობს?

არსებობს თუ არა კავშირი პოლიტიკური თავისუფლების სხვადასხვა სახეობას შორის? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ საზოგადოება წარმოადგენს ერთი სახეობის თავისუფლებას, მაშინ უზრუნველყოფს თუ არა ეს მასში თავისუფლების სხვა სახეობათა არსებობას?

თავისუფლების რომელი სახეობაა ყველაზე მნიშვნელოვანი?

არსებობს პოლიტიკური თავისუფლების ოთხი სახეობა: ეროვნული თავისუფლება (კოლონიალიზმის საპირისპიროდ), პოლიტიკური თავისუფლება როგორც წარმომადგენლობითი მმართველობა (ავტოკრატიის საპირისპიროდ), ეკონომიკური თავისუფლება და ინდივიდუალური თავისუფ-

ლება. პირველი სამი სახეობის თავისუფლება თავისი ბუნებით კოლექტიურია და მიეკუთვნება ჯგუფებს.

## ეროვნული თავისუფლება

ბაირონი ოცნებობდა, რომ საბერძნეთი მოიშორებდა მრავალსაუკუნოვან თურქულ უღელს. მრავალი ადამიანისათვის საუკუნეთა მანძილზე თავისუფლება ნიშნავდა არა სამოქალაქო უფლებებს, არა დემოკრატიას, არა წარმომადგენლობით მმართველობასაც კი. იგი მათთვის ნიშნავდა ეროვნულ თავისუფლებას – თავისუფლებას უცხოელი ბატონების მიერ ჩაგვრისაგან.

რატომ სძულთ ხალხებს უცხოური მმართველობა? ნაწილობრივ იმიტომ, რომ კოლონიური ტირანია ხშირად უფრო უარესია, ვიდრე შინაური. ამიტომ, თუმცა მმართველობის ბევრი ფორმა და ტირანიების უმრავლესობა, უეჭველია, გულისხმობს მოქალაქეთა ერთგვარ ეკონომიკურ ექსპლუატაციას, საკმაოდ აშკარაა, რომ კოლონიური ექსპლუატაცია კიდევ უფრო მძიმეა, რამდენადაც ეკონომიკური ექსპლუატაცია ჩვეულებრივ სწორედ ქვეყნის კოლონიზაციის მთავარი მოტივია.

კოლონიალიზმი ქმნის იერარქიულ საზოგადოებას, სადაც მკვიდრი მოსახლეობა ქმნის დაბალ ფენებს და შესაძლოა არც დაუშვან ბუნებრივი სიმდიდრით და სილამაზით – პლაჟებით, მდინარეებითა და თვით მიწით სარგებლობამდე.

კოლონიური მმართველობა ჩვეულებრივ უარესია, ვიდრე ადგილობრივი ტირანია, იმიტომაც რომ მათ აქვთ უცხო ენა, რელიგია და კულტურა. კოლონიალიზმს ხშირად მოსდევს ადგილობრივი კულტურებისა და რელიგიების შეზღუდვა, რასაც შეიძლება მოჰყვეს ადგილობრივი ენების მოსპობაც კი.

მაგრამ ეს განზოგადება უნივერსალური არ არის. კოლონიური ტირანიის უმძიმესი დანაშაულებანია გენოციდი და წამება, მაგრამ სხვადასხვა დროს და დედამიწის სხვადასხვა ნაწილში ადგილობრივი მჩაგვრელები ამ მხრივ არაფრით ჩამოუვარდებოდნენ უცხოელ ტირანებს. მაგალითად, კალიგულა და პოლ პოტი უარესად ექცეოდნენ თავიანთ ხალხებს, ვიდრე კოლონიური მმართველები დაპყრობილი ქვეყნების ხალხებს. გეორგ III-ის უგნური ქცევა ამერიკელი მკვიდრი მოსახლეობისადმი მკრთალდება პოლ პოტის მსგავსი ადამიანების მოქმედებებთან შედარებით.

## პოლიტიკური თავისუფლება როგორც წარმომადგენლობითი მართვა

თავისუფლების ძიებანი ხშირად იღებდნენ სიტყვიერი ომის, ხოლო ზოგჯერ ნამდვილი შეიარაღებული ბრძოლის ფორმას მონარქის ან დიქტატორის ძალაუფლების წინააღმდეგ. მონარქის ან დიქტატორის ძალაუფლება იზღუდებოდა, როცა მათი ქვეშევრდომები აღწევდნენ ერთგვარ წარმომადგენლობას ძალაუფლებაში. ამიტომ, სხვა თანაბარ პირობებში, ხალხის წარმომადგენლობის გადიდება ნიშნავს სუვერენის ძალაუფლების შემცირებას. ასეთია ის მიზეზი, რომლითაც პოლიტიკური წარმომადგენლობა თავისუფლების ასოციაციას იწვევს.

ყოველგვარი მთავრობა ზღუდავს – მეტნაკლებად – თავის ქვეშევრდომებს. მაგრამ თავისუფლება, სხვა თანაბარ პირობებში, უკეთესია შეზღუდვებთან შედარებით.

მართვის როგორი ფორმა უზრუნველყოფს ყველაზე მეტ თავისუფლებას? ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ადამიანები, რომლებიც მართავენ თავის თავს, უზრუნველყოფენ საკუთარი თავისუფლების მაქსიმუმს, ანუ ცხოვრების სხვა უკეთეს პირობებს, სამოქალაქო მშვიდობას.

მაგრამ რა არის თვითმმართველობა? შეიძლება თუ არა მის დამაკმაყოფილებელ ფორმად ჩაითვალოს საპარლამენტო მმართველობა? არა, აქ ბევრი რამ დამოკიდებულია იმაზე, ვინც პარლამენტში სხედან. ასეთია წარმომადგენლობითი მმართველობა? არა, ეს დამოკიდებულია უმთავრესად იმაზე, მმართველობის ორგანოებში წარმოდგენილია მთელი ხალხი თუ მისი გარკვეული ნაწილი. ეს დამოკიდებულია აგრეთვე იმაზე, ნებადართულია თუ არა პოლიტიკური პარტიები, საკმაოდ სამართლიანია თუ სრულიად უსამართლოა საარჩევნო სისტემა, იმაზე, რამდენად შეუძლიათ მოახდინონ კენჭისყრის შედეგების ფალსიფიკაცია ან განახორციელონ სხვა უპატიოსნო მანიპულაციები საარჩევნო სისტემაში. ეს დამოკიდებულია აგრეთვე იმაზე, ნამდვილად პატიოსნურია საარჩევნო სისტემა, თუ იგი გარკვეული ჯგუფების, მაგალითად შეიარაღებული ძალების, უცხოელი კომუნისტების ან ინვესტორ კაპიტალისტების ინტერესთა საფარველია.

დემოკრატიაზე რაღა ითქმის? დიდ საზოგადოებაში პირდაპირი დემოკრატია, როცა თითოეული მოქალაქე ხმას აძლევს თითოეულ პოლიტიკურ პრობლემას, თითქმის შეუძლებელია. როგორც ჩანს, თავისუფლების იდეალს თვითმმართველობის მეშვეობით დიდ თანამედროვე ეროვნულ სახელმწიფოში არ შეიძლება ჰქონდეს პირდაპირი დემოკრატის ფორმა. ამ იდეალს ყველაზე მეტად მიუდგება წარმომადგენლობითი მმართველობა, რომელიც ითვალის-

წინებს რეგულარულ არჩევნებს, სადაც უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს თითოეულმა მოზრდილმა ადამიანმა (ამასთან თითოეული ხმას აძლევს მხოლოდ ერთხელ), რომელშიც უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ყველა პოლიტიკურმა პარტიებმა და დამოუკიდებელმა პოლიტიკოსებმა, ამასთან გამორიცხულია კენჭისყრის შედეგების ყოველგვარი ფალსიფიკაცია.

ამბობენ, ათენის ქალაქი-სახელმწიფო დემოკრატიული იყო ამ სიტყვის საკუთრივი გაგებით, რომელსაც მართავდნენ უშუალოდ მოქალაქენი. მაგრამ ფართოდ არის ცნობილი, რომ ათენის მოქალაქეებად ითვლებოდნენ მხოლოდ თავისუფალი მოზრდილი მამაკაცები; ცნობილია ისიც, რომ ეკონომიკა იქ მონობას ემყარებოდა. სინამდვილეში ათენში არ იყო დემოკრატია. ამ ქალაქში ხორციელდებოდა არა არჩევითი წარმომადგენლობითი მმართველობა, ე.ი. ხალხის წარმომადგენლებად გამოდიოდნენ მოზრდილი მამაკაცები, რომლებიც კანონებს ადგენდნენ არა მარტო თავიანთთვის, არამედ დანარჩენ მოქალაქეთათვისაც.

## ეკონომიკური თავისუფლება

ეკონომიკურ თავისუფლებაში ჩვეულებრივ იგულისხმება თავისუფლება – ფლობდე კერძო საკუთრებას, იყიდო და გაყიდო საქონელი, გაყიდო საკუთარი შრომა. მაგრამ სახელმწიფო მმართველობის გარეშე შეუძლებელია (პირველ რიგში) კერძო საკუთრებაც, ხელშეკრულებებიც გაყიდვისა და დაქირავების შესახებ. ეკონომიკური თავისუფლებაც და მისი საპირისპირო მდგომარეობაც, არსებითად, პოლიტიკური მოვლენაა, რამდენადაც გულისხმობს სახელმწიფო მმართველობის არსებობას.

ამერიკელი ფილოსოფოსები ეინ რენდი და რობერტ ნოზიკი, რომელთა თეორიებზე კვლავ ვიმსჯელებთ მომდევნო განყოფილებაში, ეკონომიკურ თავისუფლებას, რომელსაც ისინი უმთავრესად კაპიტალიზმთან აიგივებენ, განიხილავენ, როგორც უპირატეს თავისუფლებას. ისინი დარწმუნებული არიან, რომ ეკონომიკური თავისუფლება თავისუფლების უმნიშვნელოვანესი სახეობაა, ამასთან როგორც ასეთი და როგორც თავისუფლების ყველა სახეობის საფუძველი. ისინი მტკიცედ არიან დარწმუნებულნი, რომ კომუნისტურ საზოგადოებაში არ არსებობს სიტყვის თავისუფლება, აღმსარებლობის თავისუფლება და ა.შ., რამდენადაც კომუნისში ზღუდავს ეკონომიკურ თავისუფლებას.

## შეუძლია თუ არა კოლექტიური თავისუფლების რომელიმე სახეობას უზრუნველყოს თავისუფლების სხვა სახეობანი?

სამწუხაროდ, ამ საკითხზე, როგორც ჩანს, უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ. ბრძოლა თავისუფლებისათვის არ მთავრდება ერთი სახეობის თავისუფლების მიღწევით.

ავიღოთ, მაგალითად, ბრძოლა ეროვნული განთავისუფლებისათვის. ისტორია მოწმობს, რომ თავისუფლებისათვის ბრძოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ შეიძლება დამყარდეს მმართველობის ნებისმიერი ფორმა. კარგია, თუ ბრძოლა დაგვირგვინდება მთავრობის დემოკრატიული არჩევით, მაგრამ ასევე საუარაუდოა, რომ იგი დამთავრდეს სამხედრო დიქტატურით ან ერთპარტიული სისტემის დამყარებით. უეჭველია, რომ ეროვნული თავისუფლება პოლიტიკური თავისუფლების აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა.

ახლა განვიხილოთ თავისუფლება როგორც წარმომადგენლობითი მმართველობა. თავისუფლების ამ სახეობას ზოგიერთი ყველაზე ცნობილი დამცველი – მაგალითად, შვერტებული შტატების დამფუძნებელი მამები გულმოდგინედ ანიჭებდნენ მას მხოლოდ თავიანთი საკუთარი რასის და სქესის წარმომადგენლებს. ამიტომ სრული მოქალაქეობის უპირატესობა, თვით ეგრეთ წოდებულ დემოკრატიებში, ყველა ადამიანისათვის როდი იყო მისაწვდომი, თუნდაც ისინი ამ ქვეყანაში ყოფილიყვნენ დაბადებულნი. თავისუფლების ამგვარი შეზღუდვის ობიექტური უანგარო საფუძველი არ არსებობს. ასეთი პოლიტიკის გამოვლინება თვალში საცემი და აღმამფოთებელია. ყველაზე ცნობილმა დემოკრატიამ დედამიწაზე მონობა გააუქმა მხოლოდ 90 წლის შემდეგ და ქალებს ხმის უფლება მისცა მისი დაარსების ასი წლის შემდეგ. აშშ-ის სამხრეთ შტატებში შავკანიანი ამომრჩევლების მრავალრიცხოვანი მკვლელობა, მათი ცემა, ციხეებში გამომწყვდევა და სუფრაჟისტებისადმი ძალმომრეობა ინგლისში ცხადყოფს, რამდენად ღრმად არიან დარწმუნებულნი ამ დიდი დემოკრატიული ქვეყნის პოლიტიკოსები, რომ თვითმმართველობა ყველას როდი ესება.

უმრავლესობის ნამდვილი მმართველობაც კი ვერ უზრუნველყოფს ინდივიდუალურ თავისუფლებებს, მაგალითად სიტყვის თავისუფლებას. უმრავლესობის მმართველობას ძალიან ხშირად თან სდევს შეუწყნარებლობა უმცირესობის შეხედულებებისადმი, და იყო დრო, როცა მმართველობის დემოკრატიული ფორმის პირობებში ერიდებოდნენ აშკარად გამოსულიყვნენ უმრავლესობის აზრის წინააღმდეგ. მხოლოდ და მხოლოდ დიდი ხნის



ჩამოყალიბებული შემწყნარებლობის მყარი პოზიცია უმცირესობისადმი უზრუნველყოფს უმრავლესობის შეუწყნარებლობისაგან გარკვეულ დაცვას.

უზრუნველყოფს თუ არა წარმომადგენლობითი მმართველობა სრულ ეკონომიკურ თავისუფლებას, რომელსაც ეინ რენდი და რობერტ ნოზიკი სასურველად მიიჩნევენ? არა, არ უზრუნველყოფს: ზოგიერთი იმ სახელმწიფოს ეკონომიკა, რომელსაც წარმომადგენლობითი მმართველობა და სრული საპარლამენტო დემოკრატია აქვთ (მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნები), თავის თავში აერთიანებენ კაპიტალიზმისა და სოციალიზმის საწყისებს.

მაშ რაღაა ეკონომიკური თავისუფლება? უზრუნველყოფს თუ არა ეკონომიკური თავისუფლება, კაპიტალიზმი, პოლიტიკურ თავისუფლებას? ქვეყნები, რომლებმაც მიაღწიეს მნიშვნელოვან ეკონომიკურ თავისუფლებას, ხშირად უზრუნველყოფენ სხვა თავისუფლებებსაც. რა თქმა უნდა, ეს მათ პატივს მიაგებს. მაგრამ ეკონომიკური თავისუფლება როგორც ასეთი არ იძლევა პოლიტიკური თავისუფლების გარანტიას და მით უმეტეს სიტყვისა და აღმსარებლობის თავისუფლებას. რენდი და ნოზიკი ვარაუდობენ, რომ ეკონომიკური თავისუფლება წარმოქმნის და ასაზრდოებს სხვა თავისუფლებებს, მაგრამ ისინი განაზოგადებენ საქმის ვითარებას შეერთებულ შტატებში ისე, რომ თავს არ იწუხებენ გაიაზრონ, რა ხდება დანარჩენ მსოფლიოში. მათ არ ეძმით, რომ ყველა კაპიტალისტური სახელმწიფო არ არის დემოკრატიული. სამხრეთ კორეის ეკონომიკა ვითარდება კაპიტალისტური მიმართულებით, ისევე როგორც სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოთა უმრავლესობა. კაპიტალიზმი შესაძლებელია ისლამურ ქვეყნებშიც, თუმცა ისლამურ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა უმეტესობა არ ცნობს აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას და მხოლოდ მათ უმცირესობას აქვს წარმომადგენლობითი მართვის განვითარებული სისტემები.

მაშასადამე, კოლექტიური თავისუფლების სხვადასხვა სახეობას არ შეუძლია უზრუნველყოს ერთმანეთი, ისევე როგორც არ შეუძლია უზრუნველყოს ინდივიდის თავისუფლებაც. ეროვნული განთავისუფლება ვერ უზრუნველყოფს პოლიტიკურ თავისუფლებას. პოლიტიკურ თავისუფლებას ხშირად თან სდევს თვითშეზღუდვა და აქვს ტენდენცია ბიძგი მისცეს უმრავლესობის შეუწყნარებლობას.

ეკონომიკური თავისუფლება შეთავსებადია პოლიტიკურ დიქტატურასთან და სიტყვის თავისუფლების და აღმსარებლობის თავისუფლების შეზღუდვასთან.

ეროვნული თავისუფლება, წარმომადგენლობითი მმართველობა და ეკონომიკური თავისუფლება კოლექტიური თავისუფლებანია. ისინი არსებობენ ხალხებისათვის, საზოგადოებებისათვის და ჯგუფებისათვის,

ამასთან, რა თქმა უნდა, გულისხმობენ ამ ერთობათა არსებობას. ასლა განვიხილოთ სხვა იდეალი – ინდივიდუალური თავისუფლების იდეალი. ისტორიულად იგი წარმოიშვა თავისუფლების უკვე განხილულ სახეობათა შემდეგ და მჭიდროდ არის დაკავშირებული უფლებათა ცნებასთან.

## ინდივიდუალური თავისუფლება და ბუნებრივი უფლებები

თავის წიგნში “ორი ტრაქტატი მმართველობის შესახებ” ჯონ ლოკი ზოგად საზღვრში განიხილავს ბუნებრივი უფლებების თეორიას. იგი ამტკიცებს, რომ არსებობს სამი ბუნებრივი უფლება – სიცოცხლის უფლება, თავისუფლების უფლება და საკუთრების უფლება. თომას ჯეფერსონმა ლოკის შესაბამე ბუნებრივი უფლება, საკუთრების უფლება, შეცვალა ბედნიერების უფლებით.

ლოკის ტრაქტატებმა და დამოუკიდებლობის დეკლარაციამ დიდი გავლენა მოახდინეს ამერიკელ ფილოსოფოსებზე, რომელთაგან ბევრი ამტკიცებს, რომ უფლების ცნება ეთიკის საფუძველმდებელი ცნებაა.

თუმცა ბუნებრივ უფლებათა თეორიას მეტად სერიოზული ხანმოკლე და ხანგრძლივი შედეგები ჰქონდა ეთიკური და პოლიტიკური აზრისათვის, აუცილებლად უნდა ვაღიაროთ, რომ მას ნაკლოვანებები აქვს.

ერთ-ერთი დეფექტია ამჟამად ბუნდოვანება. რას ნიშნავს ბუნებრივი უფლება? რა თქმა უნდა, არა იმასვე, რასაც ბუნებრივი ინსტინქტები. ჩვეულებრივ სიტყვა “ბუნებრივის” მნიშვნელობა მეტნაკლებად აუხსნელი რჩება.

შიძლება აგრეთვე იმაზე შევედავოთ, რომ ადამიანების თავისუფლების ბუნებრივი უფლება არ განმარტავს, რას წარმოადგენს ეს უფლება და როგორ უნდა დაეიცვათ იგი. მაგალითად, გამომდინარეობს თუ არა ამ თეორიიდან, რომ დამნაშავეებს თავისუფლების ბუნებრივი უფლება აქვთ? თუ აქვთ, მაშინ განა ყველა დამნაშავის პატიება არ იქნება თავისუფლების მათი ბუნებრივი უფლების ღირსეული დაცვა?

შემდეგ, XVIII და XIX საუკუნეების ისტორია გვიჩვენებს, რომ მთელი რიტორიკა ბუნებრივი უფლებების შესახებ საესებით შიძლება თანაარსებობდეს მონობასთან და პოლიტიკური და სოციალური უფლებების, მაგალითად, ხმის უფლების და განათლების უფლების, მკაცრ შეზღუდვასთან.

თუმცა ბუნებრივი უფლებების თეორიას დიდი პრაქტიკული დამსახურება და ღირსებები აქვს, იგი მაინც ვერ არის საესებით გარკვეული და არ შეუძლია შეცვალოს სხვა თეორიები თავისუფლების შესახებ. განვიხილოთ ისინი.

## ინდივიდუალური თავისუფლება და მოქალაქეობრივი უფლებები

ინდივიდუალური თავისუფლება არის ის თავისუფლება, რომ მასში არ ჩაერიონ სხვა ადამიანები, განსაკუთრებით არ ჩაერიოს სახელმწიფო. მისი იდეალია ის, რომ ადამიანის ცხოვრების ზოგიერთი სფერო გარანტირებული უნდა იყოს სახელმწიფოს ყოველგვარი ჩარევისაგან. როგორია ეს სფეროები – ეს შეიძლება დედუქციით გამოვიყვანოთ თვით თავისუფლებიდან. არსებითად მნიშვნელოვან ინდივიდუალურ თავისუფლებებად მიჩნეულია შემდეგი: სიტყვისა და გამოთქმის თავისუფლება, ინფორმაციის თავისუფლება, აღმსარებლობის თავისუფლება, იმის უფლება, რომ დაქორწინდეს ან არ დაქორწინდეს (ინდივიდის სურვილის მიხედვით). მაშასადამე, აღნიშნული თავისუფლების სფეროები – ეს, როგორც ამბობენ, ინდივიდის კერძო ცხოვრებაა და მისი ინტელექტუალური ცხოვრებაა.

ამ თავისუფლებათა დამცველები ამტკიცებენ, რომ მათ უნდა იცავდეს კანონი და ვრცელდებოდეს უმცირესობებზე.

ბევრი დასავლელი ფილოსოფოსი და სხვა მოაზროვნე ასე თუ ისე იცავდა ინდივიდუალური თავისუფლების იდეალს. მაგალითად, ბენჯამენ კონსტანი ვარაუდობდა, რომ რელიგიის თავისუფლება, საკუთრების თავისუფლება და შეხედულების თავისუფლება არსებითად მნიშვნელოვანია ნორმალური საზოგადოებისათვის. სხვა მოაზროვნენი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სიტყვის თავისუფლებას და პრესის თავისუფლებას, ზოგნი – განათლებას, ურომლისოდაც ძნელია ისარგებლო აზრისა და შეხედულების თავისუფლებით.

ინდივიდუალურ თავისუფლებას ძალიან იცავდა ბევრი მწერალი და პოლიტიკოსი, მაგრამ ზოგიერთი მათგანი განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს. ესენი არიან ჯონ მილტონი, ტომ პეინი, მერი უოლსტონკრაფტი, თომას ჯეფერსონი, ჯ.ს. მილი, ფ. დ. რუზველტი.

ინდივიდუალური თავისუფლების დაცვისას მილტონი იმ იდეას ემყარებოდა, რომ უმაღლეს ღირებულებას წარმოადგენენ ჭეშმარიტება და ცოდნა. მისი შეხედულებით, რელიგიური თავისუფლება რელიგიური ცოდნის აუცილებელი პირობაა, და საერთოდ ცოდნა შეუძლებელია, თუ არ არსებობს გამოთქმის თავისუფლება: “იქ, სადაც ცოდნის მრავალი მსურველია, ყოველთვის არიან მოკამათენი, ბევრი მწერალი; ღირსეული ადამიანების შეხედულებანი ხომ სხვა არაფერია, თუ არა მათი ცოდნა მოქმედებაში”. იგი აგრეთვე ამბობდა, რომ პატიოსან ბრძოლაში ჭეშმარიტება ყოველთვის ამარცხებს სიცრუეს.

“თუმცა ყველა შეხედულებას – მათ შორის ჭეშმარიტებასაც – ადგილი აქვს მზის ქვეშ, ჩვენ ამაოდ ვრთავთ ნებას ან ვკრძალავთ ეჭვი შევიტანოთ მის ძალაში. გაუშვით შეებას სიცრუეს; გაგონილა, რომ თავისუფალ და ამკარა ბრძოლაში ჭეშმარიტებამ არ დაამარცხოს სიცრუე?”

მილტონის თვალსაზრისით, ინდივიდისათვის აზრის თავისუფლება უფრო ძვირფასია, ვიდრე სხვა თავისუფლებანი: ყველა თავისუფლებაზე წინ მომეცით იმის თავისუფლება, რომ შევიცნო, გამოვთქვა აზრი და ვიკამათო თავისუფლად, სინდისიერად.

ორი საუკუნის შემდეგ, 1859 წელს, ჯ.ს. მილმა გაიმეორა ეს აზრები ფართოდ ცნობილ ესეში “თავისუფლების შესახებ”. იგი ამტკიცებს, რომ ჭეშმარიტებას ვერ აღმოვაჩინთ, თუ ადამიანები, რომლებიც შეცდომებს სწადიან, შეზღუდვენ ამ პრობლემებზე მსჯელობას. მხოლოდ იდეების შესახებ ამკარა, გულახდილი მსჯელობა შეიძლება დაგვირგვინდეს ჭეშმარიტებითა და ახალი ცოდნით.

მილი იცავს აგრეთვე აზრისა და გამოთქმის თავისუფლებას, რამდენადაც იგი წარმოადგენს დიდ ღირებულებას ინდივიდისათვის. მილი ამტკიცებს, რომ აზრის თავისუფლების შეზღუდვა ნიშნავს ადამიანის ბუნების, მასში საუკეთესოს შეზღუდვას. აზრის თავისუფლებას მოკლებული ადამიანები იქცევიან შეზღუდულ, დეგრადირებულ არსებებად. ცივილიზაცია ვერ განვითარდება თავისუფლების გარეშე და საზოგადოებაში, სადაც ადამიანი არ არის თავისუფალი, გზა ეძლევათ საშუალო პირებს და დგება ადამიანის ნიჭის დათრგუნვის ხანა.

## თავისუფლებათა იერარქია

შეიძლება თუ არა ითქვას, საერთოდ რომელი თავისუფლებაა ყველაზე მნიშვნელოვანი? ალბათ, არ შეიძლება. საზოგადოების ხასიათს განსაზღვრავენ მასში არსებული თავისუფლებანი, აგრეთვე მრავალი სხვა ფაქტორი, ამიტომ ემპირიული დაკვირვებები და ისტორიის შესწავლა სხვადასხვა ადგილას განსხვავებულ პასუხებს ბადებს.

მაინც უნდა აღინიშნოს, რომ თუ არ არსებობს აზრისა და გამოთქმის თავისუფლება, არც შეიძლება დაისვას ეს საკითხი და მით უმეტეს გაეცეს მას პასუხი.

## თანასწორობა

უნდა დაფიქვრთ თუ არა თანასწორობა როგორც იდეალი? უწინარეს ყოვლისა საჭიროა განვმარტოთ, რა თანასწორობაზე ვლაპარაკობთ.

### თანასწორობასთან დაკავშირებული ბუნდოვანება

უნდა ვალიაროთ, რომ ბუნდოვანების მიზეზი ყველაზე ხშირად თანასწორობასთან დაკავშირებული რიტორიკაა. მაგალითად, ევალიტარისტული რიტორიკა ზოგჯერ იწყება წანამძღვრით, რომ ყველა ადამიანი თანასწორია, შემდეგ კი გადადის დასკვნაზე, რომ ყველა ადამიანი თანასწორი უნდა იყოს. ცხადია, რომ ასეთ მსჯელობაში სიტყვა “თანასწორი” იხმარება სხვადასხვა აზრით; მაგრამ როგორია ეს აზრები?

არეულ-დარეული ევალიტარისტული რიტორიკის მთავარი მსხვერპლები ანტიევალიტარისტები არიან. ამ რიტორიკასთან დაკავშირებით ისინი აღნიშნავენ, რომ ადამიანები, როგორც ჩანს, არ არიან თანასწორნი, და სვამენ კითხვას: “მაშინ აქვს თუ არა აზრი მტკიცებას, რომ ისინი თანასწორნი უნდა იყვნენ”? ისინი არცთუ უსაფუძვლოდ ასკვნიან, რომ თანასწორობის იდეალი ამავდროს დამლუპველი და მიუღწეველია. ის ფაქტი, რომ თვით ევალიტარისტული რიტორიკა არ ითვალისწინებს განსხვავებას თანასწორობის სხვადასხვა სახეობებს შორის, ანტიევალიტარისტებისათვის გაფრთხილება უნდა იყოს, არ დაუმთან იგივე შეცდომა.

### თანასწორობის სხვადასხვა სახეობა

ცხადია, რომ არცერთ ყველაზე ძლიერ მთავრობასაც კი არ ძალუძს თავისი ყველა ქვეშევრდომი გაათანაბროს ისე, რომ იყვნენ სიმაღლით ტოლნი, მთავრობისადმი თანაბრად დამოკიდებულნი, ჰქონდეთ ერთნაირი სილამაზე და აღპინისტობის ერთნაირი ხერხები. რაც შეეხება ჭკუას, პოლიტიკოსებს რომ

შესაძლებლობა ჰქონდეთ რაღაც შეცვალონ, ამ მხრივ უეჭველია ისინი პირველ რიგში გაზრდიდნენ საკუთარ გონებრივ უნარებს.

მაგრამ მთავრობებს შეუძლიათ ადამიანები გახადონ თანასწორნი სხვა მხრივ. უარეს შემთხვევაში მთავრობას შეუძლია პრაქტიკულად გაათანაბროს მოქალაქენი უფიცობაში, გონებრივ ან ფიზიკურ მონობაში. როგორც გამოცდილება ცხადყოფს, მთავრობებს შეუძლიათ ადამიანები თანასწორნი გახადონ როგორც გადასახადის გადამხდელნი.

მთავრობებს შეუძლიათ ადამიანები აქციონ თანასწორად სხვა, უფრო ღირსეული მხრივაც. მათ შეუძლიათ მოქალაქეს მისცენ ერთნაირი ხმის უფლება, თანასწორი უფლება არჩეულ იქნან პარლამენტში, მოისმინონ საქმეები მსაჯულთა სასამართლოში. ასეთი პოლიტიკური თანასწორობა სულაც არ არის მიუღწეველი. თქვენ შეგიძლიათ ისიც შეინიშნოთ, რომ არჩეული დემოკრატიული მთავრობა მართვის შეუძლებელი ფორმაა. მაგრამ სინამდვილეში იგი არ არის შეუძლებელი; იგი არსებობს.

რაღა ითქმის ეკონომიკურ თანასწორობაზე? მისი მიღწევა ვერ შეძლო ვერც ერთმა მთავრობამ, მაგრამ ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ მოქალაქეებს შეუძლიათ იყვნენ თანასწორნი მატერიალური დოვლათისა და შემოსავლის მხრივ. სილამაზისაგან, ჭკუისაგან, მთავრობისადმი ნდობის ან ალპინისტური ჩვევებისაგან განსხვავებით, მატერიალური დოვლათი ხომ შეიძლება ერთი ადამიანისაგან გადაეცეს მეორეს.

თანასწორობაზე ლაპარაკისას მხედველობაში გვექნება ან პოლიტიკური თანასწორობა, ან თანასწორობა მატერიალური დოვლათისა და შემოსავლის მხრივ.

პატივს უნდა ვცემდეთ თუ არა თანასწორობის ამ იდეალებს? მოაზროვნე ადამიანთა უმეტესობა დასავლეთში, ბევრი ფილოსოფოსი – ანტიეგალიტარისტის ჩათვლით, აღიარებს, რომ პოლიტიკური თანასწორობა არის პოლიტიკური თავისუფლების პირობა და, მაშასადამე, იმის ღირსი იდეალი, რომ მას ვესწრაფოდეთ. ყველაზე სადავოა ეკონომიკური თანასწორობა, თვით ამ ცნების ბუნდოვანების, ნაწილობრივ კი შესაძლებელი მავნე შედეგების გამო.

ეკონომიკური თანასწორობის ცნების ბუნდოვანება განპირობებულია მისი კავშირით ცნებებთან მოთხოვნილებანი, დამსახურებული კეთილდღეობა და სურვილები. ეს ცხადი ხდება მაშინვე, როგორც კი ვსვამთ შემდეგ კითხვებს, რომლებზეც ჯერჯერობით დამაკმაყოფილებელი პასუხები არ არსებობს:

უნდა გავხადოთ (ან დავტოვოთ) ეკონომიკურად თანასწორნი ის ადამიანები, რომლებიც არ არიან თანასწორნი სილამაზის, ჭკუის ან საქმის ცოდნის თვალსაზრისით?

მაგალითად, *იმსახურებენ* თუ არა ლამაზი, ჭკვიანი და ნიჭიერი ადამიანები უფრო მეტ შემოსავალს, ვიდრე დანარჩენი მოქალაქენი?

ანდა ნაკლებად ლამაზი, ნაკლებად უნარიანი და ნაკლებად ჭკვიანი ადამიანები საჭიროებენ თუ არა უფრო მეტ შემოსავალს, ვიდრე დანარჩენნი?

როგორც ჩანს, იმის ცდა, რომ მივალწიოთ ეკონომიკურ თანასწორობას, გარდაუვლად წარმოშობს ბოროტებას ტოტალიტარნიზმისა და ეკონომიკური არაუფექტურობის ფორმით. თუმცა ნაწილობრივ ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია ეკონომიკური თანასწორობის დონე, რა ნაბიჯები იდგმევა მის მისაღწევად და ეს იდეალი როგორ არის დაკავშირებული სხვა საზოგადოებრივ იდეალებთან, როგორ განისაზღვრონ ისინი, ეს საკითხი მაინც ემპირიულ ფაქტად რჩება, რომ მთავრობა, რომელიც ქადაგებს ეკონომიკური თანასწორობის იდეალს, ადრე არა მარტო კორუფციისადმი იყო მიდრეკილი, არამედ ტირანიის უნარსაც ამჟღავნებდა. და მაინც ფაქტები ფხიზლად უნდა აღვიქვათ. მაგალითად, კლემენტ ეტი და ფ. რუზველტი არ უნდა მივიჩნიოთ პოლ პოტის ადრეულ ვარიანტებად.

## თანასწორობის წინააღმდეგ: ტირანიის შესაძლებლობა

როგორც ჩანს, მოძრაობა ისეთი საზოგადოების შექმნისაკენ, რომელშიც არ იქნება ეკონომიკური უთანასწორობა, ჩვენ წინაშე აყენებს ფუნდამენტალური მნიშვნელობის პრობლემას, რამდენადაც იგულისხმება, რომ ეკონომიკური თანასწორობის მიღწევის ერთადერთი გზა გადის უკიდურესი უთანასწორობის ეტაპის გავლით. სცენარი დაახლოებით ასე გამოიყურება: თავდაპირველად უნდა მოხდეს რევოლუცია; რევოლუციის შემდეგ ხალხი მთელ ძალაუფლებას გადასცემს ამხანაგ ჯოს, რომელიც, რათა მოახდინოს საკუთრების ხელახალი განაწილება, თავად უნდა იყოს თანასწორი თანასწორთა შორის. (ეს პროცესი ბრწყინვალედ აღწერა ჯორჯ ორუელმა რომანში “სასაქონლო ბაი”). ჯომ ამხანაგებთან ერთად, რომლებსაც ჩვეულებრივ პარტიულ ფუნქციონერებს უწოდებენ, მოახდინა ქონების გადანაწილება. მანამდე კი ხელთ იგდო შეუზღუდავი ძალაუფლება. ისტორია კი მოწმობს, რომ ძალაუფლების მაღალი კონცენტრაციის პირობებში უთანასწორობის შუალედური სტადია არასოდეს არ დამთავრდება ბუნებრივი თანასწორობის მიღწევით.

შემდეგ, თანასწორობის *დამკვიდრების* პროცესი არ ეთანხმება თავისუფლებას. როგორი წარმატებითაც არ უნდა განხორციელდეს ქონების თავდაპირველი რევოლუციური გადანაწილება, იგი არა მარტო არ წარმოშობს, არამედ არც შეუძლია წარმოშოს თანასწორობის მყარი მდგომარეობა.

ეგალიტარისტული ოცნება საბოლოო და მყარი თანასწორობის შესახებ განუხორციელებელია, ვინაიდან მთავრობა იძულებულია სულ უფრო აქტიურად ჩაერიოს მოქალაქეთა ცხოვრებაში. ეკონომიკური თანასწორობის დასამკვიდრებლად მთავრობამ მუდამ უნდა შეასწოროს ეკონომიკური ინფრასტრუქტურა, რათა გზა გადაუღობოს ეშმაკ, პატივმოყვარე და ეკონომიკურად უფრო ფხიან ადამიანებს, ვიდრე მათი თანამემუღლენი არიან. საჭიროა მიიღონ მკაცრი კოდექსები, რომლებიც დაარეგულირებენ ასეთი ადამიანების საქმიანობას. წინააღმდეგ შემთხვევაში მთავრობებს მოუხდებათ გადაიხადონ ეკონომიკური აზროვნების განვითარებისათვის გაწეული ხარჯები.

## თანასწორობის წინააღმდეგ: ნოზიკი საკუთრებისა და თავისუფლების შესახებ

ამერიკელმა მოაზროვნემ რობერტ ნოზიკმა განიცადა ეინ რენდის პოლიტიკური ფილოსოფიის ღრმა გავლენა. წიგნში “ანარქია, სახელმწიფო და უტოპია” ნოზიკი ამტკიცებს, რომ მთავრობამ მართლაც რომ მოინდომოს მიაღწიოს ეკონომიკურ თანასწორობას, მან კანონგარეშე უნდა დააყენოს მოზრდილი და დამოუკიდებელი ადამიანების კაპიტალისტური ხელშეკრულებანი.

ნოზიკის მსჯელობის ნიმუშად აქ მოვიყვანთ კალათბურთელ უილტ ჩემბერლენის მაგალითს.

უილტ ჩემბერლენი შესანიშნავი მოთამაშეა და ბევრი მაყურებელი სპეციალურად მის სანახავად მოდის. ჩემბერლენი იყენებს ამ შემთხვევას და ამბობს, რომ ითამაშებს მხოლოდ მაშინ, თუ ფანატიკოსები მის ანგარიშზე გადარიცხავენ დამატებით თანხას. ნოზიკის შეხედულებით, ეგალიტარისტი ამას უსამართლობად მიიჩნევს, ვინაიდან კალათბურთის კოლექტიური თამაშია და უილტ ჩემბერლენმა არ უნდა მიიღოს გუნდის სხვა წევრებზე მეტი. მეორე მხრივ, ამტკიცებს ავტორი, თუ ეგალიტარისტები გულშემატკივრებს აუკრძალავენ დამატებით მიიღოს მათმა გმირმა თანხა და, მასასადამე, დატკბნენ მისი თამაშით, ისინი ამას აღიქვამდნენ როგორც თავიანთი თავისუფლების შელახვას.

ნოზიკი საკუთრების გადანაწილების იდეას მეტად საზიანოდ მიიჩნევს. იგი გულდაწყევტილია, რომ ადამიანები მაღალფარდოვანი მორალური არგუმენტებით სარგებლობენ და იმაზე კი არ ფიქრობენ, რომ მატერიალური ღირებულებანი რეალურ ადამიანებს ეკუთვნით. მძიმე შრომით შექმნილ



ქონებაზე ისინი ისე ლაპარაკობენ, თითქოს ეს ქონება ციური მანანასავით უფარდება ხელში ამხანაგ ჯოს.

არსებობს რამდენიმე თეორია, რომლებიც განმარტავენ. თუ რას ნიშნავს სამართლიანად შეძენილი ქონება. თუ თქვენ ფიქრობთ, რომ ყოველგვარი საკუთრება ქურდობაა, მაშინ არ უნდა გაეჭვებდეთ, რომ საჭიროა მისი გადანაწილება. ასეთ შემთხვევაში საკუთრება თქვენთვის შემდგომაც იქნება რალაც ციური მანანა, რომელიც იმას უნდა გადასცეთ, ვინც ამას საჭიროებს. თუ დარწმუნებული ხართ, რომ მატერიალურ სიკეთეთა შეძენის სისტემა კონკრეტულ საზოგადოებაში კორუმპირებულია, მაშინ გააჩინდებთ ბუნებრივი სურვილი ეკონომიკური ნამცხვარი ახლებურად გაანაწილოთ. თქვენ დაიწყებთ იმის მტკიცებას, რომ უფრო სრულყოფილ საზოგადოებაში ეს ქონება სხვანაირად უნდა განაწილდეს.

ნოზიკი სხვა თვალსაზრისზე დგას. იგი ამტკიცებს, რომ ნებისმიერი საკუთრება შეძენილია პატიოსნური გზით, თუ იგი არ არის წართმეული (არ არის მოპარული) ვინმესთვის ძალით, მოტყუებით ან შანტაჟით. თუ ახლანდელმა მესაკუთრებმა და მათმა წინაპრებმა არ ჩაიდინეს ასეთი ქურდობა, მაშინ ყოველგვარი ცდა ჩამოვართვათ მათ თავიანთი საკუთრება, არის ჩარევა მათი თავისუფლების უფლებაში. მაგალითად, შემოსავალზე გადასახადი არ განსხვავდება იძულებითი შრომისაგან, მაშასადამე, მთავრობა, რომელიც ბეგრავს მდიდარ ადამიანებს, რათა დაეხმაროს ღარიბებს, არღვევს ბევრი მოქალაქის უფლებებს. სახელმწიფოს ფუნქციები მინიმალური უნდა იყოს და დაიყვანებოდეს დანაშაულის თავიდან აცილებაზე და გარეშე მტრებისაგან დაცვაზე.

ნოზიკი ხსნის, რას ნიშნავს საკუთრების შეძენა პატიოსანი და არაპატიოსანი გზით, და იმეორებს ლოკის აზრებს მისი ტრაქტატიდან სამოქალაქო მართვის შესახებ. მაგრამ რომ შეიძლებოდეს ნოზიკის თეორიის განხორციელება, ის დაიმსხვრეოდა ორ რიფზე, როგორც იგი უწოდებს ორ აუცილებელ შენიშვნას ამის თაობაზე:

1. თუ საკუთრება მიღებული გაქვთ მემკვიდრეობით წინაპრებისაგან, რომლებმაც იგი მოიპარეს, მაშინ სხვა თანაბარ პირობებში ეს საკუთრება უნდა დაუბრუნდეს ყოფილ მფლობელებს ან მათ მემკვიდრეებს;
2. თუ საკუთრება არ არის მოპარული, მაგრამ მანც შეიძლება დამტკიცდეს, რომ მიწა განაწილების დაწყების მომენტში არ ეკუთვნოდა არავის და ქონება გათვალისწინებული იყო სხვა ადამიანებისათვის, მაშინ სახელმწიფომ უნდა ხელახლა დაანაწილოს ეს საკუთრება.

ამ ორი შენიშვნის გათვალისწინება სახელმწიფოს მოუტანდა ძვირადღირებულ ხარჯებს, რომლებიც გადასახადის გადამხდელებს დაეკისრებოდა, რასაც მოჰყვებოდა ღრმა ეკონომიკური შერყევები. საკმარისია აღინიშნოს, რომ საკუთრების დიდი ნაწილი აშშ-ში ამ შემთხვევაში უნდა დაუბრუნდეთ ამერიკელ ინდიელებს, რამაც შეიძლება არაინდიელებს უბიძგოს რევოლუციისაკენ. ამიტომ ნოზიკის მიერ ჩამოყალიბებული ლოკის სულისკვეთების შენიშვნები მოასწავებდა საკუთრების არსებულ წესრიგში ჩარევას და სამოქალაქო წესრიგის და პოლიტიკური თავისუფლების მსხვერველს უფრო მეტად, ვიდრე ეკონომიკური თანასწორობის მტკიცე მომხრეთა მოქმედებანი.

## იდეალის დასაცავად: შესაძლებლობათა თანასწორობა

ზოგიერთი ევალიტარისტი იცავს უფრო ვიწრო თეორიას – თანაბარ შესაძლებლობათა თეორიას, რომლის მთავარი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოების თითოეულ წევრს უნდა ჰქონდეს წარმატების შანსი. ამ შანსს უნდა უზრუნველყოფდეს მთავრობა, რომელსაც შეუძლია გადასახადები გამოიყენოს სკოლებისა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებათა შესაქმნელად. ასეთ ღონისძიებათა რეალურ ეფექტიანობას უფრო ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე თვით მათს თანამიმდევრულ განხორციელებას.

შესაძლებლობათა თანასწორობის დამცველები თვლიან, რომ ეს უკეთესად ეთანხმება სხვა ღირებულებებს (მაგალითად, თავისუფლებას), ვიდრე უფრო მკაცრი ევალიტარული თეორიები. შესაძლებლობათა თანასწორობა სერიოზულად არ ეწინააღმდეგება ინდივიდუალურ თავისუფლებას. ასეთი თანასწორობის უზრუნველსაყოფად მთავრობას არ სჭირდება შემოსავლები შეინარჩუნოს ფიქსირებულ დონეზე ან დათრგუნოს კონკურენცია. შესაძლებლობათა თანასწორობა არ გულისხმობს, რომ შრომის ეფექტიანობა და ცხოვრებით ტკბობა შეეწიროს მიუღწეველ იდეალს.

უკუკვლია, არაფის არ ეპიტანაება გადასახადების გადახდა. და მაინც ბევრი გადასახადის გადამხდელი აღიარებს საყოველთაო განათლების და ჯანმრთელობის დაცვის ღირებულებას, სოციალური ცხოვრების პროგრამების და ყველა მოქალაქისათვის კეთილდღეობის პროგრამების შექმნა – განხორციელებას. გადასახადების გადამხდელები შეიძლება კმათობდნენ იმის თაობაზე, თუ რამდენად უნდა მოახდინოს სახელმწიფომ ამ იდეალების სუბსიდირება, მაგრამ მათი უმრავლესობა თანახმაა, რომ სახელმწიფომ ამ მიზნებისათვის გამოიყოს რაღაც მინიმალური; აუცილებელი სახსრები.

დასავლეთის ქვეყნების მოქალაქეთა უმრავლესობა არ არის ეინ რენდის ან ნოზიკის მიმდევარი, ისინი აღიარებენ, რომ ზოგიერთ სიტუაციაში გარკვეული სოციალური ჯგუფი უბრალოდ ვალდებულია დათმოს თავისი კანონიერი საკუთრება. აქედან მხოლოდ ერთი ნაბიჯია იმის აღიარებამდე, რომ გარკვეულ გარემოებებში მთავრობას უფლება აქვს ზოგიერთ ადამიანს ჩამოართვას მათი შემოსავალი დიდი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის.

მაგრამ უაზრობა იქნება ვეცადოთ უზრუნველყოთ თანასწორი შესაძლებლობანი, თუ ამას არ მოჰყვება პრაქტიკული შედეგები, თუ ამით არ ისარგებლებენ ის ადამიანები, რომლებიც ეკუთვნიან გარკვეულ სოციალურ ჯგუფებს. მაგალითად, აზრი არ ექნებოდა იმ სქემას, რომელიც წახალისებდა ქალებს შეიძინონ ინჟინრის სპეციალობა, თუ ეს სქემა არ გამოიწვევდა იმ ქალების რაოდენობის ზრდას, რომლებიც ამ სპეციალობას აირჩევენ.

ანტიეგალიტარისტები ამტკიცებენ, რომ მკაცრი და მყარი განსხვავება თანასწორობის შესაძლებლობობასა და ნამდვილ თანასწორობას შორის არ არსებობს. ისინი ვარაუდობენ, რომ შესაძლებლობათა თანასწორობის თეორიის მომხრეობა გულისხმობს საყოველთაო წარმატების სურვილს, მაგრამ საყოველთაო წარმატება შეუძლებელია და ასეთი წარმატების სურვილმა შეიძლება მხოლოდ თავისუფლების მუდმივ კორექტირებასა და შეზღუდვასთან მიგვიყვანოს.

### 1 იდეალის დასაცავად: კანონი და ღირებულებანი

თავისი იდეალის დაცვისას ეგალიტარისტები ზოგჯერ იმოწმებენ სოციალურ წესებსა და კანონებს. თანასწორობა დაკავშირებულია სოციალური წესებისა და კანონების იდეასთან, რამდენადაც კანონები როგორც ასეთი უნდა ჩამოყალიბდეს ზოგად ტერმინებში. კანონი (ან წესი), რომელიც მხოლოდ ერთ ადამიანს მიუდგება, არ წარმოადგენს კანონს.

რამდენადაც კანონების სარგებლიანობა დოკუმენტურად დადასტურებული და საყოველთაო მნიშვნელობის მქონეა, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ სწორედ კანონების არსებობა უნდა მივიჩნიოთ თანასწორობის სასარგებლო არგუმენტად. მაგრამ აქ ორი პრობლემაა. ჯერ ერთი, ეგალიტარისტები იცავენ არა მარტო თანასწორობას კანონების წინაშე. ისინი დაუინებით მოითხოვენ აგრეთვე პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ თანასწორობასაც. მეორე, თანასწორობა კანონის წინაშე, რომელიც გამომდინარეობს მხოლოდ წესების ლოგიკიდან, უზრუნველყოფს გაცილებით ნაკლებ თანასწორობას, ვიდრე ეგალიტარისტებს სურთ. თუმცა ყველა ის, ვინც დაარღვევს კონკრეტულ

კანონს, ერთნაირად უნდა ისჯებოდეს, მაინც ზოგჯერ თვით კანონი ითვალისწინებს განსხვავებას საზოგადოების ზოგიერთ ჯგუფს შორის. ასეთი იყო კანონები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში აფრიკელების აუცილებელი პასპორტიზაციის თაობაზე. ამ კანონების ყველა დამრღვევი ერთნაირად ისჯებოდა, მაგრამ თეთრკანიან მოსახლეობაზე ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდებოდა.

დაკავშირებულია თუ არა ეკონომიკური თანასწორობის იდეალი სხვა ღირებულებებთან, მაგალითად ჰუმანურად მოპყრობის ღირებულებასთან?

ჰუმანურობის, სიკეთის და ურთიერთპატივისცემის იდეალი, უეჭველია, უთავსდება საზოგადოების იერარქიულობის რწმენას. თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, იერარქიული საზოგადოების დაბალი სოციალური ფენები შეიძლება პატივს სცემდნენ საკუთარ თავს და პატივცემულნი იყვნენ სხვების მიერაც. მეორე მხრივ, ეს შესაძლებელია, მაგრამ ყოველთვის არ სრულდება სინამდვილეში. აქ გადამწყვეტ როლს ასრულებს გრეხილი იერარქიული კიბე. თუ ბევრი ადამიანი იძულებულია ცხოვრობდეს და კვდებოდეს ქუჩაში, მაშინ მათი საკუთარი ღირსების გრძნობა პრობლემატური ხდება, ხოლო მათდამი პატივისცემა ნაკლებ სააღბათოა. ჩვეულებრივ ღარიბებისა და დაბალი ფენების ადმიანებისადმი ჰუმანური მოპყრობის მომხრენი მოითხოვენ თუ არა სრულ ეკონომიკურ თანასწორობას, უთანასწორობის შემცირებას მაინც. ეს იდეალი მეტად მომხიბლავია დასავლეთის ქვეყნების მოქალაქეებისათვის და წარმატებით ხორციელდება კიდევ თანამედროვე თავისუფლებისმოყვარე ქვეყნებში, მაგალითად შვეიციასა და ახალ ზელანდიაში.

## ერთფეროვნება და ღირსება

ზოგჯერ ამბობენ, რომ თანასწორობის ძებნა იწვევს მომქანცველ ერთფეროვნებას. მაგრამ პოლიტიკური და ეკონომიკური თანასწორობის დამცველნი ერთფეროვნებას როდი ესწრაფვიან. როგორც ყველა ადამიანმა, მათაც იციან, რომ ერთფეროვნება – ნიჭის, ინტელექტის, სიმაღლის, წონის, სილამაზის თანასწორობა – ვერ დადგინდება მთავრობის დეკრეტით, ვინაიდან ეს საერთოდ მიუღწეველია.

ევალიტარისტები ხშირად ამბობენ, რომ ყველა ადამიანი თანაბრად ღირსეულია. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, კერძოდ, რომ ერთფეროვნების არარსებობა არ იწვევს პოლიტიკური და ეკონომიკური თანასწორობის არარსებობას.

ევალიტარისტებს სურთ აამაღლონ მოთხოვნების იდეა და დააქონონ დამსახურებათა იდეა, მაშინ როდესაც ანტიევალიტარისტები, რა თქმა უნდა. საწინააღმდეგო მიმართულებით მიდიან. ევალიტარისტები ამტკიცებენ, რომ უფრო ჭკვიანი და ნიჭიერი ადამიანები არ საჭიროებენ დიდი რაოდენობით საკვებს, სასმელს, მანქანებს, ვიდრე სხვა ადამიანები. იგივე შეიძლება ითქვას ნაკლებად ჭკვიან ადამიანებზე. და, საერთოდ რომ ვთქვათ, ეს მართლაც ასეა.

მაგრამ მთავარი აზრი და მნიშვნელობა ყველა ადამიანის თანაბარი ღირსების თაობაზე იმაში მდგომარეობს, რომ ინდივიდი მიღწევებისა და უნარების მხოლოდ კვანძი და ლოკალიზაცია როდია. უწინარეს ყოვლისა ადამიანი ღირსეულია სწორედ როგორც ასეთი და შემდეგ როგორც ალბინისტი, ბიზნესმენი, ჟოკეი, ფილოსოფოსი და ა. შ.

წარმოდგენა, რომ ყველა ადამიანი – რასის, ასაკის, სქესის, მდგომარეობისა და მიღწევების მიუხედავად – ერთნაირი ღირსების მქონეა, არ წარმოადგენს ახალ და საშიშ თეორიას. ეს ჰუმანისტური კონცეფცია თანამედროვე ევალიტარისტებს ანათესავებს იუდეურ-ქრისტიანულ აზრებთან და ერთგვარად დასავლეთის თანამედროვე დემოკრატიულ იდეოლოგიასთან.

## რამდენად მინიმალურია მინიმალური სახელმწიფო?

ეინ რენდი, ნოზიკი და თავისუფლების სხვა კონსერვატიული დამცველები ამტკიცებენ, რომ საუკეთესოა ის სახელმწიფო, რომელიც თავის საქმიანობას ზღუდავს ცოტაოდენი ფუნქციებით. ასეთმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის დაცვა გარეშე თავდასხმისაგან, შესაძლებელია ხელი შეუწყოს კანონიერებისა და წესრიგის დამყარებას (ვამბობთ – შესაძლებელია, რამდენადაც ნოზიკი ამტკიცებს, რომ იდეალში პოლიციასაც კი უშუალოდ უნდა გადაუხადოს გასამრჯელო, ვისაც სურს იყიდოს ასეთი დაცვა და თავს ამის ნება მისცეს).

მაგრამ მინიმალური სახელმწიფოც სახელმწიფოა, და ნოზიკი თანახმაა, რომ სახელმწიფოში ცხოვრების თვით ფაქტი მოითხოვს ზოგიერთი თავისუფლების მსხვერპლად გაღებას. ჩვენ ვეჭვმდებარებით კანონს, რომელიც კრძალავს მკვლელობას, რამდენადაც ვიცით, რომ არაფის არ უნდა ჰქონდეს უფლება თავისუფლად ხოცოს უახლოესი მეზობლები. ეს შეზღუდვაა, მაგრამ ამ სახის შეზღუდვები ჩვეულებრივ არ გვაშფოთებს. როგორც მოქალაქეები, ჩვენ ერთმანეთისაგან განვასხვავებთ შეზღუდვებს, რომლებიც აუცილებლად მიგვაჩნია, და შეზღუდვებს, რომლებსაც ზედმეტად ვთვლით.

წინააღმდეგობა ეგალიტარისტულ და ანტიეგალიტარისტულ თვალსაზრისებს შორის სინამდვილეში გამოსატყვევს უთანხმოებას სახელმწიფო ძალაუფლების საზღვრების თაობაზე.

ერთნი თვლიან, რომ სახელმწიფო ძალაუფლების საზღვარი უნდა გადიოდეს მის შესაძლო აუცილებელი მინიმუმის ახლოს. უარი უნდა ვთქვათ თანასწორობის განხორციელების ყველა მცდელობაზე.

მეორენი კი თვლიან, რომ შესაძლებელი აუცილებელი მინიმუმი არ არსებობს, რამდენადაც მას განსაზღვრავს აუცილებლის ჩვენი გაგება. მაგალითად, თანახმაა თუ არა ვინმე მოითმინოს *ნებისმიერი შესაძლებელი* უთანასწორობა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას საკუთრების თანამედროვე გაყოფისას? ისურვებენ თუ არა თანამედროვე აყვავებული სახელმწიფოს მოქალაქენი სიხარულით შეიწყნარონ ათასობით უმუშევარი მაწანწალა, რომლებიც უმიზნოდ დაეხეტებიან ქუჩებში და ქმნიან საშიშ სიტუაციებს? განა მოითმენენ ისინი ისეთ მდგომარეობას, როცა ბავშვები ნარჩენებით იკვებებიან? სახელმწიფო ძალაუფლების აუცილებელი მინიმუმი ვერ განისაზღვრება მხოლოდ თავისუფლების უზრუნველყოფის აუცილებლობით. გადასახადის გადამხდელთა ან პოტენციალურ გადასახადის გადამხდელთა თავისუფლების ღირებულება, ყოველ შემთვევაში დემოკრატიულ სახელმწიფოებში, სხვა ღირებულებათა, მაგალითად ბავშვების სიცოცხლის, განათლების, ეროვნული თავდაცვის, ადამიანების სიცოცხლის ხანგრძლივობის თანაზომადი უნდა იყოს.

თავისუფლება ძალიან მნიშვნელოვანი ღირებულებაა. მაგრამ იგი არ არის და არც შეიძლება იყოს ჩვენი ერთადერთი ღირებულება, არ არის და არც შეიძლება იყოს სახელმწიფო ძალაუფლების აუცილებელი მინიმუმის ერთადერთი კრიტერიუმი.

## მარქსი და მარქსიზმი

ჰეგელის მეტაფიზიკისა და რიკარდოს ეკონომიკური იდეების მაგარი კოქტეილით ინტელექტუალურად აღფრთოვანებულმა კარლ მარქსმა განავითარა ღრმა სოციოლოგიური იდეები XIX საუკუნის ინდუსტრიული ინგლისის მდგომარეობის შესახებ. XX საუკუნეში მისმა იდეებმა უფრო მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს პოლიტიკური და კულტურული მსოფლიო რუკის ფორმირებაზე, ვიდრე ნებისმიერი სხვა მოაზროვნის იდეებმა.

როგორი იყო სინამდვილეში მარქსის რწმენა? რაში მდგომარეობს მარქსისტული ფილოსოფია, რომლის სისწორეს ფიცულობდა ბევრი სახელმწიფო, ყოველ შემთხვევაში, არცთუ დიდი ხნის წინათ?

ამ თავის მიზანი არ არის აბსოლუტურად ამომწურავი და ავტორიტეტული პასუხები გასცეს ამ კითხვებს, თუნდაც ეს შესაძლებელი იყოს. გარდა ამისა, მარქსისტებმა ანგარიში უნდა გაუწიონ იმ ფაქტს, რომ ამჟამად წინააღმდეგობანია “გერმანული იდეოლოგიის” ეპოქის ეგრეთ წოდებულ ადრინდელ მარქსსა და “კაპიტალს”, “პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის” დროინდელ გვიანდელ მარქსს შორის. მეორე მხრივ, დაინტერესებულ არამარქსისტებს ხელს უშლის ის ფაქტი, რომ, სურთ რა გაერკვნენ მარქსის თხზულებებში და ამისათვის მიმართავენ სპეციალისტებს, ისინი ხშირად აღმოაჩენენ ხოლმე, რომ მათი წიგნები, ყოველ შემთხვევაში ზოგიერთი, დაწერილია მარქსოიდული, გაუგებარი, რთული ენით, რაც ხშირად აძნელებს რთული ეკონომიკური და პოლიტიკური არგუმენტების გაგებას.

ეს თავი ძირითადად ეძღვნება მარქსის უმთავრესი იდეების შესავალს. ვიმედოვნებთ, რომ იგი დაწერილია არც მეტისმეტად გამარტივებულად და არც მეტისმეტად რთულად.

საზოგადოებათა განხილვისას მარქსი განასხვავებს იმას, რასაც იგი უწოდებს მათს *ეკონომიკურ მაზის*, იმისაგან, რაც მას მიაჩნია *პოლიტიკურ, კულტურულ და სამართლებრივ ზედნაშენად*. მისი აზრით, ეკონომიკის ხასიათი განსაზღვრავს საზოგადოების სამართლებრივ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებას. მარქსის თანახმად, მშვენიერი პოეზია და რთული სამართლებრივი და სოციალური დაწესებულებანი ვერ წარმოიშობა

შიმშილის წინააღმდეგ განუწყვეტელი ბრძოლისა და მკაცრ კლიმატურ პირობებში. გარდა ამისა, იგი ამტკიცებს, რომ საზოგადოება, რომელშიც ინდივიდი დაიბადა, გადაჭრით განსაზღვრავს მის პირად განვითარებასა და შესაძლებლობებს.

მართლაც, ადამიანები არ ქმნიან თავის თავს ან თავის პიროვნებას რაღაც იდუმალი, გაურკვეველი მოქმედებებით. ჩვენ არ ვირჩევთ ისტორიულ ეპოქას, რომელშიც ვცხოვრობთ, და არ შეგვიძლია გავჩნდეთ იმ გეოგრაფიულ და პოლიტიკურ პირობებში, რომლებიც უფრო მოგეწონს. პრობლემები, რომლებსაც ვაწყდებით, უმეტესად განსაზღვრულია ჩვენი ცხოვრების პირობებით, და ამ პრობლემებს ვწყვეტთ ჩვენს ხელთ არსებული იდეებითა და მეთოდებით, როლებსაც თავის მხრივ განსაზღვრავენ გარემოებანი. მეორე მხრივ, თუმცა შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ ადამიანები გარემოებათა პროდუქტები არიან, მაგრამ მათ შეუძლიათ აგრეთვე შეცვალონ გარემოებანი. მარქსი შორს არის იმ შეხედულებიდან, რომ ჩვენ დეტერმინიზმის პასიური მსხვერპლები ვართ. იგი ხაზგასმით აღნიშნავს დინამიკური ცვლილებებისა და რევოლუციური პრაქტიკის შესაძლებლობას. ამრიგად, მარქსიზმი არ შეიძლება გავაიგივოთ ფატალისტურ მექანიცისტურ დეტერმინიზმთან, რომელიც უარყოფს ადამიანის მიზანსა და აქტივობას. პირიქით, მარქსი ამტკიცებს, რომ გარემოებანი, რომლებიც აყალიბებენ ცნობიერებას, თავის მხრივ ნაწილობრივ დამოკიდებულია ადამიანთა მოქმედებაზე. ამ გარემოებათა შორის ადამიანთა ურთიერთმოქმედება ყალიბდება ისტორიულად კაცობრიობის მოქმედებათა შედეგად. მის ნაშრომში “თეზისები ფოიერბახის შესახებ” ნათქვამია: “მატერიალისტურ მოძღვრებას გარემოებათა ცვლილების და აღზრდის შესახებ ავიწყდება, რომ გარემოებებს ცვლიან ადამიანები და რომ აღმზრდელი თვითონ უნდა აღიზარდოს”. იმავე ნაშრომში იგი ჯეროვანს მიუზღავეს იდეალიზმსაც კი – თეორიას, რომელსაც ჩვეულებრივ განიხილავენ როგორც მატერიალიზმის საპირიპიროს.

## ჰეგელის გავლენა

მარქსის ინტერესს ჰეგელისადმი უმთავრესად განსაზღვრავს ამ უკანასკნელის ნაშრომი “გონის ფენომენოლოგია”. მარქსს განსაკუთრებით იზიდავს უაღრესად აბსტრაქტული და მეტაფიზიკური თავი, რომელსაც ეწოდება “თვითცნობიერება”. აქ ჰეგელი განიხილავს დამოკიდებულებას ადამიანთა ცნობიერებებს შორის. ამასთან მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ იგი აღწერს არა ნამდვილ ან თუნდაც შესაძლებელ ადამიანებს: მის საგანს უფრო წარმოადგენს ურთიერთობა სხვადასხვა არქეტიპულ ადამიანთა სულებს



შორის, რომლებიც თავის მხრივ წარმოადგენენ ეგრეთ წოდებული მსოფლიო გონის გამოვლინებებს. ირკვევა, რომ ყოველგვარი ურთიერთობა შეიცავს შინაგან წინააღმდეგობას ან დაძაბულობას, რომლებიც არყევენ მას და ბოლოს და ბოლოს მიჰყავთ კრახამდე. ძველ ურთიერთობათა კრახის შემდეგ მათ ნამსხვრებებზე იქმნება ახალი ურთიერთობანი, რომლებიც უზრუნველყოფენ იმ პრობლემების გადაჭრას, თავდაპირველი კრახი რომ გამოიწვიეს, მაგრამ შემდეგ თვითონ ექცევიან დაძაბულობასა და წინააღმდეგობებში. მოძრაობა, გამოწვეული ურთიერთმოქმედებათა ერთობლიობის მუდმივი ცვლით, შეადგენს ჰეგელის დიალექტიკის ძირითად საფუძველს, რომელსაც შეიძლება გონის დიალექტიკა ეწოდოს. იგი ერთგვარად მოგვაგონებს ქრისტიანულ სამებას: უცოდველობა, შეცოდება და მიტყევა. თავდაპირველი გონი, რომელიც შეადგენს ჰეგელის ამოსავალ წერტილს, თითქოსდა წმინდა და მთლიანია, მაგრამ მოკლებულია თვითცნობიერებას. თვითცნობიერებისათვის ბრძოლა იწვევს გაყოფასა და შინაგან მლეღვარებას. იგი მთავრდება შერიგებით და მთლიანობის უფრო დამაკმაყოფილებელი ტიპით.

როგორც მისი თაობის სხვა ახალგაზრდა ინტელექტუალები, მარქსიც მოხიბლა ჰეგელის ღრმა ფილოსოფიურმა და ისტორიულმა აზრებმა. მაგრამ წლების მანძილზე მისი თავდაპირველი დამოკიდებულება უფროსი თანამედროვის მიმართ შეიცვალა: 40-იან წლებში იგი იმ აზრამდე მივიდა, რომ საზოგადოებათა ფორმაწარმოქმნელ საწყისს საბოლოო ანგარიშით არ წარმოადგენს გონითი ურთიერთობანი. მთავარ როლს აქ ასრულებენ მატერიალური პირობები, მაგალითად ადამიანის შრომის ხასიათი და მატერიალური სიმდიდრე, რომელიც მოაქვს მის შრომას მისთვისაც და სხვებისთვისაც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისტორიის პროგრესს არ განსაზღვრავს თვითცნობიერება. მარქსის თანახმად, თვითცნობიერება იზრდება გარემო პირობებზე ჩვენი კონტროლის ზრდის კვალობაზე, და შემოვლითი გზები აქ არ არსებობს. უფრო მეტიც, მანამდე, სანამ ადამიანთა მოდგმა არ განახორციელებს სრულ კონტროლს თავის მატერიალურ მდგომარეობაზე, ურთიერთობა ადამიანებს შორის გარდაუვლად მიიღებს ბატონობისა და მონობის ფორმას. მაგრამ ბატონობა და მონობა როგორც ასეთი მუდმივად ვითარდება და ახალ ფორმებს იღებს ისტორიული პროცესის თითოეულ სტადიაზე. ამ პროცესის მამოძრავებელი ძალა არ არის ის, რაც ჰეგელს ჰგონია. კაცობრიობის ისტორიის ყოველ სტადიაზე წარმოშობილი დაძაბულობა ახასიათებს არა გონს, არამედ მატერიალურ ძალებს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მარქსის თეორიას ეწოდება დიალექტიკური მატერიალიზმი.

## საწარმოო ძალები, შრომის განაწილება და საკუთრების ფორმები

მარქსის თანახმად, ნებისმიერი სახელმწიფოს შინაგან სტრუქტურას განსაზღვრავს მისი საწარმოო ძალების განვითარების დონე. მაშასადამე, ქვეყნის ეკონომიკის ტიპის ცოდნა საშუალებას გვაძლევს შევქმნათ საკმაოდ სრული წარმოდგენა მის კულტურულ და სხვა შინაგან მახასიათებლებზე.

საინტერესოა, რომ ეკონომიკის ბუნება თავს იჩენს არა მარტო იმით, რასაც ქვეყანა აწარმოებს, არამედ აგრეთვე (და ეს უფრო მნიშვნელოვანი მახასიათებელია) შრომის განაწილების განვითარების დონითაც

ახალ საწარმოო ძალებს აუცილებლად თან სდევს შრომის განაწილების შემდგომი განვითარება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ – ცვლილებები სამუშაო ძალის მთელ ხასიათში. გარდა ამისა, ამ განვითარების ყველა სტადია, ამბობს მარქსი, შეიძლება განვიხილოთ როგორც საკუთრების სხვადასხვა ტიპები ან ფორმები.

საკუთრების პირველი ფორმაა *ედემი*. ედემი კაცობრიობის ისტორიის ისეთი სტადიაა, როცა წარმოება ჯერ კიდევ არ არის განვითარებული. ადამიანები ცხოვრობენ ნადირობითა და თევზჭერით, ზრდიან შინაურ ცხოველებს, აგრეთვე ამუშავენ მიწას, თუმცა უკიდურესად პრიმიტიული წესით. შრომის განაწილება ამ სტადიაზე უალრესად პრიმიტიულია და შრომის ბუნებრივი განაწილება უმნიშვნელოდ არის განვითარებული ოჯახში.

საკუთრების მეორე ფორმაა *მონობა*. მარქსის თვალსაზრისით, მონობა არსებობდა უკვე ედემში; იგი ფარულად უკვე ივარაუდებოდა თვით ოჯახის სტრუქტურაში. მაგრამ მონობა სრულ განვითარებას აღწევს მხოლოდ მოსახლეობის გამრავლების შემდეგ. როცა საზოგადოებანი უფრო რთულდებიან და მატულობს ტომთა შორისი კონტაქტები ვაჭრობისა და ომის ფორმით. მარქსისტული კლასიფიკაციის თანახმად, რთული ტომობრივი თემები და ფეოდალური სახელმწიფოები, რომლებსაც ვიცნობთ ევროპის ისტორიის ბნელი საუკუნეებიდან, არის მონათმფლობელური საზოგადოებანი. რთული ტომობრივი საზოგადოებები ჩნდება როგორც რამდენიმე ტომის გაერთიანება თანხმობის ან დაპყრობის შედეგად და ჩვეულებრივ ერთგვარ სახელმწიფოს ან ქალაქის ფორმას იღებს. “გერმანულ იდეოლოგიაში” მარქსი ამტკიცებს, რომ თავდაპირველად ამ ჯგუფებში შემორჩენილია თემობრივი საკუთრების ტრადიციული ფორმები, რომლებიც არსებობენ კერძო საკუთრებასთან ერთად და შეადგენენ მოძრავ ან უძრავ ქონებას. საკუთრების ეს უკანასკნელი ფორმა ჩნდება ჯერ როგორც ანომალთა თემობრივი ტრადიციების ფარგლებში, მაგრამ საბოლოო ანგარიშით დევნის მათ.

ფეოდალური საზოგადოება ვითარდება ადამიანთა დაყოფის საფუძველზე მიწის მფლობელებად და არმფლობელებად. ფეოდალურ საზოგადოებაში ყმა გლეხები და მიწათმფლობელი დიდებულები იყოფიან მიწისადმი მათი დამოკიდებულების

თვალსაზრისით. იერარქიულ საზოგადოებრივ სტრუქტურას იცავენ და განამტკიცებენ შეიარაღებული ძალების რაზმები, რომლებსაც სპეციალურად ქირობენ დიდებულები.

საკუთრების მესამე ფორმაა *კაპიტალისტური*. ყველგან, სადაც წარმოებს ვაჭრობა, ჩნდება ვაჭართა კლასი – კლასი, რომელიც ძირეულად განსხვავდება მიწათმფლობელების კლასისაგან. კაპიტალიზმი განასახიერებს ამ ახალი კლასის გამარჯვებას – კლასისა, რომელსაც ხშირად უწოდებენ საშუალო კლასს, ანუ ბურჟუაზიას. კაპიტალიზმის დროს საშუალო კლასი (ან მისი ნაწილი) ფლობს წარმოების საშუალებებს და ახორციელებს ფულის კონტროლს. იგი ფლობს ქარხნებს, ბანკებს, გემებს და ა.შ.

საკუთრების მეოთხე სტადიაა *სოციალისტური*. მარქსი ამტკიცებს, რომ კაპიტალიზმი შესაძლებელი ხდება, თუ არსებობს მრეწველობაში დასაქმებული მეტნაკლებად განვითარებული სამუშაო ძალა. მრეწველობის დაბალი კლასი, პროლეტარიატი, იღებს მცირე ანაზღაურებას, ხოლო ზედმეტი პროდუქტი, რომელსაც პროლეტარიატი ქმნის, მეპატრონეთა – ბურჟუაზიის გამდიდრების წყაროა. პროლეტარები საჭიროებენ სამუშაოს, რომ შიმშილით არ დაიხოცონ, რამდენადაც მათ გასაყიდი არაფერი გააჩნიათ თავისი შრომის გარდა. მათ სჭირდებათ კაპიტალისტური მეურნეობაც (ყოველ შემთხვევაში მათ სწამთ, რომ სჭირდებათ), ვინაიდან სწორედ ეს მეურნეობანი უნაზღაურებენ მათ შრომას. აქვე უნდა აღინიშნოს. რომ კაპიტალისტებს მუშები სჭირდებათ არა ნაკლებად (თუ უფრო მეტად არა), ვიდრე მუშებს სჭირდებათ კაპიტალისტების მიერ შექმნილი სამუშაო ადგილები. ცხადია, რომ სამუშაო ძალის გარეშე შეუძლებელია რაიმეს შექმნა და, მაშასადამე, გაყოფაც. სოციალისტური რევოლუცია, მარქსის აზრით, შეიძლება მოხდეს მაშინ, როცა მუშები გაიცნობიერებენ თავიანთ ძალაუფლებას სამუშაოს მიმცემებზე. ამ ისტორიულ მომენტში მუშები ჯანყდებიან ბურჟუაზიის წინააღმდეგ და ხელთ იგდებენ კონტროლს წარმოების საშუალებებზე. თუ ბურჟუაზიული რევოლუცია შეიძლება დაეახსნათოთ როგორც ბურჟუაზიის გამარჯვება ფეოდალურ მოწამფლობელებზე, სოციალისტური რევოლუცია არის პროლეტარიატის გამარჯვება საშუალო კლასზე, რომელიც აკონტროლებს სამრეწველო წარმოებას.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ, მარქსის თვალსაზრისით, სოციალისტური რევოლუციის შედეგად დამყარებული მუშათა კლასის მმართველობა კაცობრიობის ისტორიული განვითარების მწვერვალია. მაგრამ ეს ასე არ არის. როგორც წინანდელ საზოგადოებებში ვითარდებოდა დაძაბულებანი, რომლებიც იწვევდნენ მათს ნგრევას, ზუსტად ასევე სოციალისტური საზოგადოებაც დაეძაბა საკუთარი შინაგანი წინააღმდეგობების შედეგად. თვით პროლეტარიატის დიქტატურა არის გამანადგურებელი შინაგანი კონფლიქტების პირველი ნიშანი. კაცობრიობის განვითარების უკანასკნელი სტადია მიღწეული იქნება, მარქსის აზრით, მხოლოდ პროლეტარიატის

დიქტატურის დაძლევის შემდეგ. ამ ისტორიულ მომენტში სახელმწიფო მოკვდება, აღარ იქნება კერძო საკუთრება და კლასები.

მარქსი და სხვა მოაზროვნენი ძუნწად აღწერენ კომუნისტური სახელმწიფოს ანუ, უფრო სწორად, მისი არარსებობის, დადებით მხარეებს. რამდენიმე ადრინდელ ნაწყვეტში ახალგაზრდა მარქსი ხატავს იდილიურ მოდგმას, რომელიც მისდევს თევზჭერას და წერს პოემებს. მარქსისეული უტოპიის სხვა აღწერები ნეგატიურია: არ იქნება კლასობრივი ბრძოლა, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია, კერძო საკუთრება საწარმოო საშუალებებზე, სოციალური ბოროტება, ანუ პრობლემები.

## ედემიდან კომუნიზმისაკენ: მხოლოდ ერთი გზა?

მიდის დავა იმის თაობაზე, მიაჩნდა თუ არა მარქსს, რომ ყველა საზოგადოებამ თავის განვითარებაში თანამიმდევრულად უნდა გაიაროს ედემის, მონობის, კაპიტალიზმის, სოციალიზმისა და კომუნიზმის სტადიები. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ მას არ მიაჩნდა, რომ მხოლოდ ერთი გზა არსებობს მისი უტოპიისაკენ. როგორც ჩანს, ნაშრომში “პოლიტიკური ეკონომიკის კრიტიკისათვის” მას უფრო ზომიერი და პრაგმატული პოზიცია ეკავა, ვინაიდან მიაჩნდა, რომ კლასებად დაყოფა, რომელიც ყველა არაკომუნისტური საზოგადოებისათვის არის დამახასიათებელი, არასტაბილურობას იწვევს. ამიტომ მხოლოდ კომუნისტური საზოგადოებები შეიძლება იყოს სტაბილური.

სამწუხაროდ, ეს უფრო მარტივი კონცეფცია ადამიანთა საზოგადოებებს ხატავს როგორც შედგენილს ირაციონალური სისტემებისაგან, რომლებიც განუწყვეტლივ ირღვევა და იცვლება ახალი სოციალური და ეკონომიკური სტრუქტურებით. ასეთი სურათი არ იძლევა არავითარ გარანტიას, რომ ადამიანები ოდესმე მივლენ კომუნიზმამდე – ერთადერთ წყობილებამდე, რომელიც, მარქსიზმის თანახმად, სტაბილურობის გარანტია იქნება.

ამიტომ უფრო სასიძოვნოა ვირწმუნოთ, რომ ტელეოლოგიური რიგი – ედემი, მონობა, კაპიტალიზმი – ყველგან უნდა გაიარონ, და რომ ამას გარდაუვალად მოჰყვება ყველგან კომუნიზმის დამყარება. მეორე მხრივ, ეს მოუქნელი იდეოლოგიური მოდელი არ შეესაბამება ნამდვილ ისტორიულ მოვლენებს. ამ მოდელის თანახმად, კაპიტალიზმი ხომ უნდა დამყარდეს სოციალიზმზე ადრე, მაგრამ დღეს კარგად არის ცნობილი, რომ წარმატებული სოციალისტური რევოლუციები მოხდა არა ევროპისა და ჩრდილო ამერიკის ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში, არამედ უპირატესად სასოფლო-სამეურნეო სამუშაო ძალების სახელმწიფოებში – რუსეთში, ჩინეთსა და კუბაში.

ჩნდება მეორე კითხვა: რატომ გადაწყვიტეს ადამიანებმა მიეტოვებინათ ედემი? რატომ გადადეს თავი საუკუნოვანი ბრძოლისათვის შორეული კომუნისტური საზოგადოების მოსაახლოებლად? მოგვიტეონ, მაგრამ ედემში საციალურ ფსკერზე (თუ იქ არის სოციალური პირამიდა, მალა და დაბლა) ცხოვრება გაცილებით სასიამოვნოა, ვიდრე მონათმფლობელური საზოგადოების, კაპიტალისტური საზოგადოების ან თუნდაც, გავბედავთ ვამტკიცოთ, სოციალისტური სახელმწიფოს ფსკერზე.

მარქსი პასუხობს, რომ როცა ბუნება უხვია, არ არსებობს ისტორია და არ არის დიალექტიკური მოძრაობა. მაღლიანი ედემის ბინადარნი არაფერს იუწყებიან თავიანთ შესახებ, თუ მათ ცხოვრებაში ხდებოდა რაიმე მნიშვნელოვანი, ეს თემში გარედან მოქმედების შედეგი იყო და არა შინაგანი კონფლიქტებით წარმოქმნილი.

მაგრამ მაღლიან ედემშიც კი იქმნება პრობლემები, დაკავშირებული მოსახლეობის სწრაფ ზრდასთან. ეს უკანასკნელი კი გარდაუვლად იწვევს წარმოების გაფართოებასა და აგრესიის ტექნოლოგიების განვითარებას. ცხოველებს ნადირობისას კი არ ხოცავენ, არამედ თვითონ ზრდიან; მცენარეულობას კი არ აგროვებენ, არამედ თვითონ თესავენ და რგავენ; ამის შედეგად იწარმოება იმაზე მეტი მატერიალური დოვლათი, რაც აუცილებელია მწარმოებლების ცხოვრებისათვის. ზედმეტი პროდუქტის წარმოება კატალიზატორია, რომელიც აჩქარებს ახალი კლასის ფორმირებას, რომლის ამოცანაა განაგოს ეს ზედმეტი პროდუქტი და მოაწყოს უფრო რთული წარმოების პროცესები. ეს ახალი კლასი მწარმოებლებს ართმევს იმდენ ჭარბ პროდუქტს, რამდენიც შეუძლია აილოს, ეს კი თავის მხრივ იმას იწვევს, რომ ჩნდება მაძღარ, სრულიად უსაქმურ ადამიანთა კლასი ან ქვეკლასი. ხელმძღვანელი და არამომუშავე კლასები ბატონობენ საზოგადოებაში და ამას შედეგად მოსდევს თემის მთლიანობის რღვევა.

## იდეოლოგიები

იდეოლოგიები მრწამსის სისტემებია. მარქსისტულ თეორიაში სიტყვას “იდეოლოგია” ხშირად დამამცირებელი ობერტონები აქვს, რომლებიც ნერგავენ იმ აზრს, რომ ის საუკუნოა – ან, მარქსისტული ენით რომ ვთქვათ, მას ყალბ ცნობიერებაში აქვს ფესვი გადგმული. ყველა გაუკუღმართებული, ესე იგი არამარქსისტული, საზოგადოება ემყარება შესაბამის იდეოლოგიებს. ყოველგვარი იერარქია ეფუძნება იდეოლოგიას, და ადამიანები, რომლებიც აღიარებენ ადგილობრივ იდეოლოგიას, ბუნებრივია, იცავენ ამ იერარქიას, თუნდაც ისინი ეკუთვნოდნენ საზოგადოებრივი პირამიდის ქვედა ფენებს. ისინი

ლაპარაკობენ, რომ არსებობს ბუნებრივი წესრიგი, რომელიც გულისხმობს, რომ ღარიბი უბრალო ადამიანები უნდა ემორჩილებოდნენ სხვა ადამიანებს. ისინი ამბობენ აგრეთვე, რომ იერარქიის გარეშე საზოგადოება ვერ იარსებებს.

ლენინი ამტკიცებს (ნაშრომში “რა ვაკეთოთ?”), რომ იდეოლოგიური მრწამსების წინააღმდეგ ბრძოლისათვის საჭიროა შეიქმნას მოწინავე რაზმი, რომელიც დანერგავს სწორ მრწამსს. ასეთი რაზმის ძალისხმევის გარეშე პროლეტარიატი ვერასოდეს ვერ დააღწევს თავს სამყაროს, სადაც ბატონობს იდეოლოგია. ლენინი ამტკიცებდა, რომ საჭირო იყო დაენერგათ ნებისმიერი იდეები, რომლებიც სხვებზე მეტად ჩააბამდნენ მუშებს საზოგადოების გარდაქმნაში, რათა საზოგადოება ჩამდგარიყო მათი საკუთარი ინტერესების სამსახურში. იგი ამტკიცებდა, რომ საზოგადოების რადიკალური კრიტიკა უნდა შეიცავდეს მისი იდეოლოგიის კრიტიკას, რომ კრიტიკა და იდეოლოგია ერთმანეთისაგან განუყოფელია, მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას სურდა ახალი იდეოლოგიის დანერგვის პროცესიდან გამოეორიცხა სხვა ადამიანების ყოველგვარი დამონება, ექსპლუატაცია და ჩაგვრა.

## ფრანკფურტის სკოლა

XX საუკუნის 20-იან წლებში მარქსისტულ ფილოსოფიას ავითარებდნენ თეოდორ ვ. ადორნო, ჰერბერტ მარკუზე და ფრანკფურტის სოციალური კვლევის ინსტიტუტის სხვა თანამშრომლები. მაგრამ ხელისუფლების სათავეში პიტლერის მოსვლის შემდეგ ინსტიტუტი დაიხურა, მისი პროფესორები კი ემიგრაციაში წავიდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, და ფრანკფურტის სკოლამ ახალი სახით ამ ქვეყანაში დაიწყო მოქმედება. კერძოდ, მარკუზემ სახელი გაითქვა ამერიკაში. ომის შემდეგ სოციალური კვლევის ინსტიტუტი კვლავ გაიხსნა ფრანკფურტში და აქ ბევრი იყო ადორნოს მოწაფე, რომლებიც შემდეგ მეტად ცნობილი ფილოსოფოსები გახდნენ.

ფრანკფურტის სკოლის ფილოსოფიას ეწოდება იდეოლოგიის კრიტიკა. სკოლის წარმომადგენლები ერთი შეხედვით ლენინური სულისკვეთების კითხვას სვამენ: როგორ შეიძლება გადავიდეთ კაცობრიობის დღევანდელი სიტუაციიდან. – იდეოლოგიური მოტყუებისა და ეკონომიკური და სოციალური მონობის სიტუაციიდან – განათლებისა და განთავისუფლებისაკენ? და პასუხობენ: ადამიანებმა უნდა ჩაიტარონ კრიტიკული პროცედურა, რომელიც აიძულებს მათ გაერკვნენ სამყაროს შესახებ თავისი რწმენის წყაროებში. მაგალითად, ჩვენ ნაკლებად ვიწამებდით იერარქიული სისტემის ღირსებას, რომელშიც, შესაძლოა, სილატაკისათვის ვართ განწირული, თუ განგვიმარტავენ, რომ ჩვენი ასეთი რწმენით მოგებული რჩება მხოლოდ ბურჟუაზიული არისტოკრატია.

იდეოლოგიის კრიტიკა შეიძლება დაიწყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ “საშუალო” ადამიანები აღიარებენ მათი მარქსისტი კონსულტანტების ზოგიერთ ზოგად წანამძღვარს. ადამიანებმა უნდა აღიარონ ფუნდამენტალური წანამძღვარი იმის შესახებ, რომ მათი შეხედულებანი საზოგადოების შესახებ ასრულებენ რეპრესიული და არა აუცილებელი სოციალური ინსტიტუტების ლეგიტიმაციის ფუნქციას.

ფრანკფურტელების მარქსისტული თერაპიის პირველი მიზანია დაეხმარონ ადამიანებს წარმოიდგინონ საზოგადოების მოდელი, რომელიც შეესაბამება იდეალური თანასაზოგადოების ყველა მათს კრიტერიუმს და არ არის დამოკიდებული რეპრესიულ ინსტიტუტებსა ან გარკვეული ჯგუფების ტრადიციულ დამონებაზე. შემდეგი ნაბიჯია განიხილონ ეს საკითხი მანამ, სანამ დაინტერესებული ადამიანები არ შეიგნებენ, რომ მათ მიერ აღწერილი მოდელი ფუჭი ოცნება კი არ არის, არამედ შეიძლება რეალურად განსახიერდეს. ფილოსოფოსთა რჩევა-დარიგებანი ადამიანებს აუხსნიან, რომ იდეალური საზოგადოება არა მარტო შესაძლებელია, არამედ აუცილებელიც – აუცილებელია ადამიანთა პოტენციალის სრული განვითარებისათვის. ამის შედეგად ისინი, ვინც მიიღო განათლება იდეოლოგიის კრიტიკის მეშვეობით, გახდებიან მარქსისტულ-ლენინური მოწინავე რაზმის წევრები. ისინი გავლენ ქუჩებში და დაარწმუნებენ სხვა ადამიანებს, რომ რევოლუციური ცვლილებები აუცილებელი და სასურველია.

ფრანკფურტის სკოლის წარმომადგენელთა და მათი მონათესავე სულების საუბედუროდ, რევოლუციის მეთოდოლოგიის და ფილოსოფიური შესწავლის რამდენიმე წელიწადმა ისე ჩაიარა, რომ დღემდე მსოფლიოში ვერ უზრუნველყო ვერც ერთი წარმატებული რევოლუცია, ამიტომ განდა ეჭვი, რომ იდეოლოგიის კრიტიკა არ არის წარმატებული სოციალური ცვლილებების გარანტი.

მამინ სკოლის ზოგიერთი წევრი სერიოზულად ჩაუფიქრდა ამ პრობლემას. აღორნო ამტკიცებს, რომ ფორუმის მოწვევა, რომლის მონაწილეებს შეუძლიათ თავიანთ შეხედულებათა კორექტირება და ამით გონივრული და ღირსეული არსებობის საკუთარი შეხედულების შემუშავება, საზოგადოების გარდაქმნის კარგი საშუალებაა. მაგრამ, როგორც ჩანს, აღორნო ზოგჯერ მიშობს, რომ იდეოლოგიური ილუზიები იმდენად მტკიცეა, განსაკუთრებით კაპიტალიზმის დროს, რომ მათი გაფანტვა შეუძლებელია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აღორნომ შესაძლებელია ვერ მოახერხოს ადამიანთა ფართო მასებმა ირწმუნონ მისი წანამძღვრები, სახელდობრ, რომ განვითარებული კაპიტალისტური საზოგადოების ცხოვრება ხორციელდება იმის ხარჯზე, რომ 1) ნახევარი მსოფლიო ღატაკია და ეს უზრუნველყოფს მოხმარების საზოგადოების აყვავებას; 2) უგონოდ იხარჯება დედამიწის ბუნებრივი რესურსები, რაც ამავე მიზანს ემსახურება; 3) იწარმოება ზედმეტი საქონელი და მხოლოდ ეს უზრუნველყოფს კაპიტალიზმის მანქანის

გამართულ მუშაობას, და ადამიანებს ამიტომ არ სჯერათ ეკონომიკის მართვის სხვა წესების შესაძლებელი უპირატესობისა.

## მარქსის მემკვიდრეობა

ჩვენს დღეებში მარქსის თეორია შეიძლება წარმოგვიდგეს მხოლოდ როგორც ინტელექტუალური თამაში, რომელიც იფარგლება მოძველებული რწმენით პროგრესის შესახებ და მუხრუჭდება ინგლისელი ქალაქის მუშათა კლასის ცხოვრების პირობების ინტერესით. მაგრამ მარქსის უტოპიურ შეხედულებათა ძალის ჯეროვანი შეუფასებლობა მისი მოძღვრების გაუგებლობა და შეზღუდულობა იქნებოდა. მარქსის გავლენა განიცადა მოაზროვნეთა არა ერთმა თაობამ, არა მარტო ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოში. მთელი ჩვენი საუკუნის მანძილზე ყველა მეტად გამოჩენილი ევროპელი ინტელიგენციის წარმომადგენელი კითხულობდა მარქსს. ჟან-პოლ სარტრი, სიმონა დე ბოუვარი, მიშელ ფუკო და ანტონიო გრამში, რომ აღარაფერი ვთქვათ ჰერბერტ მარკუზეზე, თეოდორ ადორნოსა და იურგენ ჰაბერმასზე, – ყველა ისინი ერთ დროს აღფრთოვანებული იყვნენ მისი თხზულებებით. საყოველთაოდ ცნობილია აგრეთვე, რომ მარქსის იდეები გადმოიღეს და თავისებურად გარდაქმნეს ჩვენი დროის ყველაზე სახელგანთქმულმა პოლიტიკოსებმა. მარქსიზმის ტრანსფორმაცია მოახდინა ლენინმა, რომელმაც ეს თეორია შეუხამა თავის ხედვას რუსეთის სახელმწიფო სოციალიზმის საჭიროებათა შესახებ. ფიდელ კასტრომ გამოიყენა იგი კუბის რევოლუციაში. მათ ძედუნმა ისარგებლა მარქსიზმის ჩინური ვერსიით, გრამშიმ – ევროპულით. სახელმწიფო სოციალიზმის იდეის აქტიურმა გამტარებლებმა სიტყვიერი ხარკი მოიხადეს კლასობრივი ბრძოლის იდეის წინაშე, ამტკიცებდნენ, რომ პროლეტარიატის გამარჯვება მათ საზოგადოებაში მიღწეულია, და ეს მტკიცება ეწინააღმდეგებოდა მარქსიზმის წინაწარმერტყველებას სახელმწიფოს კვდომისა და უკლასო და უსახელმწიფო საზოგადოების აყვავების შესახებ.

ეს თავი მხოლოდ ზოგად ხაზებში გვიხატავს მარქსიზმის უდიდეს მიმზიდველობას, მხოლოდ მიგვანიშნებს იმ მრავალ თეორიაზე, რომლებიც შეიძლება დავახასიათოთ როგორც მარქსისტული ამ სიტყვის ფართო აზრით. საერთო ძაფი, რომლითაც დაკავშირებულია სხვადასხვა ისტორიული მოვლენა, ფრანკფურტის სკოლის აკადემიურ თეზისებიდან ჩინეთის კულტურული რევოლუციის უხემ პოპულიზმამდე, დაკავშირებულია ერთ ადამიანთან, რომელსაც სურდა იგი გაეხსენებინათ როგორც მოაზროვნე და არა როგორც ფილოსოფოსი.



## პოლიტიკა და სქესი

### სქესის იდეოლოგია

სქესის იდეოლოგია მოიცავს მრავალ ურთიერთდაკავშირებულ თემას, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია ტრადიციული განსხვავებანი ქალისა და მამაკაცის სოციალურ და პოლიტიკურ მდგომარეობაში.

ამასთან დაკავშირებით სხვა თემებია ქორწინება, გაყრის, აბორტისა და კონტრაცეფციის სამართლიანობა და უსამართლობა, პომოსექსუალობა და საერთოდ სექსუალური ქცევა.



### ფილოსოფია და სქესი

მკითხველები შეიძლება გაოცდნენ, როცა ფილოსოფიურ წიგნში ნახავენ განყოფილებას სქესის შესახებ. რა ურთიერთობა აქვს ფილოსოფიასთან სქესს?

განსხვავებანი ქალისა და მამაკაცის მდგომარეობაში, რომლებიც არსებობს საზოგადოებათა მეტ ნაწილში ზოგჯერ ფიქსირებულია კანონმდებლობაში, და, პირიქით, ცვლილებები მათს მდგომარეობაში ზოგჯერ ხდება კანონმდებლობაში ცვლილებათა შედეგით. სამართალი და კანონები ხომ იურისპრუდენციის (სამართლის ფილოსოფიის) საგანია; აქედან გამომდინარეობს, რომ ყოველგვარი განსხვავება ქალისა და მამაკაცის მდგომარეობაში ემყარება სამართალს, მაშასადამე, იგი ფილოსოფოსების მსჯელობის პოტენციური საგანია.

შემდეგ, ტრადიციული მორალი და ტრადიციული აღმსარებლობა აყენებენ მთელ რიგ იმპერატივებს, რომლებიც ორივე სქესს ასწავლიან მოქცნენ ისე, როგორც მათ შეეფერებათ. კონკრეტული ეთიკური იმპერატივების საფუძვლიანობა (ან უსაფუძვლობა) შეადგენს (ან უნდა შეადგენდეს) მორალური ფილოსოფიის საგნის ნაწილს.

დაბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანი შენიშვნა: სქესი შეიძლება იყოს ფილოსოფიის საგანი, რამდენადაც სქესის იდეოლოგია მჭიდროდ არის დაკავშირებული ბუნების შესახებ იდეებთან, ესე იგი თეორიებთან ბუნებრივის და არაბუნებრივის, ნორმალურის და არანორმალურის შესახებ – იდეების ერთობლიობასთან, რომლებიც გამოიხატება ანტითეზის ფორმით ბუნება –

აღზრდა. ასეთი იდეები თავისი არსებით ფილოსოფიურია და უმთავრესად სწორედ მათ განვიხილავთ.

დიდი ხანია გაირკვა, რომ ადამიანებს შორის ყველა განსხვავება როდია ბუნებრივი, ბევრი მათგანი სოციალური ან ინსტიტუციონალურია. სოციალური განსხვავების (ან განსხვავებათა ერთობლიობის) ერთ-ერთი ყველაზე საოცარი მაგალითია კასტების ინდუისტური ინსტიტუტი.

საყოველთაოდ ცნობილია აგრეთვე, რომ დაუფიქრებელი ადამიანები ხშირად ვერ ამჩნევენ სხვაობას ბუნებრივ და სოციალურ განსხვავებებს შორის. ბევრ მათგანს ფიქრადაც არ მოსდის ეს. მაგრამ ეს განსხვავება გადამწყვეტია ჩვენი თემისათვის. მას ქვემოთ განვიხილავთ.

მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, საკითხავია, წერენ თუ არა ფილოსოფოსები ქალების მდგომარეობის შესახებ? წერენ თუ არა ისინი სქესის პრობლემების შესახებ?

დიახ, წერენ. ბევრი ფილოსოფოსი, მაგალითად პლატონი, არისტოტელე, რუსო, შოპენჰაუერი და ჯ.სტ. მილი, ქალების მდგომარეობას და მათს ბუნებას მიაკუთვნებდნენ ფილოსოფიურ პრობლემებს. უკანასკნელ წლებში მრავალი ფილოსოფოსი (განსაკუთრებით საფრანგეთში, კანადასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში) დაინტერესდა ფემინიზმით, რომელიც, რა თქმა უნდა, აგრეთვე იკვლევს ქალთა სტატუსისა და ბუნების საკითხებს.

სქესის პრობლემებთან დაკავშირებულ თემებს საერთოდ ფართოდ განიხილავდნენ ფილოსოფოსები უკანასკნელი 30-40 წლის მანძილზე. დროის ამ შუალედში გამოჩნდა მრავალრიცხოვანი ფილოსოფიური პუბლიკაციები აბორტების შესახებ, ოდნავ ნაკლები რაოდენობის პუბლიკაციები მიუძღვნა ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებათა გამოყენების ზნეობრივ ასპექტებს. ბრიტანელი ფილოსოფოსი როჯერ სკრატონი და ამერიკელი ფილოსოფოსი თომას ნაგელი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეეცადნენ განესაზღვრათ სქესუალური გაუკუღმართება და სულ ცოტა ხნის წინათ ფილოსოფიურმა ჟურნალებმა დაიწყეს სტატიების გამოქვეყნება ზოგიერთ ეთიკურ პრობლემაზე, რომლებიც გაჩნდა შიღსის ეპიდემიასთან დაკავშირებით.

## ფილოსოფია და ფემინიზმი

რა არის ფემინიზმი? ფემინიზმის მომხრენი ამტკიცებენ, რომ ტრადიციული სოციალური შეხედულებანი უსამართლოა ქალების მიმართ. მათი უსამართლობა შემდეგში მდგომარეობს.

ისტორიულად ქალებს საზოგადოებათა უმეტესობაში არ გააჩნდათ პოლიტიკური ხელისუფლება და დღესაც მამაკაცებზე ნაკლებად მონაწილეობენ ხელისუფლებაში.

ქალები იყვნენ, და ბევრ საზოგადოებაში დღესაც რჩებიან, ნაკლებად განათლებული. ქალებს ეკისრებოდათ ნაკლები ცხოვრებისეული როლები და ნაკლები შესაძლებლობა ეძლეოდათ, რომ საინტერესო სამუშაო ჰქონოდათ სახლის გარეთ. ამტკიცებენ, რომ საზოგადოებაში ქალები ასრულებენ უფრო მძიმე სამუშაოს, ვიდრე მამაკაცები, და იღებენ ნაკლებ ხელფასს ან სულაც მუქთად მუშაობენ.

ფემინისტი ქალები მიზნად ისახავენ ბოლო მოულონ საქმის ასეთ ვითარებას. ამისათვის იყენებენ სხვადასხვა არგუმენტს და, როცა ეს შესაძლებელია, მიმართავენ სათანადო პოლიტიკურ მოქმედებას.

ფემინიზმი ახალი მოვლენა როდია. მერი უოლსტონკრაფტი, ქალები-სათვის საარჩევნო უფლებათა მინიჭების მეზობლი (სუფრაჟიზმის მომხრენი), ვირჯინია ვულფი და სიმონა დე ბოვუარი ფემინისტები იყვნენ. დაკვირვებული თვალი სწირად ამჩნევს ფემინისტური იდეების გამონაკრთომებს მოულოდნელ ადგილებში – ზრდილი და, თითქოს, კონსერვატული ავტორების პიესებსა და რომანებში.

როგორც სოციალური ფენომენი ფემინიზმი ვრცელდება ტალღობრივად. ახლანდელი ტალღა აღინიშნა ფემინიზმის წარმატებით სამუშაოზე დაქირავებისა და უმაღლესი განათლების დარგში.

## მოლოდინი და სქესი ✓

სქესი და სქესობრივი განსხვავებანი მრავალმხრივ განსაზღვრავენ ცხოვრებას. როცა ჩნდება ბავშვი, უწინარეს ყოვლისა კითხულობენ: ბიჭია თუ გოგო? ტრადიციულ საზოგადოებებში ბიჭის დაბადება სიხარულს იწვევს, ხოლო გოგოსი – წყენას.

რა თქმა უნდა, განსხვავება მდგომარეობაში როგორც ასეთი განსხვავებულად აღიქმება მამაკაცებისა და ქალების მიერ. უწინარეს ყოვლისა, ქალი შეიძლება აღშფოთდეს ამით, მაშინ როცა მამაკაცს არ გააჩნია პირადი საფუძველი აღშფოთებისათვის. თუ ქალებს მიდრეკილება აქვთ აღიარონ, რომ საფუძველი აქვს მამაკაცებისა და ქალების შორის მდგომარეობის განსხვავებას, მაინც უფრო სავარაუდოა, რომ სწორედ ისინი და არა მამაკაცები გააოცდებიან ამ მდგომარეობის ზოგიერთი კონკრეტული გამოვლინებით. მამაკაცები კი უფრო იმას დათანხმდებიან, რომ მეორე სქესის წარმომადგენლები აზროვნებენ და მოქმედებენ სრულიად სხვანაირად, ვიდრე თვითონ ისინი.

უჭველია, ყოველი საზოგადოება მამაკაცებისა და ქალებისაგან მოელის განსხვავებულ ქცევას. ჩვენს საზოგადოებაში მიაჩნიათ, რომ ქალები მამაკაცებზე კეთილნი არიან და უკეთესად გაეგებათ პირად ურთიერთობათა

სირთულეები და ადამიანური მოთხოვნილებანი. მიჩნეულია აგრეთვე, რომ ისინი უკეთესად სწვდებიან ფსიქოლოგიურ რეალობას, უფრო მეტი უნარი აქვთ შეაფასონ ადამიანის განვითარების დონე, ადამიანის პიროვნება და ფსიქოლოგიური ზრდა. მიღებულია, რომ მამაკაცები ქალებზე ნაკლებ ემოციურნი არიან, რომ ისინი უკეთ ერკვევიან მანქანებსა და რთულ თანამედროვე ტექნოლოგიაში, პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებში.

ანთროპოლოგებიდან ყოველ შემთხვევაში მარგარეტ მიდი ამტკიცებს, რომ მამაკაცებისა და ქალების დასაშვები და მოსალოდნელი ქცევები სხვადასხვა საზოგადოებაში განსხვავებულია. იგი წერს: “ყველა ცნობილ საზოგადოებაში კაცობრიობამ შეიმუშავა შრომის ბიოლოგიური დანაწილება, რომლის ფორმები ხშირად მეტად დაშორებულია მათი დასაბამიერი ბიოლოგიური განსხვავებისაგან, თავდაპირველად გზამკვლევი რომ იყო. განსხვავებანი სხეულის ფორმასა და ფუნქციებში ადამიანებმა ანალოგიებით განაგრძეს, დაუკავშირეს ისინი მზესა და მთვარეს, ღამესა და დღეს, სიკეთესა და ბოროტებას, ძალასა და სინაზეს, მუდმივობასა და ცვალებადობას. ერთი და იგივე თვისებას მიაწერენ ხან ერთ, ხან მეორე სქესს. უზომოდ შეყვარებულებად მიაჩნიათ ხან ბიჭები, ხან გოგონები, ზოგიერთი ადამიანი ქალებს თვლის მეტად სუსტებად ნებისმიერი მუშაობისათვის, გარდა საოჯახო საქმეებისა; სხვებს კი მიაჩნიათ, რომ სწორედ ქალების ხედვრია ზიდონ მძიმე ტვირთი, “ვინაიდან ისინი მამაკაცებზე ჭკვიანები არიან...” საუბარია დიდსა თუ პატარაზე, ქარაფმუტულ მორთულობასა და კოსმეტიკაზე თუ ადამიანის წმინდა მოვალეობებზე, რომლებიც განპირობებულია მისი ადგილით სამყაროში, – ყოველივეში ვპოულობთ უდიდეს მრავალფეროვნებას (ხშირად ამკარად ურთიერთსაწინააღმდეგო წესს) ორი სქესის როლების მოდელირებაში. მაგრამ მოდელირებას ყოველთვის აქვს ადგილი... არ არის არც ერთი კულტურა, რომელშიც ყველა ჩვენ მიერ განხილული თვისება – სისულელე და ბრწყინვალე უნარი, სილამაზე და სიმახინჯე, მეგობრობა და მტრობა, სიმამაცე, მოთმინება და მცდელობა – იყოს უბრალო ადამიანური თვისებები”.

ფემინისტები ცდილობენ საზოგადოების მიერ დადგენილ განსხვავებებს მამაკაცებსა და ქალებს შორის ახლებურად შეხედონ. ისინი აკრიტიკებენ საყოველთაოდ მიღებულ შეხედულებებს მამაკაცებისა და ქალების ბუნებრივი და შეძენილი ქცევების შესახებ და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეს საყოველთაოდ მიღებული შეხედულებანი ხშირად მიმართულია: ქალების ინტერესების წინააღმდეგ. კეიტ მილუტი წიგნში “სექსუალური პოლიტიკა” ამტკიცებს, რომ გავრცელებული წარმოდგენები ქალებისა და მამაკაცების როლებისა და ტემპერამენტების შესახებ, აგრეთვე ბიჭებისა და გოგონების შესაბამისი სოციალიზაციის მიმართულება იმის გარანტიას იძლევა, რომ ძალაუფლება საზოგადოებაში მამაკაცების ხელში დარჩება.

## ერთი თუ ორი სქესი?

1949 წელს სიმონა დე ბოვუარი წერდა: “სიმაართლე რომ ვთქვათ, საკმარისია სასურნოდ გავიდეთ, ხალხს თვალი მოვავლოთ და დავრწმუნდებით, რომ ადამიანები ორ კლასად იყოფიან. განსხვავებულია მათი ტანსაცმელი, სახეები, სხეულები, ღიმილი, სიარული, ინტერესები, საქმიანობა”.

მაგრამ, მეორე მხრივ, არსებობს და ღრმა ფესვები აქვს გადგმული საპირისპირო შეხედულებას, თითქოს სინამდვილეში კაცობრიობა ერთ-სქესიანია. ეს, როგორც ჩანს, არაცნობიერი შეხედულება, კერძოდ, ვლინდება წარმოდგენაში ქალების როგორც არანორმალური მამაკაცების შესახებ. ქალები არიან ბავშვობაში ზრდაშეჩერებული, ავადმყოფი ან კასტრირებული მამაკაცები. ეს უცნაური აზრი გვხვდება ზოგიერთი მოაზროვნის, მათ შორის არისტოტელეს, შოპენჰაუერის, ფროიდის და ოტო ვაინინგერის თხზულებებში.

თვალსაზრისს, რომლის თანახმად კაცობრიობა ერთსქესიანი სახეობაა ან შეიძლება ასეთად იქცეს, იზიარებს ზოგი ფემინისტი ავტორი, რომლებიც იცავენ *ანდროგინობის იდეალს*.

ეს იდეალი გულისხმობს, რომ ყველაზე საუკეთესო შესაძლებელი მდგომარეობა ისაა, რომელშიც გაუქმებული იქნებოდა სქესობრივი როლები ჩასახვის, ორსულობისა და დედობის დონემდე. ყველა ინსტიტუციონალური და პიროვნებათაშორისი ურთიერთობანი ასეთ მდგომარეობაში თავისუფალი იქნებოდა ხელისუფლებისაგან, დათრგუნვისა და უსამართლობისაგან. ანდროგინული იდეალის განხორციელება შეიძლებოდა უახლოეს მომავალში ხელოვნური განაყოფიერებისა და მეცნიერულ დამუშავებათა მეოხებით, რაც შექმნიდა საშუალებას ბავშვები დაბადებულიყვნენ და გაზრდილიყვნენ ლაბორატორიებში.

ფემინიზმის ამ ნაირსახეობის მომხრენი ამტკიცებენ, თითქოს მამაკაცებისა და ქალების განსაკუთრებული ფსიქიკური მახასიათებლები სოციალური ინჟინერიის შედეგია. მათი აზრით, უნდა დაივიწყოთ ფუძემდებლური იდეოლოგიები, რაც ქალებს საშუალებას მისცემს იყვნენ ძლიერნი და გამბედავნი, ლოგიკურად მოაზროვნენი და ანალიზის უნარის მქონენი, ნაკლებად აინტერესებდეთ ისეთი უღირსი და მომქანცველი საქმე, როგორიცაა ჩვილი ბავშვის მოვლა. თავის მხრივ მამაკაცები იქნებოდნენ უფრო მზრუნველნი და მგრძნობიარენი, თუკი ეს თვისებები ძველებურად ღირსებად ჩაითვლებოდა.

## ფემინიზმის სხვადასხვა ტიპი

ანდროგინული იდეალი, როგორც ჩანს, გულისხმობს, რომ ტრადიციული ქალური როლები მეტად მოსაწყენი, მომქანცველი და უღირსია, მაშინ

როდესაც ტრადიციული მამაკაცური როლები საინტერესო და ადამიანურად მნიშვნელოვანია. მაგრამ ზოგიერთი ფემინისტი სხვა შეხედულებებისაა.

ამ მეორე სკოლის ფემინისტები ამტკიცებენ, რომ მამაკაცებისა და ქალების ბუნება ნამდვილად განსხვავებულია და რომ ქალური ბუნება და ფსიქოლოგია ისევე (თუ უფრო მეტად არა) ღირებულების მქონეა, როგორც მამაკაცური. ქალებს აქვთ განსაკუთრებული თვისებები და უნარები, და დამახასიათებელი ქალური აზროვნების სტილი უფრო ინტუიციურია, ემოციურად უფრო გულწრფელია, შემოქმედებითი და ფართოა, ვიდრე მამაკაცების აზროვნება. ეს სტილი წარმოადგენს მეცნიერული, რაციონალური, ლოგიკური, ანალიტიკური აზროვნების წესის სრულფასოვან ალტერნატივას. ამ ფემინისტების ამოცანაა არ განხორციელდეს ანდროგინული იდეალი, მათ უნდა მიაღწიონ სპეციფიკური ქალური უნარების, მათი ჭეშმარიტი ღირებულებების აღიარებას, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე სათანადოდ არ ფასდებოდა პატრიარქალურ საზოგადოებებში.

ფემინისტური მოძრაობა ორ სკოლად იყოფა თანასწორობისა და სამუშაო ადგილის საკითხების თაობაზეც.

ერთ-ერთი ამ სკოლის თანახმად, მამაკაცებთან თანასწორობა სამუშაო ადგილებზე არსებითი მნიშვნელობის ამოცანაა. მეორე სკოლის ფემინისტები ამტკიცებენ, რომ ასეთი თანასწორობის მიღწევა არ არის საჭირო. განსხვავება სქესებს შორის უნდა აღიაროს საზოგადოებამ, მაგრამ ახალი ფორმით, რამდენადაც თანასწორი დამოკიდებულება მამაკაცებისა და ქალებისადმი ნიშნავს უსამართლო დამოკიდებულებას ამ უკანასკნელებისადმი. ქალები ზრდიან ბავშვებს და ბავშვებზე ზრუნვა უმთავრესად მათ ეკისრებათ. სამუშაოზე დაქირავების თანაბარი პირობები ნიშნავს, რომ ქალები უნდა მუშაობდნენ უფრო მეტს, ვიდრე მამაკაცები (რაც ხდებოდა კიდევ ყოფილ საბჭოთა კავშირში).

მაგრამ სავსებით ცხადია, რომ თუ შრომის თანასწორი პირობები იწვევენ უსამართლობას, შრომის უთანასწორო განაწილებას, მაშინ ეს შრომის პირობები სინამდვილეში არ არის თანასწორი. საბოლოო ანგარიშით განსხვავება ორ ზემოაღნიშნულ თვალსაზრისს შორის ემყარება სიტყვა “თანასწორის” გაურკვეველ მნიშვნელობას.

## სექსი და სქესი

ბევრი მამაკაცი და ზოგიერთი ქალი თანახმაა, რომ ადამიანების მიერ შემუშავებული კანონები და ადათ-წესები მართლაც ქმნიან და ინარჩუნებენ განსხვავებულ მდგომარეობას მამაკაცებსა და ქალებს შორის, მაგრამ, ამის მიუხედავად, დაჟინებით ამტკიცებენ, რომ ეს და ამის მსგავსი კანონები და ადათ-წესები აუცილებელია, ვინაიდან ისინი ასახავენ ბუნებრივ განსხვავებებს.

განსხვავება სქესებს როგორც ასეთებს შორის ბუნებრივი განსხვავებაა, და მას უნდა ითვალისწინებდნენ კანონები და სხვა სოციალური ინსტიტუტები.

მაგრამ ანთროპოლოგიის მონაცემები, თუ აღარაფერს ვიტყვით უკვე ისტორიის საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებზე, მოწმობენ, რომ კანონები და ადამ-წესები კი არ ქმნიან ამა თუ იმ სოციალურ განსხვავებათა ერთობლიობას მამაკაცებსა და ქალებს შორის, არამედ უფრო სხვადასხვა საზოგადოებანი ქმნიან სხვადასხვა სოციალურ განსხვავებებს. ეს სოციალური განსხვავებანი არ ასახავენ უნივერსალურ ბუნებრივ განსხვავებას, მაგრამ სხვადასხვანაირად იძლევიან მისი მნიშვნელობის ინტერპრეტაციას. სქესთა განსხვავება თავისთავად აუცილებლობით ვერ განაპირობებს ყველა მრავალრიცხოვან და მრავალნაირ სოციალურ და პოლიტიკურ ნორმებს, რომლებსაც ასაბუთებენ ამ განსხვავების მეოხებით.

იმისათვის, რომ ხაზი გაუსვან ამ მომენტს, თანამედროვე ფემინისტები განასხვავებენ სქესს და იმას, რასაც, რადგან უკეთესი სიტყვა ვერ მოიძებნა, ისინი სქესს უწოდებენ.

სექსთა განსხვავება არის ბუნებრივი განსხვავება, მაგრამ მისი ბუნებრივი მნიშვნელობა შეზღუდულია ძირითადად აღწარმოებისა (გამრავლების) და სექსუალური სიყვარულის კონტექსტებით.

სქესი კი სულაც არ არის ბუნების ფაქტი. მას საფუძვლად უდევს დიდი რაოდენობის კანონები, წესჩვეულებები, ფსიქოლოგიური თეორიები, ბავშვთა აღზრდის მეთოდები; ეტიკეტის რეკომენდაციები; წესები, მოთხოვნები და ა.შ., მოკლედ რომ ვთქვათ, სქესს განაპირობებს არა ბუნება, არამედ აღზრდა. სქესის როლები, როგორცაა განაყოფიერება და ორსულობა, ემყარება ფიზიოლოგიას, ე.ი. ბუნებას, მაგრამ სქესის როლები ხელოვნური წარმონაქმნებია. თითოეულ ინდივიდს ზრდიან საზოგადოებაში არსებული წარმოდგენების შესაბამისად მამაკაცების ან ქალების როლების შესახებ, და ინდივიდების უმეტესობა დაუფიქრებლად ეთანხმება იმას, რომ სხვადასხვა სქესობრივი როლები ისევე ბუნებრივია, როგორც ფიზიოლოგიური განსხვავებანი.

ასეთია ფემინისტური განმარტებანი სქესისა და სექსის თაობაზე. პურისტები და პედანტები ამასთან დაკავშირებით იტყვიან, რომ სიტყვა სქესი გრამატიკული კატეგორიაა. ისე რომ აუცილებელია განიმარტოს, სიტყვა სქესი რატომ არის გარკვეული სოციალური სტრუქტურებისათვის შესაბამისი იარლიყი.

გრამატიკაში ყველა არსებითი სახელი მიეკუთვნება მამრობითს ან მდედრობითს სქესს (ხოლო ზოგიერთ ენაში საშუალო სქესსაც). რა თქმა უნდა, ეს კლასიფიკაცია არსებობს ინგლისურ ენაშიც; აქ გაყოფა მამრობით და მდედრობით სქესად ვრცელდება მამაკაცებსა და ქალებზე, აგრეთვე ცხოველებზე. ინგლისში უსულო ობიექტს არა აქვს სქესი. იგი არის II.

საფრანგეთში კი ყველაფერი, უსულო საგნების ჩათვლით, გრამატიკის თვალსაზრისით მიეკუთვნება მამრობით ან მდედრობით სქესს. სხვა ენებში გამოიყოფა სამი სქესი.

ნამდვილად სქესი გრამატიკული კატეგორიაა, მაგრამ მისი სხვა სოციალური მნიშვნელობები ამ შემთხვევაში სრულიად დასაშვებია.

ფემინისტ ქალებს სქესი პრაქტიკულად ასევე ესმით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფემინისტების მიერ სქესის გაგება არის სოციალური ცნება, რომელსაც ბუნებრივი მნიშვნელობა მიეწერება.

სხვათა შორის, ეს სიტუაცია გვიჩვენებს, რომ სიტყვის ხმარება ახალი ან უფრო ფართო მნიშვნელობით ყოველთვის ბოლოს როდი უღებს დისკუსიებს. ეს ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანებს ვერ გაუგიათ, რომ სიტყვის მნიშვნელობა სპეციალურად გააფართოეს ან შეცვალეს. ამ შემთხვევაში მნიშვნელობის გაფართოება, ცხადია, დასაშვებია და სავესებით გასაგებია.

## დისკრიმინაცია

დისკრიმინაცია ნიშნავს განსხვავების მოხდენას. არაფერია ცუდი ადამიანთა შორის განსხვავების მოხდენაში – ადამიანები ხომ მართლაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან როგორც ინდივიდები, აგრეთვე როგორც სხვადასხვა ერის, რასის, კლასის და სქესის კუთვნილებანი. დასაგმობია უსამართლო დისკრიმინაცია. მაგრამ უმალვე ჩნდება კითხვა; რა ქმნის ამა თუ იმ განსხვავებას უსამართლობად?

პასუხის გასაღები უნდა მოინახოს პასუხებში სხვა კითხვებზე (რომელიც ნიციუმე დასვა სხვა გარემოებასთან დაკავშირებით), – კითხვაზე “ვის აძლევს ეს ხელს?” ვინაიდან განსხვავებას ადამიანებს შორის ახდენს იდეოლოგია, ჩვენ ვერ გადავწყვეტთ, სამართლიანია იგი თუ უსამართლო, თუ ვერ გავიგებთ, ვის აძლევს ის ხელს, რითი არის ეს სასარგებლო და არის თუ არა რაიმე საფუძველი (კარგი ან ცუდი) ამ სარგებლობის არსებობისათვის.

იდეოლოგია უმთავრესად დაცვაა განსაკუთრებულ ვითარებებში, როგორც შენიშნა ნიციუმე. როგორც ასეთი იდეოლოგია ყველაზე ხშირად მოგვაგონებს წინასწარაკვიატებულ არგუმენტაციას *ad hoc* 1857 წელს ამერიკის უმაღლესმა სასამართლომ წამოაყენა ასეთი არგუმენტაციის შეუღარებელი ნიმუში. მან დაადგინა: “შავკანიანები უდაბლესი რიგის არსებანი არიან, ამასთან იმდენად უდაბლესი, რომ მათ არა აქვთ უფლებანი, რომლებსაც თეთრკანიანმა ადამიანმა პატივი უნდა სცეს”.

პასუხი კითხვაზე “ვის აძლევს ეს ხელს?” არ არის გადამწყვეტი საბუთი, რომელიც ცხადყოფს, რომელი განსხვავებანი და დისკრიმინაციებია სამართლიანი და რომელი – არა. მაგრამ ის კარგი ამოსავალი წერტილია შემდგომი ძიებისათვის.



მეცნიერების  
ფილოსოფია



## მეცნიერების მეთოდები

ჩვენ ყველა, ალბათ, თანახმა ვართ, რომ მეცნიერება არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ყველა სხვა დანარჩენისაგან განსხვავებული კვლევის ფორმა. ეს იმით აიხსნება, რომ მეცნიერება იწვევს უდიდეს და შორსმომავალ ცვლილებებს ჩვენს ცხოვრებაში. მისი მოწინააღმდეგეები კი იძულებული არიან აღიარონ მისი მიღწევები.

რატომ მიაღწია მეცნიერებამ ასეთ წარმატებებს? იქნებ ამას მეთოდს ან მეთოდებს უნდა ვუმაღლოდეთ? არსებობს თუ არა სპეციფიკური მეცნიერული მეთოდი? და თუ არსებობს, რა მეთოდი იგი?

დასაწყისისთვის გავარკვიოთ სიტყვა “მეცნიერების” მნიშვნელობა.

XIX საუკუნემდე მეცნიერებად მიაჩნდათ თეორიული ცოდნის ან განსწავლულობის ნებისმიერი დარგი. მაგრამ თანდათან ეს სიტყვა აღნიშნავდა ცოდნის მხოლოდ იმ დარგებს, რომელთაც საქმე ჰქონდათ მატერიალურ სამყაროსთან. ჩვენს დღეებში იდეალური, ანუ პარადიგმული, მეცნიერება – ეს არის მეცნიერება მატერიის შესახებ. ამასთან ერთად სხვა დარგებში მომუშავე მეცნიერებს უყვართ ამ დარგებს მეცნიერებანი უწოდონ. მაგალითად, შესაბამისი დარგების სპეციალისტები მეცნიერებას უწოდებენ ანთროპოლოგიას, ეკონომიკას, ლინგვისტიკას, ფილოლოგიას, ფსიქოლოგიას. თუმცა ეს განცხადებები საფუძველს მოკლებული არ არის, მაგრამ ჩვენ მეცნიერებაში ვგულისხმობთ უმთავრესად იმ დისციპლინებს, რომელთა საგანია ფიზიკური სამყარო, რა თქმა უნდა, ისეთ ფიზიკურ არსებათა ჩათვლით, როგორცაა ცოცხალი ორგანიზმები.

## დაკვირვება და ექსპერიმენტი

მეცნიერთა და მეცნიერების ფილოსოფოსთა უმრავლესობა დაკვეთანხმება, რომ მეცნიერული მეთოდის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი კომპონენტია ექსპერიმენტირება. ხშირად ამბობენ, რომ ინტელექტუალური პროცესი მიმდინარეობს მაშინ, როცა მეცნიერები აყენებენ ექსპერიმენტებს და

პრაქტიკულად ანალიზებენ მათს შედეგებს, ხოლო ინტელექტუალური უძრავობა იწყება მაშინ, როცა ექსპერიმენტებს აწყობენ არაკრიტიკულად ან საერთოდ არ აწყობენ.

ამ თვალსაზრისის მომხრენი ამბობენ, რომ ამას ადასტურებს მრავალრიცხოვანი ისტორიული მაგალითი.

ბერძენმა ექიმმა გალენმა (130–201), მაგალითად, აღმოაჩინა კუნთების აგებულება გარდაცვლილთა სხეულების პრეპარირების საფუძველზე, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ექსპერიმენტის მეოხებით. გალენი იყო ბევრი სამედიცინო ტექნიკის პირველადმომჩენი. მოგვიანებით, ეგრეთ წოდებული ბნელი საუკუნეების ეპოქაში, მიაჩნდათ, რომ ძველი სწავლულები, გალენის ჩათვლით, არ ცდებოდნენ. ამიტომ ექიმები თავს არ იწუხებდნენ იმ საკითხებით, თუ როგორ მუშაობენ კუნთები. ამ საუკუნეებს ჩვეულებრივ განიხილავდნენ როგორც მეცნიერების (მედიცინის ჩათვლით) უმნიშვნელო პროგრესის ხანას ანდა მის სრულიად არარსებობას.

წანამძღვარი, რომ ძველი სწავლულები არ ცდებოდნენ, აღორძინების ხანაში საეჭვოდ იქცა. ვეზალიუსმა (1514–1564) ჩაატარა საკუთარი ექსპერიმენტები და აღმოაჩინა, რომ გალენის ზოგიერთი აღწერა ეხება ძაღლების კუნთებს და არა ადამიანებისას. ალბათ, გალენი კვებდა სხვადასხვა ცხოველს, მაგრამ ეს ფაქტი დაივიწყეს ან მხედველობიდან გამორჩათ. აღორძინების მაძიებელმა სულისკვეთებამ, რომელსაც განასახიერებდა ვეზალიუსი, უზრუნველყო მეცნიერების უდიდესი მიღწევები საერთოდ, თუმცა აუცილებლად უნდა ვაღიაროთ, რომ სამედიცინო მეცნიერებამ როგორც ასეთმა არ მიაღწია განსაკუთრებულ პროგრესს XIX საუკუნემდე.

მაგრამ ვითარების გამარტივება იქნებოდა აქედან გამოგვეტანა დასკვნა, რომ მეცნიერული პროგრესი მთლიანად დამოკიდებულია ექსპერიმენტების ჩატარება-ჩაუტარებლობის სურვილზე. თუმცა უნდა ითქვას, რომ შუა საუკუნეების მოაზროვნეთა აღფრთოვანება თავიანთი წინამორბედებით მეტად გაზვიადებული იყო და მოწმობდა საკუთარი გრძნობების მონაცემთა უგულებელყოფას. იმის მოთხოვნა, რომ მეცნიერებმა უნდა გადაამოწმონ თითოეული ჩატარებული ექსპერიმენტი, რეალიზმის უგულებელყოფა იქნებოდა: მაშინ ხომ აღარ დარჩებოდათ დრო ახალი ექსპერიმენტებისთვის.

## თეორიები და დასკვნები: ჰემპელი და პოპერი

მეცნიერული მეთოდი არ არის მხოლოდ დაკვირვება და ექსპერიმენტი. მეცნიერები აყალიბებენ თეორიებს, რომლებმაც უნდა ახსნან ექსპერიმენტების შედეგები და შესაძლებელი გახადონ მომავალ დაკვირვებათა ზუსტი წინასწარმეტყველება.

მაგრამ როგორ ხდება გადასვლა დაკვირვებებიდან თეორიაზე? და როგორია თეორიის როლი მეცნიერებაში?

კარლ პეპელმა წამოაყენა მეცნიერთა მუშაობის ახსნა, რომელიც მეტად ცნობილი გახდა და თითქმის საყოველთაო აღიარება ჰპოვა დღევანდლამდე. პეპელს მიაჩნდა, რომ მეცნიერება ემყარება ჰიპოთეზურ-დედუქციურ მეთოდს. ეს ნიშნავს, რომ ყველა კვლევით სამუშაოს მეცნიერები იწყებენ იმით, რომ ახდენენ დაკვირვებებს და აფიქსირებენ მათ შედეგებს, შემდეგ აყალიბებენ ჰიპოთეზურ კანონს, რომელიც ხსნის ამ დაკვირვებებს; ბოლოს, ამ კანონს იყენებენ დედუქციური დასკვნის წანამძღვრად.

განვიხილოთ უბრალო მაგალითი.

ნაბიჯი 1: ავიღოთ ბატარეა და რამდენიმე სადენი, ვცადოთ გაეტაროთ ელექტროდენი ვერცხლის, რკინის, სპილენძის და სხვა ლითონების საგნებში. ჩავიწეროთ დაკვირვებათა შედეგები: ყველა ეს საგანი ელექტრობის გამტარია.

ნაბიჯი 2: ჩამოვაყალიბოთ ჰიპოთეზური კანონი – ყველა ლითონი ელექტრობის გამტარია.

ნაბიჯი 3: გამოვიყენოთ ეს კანონი როგორც დედუქციის წანამძღვარი, მაგალითად: ყველა ლითონი ელექტრობის გამტარია, ვერცხლისწყალი ლითონია, მაშასადამე, ვერცხლისწყლის პლომბები კბილებში უნდა ატარებდნენ ელექტრობას.

პეპელის მოდელი, რომელიც ხსნის კანონს, სრულებითაც არ არის მეცნიერული აზროვნების ამომწურავი ამსხნელი. ჯერ ერთი, მას მხედველობიდან რჩება ან მინიმუმამდე დაჰყავს ის როლი, რომელსაც მეცნიერებაში ასრულებს თეორიული ფაქტორი, როგორიცაა გრავიტაცია და მაგნეტიზმი. მეორეც, იგი გამოუსადეგარია კონკრეტული მოვლენების ასახსნელად (მაგალითად, ვილაცის მიერ პარიზის ბილეთის ყიდვის). რამდენადაც ადამიანები პარიზში ჩადიან მრავალჯერ სულ სხვადასხვა მიზეზით, შეუძლებელია ჩამოყალიბდეს კანონი, რომელიც ახსნიდა ამ ფენომენს. და მაინც პარიზში წასვლა აუხსნელი არ არის.

კარლ პოპერი (1902–1994), შესაძლოა, ჩვენი საუკუნის ყველაზე ცნობილი მეცნიერების ფილოსოფოსია. მეცნიერული მსჯელობის მისეულ ახსნას მოსწრებულად უწოდებენ ფალსიფიკაციის თეორიას.

პოპერი ამტკიცებს, რომ მეცნიერები ქმნიან მეტად ფალსიფიცირებად თეორიებს, ხოლო შემდეგ ცდიან მათ. გარკვეული აზრით შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერები თავიანთი დროის დიდ ნაწილს კარგავენ იმის მცდელობაში, რათა აჩვენონ საკუთარი თეორიების სიყალბე. როცა დასაბუთებულია მეცნიერის ყველა თეორიის სიყალბე, ერთის გარდა, მას შეუძლია დაასკვნას, ყოველ

შემთხვევაში დროებით, რომ დარჩენილი თეორია სწორია. მაგრამ არ არსებობს აბსოლუტურად საიმედო თეორია. ყოველი თეორია საბოლოო ანგარიშით ჰიპოთეზაა, ამიტომ ყოველთვის შეიძლება იგი უარყოფილ იქნას.

პოპერის ახსნის წინააღმდეგ წამოყენებულია ზოგიერთი მოსაზრება. უწინარეს ყოვლისა, შეუძლებელია უკლებლივ ყველა თეორიის გამოცდა, რამდენადაც ადამიანის გამომგონებლობის უნარი უსაზღვროა. შემდეგ. პოპერი ვერ ხსნის, რატომ უარყოფენ ზოგ თეორიას როგორც აშკარად ყალბს, და გამოცდის ღირსადაც კი არ თვლიან. ფაქტიურად ჩვენ ვეყრდნობით საღ აზრს, რომელიც გვიჩვენებს, როგორი თეორიებია იმდენად აბსურდული, რომ მათი გამოცდისათვის თავი არ უნდა შევიწუხოთ. მაგალითად, ვილაც ახალგაზრდა კაცი აყალიბებს თეორიას, რომლის თანახმად მას ყოველთვის შეუძლია იშოვოს ბილეთი ბრაიტონამდე, თუკი იცეკვებს საბილეთო სალაროს წინ. ცხადია, ეს თეორია იმდენად ფალსიფიცირებადია, რომ მხოლოდ საღ გონებას მოკლებული ადამიანი თუ შეამოწმებს მას.

მესამე პრობლემა ის არის, რომ ფალსიფიკაციის თეორია მეცნიერებიდან გამორიცხავს ბევრ ისეთ რამეს, რაც თვით მეცნიერებს სურთ შეინარჩუნონ მასში.

განვიხილოთ ორი მნიშვნელოვანი თეორია: მოძღვრება იმის შესახებ, რომ ყოველ მოვლენას აქვს მიზეზი, და ევოლუციის თეორია.

მოძღვრებამ იმის შესახებ, რომ ყოველ მოვლენას აქვს მიზეზი, მეტად ღრმად გაიდგა ფესვები მთელ დასავლურ მეცნიერულ ტრადიციაში. იგი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მეცნიერები თითქოს ერიდებიან, ვერ ბედავენ მის ფალსიფიცირებას. მარცხი მიზეზის ძებნისას ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში არასოდეს არ აღიქმება ამ თეორიის ფალსიფიკაციად, ვინაიდან იგი საერთოდ გაუყალბებელად არის მიჩნეული. კვანტური თეორიის თაობაზეც კი, სადაც მიზეზშედეგობრივი აღწერა არ არის გამოყენებული, მეცნიერები მხოლოდ იმის აღნიშვნას სჯერდებიან, რომ აქ მიზეზისა და შედეგის იდეას ამხსნელი ძალა არა აქვს.

ევოლუციის დარვინისეულ თეორიასაც პრივილეგიური მდგომარეობა უკავია, თუმცა რამდენადმე სხვა მიზეზით. ევოლუციის თეორია განიხილება არა უბრალოდ როგორც ფალსიფიცირებადი, არამედ უფრო ისეთი, რომ ძნელი წარმოსადგენია, როგორ შეიძლება მისი ფალსიფიცირება. პოპერის აზრით, სწორედ ამიტომ ეს თეორია არ შეიძლება ჩაითვალოს მეცნიერულად. მაგრამ იგი მონაცემების ისე დიდ სფეროს ხსნის, რომ ბიოლოგებს არ სურთ უარი თქვან მასზე. და თუნდაც ვინმეს განეზრახა ევოლუციის თეორიის შემოწმება, და შემოწმებას ეჩვენებინა მისი სიყალბე, განა შეიძლებოდა მაშინვე მისი უარყოფა?

პოპერის ახსნა გულისხმობს, რომ საკმარისია მეცნიერმა მოახდინოს

ორიოდე დაკვირვება, რომლებიც ეწინააღმდეგება ამჟამად მიღებულ თეორიას, რომ ამ თეორიაზე უარი უნდა ითქვას მისი სიყალბის გამო. მაგრამ სინამდვილეში სშირად ხდება ხოლმე, რომ თეორიას პრიორიტეტი ენიჭება დაკვირვებასთან შედარებით. ვინ უარყო მზის სისტემის პელიოცენტრული თეორია რამდენიმე ეპიპრიული დაკვირვების საფუძველზე?

## კუნი და ფოიერაბენდი

პოპერმა თავისი მთავარი თხზულება “Die Logic der Forschung” დაწერა 1934 წელს, 1958 წელს იგი ითარგმნა ინგლისურ ენაზე სახელწოდებით “მეცნიერული აღმოჩენის ლოგიკა”. შემდგომ თომას კუნმა და ფოიერაბენდმა გადაწყვიტეს (ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად), რომ მეცნიერული მეთოდის ბუნების დადგენის საუკეთესო წესია არა ფილოსოფოსობა. არამედ წარსულისა და აწმყოს მეცნიერთა მუშაობის დაკვირვება და ფიქსირება.

მეცნიერთა მუშაობაზე დაკვირვებისა და მეცნიერების ისტორიის შესწავლის შედეგად კუნი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ არსებობს მეცნიერების ორი განსხვავებული ფორმა – ნორმალური და რევოლუციური.

ნორმალური მეცნიერება არ ქმნის ახალ თეორიებს და არ ამოწმებს ძველი თეორიების ადეკვატურობას. ნორმალური მეცნიერება თვლის, რომ ამჟამად მიღებული თეორიები ჭეშმარიტია. იგი უფრო ზუსტად განსაზღვრავს ცნობილ ფაქტებს ან ჭეშმარიტ ფაქტებს იმ გზით, რომ შეისწავლის მანამდე აუხსნელ მოვლენებს, რათა ადგილი მიუჩინოს მათ მოვლენათა არსებულ ახსნაში და გადაწყვიტოს მცირე თეორიული ბუნდოვანებანი. ნორმალური მეცნიერების მეთოდოლოგია იმაზე დაიყვანება, რომ სიმართლით თუ არასიმართლით ბუნება მოათავსოს ადრე შემზადებულ თეორიულ ყუთებში.

დროდადრო, ამბობს კუნი, ხდება მეცნიერული რევოლუციები. ეს რევოლუციები მეტად იშვიათია და ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როცა არსებული თეორიები სრულიად გამუსაღევარნი აღმოჩნდებიან. ერთხანს სხვადასხვა თეორიები (და სხვადასხვა მოძღვრებანი) შეიძლება მეტოქეობდნენ ერთმანეთს, შემდეგ კი ერთ-ერთი მათგანი თანდათან უპირატესობას იძენს სხვებთან შედარებით. ამა თუ იმ თეორიის ტრიუმფი შეიძლება განსაზღვროს სხვადასხვა ფაქტორმა: მისმა უნარმა, რომ ახსნას ვიუტი ფაქტები, რომ სასარგებლო იყოს პრობლემების გადაჭრისათვის და უზრუნველყოს ზუსტი პროგნოზები და – ბოლოს არანაკლებ მნიშვნელოვანმა – მეცნიერთა, მის შემქმნელთა და მომხრეთა გავლენამ და ავტორიტეტმა. სშირად მიაჩნიათ, ამბობს კუნი, რომ მეცნიერის ავტორიტეტი წარმოადგენს განსაკუთრებული ნიჭის შედეგს და საბუთს, მაგრამ სინამდვილეში ეს შეიძლება განისაზღვროს აგრეთვე ბიზნესისა და პოლიტიკის სამყაროში გავლენიანი მეგობრების მიერ.

იმისათვის, რომ უზრუნველყოს თეორიის წარმატება, მის შემქმნელს უნდა ჰქონდეს სახსრები კვლევისათვის, უნდა ეკავოს შედარებით მაღალი მდგომარეობა აკადემიურ იერარქიაში და გააჩნდეს სათანადო უნარი.

კუნი აგრეთვე გამოთქვამს ზოგიერთ შენიშვნას თავის წინამორბედებზე ამ დარგში. იგი აცხადებს, რომ ჰემპელმა, პოპერმა და სხვებმა არასწორად აღწერეს მეცნიერთა ნამდვილი მუშაობა. მისი შეხედულებით, მეცნიერების ეს გამოჩენილი ფილოსოფოსები შეცდომაში შეიყვანეს სტუდენტთა სახელმძღვანელოების ავტორებმა.

სტუდენტთა საბუნებისმეტყველო სახელმძღვანელოები მეტისმეტად გაამარტივეს. ისინი ჩქმალავენ ბევრ ისტორიულ ფაქტს, თანამედროვე თეორიებს ასაღებენ უკანასკნელი ინსტანციის ჭეშმარიტებად, და ასე თუ ისე ყოველთვის იცავენ მითს, რომ მეცნიერება განუწყვეტლივ მიდის წინ და განუწყვეტლივ ძლევს წინა თაობების სისუსტესა და შეცდომებს.

სახელმძღვანელოები არასოდეს არ აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ ძველი თეორიები, რომლებსაც ისევ და ისევ ასწავლიან (მაგალითად, ნიუტონის თეორია), ხშირად ეწინააღმდეგებიან ახალ მიღებულ თეორიებს. ამის ნაცვლად ისინი არაკორექტულად ახასიათებენ ადრინდელ თეორიებს როგორც უფრო მარტივსა და ვიწროს თანამედროვე თეორიებთან შედარებით. მიღებული ძველი თეორიები, მათი შეხედულებით, არ ეწინააღმდეგებიან თანამედროვე თეორიებს მაშინაც კი, როცა ნამდვილად ეს ასე არ არის.

მეორე მხრივ, როცა თანამედროვე მეცნიერები მთლიანად უარყოფენ ძველ თეორიებს, სახელმძღვანელოებში ამ უკუგდებულ თეორიას უწოდებენ არამეცნიერულს. ამრიგად, ისინი ამკარად ნერგავენ რწმენას, რომ შეუძლებელია ყალბი მეცნიერული თეორია და ფარულად – იმის რწმენას, რომ ჭეშმარიტი მეცნიერები პრაქტიკულად არ ცდებიან.

კუნი დაასკვნის, რომ პოპერი, ჰემპელი და სხვები აღწერდნენ არა მეცნიერების რეალურ მეთოდოლოგიას, არამედ გამონაგონ საქმის ვითარებას, რომელიც არსებობს მხოლოდ ბუნებისმეტყველ სტუდენტებისათვის გათვალისწინებული სახელმძღვანელოების ფურცლებზე.

მაგრამ, ამტკიცებს იგი, სახელმძღვანელოები უნდა დარჩნენ ისეთებად, როგორიც არიან. მათში არსებული დამახინჯებანი აუცილებელია ახალგაზრდა მეცნიერთა აღზრდისათვის, მათი გონება არ უნდა მივმართოთ იმ თეორიებისაკენ, რომლებიც მოცემულ მომენტში არაპროდუქტიულია. მაგრამ ბუნებათმეცნიერული სახელმძღვანელოები არ ამბობენ სიმართლეს მეცნიერების ისტორიაში და ცუდი საფუძველია მეცნიერების ფილოსოფიისათვის.

განვიხილოთ პოლ ფოიერაბენდის იდეები. რომ როგორმე შევაფასოთ ისინი, სასარგებლოა ერთგვარი წარმოდგენა გვქონდეს მის პიროვნებაზე. როგორც ჩანს, ფოიერაბენდი იყო კოლორიტული და ექსტრავაგანტური პიროვნება



იუმორის დიდი გრძნობით. მისი წიგნები ცხადყოფენ, რომ იგი დასცინოდა ისთებლიშმენტს, იერარქიას და პომპეზურობას. მეცნიერები და მეცნიერების ფილოსოფოსები არ არიან მიჩვეულნი დაცინვას, და ამ ნათელმა პიროვნებამ გარკვეული მტრობა აღუძრა მოწინააღმდეგეებს, რასაც მოჰყვა მისი იდეების არასწორი გაგება.

ფოიერაბენდმა თავისი ყურადღება გაამახვილა იმაზე, რასაც კუნმა რევოლუციური მეცნიერება უწოდა, ესე იგი მეცნიერების განვითარების იმ ეტაპზე, რომელიც მთავრდება ახალი იდეების დაბადებით და ძველი იდეების სიკვდილით. მისი მთავარი აზრი ის არის, რომ მეცნიერებას არ გააჩნია არავითარი სპეციალური მეთოდოლოგია, ამიტომაც ეწოდება მის ფართოდ ცნობილ წიგნს "მეთოდოლოგიური იძულების წინააღმდეგ". ფოიერაბენდი ლაპარაკობს მეცნიერების ანაქრონიზმის შესახებ, ვინაიდან მასში არ არის მუშაობის უნივერსალურად გამოსაყენებელი წესები. ადამიანის ჭკუას, რომელიც უაღრესად შემოქმედებითია, უნარი შესწევს ინტელექტუალურ გამოწვევას უპასუხოს სულ ახალი და მოულოდნელი წესებით. ის წარმოდგენაც კი, რომლის თანახმადაც მეცნიერებისათვის უპირველესი მნიშვნელობა აქვს დაკვირვებასა და ექსპერიმენტს, ყოველთვის ადეკვატური არ არის, რამდენადაც იმას, თუ რომელ დაკვირვებაზეა ლაპარაკი, ნაწილობრივ განსაზღვრავს ის თეორია, რომელსაც ემხრობა მეცნიერი. ახალი თეორიები აიძულებენ მეცნიერს ახლებური ინტერპრეტაციით მიუდგეს თავის დაკვირვებებს. უფრო მეტიც, ამბობს ფოიერაბენდი, ზოგჯერ ახალი თეორია გამოიყენება, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს არავითარი მისი ჭეშმარიტების დამადასტურებელი ფაქტები. ფოიერაბენდი თავის გასაოცარ თეზისს ასაბუთებს მეცნიერების ისტორიის სათავეების, მათ შორის თანამედროვე მეცნიერების, დეტალური განხილვის გზით. იგი ამტკიცებს, რომ ზოგჯერ ემპირიულ დაკვირვებას უპირატესობა აქვს თეორიასთან შედარებით, ზოგჯერ კი – პირიქით.

ფოიერაბენდის თვალსაზრისს მეცნიერების ბუნებაზე ბევრი მეცნიერების ფილოსოფოსი სრულიად არ იზიარებს.

მიღებულია შეხედულება, რომ მეცნიერება უფრო რაციონალურია, ვიდრე ადამიანთა საქმიანობის სხვა ფორმები, და უაღრესად რეგლამენტირებულია წესებით, მეტად თვითკრიტიკულია და მეცნიერები იწონებენ ასეთ შეხედულებებს თავიანთ მუშაობაზე და ჭეშმარიტებად მიიჩნიათ იგი. მიღებულია შეხედულება, რომ მეცნიერები განასახიერებენ ისეთ სათნოებებს, როგორცაა რაციონალურობა, თანამიმდევრულობა, გონივრული თვითკრიტიკა და ა.შ., და ამიტომაც სარგებლობენ საზოგადოების პატივისცემით (აგრეთვე, რა თქმა უნდა, იმიტომაც, რომ გამოყენებითი მეცნიერება უზრუნველყოფს ძალაუფლებას და სიმდიდრეს). ფოიერაბენდი ხაზგასმით აღნიშნავს მეცნიერების შემოქმედებითს, გაუთვალისწინებელ და არცთუ ძალიან რაციონალ-

ლურ ხასიათს. მის მიერ შექმნილი მეცნიერის სახე რაღაცით მოგვაგონებს მხატვრის საყოველთაოდ მიღებულ სახეს, რომელიც ანარქისტისა და ეგოისტის ნებასურვილს ემორჩილება და არ თავსდება საზოგადოებრივ ჩარჩოებში.

ვინ არის მართალი? არის თუ არა მეცნიერება ანარქისტული, როგორც ამას ფოიერაბენდი ამტკიცებს? მისდევს თუ არა იგი გარკვეულ წესებს, როგორც ჰემპელი და პოპერი ვარაუდობენ? არსებობს თუ არა მეცნიერული მეთოდი?

ალბათ, ყველაზე ადეკვატური თვალსაზრისი მეცნიერების შესახებ შემოგვთავაზა კუნმა. არის ყოველ შემთხვევაში მეცნიერების არსებობის ორი ზოგადი ფორმა – ნორმალური და რევოლუციური.

ფოიერაბენდის ისტორიული გამოკვლევები ცხადყოფენ, რომ რევოლუციურ მეცნიერებას მართლაც აქვს ბევრი ანარქისტული ნიშანი, ხოლო რევოლუციური ეპოქის მეცნიერები შემოქმედებითი და ფართო აზროვნების ადამიანები უნდა იყვნენ.

მეორე მხრივ. ნორმალური მეცნიერება მისდევს წესებს, და ნორმალური ეპოქის მეცნიერები არ უნდა იყვნენ მეტად შემოქმედნი და ფართოდ მოაზროვნენ; ისინი უნდა იცავდნენ არსებულ თეორიებს.

რაც შეეხება მეთოდებს – ნორმალური მეცნიერება მართლაც გულისხმობს, ასე ვთქვათ, მეთოდს და მეთოდებს. ნორმალური მეცნიერი ზოგჯერ მუშაობს ჰემპელის, ზოგჯერ პოპერის, ზოგჯერ საკუთარი მეთოდის მიხედვით. აქვთ თუ არა ამ მეთოდებს რაიმე საერთო? მხოლოდ რამდენიმე მეტად ამჟღავნებს მახასიათებელი. ნებისმიერი ამ მეთოდის გამოყენებაში იგულისხმება, კერძოდ:

- 1) დაკვირვებათა დაგროვება, შესაძლებელია – ექსპერიმენტების ჩატარება, მონაცემებისა და შედეგების ფიქსირება;
- 2) მონაცემებისა და შედეგების გულმოდგინე შესწავლა, ე.ი. აწონ-დაწონვა.
- 3) იმის აღიარება, რომ თუ ფაქტების დიდი რაოდენობა შეუთავსებელი აღმოჩნდება მიღებულ თეორიასთან, მაშინ ყველაფერი, ამ თეორიის ჩათვლით, უნდა შემოწმდეს.

მთლიანად აღწერილი მეთოდი ცხადი და მეტად ბანალურია. მას ზოგადი ხასიათი აქვს, ესე იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას მეცნიერების სხვადასხვა დარგში. იგი გამოდგება არა მარტო მატერიის შესახებ მეცნიერებებში, არამედ აგრეთვე კვლევის ზოგიერთ სხვა სახეობაში, მაგალითად ისტორიაში, ანთროპოლოგიაში, ეკონომიკაში. მაშასადამე, მეთოდოლოგია სინამდვილეში არ გამოდგება ფიზიკურ მეცნიერებათა განსაკუთრებული მიღწევების ასახსნელად ამრიგად, ამ თავის დასაწყისში დასმული საკითხი მეცნიერების წარმატების შესახებ უპასუხოდ რჩება. აქედან არ გამომდინარეობს, რომ საქმის ასეთი ვითარება სამუდამოდ დარჩება: ყოველი თაობა ხომ არა მარტო ახალ მეცნიერულ აღმოჩენებს აკეთებს, არამედ ახალ ფილოსოფიურ იდეებსაც ქმნის.

## მიზეზობრიობა

მიზეზს სხვადასხვანაირად განსაზღვრავდნენ – როგორც იმას, რაც რაიმეს ქმნის, როგორც მოქმედების წყაროს ან მოტივს, როგორც იმას, რაც ხსნის, თუ რატომ ხდება, ან რატომ იწყებს რაიმე არსებობას. ზოგიერთ ამ განსაზღვრებას აწინააღმდეგებდა ანთროპომორფიზმის დაღი, რამდენადაც მიზეზობრიობის იდეას ფესვი გადგმული აქვს ადამიანის ძალისხმევაში, რომ შექმნას ან შეცვალოს ნივთები.

1912 წელს ბერტრან რასელმა შენიშნა, რომ სიტყვა “მიზეზი” იშვიათად გვხვდება (ან საერთოდ არ გვხვდება) ფიზიკოსების დისკუსიებში. და მაინც, ეს ცნება ზედმეტი არ არის, ფიზიკაშიც კი და მაშინაც კი, თუ ეს სიტყვა იშვიათად იხმარება ამ მეცნიერებაში. ფიზიკოსები ხომ კითხულობენ ზოგჯერ: რატომ ხდება ეს? და ამით სვამენ საკითხს მიზეზების შესახებ.

გარდა ამისა, მიზეზის ცნება ზედმეტი არ არის სხვა მეცნიერებებშიც. იგი ხშირად გვხვდება გამოყენებით მეცნიერებებში. ეს სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან ექიმები, ფარმაცევტები, პათოლოგები, ვულკანოლოგები, მეტეოროლოგები და ოკეანოგრაფები იკვლევდნენ მოვლენათა მიზეზებს.

## არისტოტელეს ოთხი მიზეზი

არისტოტელეს აზრით, არსებობს მიზეზის ოთხი სახეობა; არისტოტელე მათ განიხილავს მარმარილოსაგან ქანდაკების შემქმნელი ოსტატის მაგალითზე. მიზეზის ეს ოთხი სახეობა ასეთია:

1. *მოქმედი მიზეზები* ახდენენ ცვლილებებს. ამ მაგალითში მოქმედი მიზეზია მოქანდაკე.

2. *მატერიალური მიზეზები* – ნივთიერება, რომელშიც ხდება ცვლილებები. განხილულ მაგალითში მატერიალური მიზეზია მარმარილო.
3. *ფორმალური მიზეზები* – საბოლოო შედეგის დამახასიათებელი ფორმები ან თვისებები. ამ მაგალითში ფორმალური მიზეზია დამთავრებული ქანდაკების ფორმა.
4. *მიზნობრივი (საბოლოო) მიზეზები* განზრახვები ან მიზნები. ამ შემთხვევაში მიზნობრივი მიზეზია მოქანდაკის განზრახვა – შექმნას ხელოვნების ნაწარმოები.

მოქმედი მიზეზის არისტოტელესეული ცნება დაახლოებით შეესაბამება მიზეზის თანამედროვე გაგებას. დანარჩენი სამიდან ორი არისტოტელესეული “მიზეზის” აზრი ამჟამად მოძველებულია. დღეს უკვე აღარ ვიტყვი, რომ მარმარილო და ქანდაკების ფორმა მიზეზებია. ამ სიტყვის მეოთხე აზრის, ესე იგი მიზნობრივი მიზეზის იდეის, ანუ მიზნის, თანამედროვე როლი ნაკლებ ერთგვაროვანია. ფიზიკურ მეცნიერებებში (ფიზიკაში, ქიმიაში, ასტრონომიაში) და მათზე დამყარებულ გამოყენებით მეცნიერებებში (მაგალითად ინჟინერიაში) არაფერ არ ლაპარაკობს მიზეზებზე ისე, თითქოს ისინი შეიცავდნენ მიზნებს. უსულო მატერიას არ გააჩნია მიზნები. მაგრამ სიცოცხლის შესახებ მეცნიერებებში (ბიოლოგიაში, ზოოლოგიაში, გენეტიკაში) არისტოტელეს მიზნობრივი მიზეზები, როგორც ჩანს, კვლავ ასრულებენ გარკვეულ როლს. ორგანიზმების ქცევის ახსნისას მეცნიერები ზოგჯერ ლაპარაკობენ მიზნების შესახებ, გულის მიზანია სისხლის მიმოქცევა. ტკივილის მიზანია გაფრთხილება საშიშროების შესახებ. ანტისხეულების ფუნქციაა ბრძოლა ავადმყოფობასთან.

მიზნის იდეის თანამედროვე გამოყენება განვიხილეთ მერვე თავში, სადაც ლაპარაკი იყო ეგოიზმის გენზე, რომელიც მუდამ ისწრაფვის თვითშენახვისაკენ.

მაშასადამე, მიზნის ცნება მთლად განდევნილი არ არის მეცნიერებიდან. მაგრამ ვინაიდან მისი როლი მეცნიერულ ახსნაში მაინც იწვევს ეჭვს, ჩვენ ცალკე განვიხილავთ მოქმედი მიზეზის ცნებას.

## ნიეთები თუ მოვლენები?

წარმოადგენენ მიზეზები ნიეთებს თუ მოვლენებს? და მართლა ქმნიან ისინი თუ არა ნიეთებსა და მოვლენებს? წარსულის ფილოსოფოსთა უმრავლესობა ამტკიცებს, რომ შეუძლებელია არაფრისაგან შეიქმნას რამე, გარდა ღმერთის მიერ სამყაროს შექმნისა. მაშასადამე, ამით ამტკიცებენ, რომ მიზეზის ჩვეულებრივი იდეა არის არსებული ნიეთების ცვლილების იდეა. ამრიგად, მიზეზი არ ქმნის ქათამს, არამედ იწვევს ცვლილებებს, რომლებიც კვერცხს წიწილად აქცევენ. ეს გვაფიქრებინებს, რომ მიზეზობრივი ახსნები ყოველთვის მიგვიითიებენ ნიეთებში ცვლილებებს. მიზეზები მოვლენებია და არა პიროვნებები და ნიეთები; მოქმედებანიც მოვლენებია და არა ნიეთები; მოქმედებებიც აგრეთვე მოვლენებია და არა ნიეთები.

მაგრამ სიტყვა “მიზეზის” მნიშვნელობაში მაინც რჩება ბუნდოვანება. ნიეთები და პიროვნებანი, ისევე როგორც მოვლენები და ცვლილებები, შეიძლება მივიჩნიოთ მიზეზებად ყოველგვარი ფილოსოფიის საპირისპიროდ. ეს ბუნდოვანება, შეიძლება<sup>1</sup> ზოგიერთი ფილოსოფიური პრობლემის წყაროს წარმოადგენს და ისინი დაკავშირებულია მიზეზობრიობის იდეასთან.

## უნივერსალობა, ერთგვაროვნება, ძალა და აუცილებლობა

ივარაუდება, რომ მიზეზობრიობა უნივერსალურია, ესე იგი რომ თითოეულ მოვლენას აქვს მიზეზი, მაგრამ ეს ვარაუდი ვერ საბუთდება. იგი აღიქმება უბრალოდ როგორც მაქსიმა – გამოყენებით მეცნიერებაშიც და ყოველდღიურ ცხოვრებაშიც.

ივარაუდება აგრეთვე, რომ მიზეზობრიობა ერთგვაროვანია, ესე იგი რომ ერთნაირი მიზეზები იწვევენ ერთნაირ შედეგებს. ვერც ეს პრინციპი საბუთდება. მაგრამ ჩვენი ბუნების თვისებაა ეს თავისთავად ნაგულისხმევად მივიჩნიოთ. ადამიანებისაგან განსხვავებული ცხოველებიც იზიარებენ იმ რწმენას, რომ ერთნაირი მიზეზები ერთნაირ მოქმედებებს იწვევენ.

მიზეზობრიობის უნივერსალობასა და ერთგვაროვნებას დაწვრილებით შემდეგ თავში განვიხილავთ. აქ შევჩერდებით ძალისა და აუცილებლობის პრობლემაზე.

შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ მიზეზის იდეა ჩვენს გონებაში უკავშირდება ძალისა და აუცილებლობის იდეებს. ჩვენში ვგრძნობთ ძალას შევქმნათ

რაღაც (ჩვენი ნახელავი ახალი საგნები, მაგალითად, მოექსოვით ან შეეკეროთ ტანსაცმელი), შეგვიძლია მოვსპოთ რაღაც (მაგალითად, გავტეხოთ მინა), ხოლო ზოგჯერ ვაიძულოთ ადამიანები შეიცვალონ შეხედულება ან ქცევა (დავარწმუნოთ, რომ გააკეთონ ეს). როგორც ჩანს, ასეთივე ძალა აქვთ ცხოველებსა და უსულო საგნებს, მაგალითად, გვეჯერა, რომ კობრას შეუძლია მოგკლას, ხოლო მზეს – გაგათბოს. გარდა ამისა, ვგრძნობთ, რომ თვით მიზეზობრიობის იდეა შეიცავს აუცილებლობას. თუ მიზეზი მოქმედებს, მაშინ მოქმედება ხომ უნდა მოსდევდეს აუცილებლობით?

## ჰიუმის თეორია

ძალისა და აუცილებლობის განხილვას დავიწყებთ ჰიუმის თეორიის გაცნობით.

სხვადასხვა დროს სხვადასხენაირად ლაპარაკობს ჰიუმი მიზეზობრიობაზე. მაგრამ სრულიად ცხადია, რომ მის თეორიას რედუქციული ხასიათი აქვს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მას სურს *უკუაგდოს* ძალისა და აუცილებლობის ელემენტი, რომელიც არსებობს მიზეზშედევობრივ მიმართებაში. მიახლოებით რომ ვთქვათ, იგი ამტკიცებს, თითქოს ყოველგვარი აუცილებლობა დამკვირვებლის ცნობიერების მიერ არის შეტანილი.

მიზეზი და მოქმედება, ამბობს ჰიუმი, ჯერ ერთი, არის ერთი სახეობის მოვლენების მუდმივი (არაერთგზისი) შეერთება სხვა სახეობის მოვლენებთან; მეორე, მომიჯნავეობა სივრცესა და დროში; მესამე, მიზეზი წინ უნდა უსწრებდეს მოქმედებას. ადამიანები, რომლებიც აკვირდებიან მსგავსი მოვლენების მუდმივ შეერთებას, იძულებით ელოდებიან მათ შეერთებას შემდგომაც. *აუცილებლობის იდეა სხვა არაფერია, თუ არა ეს იძულებითი მოლოდინი.* ველით რა, რომ მსგავსი მოქმედებები მოჰყვება მსგავს მიზეზებს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მიზეზი აიძულებს მოქმედებას მოხდეს. მაგრამ, კითხულობს ჰიუმი, შეგვიძლია ფილაპარაკოთ აქ ძალის, აუცილებლობის შესახებ? არა, არ შეგვიძლია, რამდენადაც ვხედავთ მხოლოდ იმას, რომ ერთი მოვლენა მოსდევს მეორეს. ჩვენ შეგვიძლია ველოდოთ. ჩვენ არ შეგვიძლია დავინახოთ ან ვიგრძნოთ აუცილებლობა.

თუ ჰიუმი მართალია მუდმივი შეერთების თაობაზე, მაშინ კონკრეტული მოვლენა A არის მიზეზი კონკრეტული მოვლენა B-სი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყოველ მსგავს მოვლენა A-ს თან ახლავს მსგავსი მოვლენა B.

თუ ჰიუმი მართალია მომიჯნავეობაზე ლაპარაკისას, მაშინ შეუძლებელია მიზეზობრიობის მოქმედება მანძილზე. ან მიზეზი და შედეგი, A და B არსებობენ სივრცესა და დროში, ან სივრცე და დრო A-სა და B-ს შორის ივსება მოვლენათა ჯაჭვით (მიზეზთა ჯაჭვით), რომელშიც თითოეული მოვლენა (ანუ რგოლი) შემდეგის მომიჯნავეა.

ჰიუმის თეორია იწვევს ბევრ კრიტიკულ შენიშვნას.

უწინარეს ყოვლისა მომიჯნავეობა არ არის მიზეზობრიობის აუცილებელი პირობა. არის მანძილზე, ვაკუუმში მოქმედების მაგალითები. მიჩნეულია, მაგალითად, რომ სიმძიმის ძალა შენარჩუნებულია ვაკუუმში და მოქმედებს მანძილზე.

შემდეგ, როგორც რასელი აღნიშნავს, მუდმივი შეერთება მომიჯნავე მოვლენებისაც კი ჯერ კიდევ არ ქმნის მიზეზს. ის ფაქტი, რომ ღამე მუდმივად იცვლება დღით, არ ამტკიცებს იმას, რომ ღამე დღის მიზეზია. აქ სახეზე გვაქვს ღამისა და დღის მუდმივი მონაცვლეობა და არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ამ შემთხვევაში მიზეზსა და მოქმედებაზე, რამდენადაც ვერ ვიტყვით, რა იყო პირველი – ღამე თუ დღე. რასელი ვარაუდობს, რომ ამ და მსგავს მოვლენებში ჩვენ ვეძებთ მიზეზს, გარეგან ციკლს, მესამე საგანს, რომელსაც მივიჩნევთ ორი სხვა მოვლენის მიზეზად. მაგალითად, დედამიწის ბრუნვა არის დღისა და ღამის მიზეზი.

გარდა ამისა, მუდმივი შეერთება არსებობს ყველგან, სადაც არის დამთხვევა. ძნელი არ არის წარმოვიდგინოთ მოქმედი ან წარმოსახული მაგალითები. აი ერთ-ერთი მათგანი.

დაეუშვათ, რომ რენტგენის სურათები, რომლებიც გადაიღეს გარკვეულ საავადმყოფოში, ყოველდღე იცვლება, მაგრამ ყოველთვის იმ მამაკაცი პაციენტების რაოდენობის ტოლია, რომლებსაც ამ დღეს შეუყვარდათ რომელიმე მედლა. ასე, როცა ექვს პაციენტს სამშაბათს უნიშნავენ რენტგენს, ექვს სხვა პაციენტს შეუყვარდებათ მედლა. თუმცა აქ ადგილი აქვს მოვლენათა დამთხვევას, ცხადია ეს დამთხვევაა და არა მიზეზისა და მოქმედების კავშირი.

კიდევ ერთი, და უფრო სერიოზული, შენიშვნა მუდმივი შეერთების თეორიის წინააღმდეგ შემდეგში მდგომარეობს: იგი გულისხმობს, რომ ყველა მოვლენა, რომლებიც შეიძლება აიხსნას მიზეზობრიობის ტერმინებით, მიეკუთვნება მსგავს მოვლენებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ თეორიიდან გამომდინარეობს, რომ ერთჯერად მოვლენებს არ შეიძლება ჰქონდეთ მიზეზები და შედეგები. თუ ორი მოვლენის თანამიმდევრულობა ხდება მხოლოდ ერთხელ, მაშინ, განსაზღვრების თანახმად, არ შეიძლება ვილაპარაკოთ მოვლენათა არაერთგვაროვან შეერთებაზე. ეს ცხადია.

განვიხილოთ მაგალითი. ვთქვათ, ამტკიცებენ, რომ კონკისტადორების მოსვლა ვახდა ინკების იმპერიის დამხობის მიზეზი. მაგრამ კონკისტადორების ლაშქრობა მოხდა მხოლოდ ერთხელ, ისევე როგორც ინკების იმპერიის დაცემა. ამ და ბევრ სხვა ისტორიულ სიტუაციაში არ არის განმეორება და, მაშასადამე, არც მუდმივი შეერთება. მაშასადამე, ჰიუმის თეორიის თანახმად, კონკისტადორების მოსვლა არ იყო ინკების იმპერიის დაცემის მიზეზი. ჰიუმის თეორიის თანახმად, უნიკალურ მოვლენებს არ გააჩნიათ მიზეზი და შედეგი. და მაინც უეჭველი ჭეშმარიტებაა, რომ კონკისტადორების მოსვლა იყო ინკების იმპერიის დაცემის მიზეზი.

ზოგიერთი ფილოსოფოსი, რომელიც მსჯელობს ისტორიის შესახებ, ამტკიცებს, რომ თუ უფრო ფართო თვალსაზრისზე დავდგებით, ყოველთვის შევძლებთ აღმოვაჩინოთ მუდმივი შეერთება იქ, სადაც მოქმედებს რაღაც მიზეზი. მაგალითად, ამ მაგალითში შეგვიძლია აღმოვაჩინოთ A მოვლენების ე.ი. სუსტ არმიებზე ძლიერი არმიების თავდასხმებისა, და B მოვლენების ე.ი. იმპერიების დამხობის მუდმივი შეერთება. მაგრამ ამ შეერთებას, ისევე როგორც იმ მოვლენების განზოგადებათა უმრავლესობას, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანთა საქმიანობასთან, მრავალი გამონაკლისი აქვს და მას არავითარი საერთო არ გააჩნია ჰიუმის მიერ გაგებულ მიზეზობრიობასთან.

## ძალა, მანიპულაციები და რეცეპტები

თანამედროვე ფილოსოფოსი დუგლას გასკინგი გეთავაზობს ახალ მიდგომას. იგი ამტკიცებს, რომ მიზეზობრიობის ცნება არსებითად დაკავშირებულია მანიპულაციების ტექნიკასთან. დამოკიდებულება მიზეზსა და მოქმედებას შორის ყველაზე უკეთესია აღვწეროთ როგორც “წარმოება... საშუალებით”. მიზეზისა და მოქმედების ცნებები დაკავშირებულია ადამიანთა მოქმედების ზოგად წესებთან, გასკინგი ამ წესებს უწოდებს რეცეპტებს.

გასკინგის თანახმად, იმ ტიპის მტკიცება, რომ სოდისათვის “წყლის დმატება” იწვევს შიშინს, ნიშნავს, რომ სოდისადმი ტექნიკის გამოყენებით, რაც იწვევს ნივთების დასველებას, თქვენ იყენებთ ან აღმოაჩენთ კიდევ ერთ ზოგად ტექნიკას, რომელიც საშუალებას იძლევა შიშინი გამოიწვიოს კონკრეტულ სუბსტანციაში, სახელდობრ სოდაში.

შეიძლება თუ არა მიზეზობრიობის ეს ანალიზი გამოვიყენოთ უსულო საგნების მიმართ? მოვლენების მიმართ (ნივთებისა და ადამიანებისაგან განსხვავებით)?



განვიხილოთ შესაბამისი მაგალითები.

ჯერ ერთი, უსულო მიზეზი: მზის სინათლე მცენარეების ზრდის მიზეზია. მეორე, მიზეზი მოვლენის ფორმით: კაშხალის დანგრევა იწვევს სოფლის დატბორვას.

გასკინგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შეგვიძლია მანიპულირება მოვახდინოთ გარემოთი (მაშინაც კი, თუ საქმე ეხება მზეს) ორნაირად. შეგვიძლია ბუნებრივი მზის სინათლის მაჩვენებლთა იმიტაცია და შეგვიძლია აგრეთვე ექსპერიმენტების დახმარებით ცხადდეთ, რომ მზის სინათლეს მოკლებული მცენარეები აღარ იზრდებიან.

მოვლენათა ფორმის მიზეზებში საქმე უფრო რთულად არის. ბოლოს და ბოლოს მოვლენები არ ახდენენ მანიპულაციებს, მაგრამ შეიძლება დავამტკიცოთ, რომ მოვლენები თავისთავად ხშირად არიან ადამიანთა მანიპულაციების ელემენტები ან ნაწილები. ეს ცხადი გახდებოდა კაშხლის დანგრევის მაგალითზე, იგი რომ გულმოდგინედ ყოფილიყო დაგეგმილი ადამიანის მიერ.

მოვლენების როგორც მიზეზების ჩვენი გაგება, გასკინგის თეორიის თანახმად, შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ: მტკიცება, რომ ერთი მოვლენა მეორის მიზეზია, სწორია მაშინ, როცა ეს მოვლენა ან ადამიანის მანიპულაციაა, ან შეიძლებოდა ყოფილიყო.

მოსხნის თუ არა მიზეზობრიობის ეს ახსნა ისეთ ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებულ სიძნელეებს, როგორიცაა ომები, იმპერიების დაცემა და ა.შ.? ალბათ, არა. და საერთოდ ძალიან ძნელია მიეცეთ მანიპულაციების რეცეპტები ადამიანთა საქმიანობის სფეროში. აქ შეიძლება მხოლოდ ერთი რეცეპტი: ან ყველაფერი, ან არაფერი.

მაგრამ ეს შეიძლება მოწმობდეს იმას, რომ თვითონ ჩვენ არა ვართ მართალი, როცა ვლაპარაკობთ ომების მიზეზებზე და ა.შ., ესე იგი ისტორიის და ადამიანთა ცხოვრების მოვლენები სხვა ახსნას მოითხოვენ.

მეორე მხრივ, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ფუძემდებლური საკითხი მიზეზების შესახებ განსხვავდება გასკინგის მიერ დასმული კითხვისაგან: როგორ შემიძლია გამოვიწვიო ესა თუ ის? (სოდის შიშინი, მცენარეთა ზრდა.) ფუძემდებლური საკითხი ასეთია: როგორ და რატომ ხდება ეს? მანამდე, სანამ არ არსებობს პასუხი მეორე კითხვაზე, პასუხი პირველ კითხვაზე შემთხვევისა და ბედის საქმე იქნება.

## შესაძლებლობა და აუცილებლობა

დაეუბრუნდეთ ჰიუმის მიერ უარყოფილი ცნების – აუცილებლობის ცნების – განხილვას.

რა არის აუცილებლობა? მიზეზობრიობის კონტექსტში აუცილებლობა არ შეიძლება იყოს ლოგიკური ან მათემატიკური. ლოგიკისა და მათემატიკის დასკვნები, რომლებიც აუცილებლობით გამომდინარეობენ აქსიომებიდან ან სხვა წანამძღვრებიდან, დედუქციურად გამოიყვანება ამ წანამძღვრებიდან და აქსიომებიდან. მაგრამ მიზეზისა და მოქმედების კანონები უნდა გამოვავლინოთ ან ექსპერიმენტების მეოხებით, ან აღმოვაჩინოთ დაკვირვებათა შედეგად. წმინდა მათემატიკისა და ლოგიკის თეორემებისაგან განსხვავებით, არ შეიძლება მათი დედუქცირება, თუ არ დავეყრდნით ცდას. მაშასადამე, მიზეზისა და მოქმედების აუცილებლობა უნდა განსხვავებოდეს ლოგიკური ან მათემატიკური აუცილებლობისაგან.

შეგვიძლია თუ არა ვილაპარაკოთ ამის ნაცვლად ფიზიკური აუცილებლობის შესახებ? ჰიუმი პასუხობს, რომ ფიზიკური აუცილებლობა მოტყუებაა, გონების გამონაგონია. მოსაზღვრეობა და შეერთება შეიძლება აღვიქვათ, აუცილებლობა – არა. მხოლოდ ცდას შეუძლია მოგვცეს ინფორმაცია რეალური სამყაროს შესახებ. ცდა გვეუბნება, რომ ყინული აღიქმება როგორც ცივი, მაგრამ არ გვეუბნება, რომ იგი უნდა აღიქმებოდეს როგორც ცივი. ეს უნდა გონების ჩანართი პროდუქტია და არ არსებობს რეალურ სამყაროში.

ჯონ სტიუარტ მილმა ჰიუმისაგან აიღო მისი მიზეზობრიობის თეორიის ჩონჩხი, ესე იგი მიზეზობრიობის სამი პირობა – მუდმივი შეერთება, მოსაზღვრეობა და ღრობში მოქმედებისათვის მიზეზის წინსწრება, მაგრამ მან დაუმატა მეოთხე პირობა: *მიზეზი და მოქმედება მუდამ უნდა ერთიანდებოდნენ არა მარტო სინამდვილეში, არამედ ყველა შესაძლებელ ვითარებაში.*

თავის ლოგიკის სისტემაში მილი აყალიბებს წესებს, ისინი საშუალებას იძლევიან ერთმანეთისაგან განვასხვაოთ ნამდვილი მიზეზი და მოქმედება დამთხვევებისა და თანმიმდევრობისაგან, რომლებიც არ წარმოადგენენ მიზეზობრივ მიმართებებს. ეს არის მიზეზობრივი ჰიპოთეზების ექსპერიმენტული შემოწმების წესები. ჯერ ერთი, ექსპერიმენტატორი უნდა ცდილობდეს თავიდან აიცილოს, რომ სავარაუდო მოქმედება მოჰყვეს სავარაუდო მიზეზს; ეს ცხადყოფს, შეიძლება თუ არა ადგილი ჰქონდეს სავარაუდო მიზეზს, თუ მას არ მოსდევს სავარაუდო მოქმედება. მეორე, ექსპერიმენტატორი უნდა ცდილობდეს სავარაუდო მოქმედება მოახდინოს სავარაუდო მიზეზის გარეშე;

ეს ცხადყოფს, შეიძლება თუ არა მოქმედებას ადგილი ჰქონდეს ისე, რომ მას წინ არ უსწრებდეს სავარაუდო მიზეზი.

ამრიგად შევძლებთ დავადგინოთ, სავარაუდო მიზეზი და მოქმედება ნამდვილად მუდამ ყველა გარემოებაში შეერთებული არიან თუ არა.

მილის მიერ შემოთავაზებული ჰიუმის მიზეზობრიობის თეორიის სრულქმნა სასარგებლოა. თუმცა მილს პირდაპირ არ შემოაქვს ძალისა და აუცილებლობის ელემენტი, მაგრამ მაინც მუდმივი შეერთების საფუძვლიანი დასაბუთების შედეგად მას აუცილებლობა არაპირდაპირ შემოაქვს. თუ რაღაც ხდება ყველა შესაძლო ვითარებაში, მაშინ იგი ხდება აუცილებლად.

## ბუნდოვანია თუ არა სიტყვა “მიზეზი”?

ალბათ, მართალი იყო რასელი, როცა ამტკიცებდა, მიზეზის ცნება წმინდა მეცნიერებისათვის გამოუსადეგარიო. საქმე ის არის, რომ ეს ცნება სავესებით ზუსტი არ არის. იგი შეიცავს ერთმანეთთან არცთუ მთლად შეთავსებულ ელემენტებს.

უწინარეს ყოვლისა თანამედროვე შეხედულებანი მიზეზების თაობაზე ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულა მთლიანად არისტოტელეს მემკვიდრეობისაგან, ისე რომ ზოგიერთ კონტექსტში განზრახვები, მიზნები და ფუნქციები განიხილება როგორც მიზეზობრივი ახსნის სახეობანი.

რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, მიზეზებად განიხილება არა მარტო მოვლენები და ცვლილებები, არამედ აგრეთვე ნივთები და ადამიანებიც. მაშინ როცა, ცხადია, ნივთები და ადამიანები ძირეულად განსხვავდებიან მოვლენებისა და ცვლილებებისაგან. ჩვენი საკუთარი კონტროლი გარემოზე და მასთან მანიპულაციები ერთდროულად ქმნიან თვით ჩვენი როგორც მიზეზის იდეასაც და ძალის გამოვლინების ცდასაც. ძალის გამოვლინების ცდა ხდება მიზეზისა და მოქმედების იდეის ნაწილი. მეორე მხრივ, მოვლენებისა და ცვლილებების ჩვენი აღქმა არ ტოვებს ადგილს ძალის ცნებისათვის, მოვლენები და ცვლილებები არაფრით არ მანიპულირებენ, ისინი არ ავლენენ ძალას. მოვლენები როგორც მიზეზები მიეკუთვნებიან აუცილებელი კავშირის იდეას. აუცილებლობა დაკავშირებულია შესაძლებლობასთან და შეუძლებლობასთან; თუ ზოგიერთი ვითარება შეუძლებელია, მაშინ მისი უარყოფა, ანუ დაპირისპირება, ფიზიკურად აუცილებელია. მილის მიერ მუდმივი შეერთების ცნების სრულყოფას არაპირდაპირ შემოაქვს აუცილებლობა.

ერთგვაროვნების როგორც ფიზიკურად ყველა შესაძლებელ გარემოებაში მუდმივი შეერთების მისი იდეა გულისხმობს აუცილებლობას და ამიტომ

ეთანხმება ჩვენს წარმოდგენებს მოვლენების როგორც მიზეზების შესახებ. მაგრამ ძნელია შეათანხმოთ იგი იდეასთან, რომ პიროვნება მიზეზია, ვინაიდან პიროვნებანი ერთგვაროვნად არ იქცევიან.

ჰიუმის აზრით, ძალისა და აუცილებლობის ცნებები მხარდამხარ მიდიან. მაგრამ ეს არ არის სწორი. ძალა ადამიანების მახასიათებელია, აუცილებლობა – მოვლენებისა. ეს ძირეულად განსხვავებული ელემენტები შეადგენენ მიზეზის ცნებას.

## ინდუქცია

### მსჯელობა და ჭეშმარიტების შენარჩუნება

ფილოსოფიაში განასხვავებენ ინდუქციურ მსჯელობას და დედუქციურ მსჯელობას. მსჯელობის ორივე სახეობა გვხვდება ნებისმიერ სფეროში და ჩვენი ჩვეულებრივი მსჯელობები ხშირად მათი ნარევია. მაგრამ მსჯელობები ლოგიკასა და მათემატიკაში თითქმის ყოველთვის დედუქციურია, მაშინ როდესაც მეცნიერებასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში ინდუქციური მსჯელობა უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე დედუქციური.

დედუქცია დასკვნების გამოტანაა, რომლებიც აუცილებლობით გამომდინარეობენ წინამძღვრებიდან. იგი ინარჩუნებს ჭეშმარიტებას, რამდენადაც სწორად დედუქცირებული დასკვნა აუცილებლად ჭეშმარიტია. აი ტრადიციული მაგალითი.

1. ყველა ადამიანი მოკვდავია.
2. სოკრატე ადამიანია.
3. მაშასადამე, სოკრატე მოკვდავია.

თუ წინამძღვრები (ესე იგი 1 და 2) ჭეშმარიტია, მაშინ დანასკენიც (3) ჭეშმარიტი უნდა იყოს.

ინდუქცია ნიშნავს კონკრეტული ფაქტების შეკრებას და შემდეგ ამ ფაქტების განზოგადებას. ამრიგად, იგი ემყარება ცდას, დაკვირვებასა და ექსპერიმენტს. ინდუქციური მსჯელობა როგორც ასეთი არ ინარჩუნებს ჭეშმარიტებას, რამდენადაც მის მიერ ფორმულირებული განზოგადებანი არ არის სრული (არ არის საყოველთაო); მაგალითად, მათ იყენებენ მომავლის

მიმართ და არა მარტო წარსულისა და აწმყოს მიმართ. ცხადია, ფაქტების დაკვირვებაზე დამყარებული განზოგადებანი, რამდენადაც ვიცით, ხშირად ჭეშმარიტია. საქმე ის არის, რომ, მსჯელობათა სასრული რიცხვის ჭეშმარიტება კონკრეტული ნივთების შესახებ (მაგალითად, ეს გედი თეთრია, ის გედი თეთრია, ეს (მესამე) გედი თეთრია და ა.შ.) შეთავსებადია მათზე დამყარებულ ინდივიდუალური განზოგადების მცდარობასთან (ყველა წარსული, ახლანდელი და მომავალი გედი თეთრია). რამდენადაც ფაქტების შეგროვება, რაც უნდა მრავალრიცხოვანი იყოს ეს ფაქტები, არ იძლევა უნივერსალურ განზოგადებათა ჭეშმარიტების გარანტიას, ზოგი ფილოსოფოსი ამტკიცებს, რომ ინდუქციური მსჯელობა არსებითად არ არის სარწმუნო.

ამ თავის ბოლოს ცხადვყოფთ, რომ ინდუქციის ტრადიციული ახსნა მცდარია. მაგრამ ახლა ჩვენი ამოსავალი ის იქნება, რომ, ზოგადად თუ ვიტყვი, ინდუქციისა და დედუქციის განსხვავების წესი კორექტულია. ზოგჯერ ინდუქციური მსჯელობები მართლაც არასარწმუნოა, რამდენადაც ძალზე სუსტია ამ გზით მიღებული განზოგადებანი. განვიხილოთ, მაგალითად, განზოგადებანი “ყველა გედი თეთრია”, “ყველა ადამიანი ხულიგანია”, “ყველა ქალი ისტერიკიანია”, “ყველა აღმოსავლეთეუროპული ნაგაზი მოუთვინიერებელია”. ყველამ იცის, რომ ამ განზოგადებათა უარყოფა იოლია. მეორე მხრივ, ტიხო ბრაგესა და კეპლერის მიერ ჩამოყალიბებული განზოგადებანი პლანეტების ტრაექტორიების შესახებ ურყევია.

## ინდუქციის პრობლემა

ინდუქციური მსჯელობის საგანი შეიძლება იყოს რაც გნებავთ, თუმცა ფაქტიურად იგი ხშირად დაკავშირებულია მომავალი მოვლენების წინასწარმეტყველებასთან.

ინდუქციის უტყუარობის საკითხი ახალ დროში პირველად დააყენა ჰიუმმა, ხოლო შემდეგ ელეგანტურად და ლაკონიურად განიხილა რასელმა წიგნში “ფილოსოფიური პრობლემები”.

ვისარგებლებთ აქ რასელის შედარებით.

ყველა დარწმუნებულია, რომ ხვალ მზე ამოვა. მაგრამ როგორ შეიძლება ვიცოდეთ, რა მოხდება ხვალ? ხვალინდელი დღე ხომ არ გათენებულია.

ყველა დარწმუნებულია რომ ხვალ მზე ამოვა, რადგან წარსულში იგი ყოველთვის ამოდიოდა. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვი, ყველას გვეჯერა, რომ მომავალი წარსულის მსგავსი იქნება. მაგრამ საიდან გვიჩნდება ეს დარწმუ-

ნებულობა, რომ მომავალი წარსულის მსგავსი იქნება? რასელი ჩვენს დარწმუნებულობას იმის თაობაზე, რომ მზე ამოვა, ადარებს წიწილის მტკიცე რწმენას, რომ მას პატრონი ყოველთვის დაუყრის საკენკს. მაგრამ პატრონი ერთხელაც იქნება გადაწყვეტს მისი ხორციით პირი ჩაიგემრიელოს და ამით ცხადყოფს, რომ წიწილის დარწმუნებულობა პატრონის კეთილმოსურნეობაში მცდარი იყო. ამ წიწილის მომავალი არ ჰგავს მის წარსულს. შეიძლება მცდარი აღმოჩნდეს ჩვენი რწმენაც წარსულისა და მომავლის მსგავსების თაობაზე. მაშასადამე, წიწილის მაგალითი ცხადყოფს, რომ ინდექციური მსჯელობა შეიძლება მეტად რისკიანი იყოს.

ინდექციის პრობლემა შეიძლება გამოვხატოთ დილემის ფორმით.

ინდექციური მსჯელობა ან ლოგიკურ წრეში ექცევა, ან იგი შეიძლება დავიყვანოთ დედუქციაზე.

თუ ლოგიკურ წრეში ექცევა, მაშინ იგი დაუსაბუთებელია.

თუ შეიძლება დავიყვანოთ დედუქციაზე, მაშინ იგი აღარ არის ინდექცია.

რას ნიშნავს – ექცევა ლოგიკურ წრეში? დაუშვათ, ჩვენ ვიწინასწარმეტყველებთ, რომ მზე ხვალ ამოვა. რას ემყარება ჩვენი წინასწარმეტყველება? ჩვენს ცოდნას, რომ მზე მუდამ ამოდიოდა წარსულში. გავიხსენოთ წიწილის მაგალითი და ვიკითხოთ: საკმარისია ეს ჩვენი საფუძველი? შეიძლება ეუბასუხოთ: კი, ეს საკმარისია, რამდენადაც ვიცით, რომ წარსულში მომავალი ყოველთვის ჰგავდა წარსულს; განვლილი წარსული ჰგავდა განვლილ მომავალს.

შეიძლება ვნახოთ, რომ მეორე საფუძველი უბრალოდ იმეორებს პირველ საფუძველს ახალი ფორმით; ამიტომ პირველი საფუძველის სისწორის გამართლება ლოგიკური წრის ფარგლებს არ სცილდება,

## საუარაუდო გადაწყვეტები

რასელმა და სხვა მოაზროვნეებმა ჩამოაყალიბეს და გააკრიტიკეს ამ პრობლემის სხვადასხვა გადაწყვეტა. განვიხილოთ ისინი.

### გადაწყვეტა ბუნების კანონების საფუძველზე

ჩვენ ვიცით, რომ ხვალ მზე ამოვა, რადგან ვიცით, რომ მზის სისტემა მოძრაობს პლანეტარული მოძრაობის კეპლერის კანონების მიხედვით, რომლებიც ბუნების კანონებია.

რასელი შენიშნავს, რომ ბუნების კანონები როგორც ასეთი აღმოჩენილია დაკვირვების შედეგად და თუ არ ვიქნებით დარწმუნებული, რომ ხვალ მზე ამოვა, მაშინ ვერც იმაში ვიქნებით დარწმუნებული, რომ ხვალ მოქმედებს განაგრძობენ პლანეტარული მოძრაობის კეპლერის კანონები. ფაქტი, რომ აქამდე მზე მუდამ ამოდიოდა, შეთავსებადია იმასთან, რომ იგი ხვალ არ ამოვა; ფაქტი, რომ კეპლერის კანონები დღემდე მოქმედებენ, შეთავსებადია იმასთან, რომ ისინი ხვალ არ იმოქმედებენ.

## გადაწყვეტა ბუნების ერთგვაროვნების საფუძველზე

ინდუქციური დასკვნა შეიძლება არასარწმუნოდ მივიჩნიოთ მისი არასრულობის გამო. თუ შევადარებთ დედუქციური დასკვნისა და ინდუქციური დასკვნის ჩვენს მაგალითებს, დავინახავთ, რომ პირველი (დედუქციური) დასკვნა სამი ნაწილისაგან შედგება.

1. ყველა ადამიანი მოკვდავია.
2. სოკრატე ადამიანია.
3. მაშასადამე, სოკრატე მოკვდავია.

ინდუქციური დასკვნა კი მხოლოდ ორი ნაწილისაგან შედგება. მაგალითად,

1. მზე მუდამ ამოდიოდა წარსულში.
2. ამიტომ ხვალ იგი ისევ ამოვა.

ან

1. პლანეტების მოძრაობის კანონები მოქმედებდა წარსულში.
2. ამიტომ ისინი იმოქმედებენ მომავალში.

რასელი ვარაუდობს, რომ ინდუქციური დასკვნები შეიძლება სრულ დასკვნებად იქცნენ, თუ დავუმატებთ კიდევ ერთ წანამძღვარს – წანამძღვარს ბუნების ერთგვაროვნების შესახებ. ეს ინდუქციის მეთოდს გადააქცევდა დედუქციის მსგავს მეთოდად, ხოლო დედუქციური მეთოდები ინარჩუნებენ ჭეშმარიტებას. ამიტომ წანამძღვარი ბუნების ერთგვაროვნების შესახებ იმის გარანტიას იძლევა, რომ ბუნების კანონები ხვალ ისევე ჭეშმარიტი იქნება, როგორც დღეს არის.



დასკვნები მზის ამოსვლის თაობაზე ახლა ასე გამოიყურება.

1. ბუნება ერთგვაროვანია.
2. მზე ამოდის ყოველდღე მილიონობით წლების განმავლობაში.
3. ამიტომ მზე ამოვა ხვალ.

ან კიდევ უფრო დახვეწილი ფორმით.

1. ბუნება ერთგვაროვანია.
2. დღეს პლანეტები ასრულებენ პლანეტების მოძრაობის კეპლერის კანონებს.
3. ამიტომ პლანეტები შეასრულებენ პლანეტების მოძრაობის კეპლერის კანონებს ხვალაც.

ეს გადაწყვეტა ნაკლოვანია. ვერ ერთი, იგი საესებით აუქმებს ინდუქციას და დედუქციურად აქცევს მას. მეორე, წანამძღვარი ბუნების ერთგვაროვნების შესახებ მეტისმეტად ბუნდოვანია. ის არაფერს გვეუბნება, *კონკრეტულად რაში* მდგომარეობს ბუნების ერთგვაროვნება, და არ გვიხსნის, რა ითვლება ერთგვაროვნებად. მესამე ნაკლი უფრო რთულია. საქმე შემდეგშია.

დაფუშვით, დასაბუთების მიზნით, რომ წანამძღვარი ბუნების ერთგვაროვნების შესახებ ჭეშმარიტია. შედარებები გვიჩვენებენ, რომ თუნდაც ის ჭეშმარიტი იყოს, *თავისთავად ცხადი ჭეშმარიტი* არ არის. მსჯელობა “ბუნება ერთგვაროვანია” განსხვავდება მსჯელობისაგან “თითოეული ძე ლომი მღელრობითი სქესისაა”, რომელიც თავისთავად ცხადი და ჭეშმარიტია განსაზღვრებით. იგი განსხვავდება გამოთქმისაგან “ყველაფერი არის ის, რაც არის, და არა რალაც სხვა”, რომელიც აგრეთვე თავისთავად ცხადია.

მაშასადამე, ბუნების ერთგვაროვნება ცნობილი გახდა ცდით. მაგრამ თუ ეს აღმოჩენა მოხდა ცდის შედეგად, მაშინ შესაბამისი წანამძღვარი ინდუქციას ემყარება. მაგრამ თუ ინდუქცია არ არის სარწმუნო, მაშინ წანამძღვარი ბუნების ერთგვაროვნების შესახებ მას ვერ დაემყარება. მაშინაც კი, თუ ინდუქციას დედუქციაზე დაიყვანთ, ამ მსჯელობაში რჩება ლოგიკური წრის ელემენტი.

## გადაწყვეტა ალბათობის საფუძველზე

ამ შემთხვევაში მსჯელობისას უნდა შემოვიტანოთ ალბათობის ზოგადი წანამძღვარი. დანასკენი ასეთი იქნება.

1. თუ რაიმე ხდებოდა რალაც გარემოებაში რამდენჯერმე – ვთქვათ, N-ჯერ, – მაშინ არის ალბათობა, რომ ამავე გარემოებაში ის კვლავ მოხდება.
2. წარსულში მზე ამოვიდა N-ჯერ.
3. მაშასადამე, ალბათ, მზე ისევ ამოვა.

გადაწყვეტა ალბათობის საფუძველზე იმავე ზოგადი ტიპისაა, როგორცაა გადაწყვეტა ბუნების ერთგვაროვნების საფუძველზე, რამდენადაც ორივე შემთხვევაში ინდუქციურ დასკვნაში შედის წანამძღვარი. ამიტომ მასზე ვრცელდება ის შენიშვნები, რაც წინა გადაწყვეტაში, ამასთანავე იგი იწვევს სხვა შენიშვნებსაც.

ერთ-ერთი შენიშვნა ის არის, რომ ალბათობის თეორია ამ შემთხვევაში გაურკვეველი და ბუნდოვანია. ალბათობის ერთადერთი ნამდვილად ზუსტი ცნებებია მათემატიკური და სტატისტიკური.

მათემატიკური და სტატისტიკური ალბათობა გამოიხატება პროცენტებში ან წილში. ასე შეგვიძლია გამოვითვალოთ, რომ ტუზის გამოღება ბანქოს მთლიანი დასტიდან შეადგენს ერთს ცამეტიდან, იმის ალბათობა კი, რომ ავდებული პენსი არიოლით დაჯდება, 50 პროცენტია.

ალბათობის ზუსტი ცნება მოითხოვს ვიცოდეთ ორი სიდიდე მაინც. სხვა-ნაირად შეუძლებელი იქნება ალბათობა გამოვხატოთ პროცენტობით და წილობით.

ჩვენს პირველ მაგალითში ასეთი სიდიდეები იყო ტუზების რიცხვი და ბანქოს რაოდენობა დასტაში, მეორეში – პენსის მხარეების რაოდენობა (ორი მხარე) და არიოლის რიცხვი (1).

მზის ამოსვლის შესახებ განზოგადებისას არ გავგაჩნია ორი სიდიდე, ფაქტიურად არ ვიცით არც ერთი სიდიდე. დარწმუნებული ვართ, რომ მზე ამოდიოდა მილიონჯერ, მაგრამ არც ვიცით, ზუსტად რამდენჯერ ამოვიდა, არც ის, თუ მომავალში რამდენჯერ ამოვა. ამიტომ, ცხადია, არ შეგვიძლია ვიცოდეთ, არის თუ არა ჩვენი შერჩევა ტიპიური. ჩვენ ვერ ვიტყვით: ალბათ, ხვალ მზე ამოვა, რამდენადაც არ ვიცით, როგორი იქნება დედამიწის ბრუნვის სიჩქარე მომავალში, მაშასადამე, არც ის ვიცით, რამდენჯერ ამოვა და რამდენჯერ არ ამოვა.

ამ კონტექსტში სიტყვას “ალბათობა” არაფერი აქვს საერთო მათემატიკურ და სტატისტიკურ ალბათობასთან. იგი უფრო დაკავშირებულია ადამიანის მოლოდინთან და ადამიანის ფსიქოლოგიასთან. ჩვენ უბრალოდ არ შეგვიძლია არ გვეჯეროდეს, რომ ხვალ მზე ამოვა. როგორც ჩანს, ჩვენი ეს მიდრეკილება ჰგავს წიწილის მიდრეკილებას – სწამდეს პატრონის კეთილმოსურვეობა.

## საიმედობა

მაშინ როგორ შეგვიძლია გავამართლოთ ან დავიცვათ ჩვენი რწმენა, რომ ზუსტი წინასწარმეტყველება მზისა და პლანეტების შესახებ მართლაც შესაძლებელია, რომ მომავალი ბევრი რამით უნდა მოგვაგონებდეს წარსულს და ცდაზე დამყარებული ეს განზოგადება ცოდნის შეძენის სმირად საიმედო საშუალებაა?

ზოგიერთი თანამედროვე ფილოსოფოსის აზრით, ინდუქციას არ სჭირდება გამართლება, რამდენადაც ყოველი სულელისთვისაც კი ცხადია, რომ იგი შემეცნების საიმედო წესია. პრობლემის ეს გადაჭრა ერთგვარად გვახსენებს რამსეის მიერ შემოთავაზებულ ცოდნის პრობლემის გადაწყვეტას (იხ. თავი 6), რომელიც ბადებს ასეთ კითხვას: თუ ინდუქცია არის სამყაროს შესახებ ცოდნის შეძენის საიმედო მეთოდი, მაშინ რომელია არასაიმედო საშუალებანი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემის ცდისას იმ დასკვნამდე მივედით, რომ ინდუქციას მეთოქეები არ გააჩნია. ის მეთოდი კი არა, ყველა იმ მეთოდის ჯამია, რომლებიც ამჟამად წარმატებულად ითვლება. რამდენადაც ინდუქცია ჯამი ან მთლიანობაა, შეცდომა იქნება ის მივიჩნიოთ ერთადერთ საიმედო მეთოდად.

ამ თეზისის განმარტებისათვის აუცილებელია განვიხილოთ ზოგიერთი რამ, რასაც ინდუქციას უწოდებენ, და ვიკითხოთ, როდის, როგორ და საერთოდ შეიძლება თუ არა უარი ვთქვათ ინდუქციაზე სხვა მეთოდის სასარგებლოდ?

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ შეუძლებელია უარი ვთქვათ ინდუქციაზე, რამდენადაც ის ყველაფრის ჯამია. მასზე უარის თქმა მხოლოდ ძნელი კი არა, შეუძლებელია. მაშასადამე, განხილული თეორია ფუჭი ბანალობაა, ისეთივე არაფრისმთქმელი მტკიცებაა, როგორც “რალაც უფრო მეტია, ვიდრე არარა”.

## შედარებითი საიმედოობა

ემპირიული განზოგადება არ არის ყოველთვის საიმედო. ბევრი განზოგადება ბოლოს და ბოლოს ყალბი აღმოჩნდება ხოლმე. დედუქცია თავისთავად არაფრით არ არის უკეთესი, რამდენადაც ყოველგვარი დედუქციური მსჯელობა როდია სწორი. მისი სისწორე დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ მსჯელობს, და რა წესებს იყენებს დასკვნისათვის. ყოველგვარი ინდუქცია და დედუქცია რომ აბსოლუტურად საიმედო იყოს, კაცობრიობა ყოველისმცოდნე იქნებოდა.

“ინდუქცია” ბუნდოვანი სიტყვაა. იგი აღნიშნავს კვლევის კონკრეტულ მეთოდებს, როგორცაა მონაცემების შეკრება, ტელესკოპის გამოყენება ან ახალი სამეცნიერო ინსტრუმენტების აღმოჩენა სპეციალური მიზნებისათვის. ანდა ეს შეიძლება ნიშნავდეს კვლევის ნებისმიერ მეთოდს, რომელიც არ არის დედუქციური.

რა თქმა უნდა, კონკრეტული მეთოდები შეიძლება იყოს შედარებით საიმედო და შედარებით არასაიმედო. კონკრეტული მკვლევარებიც ასევე შეიძლება მეტნაკლებად საიმედონი იყვნენ. მაგრამ უაზრობაა ლაპარაკი, თითქოს დედუქცია როგორც ასეთი მეტად (ან ნაკლებად) უფრო საიმედოა, ვიდრე ინდუქცია როგორც ასეთი. არის თუ არა თითოეული მათგანი საიმედო ან არასაიმედო *კონკრეტულ შემთხვევაში*, დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ ახორციელებს მას და რამდენად ჭკვიანია იგი, როგორ სარგებლობენ კონკრეტული მეთოდით, დასკვნის რა მეთოდებს იყენებენ. დასკვნის ზოგიერთი მეთოდი და წესი უფრო ზუსტია, ჩამოყალიბებულია, ვიდრე სხვები.

## რა ხდება, როცა თეორიები კრახს განიცდიან

ჯერ განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი. წარმოვიდგინოთ, თითქოს თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ უნარი შეგწევთ იწინასწარმეტყველოთ მომავალი ჩაის ღერების განლაგებით. სულ მალე დაინახავთ, რომ ცდებით. განა ამ შემთხვევაში იტყვიან: “ო, მაშინდუქცია არასაიმედოა?” რა თქმა უნდა, არა. თქვენ იტყვიან: “საბოლოო ანგარიშით მომავალ ამბებსა და ჩაის ღერების განლაგებას შორის არაფრითარ კავშირი არა არის”.

იმედგაცრუებულ წინასწარმეტყველთა მსგავსად, მეცნიერები ზოგჯერ ხედავენ, რომ ის, რაც ურთერთდაკავშირებულად მიაჩნდათ, სინამდვილეში ერთმანეთთან დაკავშირებული არ არის. მეცნიერება ზოგჯერ ცხადყოფს, რომ ზოგიერთი სქემა არც არსებობს. ასეთ აღმოჩენას საერთო არაფერი აქვს

განზოგადებათა ფორმულირებებთან ფაქტების საფუძველზე. ეს უფრო ზოგიერთი განზოგადების მცდარობის აღმოჩენა იყო, მაგრამ ამას არასოდეს არ თვლიან დედუქციას არასაიმედობის მაჩვენებლად, პირიქით, კავშირის არარსებობის აღმოჩენას, გარკვეული განზოგადების შეუძლებლობის გამოვლინებას განიხილავენ როგორც ნამდვილი ინდუქციური მეთოდის მაგალითს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინდუქცია ხსნის რეგულირებებსა და კავშირებს, აგრეთვე რეგულირების დარღვევას და კავშირის არარსებობას.

წარმოვიდგინოთ შემდეგ, რომ მეცნიერები ისევ და ისევ ცდებიან სულ სხვადასხვა დარგში. ასეთ შემთხვევაში, იტყვიან ისინი, რომ ინდუქცია საბოლოო ანგარიშით არასაიმედო მეთოდია? სრულიადაც არა. ისინი უფრო იტყვიან: “სამყარო გაცილებით რთული ყოფილა, ვიდრე გვეგონა”, “შეიძლება საჭიროა გადავსინჯოთ ჩვენი მეთოდები,” ან თუნდაც: “იქნებ ბოლოს და ბოლოს აღმოსავლურ მისტიციზმში არის რაღაც, მოდი მივცეთ მას შანსი”. ხოლო ცდა, რომ გამოეყენებინათ სხვა მეთოდი, იქნება ეს მისტიციზმი თუ რომელიმე სხვა რამ, ისევ და ისევ თამაშში ჩააბამს ამა თუ იმ ნიღბით – ცდას, დაკვირვებას. მიხედვრებიც კი თავისებური ინდუქციაა და ზოგჯერ სწორი.

განზოგადების ან თეორიის წარუმატებლობა არ მოწმობს ინდუქციის როგორც ასეთის უეარგისობას, გამოუსადევობას.

არაფერი არ გვიშლის ხელს ვივარაუდოთ, რომ ყველა ჩვენი ადრინდელი განზოგადება, მთელი ჩვენი ადრინდელი მეცნიერება და ყველა ჩვენი მეცნიერული მეთოდი არასწორი ან წარუმატებელი აღმოჩნდა. უფრო მეტიც, საეცებით დასაშვებია ვიფიქროთ, რომ თუ ასეა, ვერ ჩამოვაყალიბებთ რაიმე ახალ ჰიპოთეზებს ან განზოგადებებს.

რის მაჩვენებელი იქნებოდა ეს? მტკიცდება ამით, რომ ინდუქცია როგორც ასეთი უსაფუძვლოა? არა, ეს მხოლოდ იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ ადამიანთა მოდგმას არ გააჩნია საკმარისი ჭკუა და საბოლოო ანგარიშით არ შესწევს უნარი შექმნას მეცნიერება. ეს ცხადყოფს არა იმას, რომ ბუნებაში არ არსებობს ერთგვაროვნება, არამედ მხოლოდ ადამიანის უუნარობას – დაინახოს ეს ერთგვაროვნება.

## ქაოსი და აღწერა

შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ სამყარო არ არის ერთგვაროვანი. შეიძლება ითქვას: “სამყარო ქაოსურია”. მაგრამ ეს ტყუილია. ეს არ შეიძლება ჭეშმარიტება იყოს, რამდენადაც სამყაროში რომ ნამდვილად ქაოსი მეფობდეს,

არ იქნებოდა ენა, რომელიც ამის თქმის საშუალებას იძლევა. ენა როგორც ასეთი დამოკიდებულია საკმაოდ დიდხანს არსებულ ნივთებსა და თვისებებზე. სწორედ ეს წარმოადგენს ერთგვაროვნებას. რა თქმა უნდა, ეს არ იძლევა იმის გარანტიას, რომ სამყაროში არ დაიწყება ქაოსი. მაშინ ჩვენ აღარ ვიქნებით და მას ვერ დავინახავთ.

ლოგიკა:  
დასკვნის  
ფილოსოფია





## ლოგიკის საგანი

ფორმალური ლოგიკა იკვლევს დედუქციურ გამოყვანას. ის არ იკვლევს ინდუქციურ სჯას. ლოგიკის საგანია მკაცრი, ანუ დედუქციური, დამტკიცება მისი სარწმუნოობის, ანუ გამართულობის, თვალსაზრისით.

### ინდუქცია, დედუქცია და დამტკიცება

ინდუქციური სჯა ემყარება დაკვირვებასა და ექსპერიმენტს. ინდუქცია არსებითად არის ფაქტების შეკრება და შემდეგ განზოგადება. დედუქცია, მეორე მხრივ, დანასკვნების გამოყვანაა, რომლებიც სარწმუნოდ გამომდინარეობენ აქსიომებიდან ან უკვე ცნობილად მიჩნეული მტკიცებებიდან ფაქტების შესახებ.

დამტკიცებაზე საუბრისას ლოგიკოსებს მხედველობაში აქვთ *დედუქციური დამტკიცება*. ჩვეულებრივ, ადამიანებს ან მეცნიერებს კი, როცა ისინი დამტკიცებაზე საუბრობენ, მხედველობაში აქვთ *ძალიან ძლიერი დამოწმება*. სიტყვა “დამტკიცების” ეს ორი მნიშვნელობა გარკვეულწილად აჯამებს განსხვავებას დედუქციასა და ინდუქციას შორის.

განსხვავება მათ შორის, როგორც მე-18 თავში აღინიშნა, განისაზღვრება ჭეშმარიტების შენახვის ცნებით. როგორი ამომწურავიც არ უნდა იყოს დამოწმება, ის არ უზრუნველყოფს კონკრეტული ინდუქციური დასკვნის დანასკვის ჭეშმარიტობას. გონივრული ინდუქციური დასკვნა თავსებადია მისი დანასკვის მცდარობასთან. ფაქტები უეჭველიც რომ ყოფილიყო, ინდუქციური დასკვნის დანასკვი მაინც შეიძლება მცდარი აღმოჩენილიყო. ინდუქციური სჯა ხომ გულისხმობს შემოსაზღვრული რაოდენობის მონაცემების შეკრებას წარსულიდან და აწმყოდან, შემდეგ კი დანასკვნების გამოყვანას უნივერსალური განზოგადებების სახით. ასეთი განზოგადებები მოიცავენ განუსაზღვრელად დიდი რაოდენობის სხვა ფაქტებს და გამოიყენებიან არა მხოლოდ წარსულისა და აწმყოს, არამედ მომავლის მიმართაც.

ინდექციური სჯა განხილული იყო მე-18 თავში. ამიტომ მასზე აღარ შევჩერდებით.

დედუქციური დამტკიცება ინახავს ჭეშმარიტებას. გამართული დედუქციური დასკვნის დანასკვი ჭეშმარიტი უნდა იყოს, თუკი მისი წანამძღვრები ჭეშმარიტია. რატომ? უბრალოდ სიტყვა “გამართულის” განსაზღვრების ძალით. ეს განსაზღვრება ასეთია: *დასკვნა გამართულია, თუკი შეუძლებელია, რომ მისი წანამძღვრები იყოს ჭეშმარიტი, ხოლო დანასკვი – მცდარი.*

შემდგომ დამტკიცებებზე საუბრისას მხედველობაში გვექნება მხოლოდ დედუქციური დამტკიცებები. დედუქციური დამტკიცებები გამართული დედუქციური გამოყვანების ქვეკლასია.

დედუქციური გამოყვანა, როგორც ასეთი, შეიძლება იწყებოდეს ჭეშმარიტი წანამძღვრებით, უბრალოდ ჰიპოთეზებით ანდა მცდარი წანამძღვრებით. დედუქციური გამოყვანა შეიძლება იყოს გამართული მაშინაც, როცა მისი წანამძღვრები მცდარია. ეს ცხადია გამართულობის ზემოთ მოყვანილი განსაზღვრებიდან.

აი ასეთი გამართული დედუქციური სჯის მაგალითი, რომელიც არ არის დამტკიცება. იგი გამართულია, მაგრამ არაფერს ამტკიცებს, ვინაიდან მცდარი წანამძღვრით იწყება.

ნაპოლეონი იყო იაპონელი.

ყველა იაპონელი აზიაში დაბადებულია.

მაშასადამე, ნაპოლეონი აზიაში დაბადებულია.

თუ გამართული დედუქციური სჯა იწყება ჭეშმარიტი წანამძღვრებით, იგი დამტკიცებაა.

ყველა ადამიანი ცოცხალი არსებაა.

სოკრატე ადამიანია.

მაშასადამე, სოკრატე ცოცხალი არსებაა.

ტექნიკური თვალსაზრისით ყოველი გამართული დედუქციური სჯა დამტკიცებაა, მაგრამ პრაქტიკულად ასეთ სჯას ყოველთვის როდი უწოდებენ დამტკიცებას, თუკი მისი დანასკვი უკვე ცნობილია ან მეტ ნდობას იმსახურებს, ვიდრე წანამძღვრები.

ნამდვილი დამტკიცებები აუცილებლად უნდა იწყებოდეს ჭეშმარიტი წანამძღვრებით? არა, რადგან არსებობს მნიშვნელოვანი გამონაკლისი, კერძოდ, დამტკიცება *reductio ad absurdum*-ის (აბსურდამდე მიყვანის)

მეთოდით. ამ სახის დამტკიცება იწყება იმთავითვე ანდა სავარაუდოდ მცდარი წინამძღვრით; მისი მიზანი კი არის, თუ გნებავთ, ამ წინამძღვრის მცდარობის დემონსტრაცია.

დამტკიცებები *reductio ad absurdum*-ის მეთოდით საკმაოდ გავრცელებულია მათემატიკაში. ამ თავის ბოლოს განვიხილავთ ერთ ცნობილ მაგალითს.\*

## ლოგიკის მეთოდები

როგორ შეისწავლის ლოგიკა დედუქციურ სჯას? იგი არსებითად ადგენს მისი გამართულობის ზოგად წესებს. მაგრამ ჯერ ახდენს ლინგვისტური ობიექტების კლასიფიკაციას და შემოაქვს ლინგვისტური სიახლეები. მას შეუძლია შემოიღოს აგრეთვე ხელოვნური ენები.

ლოგიკა ახდენს ლინგვისტური ობიექტების, ესე იგი სიტყვებისა და წინადადებების, კლასიფიკაციას, რათა გაამარტივოს სჯისა და დამტკიცებების კლასიფიკაცია.

ლინგვისტური სიახლეები ლოგიკას სხვადასხვა მიზნით შემოაქვს. ერთი მათგანი მდგომარეობს ორაზროვნებისა და გაურკვეველობის გამორიცხვაში. მეორე უკავშირდება ახალი იდეების გამოხატვის გაადვილების აუცილებლობას. მესამე მიზანია ჩაწერის კომპაქტური სისტემის გამომუშავება, რაც საშუალებას მოგვცემს რთული სჯა მარტივად წარმოვადგინოთ.

ლოგიკა ასევე ადგენს სპეციალურ ან ნახევრადსპეციალურ ანბანებს. ძველი ტრადიციული ლოგიკის სპეციალური ანბანი მარტივია და ძირითადად გამოიყენება სჯის სტრუქტურის აღსაწერად. ბევრად რთულია თანამედროვე ლოგიკის სპეციალური ანბანი. იგი უფრო ხშირად მთლიანად ხელოვნური ენის ანბანს წარმოადგენს. ასეთ ანბანთა შემუშავების იდეა უკავშირდება ჩვენს ხელთ არსებული სჯის გამოხატვის ისეთი საშუალებების ქონების აუცილებლობას, რომლებიც აშკარად გვიჩვენებდნენ მათ სტრუქტურას. ითვლება, რომ თანამედროვე ლოგიკის ხელოვნური ენები უფრო მარტივი, ზუსტი და გარკვეულია, ვიდრე ჩვეულებრივი ენები. სიზუსტე, გარკვეულობა და სიცხადე აადვილებს შეცდომების პოვნას და ერთმანეთისგან სჯის სხვადასხვა ტიპების განსხვავებას.

შემდგომ თავებში განვიხილავთ ტრადიციული და თანამედროვე ლოგიკის ძირითად მონახაზს. ასევე განვმარტავთ, თუ ტრადიციულმა ლოგიკამ XX საუკუნეში რატომ დაუთმო გზა თანამედროვეს.

\* ეკლიდემ *reductio ad absurdum*-ის მეთოდით შემდეგნაირად დაამტკიცა, რომ არ არსებობს უდიდესი მარტივი რიცხვი:

არსებობს უდიდესი მარტივი რიცხვი. დავარქვათ მას P.

არსებობს დიდი რიცხვი, რომელიც უდრის  $1 \times 2 \times 3 \times 5 \times 7 \times \dots \times P$ . დავარქვათ მას Q.

ცხადია, რომ Q არ არის მარტივი რიცხვი, ვინაიდან ის უნაშთოდ იყოფა ყოველ მარტო რიცხვზე, რომელიც მამრავლად შედის Q-ში P-ს ჩათვლით.

არსებობს კიდევ უფრო დიდი რიცხვი, რომელიც უდრის  $(Q+1)$ -ს. ვუწოდოთ მას R.

R მარტივი რიცხვი უნდა იყოს, რადგან ის უნაშთოდ არ გაიყოფა Q-ს არც ერთ მამრავლზე.

ამიტომ P არ არის უდიდესი მარტივი რიცხვი, რადგან R მარტივი რიცხვია და ის მეტია Q-ზე.

ცხადია, რომ ეს პროცესი უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს შემდეგნაირად:

არსებობს უდიდესი მარტივი რიცხვი R.

არსებობს R-ზე დიდი რიცხვი, რომელიც უდრის  $1 \times 2 \times 3 \times 5 \times 7 \times \dots \times R$  და ა.შ., და ა.შ.

დანასკვი: უდიდესი მარტივი რიცხვი არ არსებობს.

## სილოგისტური ლოგიკა

დავიწყოთ გამართულობის ზოგადი განსაზღვრებით.

*დასკვნა (ან სჯა) გამართულია, თუ შეუძლებელია მისი წანამძღვრები ჭეშმარიტი იყოს, დანასკვი კი მცდარი.*

ბერძნული სიტყვა "სილოგიზმი" უბრალოდ ნიშნავს გამართულ არგუმენტს. მაგრამ მან უკვე დიდი ხანია შეიძინა ცოტა განსხვავებული მნიშვნელობა. ლოგიკოსებისათვის ამ სიტყვის მნიშვნელობა, ერთი მხრივ, ბერძნული სიტყვის თავდაპირველ მნიშვნელობაზე უფრო ვიწროა, ხოლო მეორე მხრივ, უფრო ფართო.

ის უფრო ვიწროა, რამდენადაც ახლა სილოგიზმები უმთავრესად ესმით როგორც მხოლოდ დასკვნები ან არგუმენტები, რომლებიც გარკვეულ ზოგად ფორმას პასუხობს. ეს ფორმაა: ორი წანამძღვარი და დანასკვი. ის უფრო ფართოა, რამდენადაც სილოგიზმებად ახლა თვლიან არა მხოლოდ ზემოაღნიშნული ფორმის გამართულ არგუმენტებს.

სილოგიზმის ფორმა მარტივი ჩანს, სინამდვილეში კი ის უშვებს მრავალგვარ ვარიაციებს. სილოგიზმი შეიძლება შემდეგნაირად გამოიყურებოდეს:

ყოველი ადამიანი მოკვდავია.

სოკრატე ადამიანია.

მაშასადამე, სოკრატე მოკვდავია.

ამ შემთხვევაში სილოგიზმი გამართულია, რამდენადაც თუ მისი წანამძღვრები ჭეშმარიტია, მაშინ დანასკვი შეუძლებელია არ იყოს ჭეშმარიტი.

ის შესაძლოა ასეც გამოიყურებოდეს:

არც ერთი ყვავი არ არის თეთრი.

ზოგიერთ ყვავს აქვს ალბინიზმის გენები.

მაშასადამე, ზოგიერთი რამ ალბინიზმის გენებით არ არის თეთრი.

ეს სილოგიზმი გამართულია, წანამძღვრების ჭეშმარიტობის შემთხვევაში დანასკვიც ხომ ჭეშმარიტი უნდა იყოს.

სილოგიზმი შეიძლება ასეთიც იყოს:

ზოგიერთი ცხოველი ირემია.

ზოგიერთი ცხოველი ხორცის მჭამელია.

მამასადამე, ზოგიერთი ირემი ხორცის მჭამელია.

ცხადია, რომ ეს სილოგიზმი გამართული არ არის. მისი წანამძღვრები ხომ ჭეშმარიტია, დანასკვიც კი – მცდარი.

სილოგისტურ ლოგიკას ხშირად უწოდებენ არისტოტელურს, ვინაიდან არსებითად ის არისტოტელემ ჩამოაყალიბა, თუმცა ზოგიერთი დამატება შეიტანეს გვიანდელმა ფილოსოფოსებმაც: ძენონმა, ციცერონმა, ბოეციუსმა, და შუა საუკუნეების ავტორებმა: აბელიარმა, დუნს სკოტმა, უილიამ ოკამმა და სხვ.

ზოგიერთ დასკვნას მხოლოდ ერთი წანამძღვარი აქვს. მათ უწოდებენ მარტივებს ანუ უშუალოს. მოვიყვანოთ მაგალითი: ყველა გედი თეთრია (წანამძღვარი); მამასადამე, ზოგიერთი თეთრი საგანი გედია (დანასკვი).

ტრადიციული ლოგიკის მტკიცებით ყოველგვარი სჯა ან მარტივი და უშუალო ან სილოგისტური. ის გულისხმობს, რომ ნებისმიერი დასკვნა, რომელიც სილოგიზმზე რთულად გამოიყურება, შეიძლება დავიყვანოთ სილოგიზმზე ან სილოგიზმების ჯაჭვზე. XIX საუკუნის ლოგიკის სახელმძღვანელოებში მოყვანილია სავარჯიშოები რთული აღნაგობის დასკვნების სილოგიზმებად ან სილოგიზმების ჯაჭვებად გარდასაქმნელად.

## სიმბოლოები, მოკლე აღნიშვნები და სპეციალური ტერმინები

სიმბოლოების სისტემის საშუალებით შესაძლებელია სილოგიზმების კლასიფიკაცია და გარკვეულ დონემდე ფორმალიზება. სილოგისტურ ლოგიკაში გამოყენებული სიმბოლოების სისტემა მეტად მარტივია და ათიოდე სპეციალური ტერმინს შეიცავს, თანაც სისტემის გასაგებად ყოველი მათგანი არ არის არსებითი მნიშვნელობის მქონე. ეს სპეციალური ტერმინები და მათი გამოყენების ხერხები ძირითადად არისტოტელემ შემოიღო.

## დებულებები და კვანტორები

დებულებას ვუწოდებთ წინადადებას, რომელიც შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი. დებულებები განსხვავდებიან იმ სახის წინადადებებისაგან, რომლებიც გამოხატავენ, მაგალითად, კითხვებს, თხოვნებსა და ბრძანებებს. ასეთი წინადადებები არც ჭეშმარიტია და არც მცდარი.

კვანტორები შემდეგი ოთხი სახის ფრაზებია: “ზოგიერთი ... არის”, “ყველა (ყოველი) ...არის”, “ზოგიერთი ... არ არის”, “არც ერთი ... არ არის”.

ტრადიციული ლოგიკა ოთხი სახის დებულებას გამოიყოფს მათში შემავალი კვანტორების მიხედვით.

ამ ოთხი სახის დებულებების აღსანიშნავად გამოიყენება ჩაწერის მოკლე სისტემა, რომელიც შემდეგი ასოებისაგან შედგება:

- A დებულება, რომელიც შეიცავს ფრაზას “ყველა (ყოველი)...არის”.
- E დებულება, რომელიც შეიცავს ფრაზას “არც ერთი ... არ არის”.
- I დებულება, რომელიც შეიცავს ფრაზას “ზოგიერთი ... არის”.
- O დებულება, რომელიც შეიცავს ფრაზას “ზოგიერთი ... არ არის”.

სპეციალური ტერმინები ანუ სახელები ამ დებულებებისათვის ასეთია:

- A ასოთი შედგენილი დებულებისათვის – ზოგად დადებითი.
- E ასოთი შედგენილი დებულებისათვის – ზოგად უარყოფითი.
- I ასოთი შედგენილი დებულებისათვის – კერძობით დადებითი.
- O ასოთი შედგენილი დებულებისათვის – კერძობით უარყოფითი.

*მაგალითები:*

- A ყველა ბერძენი არის კეთილი.
- E არც ერთ ბერძენი არ არის კეთილი.
- I ზოგიერთი ბერძენი არის კეთილი.
- O ზოგიერთი ბერძენი არ არის კეთილი.

## ტერმინები

სჯა, ცხადია, ყოველთვის არის სჯა რაიმეს შესახებ: ბერძნებზე, განათლებაზე, სიკეთეზე, ქალაქებზე, მარტივ რიცხვებზე და ა. შ. ტერმინები სიტყვებია, რომლებიც აღნიშნავენ საგანთა ერთობლიობებს ან ჩვენი სჯის საგნებს: S, M და P ასოები ტრადიციულად გამოიყენება ტერმინთა სანაცვლოდ.

სილოგიზმში სამი ტერმინია. დანასკვში, მაგალითად, გვაქვს ორი ტერმინი:

სუბიექტი	(S – ქვემდებარე) დანასკვისა,
პრედიკატი	(P – შემასმენელი) დანასკვისა;
საშუალო ტერმინი	(M) კი ისაა, რომელიც ორივე წანამძღვარში შედის, მაგრამ არ გვხვდება დანასკვში.

### წანამძღვრები და დანასკვი

როგორც დავინახეთ, სილოგიზმში სამი დებულებისაგან შედგება. ის იწყება ორი დებულებით – წანამძღვრებით, რომელთაგანაც უნდა გამოვიყვანოთ მესამე დებულება – დანასკვი. დებულებას, რომელშიც შედიან S და M, მცირე წანამძღვარი ეწოდება, ხოლო დებულებას, რომელშიც გვხვდებიან P და M, დიდი წანამძღვარი ჰქვია. ბოლოს დებულება, რომელშიც შედის S და P, არის დანასკვი. მას ჩვეულებრივ წინ ერთვის ისეთი სიტყვები, როგორიცაა “მაშასადამე”, “საიდანაც ვღებულობთ, რომ” ან “ამიტომ”.


აი, ორი, გამართული და გაუმართავი სილოგიზმის მაგალითი. დამტკიცების მისაღებად თავისთავად იგულისხმება, რომ წანამძღვრები ჭეშმარიტი უნდა იყოს. ჩვენ ვკითხულობთ: გამომდინარეობს თუ არა ეს დანასკვი წანამძღვრებიდან, თუკი ისინი ჭეშმარიტია? სხვა სიტყვებით: თუ წანამძღვრები ჭეშმარიტია, შეიძლება თუ არა დანასკვი მცდარი იყოს?

### მაგალითი 1

ყველა პოლონელი (P) არის ავადმყოფი (M),  
არც ერთი ჯანმრთელი (S) არ არის ავადმყოფი (M),  
მაშასადამე, არც ერთი ჯანმრთელი (S) არ არის პოლონელი (P).



ამ მაგალითში წანამძღვრების ჭეშმარიტობის შემთხვევაში დანასკვი არ შეიძლება იყოს მცდარი, ამიტომ დასკვნა გამართულია. ეილერის წრეები ამას ცხადყოფენ ინტუიციის დონეზე:




## მაგალითი 2

ზოგიერთი შემთხვევაში (M) არის პერუელი (P).



არც ერთი შემთხვევაში (M) არ არის ნორმალური ადამიანი (S).

მაშასადამე, არც ერთი ნორმალური ადამიანი (S) არ არის პერუელი (P).

ამ შემთხვევაში წანამძღვრების ჭეშმარიტობის პირობებში დანასკვი ჭეშმარიტიც შეიძლება იყოს (იხ. სქემა 2a) და მცდარიც (იხ. სქემა 2b). მაშასადამე, მოცემული დასკვნა გაუმართავია.



2a



2b

## სილოგიზმების კლასიფიკაცია: 256 ფორმა

სილოგისტური ლოგიკა სხვადასხვა შესაძლო ფორმის მიხედვით ახდენს დასკვნების კლასიფიკაციას. კლასიფიკაცია საშუალებას გვაძლევს გამართული დასკვნა განვასხვაოთ გაუმართავისაგან. სილოგიზმის თეორიის თანახმად გამართულობას განაპირობებს ორი ფაქტორი – სილოგიზმის ფიგურა და მოდუსი.

### ფიგურები და მოდუსები

- სილოგიზმის ფიგურა განისაზღვრება მისი ტერმინების: S-ის, M-ისა და P-ს მდებარეობით. სულ არსებობს ოთხი შესაძლო ფიგურა.

სილოგიზმის მოდუსი განისაზღვრება კვანტორების, ე. ი. A, E, I და O დებულებების კომბინაციით წანამძღვრებსა და დანასკვში. თითოეული ფიგურისათვის არსებობს 64 კომბინაცია, ე. ი. 64 შესაძლო მოდუსი. მაშ, სულ არსებობს  $4 \times 64 = 256$  შესაძლო სილოგიზმი. ამ შესაძლო ფორმებიდან გამართული და “ძლიერი” არის ცხრაშეტი, გამართულია კიდევ ხუთი, თუმც “კერძო” (დაქვემდებარებული) ანუ “სუსტია”. ყველა დანარჩენი გაუმართავია.

### ფიგურები

S, M და P ტერმინების ოთხი შესაძლო მდებარეობა (ფიგურა) ასეთია:

*პირველი ფიგურა*

MP

SM

SP

*მეორე ფიგურა*

PM

SM

SP

*მესამე ფიგურა*

MP

MS

SP

... *მეოთხე ფიგურა*

PM

MS

SP

### მოდუსები

სილოგიზმის მოდუსები მოკლედ შეგვიძლია გამოვხატოთ ზემოთ აღნიშნული ასოების (A, E, I, O) საშუალებით.

ასე მაგალითად, თუ სილოგიზმის წანამძღვრები და დანასკვი იწყება ფრაზით “ყველა ... არის”, მაშინ შესაბამისი მოდუსი ასე აღინიშნება: AAA. ამ სილოგიზმის ყოველი დებულება ზოგად დადებითია.

თუ პირველი წანამძღვარი იწყება ფრაზით “არც ერთი ... არ არის”, მეორე – ფრაზით “ზოგიერთი ... არის”, ხოლო დანასკვი – ფრაზით “ზოგიერთი ... არ არის”, მაშინ სილოგიზმის მოდუსია EIO. აქ პირველი წანამძღვარი ზოგადუარყოფითი დებულებაა, მეორე – კერძობითდადებითი, ხოლო დანასკვი – კერძობით უარყოფითი.

ზემოთ ითქვა, რომ თითოეული ფიგურისათვის არსებობს 64 მოდუსი: AAA, AAI, AII, III, IIA, IAA, EEE, EEA, EAA და ა.შ. 64-ე კომბინაციამდე.

### *მაგალითები (ყოველი ფიგურისათვის ორ-ორი)*

(შესაძლოა მკითხველმა მოისურვოს დამოუკიდებლად გაარკვიოს. თუ ქვემოთ ჩამოთვლილი დასკვნებიდან რომელია გამართული და რომელი გაუმართავი; გაარკვიოს აგრეთვე, რომელ მოდუსებს წარმოგვიდგენენ ისინი. პასუხები თავის ბოლოსაა მოყვანილი.)

#### *პირველი ფიგურა*

MP ყველა ადამიანი ამაყია,	ყველა ადამიანი ამაყია,
SM ზოგიერთი ჯარისკაცი ადამიანია, მამასადამე,	არც ერთი ზოჭო არ არის ადამიანი, მამასადამე.
SP ზოგიერთი ჯარისკაცი ამაყია.	არც ერთი ზოჭო არ არის ამაყი.

#### *მეორე ფიგურა*

PM არც ერთი პოლონელი არ არის მამაკაცი,	არც ერთ მღვდელს არ ყავს ცოლი,
SM ზოგიერთი ჯარისკაცი მამაკაცია, მამასადამე.	ზოგიერთ სურბს ჰყავს ცოლი, მამასადამე.
SP ზოგიერთი ჯარისკაცი პოლონელია.	ზოგიერთი სურბი არ არის მღვდელი.

## მესამე ფიგურა

MP არც ერთი განგსტერი არ არის მომზიბულელი,	ყულა განგსტერი მომზიბულელია,
MS ზოგიერთი განგსტერი ზრდილობიანი, მაშასადამე,	არც ერთი განგსტერი არ არის ზრდილობიანი, მაშასადამე,
SP ზოგიერთი ზრდილობიანი ადამიანი არ არის მომზიბულელი.	ზოგიერთი ზრდილობიანი ადამიანი მომზიბულელია.

## მეოთხე ფიგურა

PM ზოგიერთი პედანტი თავშეკავებულია,	არც ერთი პედანტი არ არის თავშეკავებული,
MS ყულა თავშეკავებული ადამიანი გონიერია, მაშასადამე,	ყულა თავშეკავებული ადამიანი გონიერია, მაშასადამე,
SP ზოგიერთი გონიერი ადამიანი პედანტია.	არც ერთი გონიერი ადამიანი არ არის პედანტი.

სილოგიზმის ფიგურები და მოდუსები შეიძლება ერთდროულად წარმოვადგინოთ ფიგურისა და მოდუსების სიმბოლოების შეერთებით. ასე შეიძლება ნებისმიერი სილოგიზმის ჩაწერა. როგორც უკვე ითქვა, სილოგიზმის შესაძლო ფორმების საერთო რიცხვი არის 256.

მაგალითი:

MaP

SaM

SaP—პირველი ფიგურის AAA მოდუსის სილოგიზმი.

ან კიდევ:

PeM

SiM

SoP— მეორე ფიგურის EIO მოდუსის სილოგიზმი.

## სილოგიზმის გამართული ფორმების განსხვავება გაუმართავისგან

სილოგიზმის გამართული ფორმები გაუმართავისგან შეიძლება განვასხვაოთ ეთლერის წრეების მეთოდის გამოყენებით, ზოგადი და სპეციალური წესების ჩამოყალიბებით ანდა მნემონიკური წესების მოშველიებით.

არისტოტელე სილოგიზმის გაუმართავ ფორმებს მაგალითების განხილვით ადგენდა.

შუა საუკუნეების სწავლულებმა გამოიგონეს მნემონიკა, რომელმაც გააადვილა 19 ძლიერი გამართული ფორმის, 5 სუსტი ფორმისა და დანარჩენი 232 გაუმართავი ფორმის გამოცნობა. ყოველი პქკარი წარმოკვიდგენს ფიგურას, ხოლო ყოველი სიტყვის პირველი სამი ხმოვანი ასო – მოდუსს.

1. BARBARA, CELARENT, DARI, FERIOQUE - prioris; პირველი ფიგურის გამართული მოდუსები: AAA, EAE, AII, EIO.
2. CESARE, CAMESTRES, FESTINO, BAROCO - secundae; მეორე ფიგურის გამართული მოდუსები: CESARE, CAMESTRES, FESTINO, BAROCO - secundae; მეორე ფიგურის გამართული მოდუსები: EAE, AEE, EIO, AOO.
3. Tertia: DARAPTI, DISAMIS, DATISI, FELAPTON, BOCARDO, FERISON – habet; მესამე ფიგურის გამართული მოდუსები: AAI, IAI, AII, EAO, OAO, EIO.
4. Quarta insuper addit – BRAMANTIP, CAMENES, DIMARIS, FESAPO, FRESISON; მეოთხე ფიგურის გამართული მოდუსები: AAI, AEE, IAI, EAO, EIO.

ამ მნემონიკის დამახსოვრება არ არის ადვილი. ჩვენ წინაა სიტყვები უცხო, ლათინურ ენაზე, უფრო ზუსტად, ლათინიზირებულ პროფესიულ ჟარგონზე. ამიტომ ჩვენ ვიფიქრეთ, რომ კარგი იქნებოდა თანამედროვე ქლერადობის მნემონიკის შექმნა. მაგრამ მალე გაირკვა, რომ ეს რთული ამოცანაა. შესაძლოა მკითხველთაგან რომელიმემ სცადოს ჩვენი ვერსიის გაუმჯობესება.

წარმოვიდგინებ ჩვენს ახალ მნემონიკას. ყოველი სიტყვის პირველი სამი ხმოვანი ასო გვაძლევს სილოგიზმის მოდუსს; ცხადია, მხედველობაში არ ვიღებთ “U”-სა და სამზე მეტ პირველ ხმოვანს, თუკი ისინი შეგვხვდებიან. წესი: I ფიგურაში გვაქვს გოგონების სახელები, II-ში – ვაჟების, III-ში – მათი მოგზაურობის ადგილები და IV-ში ცნობილი ადამიანები.

1. ოთხი გოგონა: BARBARA, BERNADETTE, HERMIONE და LAVINIA (AAA, EAE, EIO, AII)
2. შეხვდა ოთხ ვაჟს: ALPHONSO, ELIOTT, GERVASE და LAWRENCE (AOO, EIO, EAE, AEE).
3. მათ ერთად იმოგზაურეს და მოინახულეს ექვსი ადგილი. ჯერ: ATLANTIC, PACIFIC, EQUATOR, შემდეგ კი: ETHIOPIA, MIAMI და MONACO (AAI, AII, EAO, EIO, IAI, OAO).
4. სადაც მათ შეხვდა ხუთი გამორჩენილი ადამიანი: CLARENCE ლენის კასრში, მეფე MELCHIOR, წინასწარმეტყველები: ISAIAH, MALACHI და სწავლული: MELANCTHON (AEE, EIO, IAI, AAI, EAO).

*მაგალითი:*

MELANCTHON (EAO) – მოდუსი მეოთხე ფიგურისა (PM,MS, მაშასადამე, SP):

არც ერთი მმართველი არ არის უჭკუო.

ყველა უჭკუო ადამიანი ავადმყოფია.

მაშასადამე, ზოგიერთი ავადმყოფი არ არის მმართველი.

მკითხველს შეუძლია შეადგინოს დანარჩენი 18 გამართული და ძლიერი მოდუსის მაგალითები.

## სილოგიზმის სუსტი ფორმები

არისტოტელე არ ახსენებს ხუთ გამართულ სუსტ ანუ კერძო, ფორმას. მაგრამ ისინი ძალიან დიდი ხნის წინ, ჩვ. წ. აღ-მდე I საუკუნეში, აღმოაჩინეს.

მოკლედ რომ ვთქვათ, კერძო ფორმაში დანასკვი უფრო სუსტია, ვიდრე მოითხოვება: ყველა კერძო ფორმას აქვს “სუსტი” დანასკვი (I ან O).

სუსტი ფორმები ასეთია: პირველ ფიგურაში – AAI (შეესამება AAA-ს) და EAO (შეესაბამება EAE-ს), მეორე ფიგურაში – EAO (შეესაბამება EAE-ს) და AEO (შეესაბამება AEE-ს), ხოლო მეოთხეში – AEO (შეესაბამება AEE-ს).

მაგალითი:

EAO პირველ ფიგურაში:

არც ერთი მანიქვეელი არ არის პედანტი.

ყველა მონა მანიქვეელია.

მაშასადამე, ზოგიერთი მონა არ არის პედანტი.

ცხადია, რომ დაქვემდებარებული ფორმების გამართულობა ემყარება ერთწანამძღვრიანი დასკვნების წინასწარ ნაგულისხმევ გამართულობას. მაგალითად, AAI ემყარება ნაგულისხმევ გამართულობას დასკვნისა: თუ ყველა S არის P, მაშინ ზოგიერთი S არის P (ე. ი. თუ ყველა მონა პედანტია, მაშინ ზოგიერთი მონა პედანტია), ხოლო EAO და AEO ემყარება გამართულობას შემდეგი დასკვნისა: თუ არც ერთი S არ არის P, მაშინ ზოგიერთი S არ არის P (ე. ი. თუ არც ერთი მონა არ არის პედანტი, მაშინ ზოგიერთი მონაც არ არის პედანტი).

შევაჯამოთ ნათქვამი. სილოგიზმის გამართულობის უმარტივესი მეთოდები ასეთია: ვიხილავთ მას, ვხატავთ ეილერის წრეებს, ვიხსენებთ გამართულ ფორმებს და ვნახულობთ, რომელ მათგანს შეესაბამება მოცემული კონკრეტული ნიმუშები.

თუმცა შუა საუკუნეების ლოგიკოსები აყალიბებდნენ ზოგად და სპეციალურ წესებს, რომელთა საფუძველზეც ადგენდნენ განსხვავებას გარკვეულ და გაუმართავ სილოგიზმებს შორის, მაგრამ კამათი გრძელდება იმის თაობაზე დამაკმაყოფილებელია თუ არა შუა საუკუნეებში ჩამოყალიბებული ყველა წესი; კერძოდ, ზოგიერთი ლოგიკოსი უაზროდ მიიჩნევს ე.წ. “ტერმინთა განაწილების წესს”.

სილოგიზმი ტრადიციული ლოგიკის მთავარი, მაგრამ არა ერთადერთი ელემენტია. მისი მნიშვნელოვანი ნაკვეთებია აგრეთვე უშუალო (მარტივი) დასკვნები (იხ. ზემოთ), ე. წ. პირობითი სილოგიზმები და სხვა.

პასუხი პარაგრაფისთვის: მაგალითები (ყოველი ფიგურისთვის ორ-ორი), იხ. გვ. 203.  
რვა მაგალითში (ხოჭოების, განგსტერების, პოლონელებისა და სხვათა შესახებ) მოდუსები ასეთია:

პირველ ფიგურაში:	AII (გამართული) და	AIE (გაუმართავი).
მეორე ფიგურაში:	EII (გაუმართავი) და	EIO (გამართული).
მესამე ფიგურაში:	EIO (გამართული) და	AEI (გაუმართავი).
მეოთხე ფიგურაში:	IAI (გამართული) და	EAE (გაუმართავი).



## თანამედროვე ლოგიკა

არისტოტელეს ლოგიკის მნიშვნელობა ორ ათას წელზე მეტი ხნის განმავლობაში არ იწვევდა სერიოზულ ეჭვებს და XIX საუკუნეშიც გრძელდებოდა გამოცემა წიგნებისა, რომლებშიც გადმოცემული იყო არისტოტელეს ლოგიკური სისტემა. მაგალითისთვის დავასახელებთ ჯონ ნევილ კეინსის სქელტანიან შრომას “ფორმალური ლოგიკა სავარჯიშოებითურთ”, რომელიც გამოქვეყნდა 1887 წელს.

ბოლოს და ბოლოს არისტოტელეს ლოგიკას წაუყენეს პრეტენზიები, ძირითადად იმის გამო, რომ ის სრულად ვერ აღწერდა დამტკიცებებში გამოყენებული დედუქციური დასკვნების ყველა სახეს, ზოგ შემთხვევაში კი თავიდან ვერ იცდნენდა ორაზროვნებას ინტერპრეტაციებში.

როგორც ვნახეთ ტრადიციული სილოგისტური ლოგიკის თვალსაზრისით ყოველი დებულება გამოხატავს დამოკიდებულებას სუბიექტსა და პრედიკატს შორის. სუბიექტის რაოდენობრივ დახასიათებას გვაძლევენ ისეთი სიტყვები, როგორცაა “ყველა”, “არც ერთი” და “ზოგიერთი”. ყოველ სილოგისმში საუბარია მხოლოდ საგანთა სამ კლასზე, სახელდობრ იმათზე, რომლებიც გამოითქმება სუბიექტით, პრედიკატითა და საშუალო ტერმინით.

წინასწარ იგულისხმება, რომ ყოველგვარი არგუმენტაცია, დედუქციური სჯის ყოველი ნიმუში შეიძლება გამოისახოს ან როგორც უშუალო დასკვნა, ან სილოგისმი, ან კიდევ სილოგისმების მიმდევრობა.

XIX-XX საუკუნეებში შექმნილ ლოგიკას შეუძლია დედუქციური დასკვნების უფრო მრავალფეროვანი ტიპების სისტემატიზაცია. მაგრამ მისი დაუფლება უფრო ძნელია, ვიდრე არისტოტელეს ლოგიკისა.

თანამედროვე ლოგიკა ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება – პროპოზიციული (დებულებების) აღრიცხვისაგან, რომელიც შეისწავლის დედუქციურ დამოკიდებულებებს დებულებებს შორის, და პრედიკატების აღრიცხვისაგან, რომელიც შეისწავლის დებულებათა შინაგან სტრუქტურას. ამ სტანდარტული აღრიცხვების საფუძველზე დამუშავდა, მაგალითად, მოდალური ლოგიკა (რომელიც შეისწავლის აუცილებლობის შესაძლებლობისა და

შეუძლებლობის მოდალობებს) და დროითი ლოგიკა (რომელიც განიხილავს დროის პარამეტრის შემცველ ფორმალურ დამოკიდებულებებს წარსულის, აწმყოსა და მომავლის შესახებ). მაგრამ მათი განხილვა ჩვენი წიგნის ჩარჩოებს შორდება.

ახალი ლოგიკის საჭიროება შეიძლება აიხსნას შემდეგი მიზეზებით.

1. ლოგიკამ უნდა შესძლოს გამოხატოს დასკვნები ნებისმიერი რაოდენობის წანამძღვრებით (და არა მხოლოდ ერთი ან ორი წანამძღვრით) და ტერმინებით (და არა მხოლოდ ორით ან სამით).

თანამედროვე ლოგიკა პასუხობს ორივე ამ მოთხოვნას, რამდენადაც მისი სიმბოლოების ენა “თავს ართმევს” ნებისმიერი რაოდენობის წანამძღვრებთან დამტკიცებებს და საშუალებას გვაძლევს ჩაეწეროს ნებისმიერი რაოდენობის ტერმინებიანი (საკუთარი და ზოგადი სახელებიანი) დებულებები. პრედიკატების აღრიცხვა ასევე გვაძლევს კვანტორების იტერირების საშუალებას (თუ რას ვგულისხმობთ ამ ფრაზაში, ნათელი გახდება მომდევნო თავებში).

2. ტრადიციული ლოგიკა დებულებების მეტად მრავალფეროვან ტიპებს უაღრესად გამარტივებული ფორმით წარმოგიდგენს. მის თანახმად ნებისმიერი წინადადება შეიძლება დავიყვანოთ შემდეგი ოთხი წინადადებიდან ერთ-ერთზე: A, E, I, ან O-ზე.

პრედიკატების ლოგიკა კი გაცილებით უფრო მეტი ტიპის წინადადებებს განიხილავს, არა მხოლოდ A, E, I ან O ტიპისას, არამედ აგრეთვე წინადადებებს საგანთა თვისებების შესახებ (2 არის მარტივი რიცხვი), არსებობის გამომთქმელ ან უარყოფელ წინადადებებს (ცხენები არსებობენ; კენტაურები არ არსებობენ), იგივეობისა (ცისკრის ვარსკვლავი არის მწუხრის ვარსკვლავი) და სხვა მიმართებების გამომხატველ წინადადებებს და ა.შ.

3. სილოგისტური ლოგიკის ტერმინები არ გვაძლევენ საშუალებას ერთმანეთისგან განვასხვაოთ საგანთა კლასები (მაგალითად, ადამიანები) და ინდივიდები (მაგალითად, სოკრატე). მისი ტერმინები ჩვეულებრივად აღნიშნავენ საგანთა კლასებს, ინდივიდების სახელები კი ისე განიხილება, თითქოს ისინი აღნიშნავდნენ საგანთა კლასების ნაწილებს. მაგალითად, სახელი “სოკრატე” ისე განიხილება, თითქოს ის აღნიშნავდეს “ზოგიერთ საგანს”, “ზოგიერთ ადამიანს”, “ზოგიერთ ბრძენს” და რაღაც ამდაგვარს.

მაშასადამე, სილოგისტში:

ყველა ადამიანი მოკვდავია,

სოკრატე ადამიანია,

მაშასადამე, სოკრატე მოკვდავია

ფორმალურად განიხილება, როგორც შემდეგი:

ყველა ადამიანი მოკვდავია,  
ზოგიერთი საგანი ადამიანია,  
მაშასადამე, ზოგიერთი საგანი მოკვდავია.

თანამედროვე ლოგიკის სიმბოლოების სისტემა კი საშუალებას გვაძლევს ერთმანეთისაგან განვასხვაოთ კლასები და ინდივიდები.

4. სილოგისტური ლოგიკა არ გვაძლევს ისეთ საგნებზე მითითების საშუალებას, რომლებიც კონკრეტულ კლასებს არ ეკუთვნიან. ყოველი მისი ტერმინი მიუთითებს საგანთა კონკრეტულ კლასს; მასში არ გვხვდება ტერმინები, რომლებიც შეესაბამებიან ამა თუ იმ საგნებს.

პრედიკატების ლოგიკის საგნობრივი ცვლადები დაუკონკრეტებლად აღნიშნავენ ნებისმიერ საგნებს მათი განსაზღვრის არიდან. სხვა სიტყვებით, პრედიკატების ლოგიკა ნაწილობრივ ინახავს სამეტყველო ენის სირთულესა და მრავალფეროვნებას. პრედიკატთა ლოგიკის სასაგანო ცვლადები ( $x, y, z, \dots$ ) საშუალებას გვაძლევს ჩაწეროთ დასკვნები, რომლებიც სამეტყველო ენაზე შეიცავენ ისეთ სიტყვებს, როგორიცაა “საგანი”, “რაიმე”, “რალაც”.

ცვლადის ცნება ცნობილი უნდა იყოს მკითხველისათვის, რომელსაც უსწავლია ელემენტარული ალგებრა. ალგებრაში  $x, y, z$  სიმბოლოები აღნიშნავენ ან “რაიმე რიცხვს” ან “ნებისმიერ რიცხვს”. მაგალითად, განტოლებაში  $x=13 \times (5-8 \times 25)$   $x$  აღნიშნავს კონკრეტულ რიცხვს, სახელდობრ, განტოლების ამონახსნს. მეორეს მხრივ, ფორმულაში  $(x+y)^2=x^2+2xy+y^2$   $x$  და  $y$  სიმბოლოები აღნიშნავენ ნებისმიერ რიცხვებს. ცვლადის გამოყენება ლოგიკაში დაახლოებით (თუმცა არა მთლიანად) ემთხვევა ცვლადის გამოყენებას ალგებრაში. ლოგიკის ენის კუთვნილ ცვლადებს განვიხილავთ 23-ე თავში.

5. სილოგისტური ლოგიკის ტრადიციული კვანტორები (“ყველა ... არის”, “ზოგიერთი ... არის” და ა.შ.) არ მოიცავენ ყველა შესაძლებლობას, გარდა ამისა ორი მათგანი (“ზოგიერთი ... არის” და “ზოგიერთი ... არ არის”) არაა საკმარისად ზუსტი. ლოგიკა საშუალებას უნდა გვაძლევდეს გამოვსატოთ ნებისმიერი რაოდენობა, მაგალითად: “ყოველ შემთხვევაში ერთი”, “მხოლოდ ორი”, “ათზე მეტი” და ა.შ. პრედიკატების ლოგიკა ამის საშუალებას გვაძლევს.

6. თუმცა ჩვეულებრივ ბუნებრივ ენებს მოეპოვება არამკაფიო წინადადებებში სიცხადის შეტანის მეთოდები, მაგრამ მაინც სასარგებლოა ხელთ

გვეკონდეს სიმბოლოების სისტემა, რომელიც ამ ოპერაციას უფრო ეკონომიურად ასრულებს.

თანამედროვე ლოგიკას სწორედ სიმბოლოების ასეთი სისტემა გააჩნია.

თანამედროვე ლოგიკა აღჭურვილია ბევრად უფრო მრავალფეროვანი დასკვნებით, ვიდრე სილოგისტური ლოგიკა, თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ რჩება დასკვნების ტიპები რომელთა ფორმალური წარმოდგენაც შეუძლებელია როგორც პროპოზიციულ ისე პრედიკატების აღრიცხვაში.

ზოგადად რომ ვთქვათ, როცა დასკვნის გამართულობა განისაზღვრება ჩვეულებრივი არსებითი სახელების, ზმნებისა და ზედსართავეების განსაკუთრებული გვარის მნიშვნელობებით, მისი გამოსახვა შეუძლებელია თანამედროვე ფორმალური ლოგიკის სიმბოლოების სისტემით. აი ერთი ასეთი დასკვნათაგანი:

ცხენი, რომელსაც ვუყურებ, ჭაკია; მაშასადამე, მე ვხედავ დედალ ცხენს.

## პროპოზიციული აღრიცხვა

გავიხსენოთ გამართულობის სწორი განსაზღვრება: *გამოყვანა (ანდა დაბტკიცება) გამართულია, თუკი შეუძლებელია, რომ მისი წანამძღვრები იყოს ჭეშმარიტი, ხოლო დანასკვი – მცდარი.*

ლოგიკას საქმე აქვს დებულებებთან, რომლებიც ჩვენ დავახასიათეთ როგორც *ისეთი წინადადებები, რომლებიც ან ჭეშმარიტია ან მცდარი.*

თუ არისტოტელეს ლოგიკა ძირითადად იყენებს სამეტყველო ენას, რომელიც სიმოკლის მისაღწევად გამდიდრებულია მარტივი სიმბოლოებით, თანამედროვე ლოგიკის გარდაქმნები მთლიანად ფორმალიზებულია. ამიტომ თანამედროვე ლოგიკას ზოგჯერ უწოდებენ სიმბოლურს, ფორმალურს ან მათემატიკურს, ხან კი ლოგისტიკას ანდა აღრიცხვას.

სამწუხაროდ, თანამედროვე ლოგიკოსებმა ვერ მიაღწიეს თანხმობას სიმბოლოების სტანდარტულ გამოყენებაში. ამან შეიძლება დააზიოს სტუდენტები, ვინაიდან ერთი და იგივე ნიშანი ხშირად სხვადასხვა რამის აღსანიშნავად გამოიყენება ხოლმე. ჩვენ ვისარგებლებთ ყველაზე მეტად გავრცელებული სიმბოლიკით, თუმცა ზოგჯერ ალტერნატიულ ვარიანტებსაც მივუთითებთ.

როგორც ვნახეთ, არისტოტელეს ლოგიკის საფუძველმდებელი ცნებებია: სამი ტერმინი (S, M და P), ოთხი კვანტორი (“ყველა ... არის”, “არც ერთი ... არ არის”, “ზოგიერთი ... არის”, “ზოგიერთი ... არ არის”), ტერმინებისა და კვანტორებისგან შედგენილი დებულებები და აგრეთვე სილოგიზმები თავისი ფიგურებითა და მოდუსებით.

თანამედროვე ლოგიკის საფუძველმდებელი ცნებებია: მარტივი (ანუ ატომარული) დებულებები, ჭეშმარიტობის ორი მნიშვნელობა (ჭეშმარიტი და მცდარი), ხუთი ოპერატორი, რომლებიც გამოიყენება მარტივი დებულებებისაგან შედგენილების (ანუ მოლეკულარულების) საწარმოებლად, დასკვნის ცნება (“მაშასადამე”), ორი კვანტორი, რომლებიც სიტყვების “ყოველი” და “ზოგიერთი” მიახლოებითი ეკვივალენტებია, და ცვლადის ცნება, რომელიც ნახსენები იყო 21-ე თავში.

კვანტორები და ცვლადები პრედიკატების ლოგიკას ეკუთვნიან და მათ შემდეგ თავში განვმარტავთ.

## დებულებები და ჭეშმარიტობის მნიშვნელობები

დებულებებს აღვნიშნავთ სიმბოლოებით P, Q, R, S, ე. ი. ლათინური ანბანის ბოლოსკენ მოთავსებული ასოებით. შეგვიძლია გამოვიყენოთ როგორც მთავრული, ისე ნუსხური ასოები.

პროპოზიციულ ლოგიკაში ყოველ დებულებას მიეწერება ორი მნიშვნელობა, ვინაიდან, განსაზღვრების თანახმად, ყოველი დებულება ჭეშმარიტი ან მცდარია; მათ “ჭეშმარიტობის მნიშვნელობებს” უწოდებენ. ჭეშმარიტობას მოკლედ აღვნიშნავთ “ჭ”, ხოლო მცდარობას “მ” ასოებით. ზოგიერთი ლოგიკოსი ასოების ნაცვლად შესაბამისად იყენებს ციფრებს “1” და “0”.

P-ს ჭეშმარიტობის მნიშვნელობა უბრალოდ გვიდასტურებს, რომ P შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი.

## მარტივი დებულებები;

### შედგენილი დებულებები და ოპერატორები

დებულება მარტივია, თუ ის არ შეიცავს ოპერატორს.

ოპერატორები, რომლებსაც მაკავშირებლებსაც უწოდებენ, სიტყვები ან ფრაზებია, რომელთა საშუალებითაც მარტივი დებულებებიდან უფრო რთულ დებულებებს ვაწარმოებთ. იგულისხმება, რომ ყველა სხვა, არამარტივი დებულება წარმოიქმნება მარტივი დებულებებისა და ოპერატორების საშუალებით.

მარტივი დებულებების მაგალითებია:

“პატა ბრძენია”, “პეტრე სულელია”, “მერი მსუქანია”, “ლეო გამხდარია” და ა.შ.

შესაბამისად აღვნიშნოთ ისინი ასოებით P, Q, R და S.

თითოეული მათგანი შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი.

მათზე შეიძლება ვაწარმოოთ გარკვეული ოპერაციები.

უარყოფა: “პატა არ არის ბრძენი”, “პეტრე არ არის სულელი” და ა.შ.

ამ დებულებათა უარყოფები აღვნიშნოთ ასე: არა-P, არა-Q და ა.შ.

უარყოფის უარყოფა დასაშვებია და მისი ელიმინაცია შესაძლებელია: “მერი არ არის არა-მსუქანია” იგივეს ნიშნავს, რასაც “მერი მსუქანია”.

კონიუნქცია: P, Q, R, S და მათი უარყოფები შეგვიძლია შევაკავშიროთ მაკავშირებლით “და”.

“პაატა ბრძენია და პეტრე სულელია”: P და Q,

“მერი მსუქანია და ლეო არ არის გამხდარი”: R და არა-S.

დისიუნქცია: P, Q, R, S და მათი უარყოფები შეგვიძლია შევაკავშიროთ მაკავშირებლით “ან”.

“ან” ნიშნავს “ერთი მაინც”, მაგრამ შესაძლოა იგულისხმებოდეს “ორივეც”. ზოგჯერ მას კითხულობენ როგორც “და/ან”.

“მერი მსუქანია ან ლეო გამხდარი” ანდა ორივე ერთად R და/ან Q.

“პაატა არ არის ბრძენი და/ან პეტრე არ არის სულელი”: არა-P და/ან არა-Q.

იმპლიკაცია: P, Q, R, S და მათი უარყოფები შეგვიძლია შევაკავშიროთ მაკავშირებლით “თუ ..., მაშინ”. ასე ნაწარმოებ შედგენილ წინადადებებს პირობითს უწოდებენ.

“თუ მერი არ არის მსუქანი, მაშინ ლეო არ არის გამხდარი”: თუ არა-R, მაშინ არა-S”. თუ პეტრე სულელია, მაშინ პაატა ბრძენია”: თუ Q, მაშინ P.

უარყოფა ერთადგილიანი მაკავშირებელია. კონიუნქცია, დისიუნქცია და იმპლიკაცია – ორადგილიანი.

მაკავშირებლების საშუალებით შედგენილი წინადადებიდან შეგვიძლია ვაწარმოოთ კიდევ უფრო რთული წინადადებები, მათგან კიდევ უფრო რთული და ა.შ.

ასლა განვიხილოთ დასკვნის მაგალითი, რომლის წანამძღვრები და დანასკვი პირობითი წინადადებებია: თუ თქვენ დაიბადეთ გორბელის ქუჩაზე, მაშინ თქვენ დაიბადეთ ქალაქ გლაზგოში; თუ თქვენ დაიბადეთ გლაზგოში, მაშინ შოტლანდიელი ხართ; თუ შოტლანდიელი ხართ, მაშინ ბრიტანელი ხართ; თუ ბრიტანელი ხართ, მაშინ შეგიძლიათ მიიღოთ ევროპელის პასპორტი. მაშასადამე, თუ თქვენ დაიბადეთ გორბელის ქუჩაზე, მაშინ შეგიძლიათ მიიღოთ ევროპელის პასპორტი.

ეს შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ერთიანი დასკვნა.

ვთქვათ, P ნიშნავს: “თქვენ დაიბადეთ გორბელის ქუჩაზე”.

Q ნიშნავს: “თქვენ დაიბადეთ გლაზგოში”.

R ნიშნავს: “თქვენ შოტლანდიელი ხართ”.

S ნიშნავს: “თქვენ ბრიტანელი ხართ”.

ხოლო, U ნიშნავს: “თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ ევროპელის პასპორტი”.

ასეთ შემთხვევაში ჩვენი დასკვნა შემდეგნაირად ჩაიწერება:

თუ P, მაშინ Q და თუ Q, მაშინ R, და თუ R, მაშინ S, და თუ S, მაშინ U; მაშასადამე, თუ P, მაშინ U.

## ფრჩხილები და ოპერაციის გამოყენების არის გაურკვეველობა

მაკავშირებლების ანუ ოპერაციების მრავალგზისმა გამოყენებამ ანუ იტერაციამ შეიძლება გარკვეული პრობლემები წარმოგვიქმნას, სახელდობრ, შესაძლოა გაგვიჭირდეს მაკავშირებლის გამოყენების არის ცალსახა განსაზღვრა.

ასეთივე გაურკვეველობას ქმნიან, მაგალითად, არითმეტიკული ოპერაციები. მოდით წავიკითხოთ ჩანაწერი  $2 \times 9 + 3$ . ეს გაურკვეველია, ვინაიდან შეგვიძლია წავიკითხოთ როგორც  $(2 \times 9) + 3$  (რაც 21-ის ტოლია) ანდა როგორც  $2 \times (9 + 3)$  (რაც 24-ის ტოლია). მათემატიკაში ასეთ გაურკვეველობებს ადვილად უვლიან ფრჩხილების გამოყენებით. ასევე მოვიქცევით ლოგიკაშიც. მაგალითად, ფრჩხილების გარეშე დებულება "P და Q ან R" გაურკვეველია, ვინაიდან ის შეიძლება ნიშნავდეს დებულებას "P და (Q ან R)" ანდა დებულებას "(P და Q) ან R".

### სიმბოლოები და ოპერატორების დეფინიცია

პროპოზიციულ აღრიცხვაში ჩვეულებრივ განიხილავენ ხუთ მაკავშირებელს ანუ ოპერატორს: არა, და, ან, თუ ..., მაშინ, მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც.

ყოველი მათგანი სპეციალური სიმბოლოთი აღინიშნება.

<i>სიმბოლო</i>	<i>მისი სახელი</i>	<i>მნიშვნელობა</i>
	უარყოფა	არა
&	კონიუნქცია	და
∨	დისიუნქცია	და/ან
→	იმპლიკაცია	თუ ..., მაშინ
≡	ეკვივალენცია	მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც

ოპერატორების საშუალებით შედგენილი რთული დებულებების ჭეშმარიტობა-მცდარობა ცალსახად განისაზღვრება მათი შემადგენელი დებულებების ჭეშმარიტობა-მცდარობით. ოპერატორების ჭეშმარიტობის პირობები შეიძლება განისაზღვროს სიტყვიერად ან ცხრილების საშუალებით.

#### *სიტყვიერი განსაზღვრებები*

უარყოფა (|): P ჭეშმარიტია, თუკი P მცდარია და მცდარია თუკი P ჭეშმარიტია.



კონიუნქცია (&):  $P \& Q$  ჭეშმარიტია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც P და Q ორივე ჭეშმარიტია.

დისიუნქცია ( $\vee$ ):  $P \vee Q$  ჭეშმარიტია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ჭეშმარიტია P ან კიდევ ჭეშმარიტია Q ანდა ჭეშმარიტია P-ც და Q-ც.

იმპლიკაცია ( $\rightarrow$ ):  $P \rightarrow Q$  ჭეშმარიტია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც P მცდარია, ან Q ჭეშმარიტია, სხვა სიტყვებით, როცა P და Q ორივე ჭეშმარიტია, ორივე მცდარია ანდა P მცდარია, ხოლო Q ჭეშმარიტი, ე.ი. გამორიცხულია შემთხვევა, როდესაც P ჭეშმარიტია და Q მცდარი.

კვივალენცია ( $\equiv$ ):  $P \equiv Q$  ჭეშმარიტია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც P და Q ორივე ჭეშმარიტი ან ორივე მცდარია.

### განსაზღვრებები ჭეშმარიტობის ცხრილებით

ჭეშმარიტობის ცხრილები შედგენილი წინადადებებისათვის შემდეგნაირად აიგება: ჯერ მარტივი შემადგენლების ქვეშ იწერება ჭეშმარიტობისა და მცდარობის სიმბოლოების ("ჭ"-სა და "მ"-ს) ყველა შესაძლებელი განაწილება, შემდეგ კი განსაზღვრებით შეთანადებული სიმბოლო მაკავშირებლის ანუ ოპერატორის ქვეშ:

უარყოფის ცხრილი:

P	$\neg P$
ჭ	მ
მ	ჭ

კონიუნქციის ცხრილი:

P	Q	$P \& Q$
ჭ	ჭ	ჭ
ჭ	მ	მ
მ	ჭ	მ
მ	მ	მ

დისიუნქციის ცხილი:

P	Q	$P \vee Q$
ჭ	ჭ	ჭ
ჭ	ა	ჭ
ა	ჭ	ჭ
ა	ა	ა

იმპლიკაციის ცხილი:

P	Q	$P \rightarrow Q$
ჭ	ჭ	ჭ
ჭ	ა	ა
ა	ჭ	ჭ
ა	ა	ჭ

ეკვივალენციის ცხრილი:

P	Q	$P \equiv Q$
ჭ	ჭ	ჭ
ჭ	ა	ა
ა	ჭ	ა
ა	ა	ჭ

ახლა ჩვენი სიმბოლოების გამოყენებით ჩავეწეროთ ზემოთ მოყვანილი დასკვნა (გაეიხსენოთ იგი: თუ თქვენ დაიბადეთ გორბელის ქუჩაზე, მაშინ თქვენ დაიბადეთ გლაზგოში, თუ თქვენ დაიბადეთ გლაზგოში, მაშინ თქვენ შოტლანდიელი ხართ, თუ თქვენ შოტლანდიელი ხართ, მაშინ თქვენ ბრიტანელი ხართ, თუ თქვენ ბრიტანელი ხართ, მაშინ თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ ევროპელის პასპორტი, მაშასადამე, თუ თქვენ დაიბადეთ გორბელის ქუჩაზე, მაშინ თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ ევროპელის პასპორტი):

$[(P \rightarrow Q) \& (Q \rightarrow R) \& (R \rightarrow S) \& (S \rightarrow U)]$ , მაშასადამე,  $(P \rightarrow U)$ .

## წესიერად აგებული ფორმულები (წაფები) და სიმბოლოების უწესრიგო მიმდევრობები

ცხადია, რომ სიმბოლოების ყოველგვარ მიმდევრობას არა აქვს აზრი. მათ აზრი აქვთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ისინი აგებულია გარკვეული წესების დაცვით ანუ თუკი ისინი წესიერადაა აგებული.

$[(P \rightarrow Q) \equiv (P \vee \neg Q)]$  არის წაფი, მაგრამ  $QP((\vee P \& \text{არ არის წაფი})$ .

შევაჯამოთ ნათქვამი: გვაქვს სიმბოლოები მარტივი დებულებებისთვის, კერძოდ P, Q, R და S, სიმბოლოები ხუთი ოპერატორისათვის. სახელდობრ,  $\neg$ ,  $\&$ ,  $\vee$ ,  $\rightarrow$ ,  $\equiv$ . მარტივი დებულებები წაფებია; წაფის წინ  $\neg$  სიმბოლოს დასმა ისევე წაფს გვაძლევს; ორი წაფის  $\&$ ,  $\vee$ ,  $\rightarrow$  ან  $\equiv$  სიმბოლოებით შეერთება ისევე წაფებს გვაძლევს და ა.შ.

შეგვიძლია აგრეთვე შემოვიღოთ ლოგიკური გამომდინარეობის სიმბოლო  $- \vDash$  სიტყვისათვის “მაშასადამე”. ეს განსხვავებული კატეგორიის სიმბოლოა და მას არ განეხილავთ როგორც ოპერატორს. ის არ მონაწილეობს დებულებების შედგენაში. მას ჩვენ მხოლოდ დასკვნების ჩასაწერად ვიყენებთ.

## დასკვნების გამართულობის შემოწმება

როგორ შეიძლება გამოვიყენოთ ცხრილების მეთოდი დასკვნის გამართულობის შესამოწმებლად? დასკვნაში ხომ სიტყვა “მაშასადამე”, ანუ ლოგიკური გამომდინარეობის სიმბოლო, მონაწილეობს, რომელიც არ არის დებულების ამგები ოპერატორი და მისთვის არც ცხრილი შეგვიდგენია.

### *განვიხილოთ მაგალითი:*

თუ ბუში იყო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი მაშასადამე, ის დაიბადა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

P ნიშნავდეს “ბუში იყო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი”,  
Q ნიშნავდეს “ბუში დაიბადა ამერიკის შეერთებულ შტატებში”.

ეს დასკვნა ასე შეგვიძლია ჩაწეროთ:

$[(\text{თუ } P, \text{ მაშინ } Q) \text{ და } P]$ , მაშასადამე, Q.

ან თუ სიმბოლოებს გამოვიყენებთ, მაშინ იგი ასე გამოიხატება:

$$(P \rightarrow Q) \& P \neq Q.$$

ასლა გავისხენოთ, რომ დამტკიცება, კერძოდ დასკვნა, გამართულია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც შეუძლებელია მისი წინამძღვრები ჭეშმარიტი იყოს, ხოლო დანასკენი მცდარი. ასეთ შემთხვევაში შეუძლებელია იმპლიკაცია იყოს მცდარი. ამიტომ ზემოთ ჩამოყალიბებულ დასკვნაში თუკი ლოგიკური გამომდინარეობის სიმოლოს იმპლიკაციით შეცვლით და მიღებული პირობითი წინადადებისთვის ავაგებთ ცხრილს, მაშინ დასკვნა გამართული იქნება, თუკი ასეთი იმპლიკაცია მისი მარტივი შემადგენლების ნებისმიერი მნიშვნელობებისათვის ყოველთვის მიღებს მნიშვნელობას “ჭ”. ავაგოთ ცხრილი:

P	Q	$P \rightarrow Q$	$(P \rightarrow Q) \& P$	$[(P \rightarrow Q) \& P] \rightarrow Q$
ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ
ჭ	მ	მ	მ	ჭ
მ	ჭ	ჭ	მ	ჭ
მ	მ	ჭ	მ	ჭ

აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენი დასკვნა გამართულია. დავუკვირდეთ, როგორ ავაგეთ ცხრილი:

1. ჯერ ამოვწერეთ ჭეშმარიტობა-მცდარობის ყველა შესაძლო განაწილება მარტივი დებულებებისათვის (ე.ი. P-სა და Q-სათვის).
2. შემდეგ ყველაზე შიგნითა ფრჩხილებში მყოფი ოპერატორისათვის, ე.ი.  $(P \rightarrow Q)$  იმპლიკაციისათვის. იგი განისაზღვრება მარტივი P და Q დებულებების მნიშვნელობებით.
3. შემდეგ უფრო გარეთა ფრჩხილებში მყოფი ოპერატორისათვის, ე.ი.  $(P \rightarrow Q) \& P$  კონიუნქციისათვის და ა.შ.
4. ბოლოს, ყველაზე გარეთა ანუ მთავარი ოპერატორისათვის, ე.ი.  $[(P \rightarrow Q) \& P] \rightarrow Q$  იმპლიკაციისათვის.
5. თუ მთავარი ოპერატორის (ჩვენს მაგალითში ის არის  $\rightarrow$ ) სვეტი არ შეიცავს “მ”-ს, მაშინ ასეთ დებულებას ტავტოლოგიას უწოდებენ. მაშასადამე, დასკვნა გამართულია. თუკი მასში ლოგიკური გამომდინარეობის სიმბოლოს იმპლიკაციით შეცვლა გვაძლევს დებულებას, რომელიც არის ტავტოლოგია.

ჩვენს მიერ განხილული დასკვნა:

$$((P \rightarrow Q) \& P) \vDash Q$$

შუა საუკუნეების ლოგიკოსებმა გამართულად სცნეს და მას უწოდეს მოდუს პონენსი (modus ponens).

*განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი:*

თუ კისინჯერი არის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, მაშინ ის დაიბადა ამერიკის შეერთებულ შტატებში ( $P \rightarrow Q$ ); მაგრამ კისინჯერი არ დაიბადა ამერიკის შეერთებულ შტატებში ( $\neg Q$ ); მაშასადამე, კისინჯერი არ არის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ( $\neg P$ ).

კვლავ ჩავწერთ ეს დასკვნა პირობითი წინადადების სახით (სიტყვა "მაგრამ" გამოითქმება კონიუნქციით "&").

$$[(P \rightarrow Q) \& \neg Q] \rightarrow \neg P.$$

შევადგინოთ მისთვის ჭეშმარიტობის ცხრილი:

P	Q	$P \rightarrow Q$	$\neg P$	$\neg Q$	$(P \rightarrow Q) \& \neg Q$	$[(P \rightarrow Q) \& \neg Q] \rightarrow \neg P$
ჭ	ჭ	ჭ	მ	მ	მ	ჭ
ჭ	მ	მ	მ	ჭ	მ	ჭ
მ	ჭ	ჭ	ჭ	მ	მ	ჭ
მ	მ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ

ეს შედგენილი პირობითი წინადადებაც ტავტოლოგიაა (იხ. ცხრილის ბოლო სვეტი) და აწმითომ გამართულია დასკვნაც:

$$[(P \rightarrow Q) \& \neg Q] \vDash \neg P$$

შუა საუკუნეებში ამ სახის დასკვნებს უწოდებდნენ მოდუს ტოლენსს – *modus tollens*.

## გაუმართავი დასკვნა

განვიხილოთ გაუმართავი დასკვნის სახეობა, რომელსაც ლათინურად უწოდებენ მოდუს მორონსს (*modus morons*). მისი აღნაგობა ასეთია:

$$[(P \rightarrow Q) \& Q] \vDash P$$

### მაგალითი

თუ ტორონტოში ვიმყოფებით, მაშინ სიდნეის ჩრდილოეთით ვართ ( $P \rightarrow Q$ ).

ჩვენ მართლაც ვართ სიდნეის ჩრდილოეთით ( $Q$ ).

მაშასადამე, ტორონტოში ვიმყოფებით ( $P$ ).

ჩავწეროთ ეს დასკვნა შემდეგი პირობითი წინდადების სახით:

$$[(P \rightarrow Q) \& Q] \rightarrow P$$

და მისი გამართულობა შევამოწმოთ ცხრილების მეთოდით:

P	Q	$P \rightarrow Q$	$(P \rightarrow Q) \& Q$	$[(P \rightarrow Q) \& Q] \rightarrow P$
ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ
ჭ	მ	მ	მ	ჭ
მ	ჭ	ჭ	ჭ	მ
მ	მ	ჭ	მ	ჭ

ბოლო სვეტის მესამე სტრიქონში გვაქვს სიმბოლო “მ”; ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი პირობითი წინდადება არ არის ტავტოლოგია და, მაშასადამე, დასკვნა მოდუს მორონსი გაუმართავია. მართლაც, მისი წანამძღრები შეიძლება ჭეშმარიტი იყოს, ხოლო დანასკვი – მცდარი (იხ. მეოთხე და პირველი სვეტის მესამე სტრიქონი).

ჭეშმარიტობის ცხრილები გვაძლევს ზუსტ მეთოდს დასკვნათა გამართულობის შემოწმებისათვის.

## პრედიკატების აღრიცხვა

### პრედიკატების აღრიცხვა და ჩვეულებრივი ენა

ჩვეულებრივი ბუნებრივი ენები, მაგალითად ქართული, შეიცავენ განსხვავებული კატეგორიის სიტყვებს. ესენია: საკუთარი სახელები (“ნინო”), საზოგადო არსებითი სახელები (“ციყვი”), ზმნები (“მირბის”, “ფიქრობს”, “ურტყამს” და ა.შ.) და აგრეთვე ზედსართავი სახელები და მათი შემცველი შესიტყვებები, თან ზოგი მათგანი თვისებას აღნიშნავს (მაგალითად, “წითელი”), ზოგი კი – მიმართებას (“უფრო მაღალი, ვიდრე”).

ჩვეულებრივი ენები შეიცავენ აგრეთვე რაოდენობით ფრაზებს, მაგალითად, “ყველა”, “ერთი”, “ყოველ შემთხვევაში ორი”, “ზოგიერთი” და ა.შ.

ბოლოს, ჩვეულებრივი ენები გვაძლევენ საშუალებას გაურკვეველად მივუთითოთ საგნებზე. უკანასკნელ შემთხვევაში ვამბობთ ხოლმე “რაღაც”, “რაღაც არ უნდა იყოს”, “ვიღაც”, “ნებისმიერი რიცხვი” და ა. შ.

პრედიკატების აღრიცხვა უზრუნველყოფს ჩვეულებრივი ენის ამ განსხვავებული ელემენტების ზუსტ წარმოდგენას. ის თავისებური ხელოვნური ენაა, რომლის დანიშნულებაც არის სჯისათვის მნიშვნელოვანი დებულებების შინაგანი სტრუქტურული მახასიათებლების აღწერა-განმარტება.

### პრედიკატების აღრიცხვის ელემენტები

პრედიკატების აღრიცხვის ენის ელემენტებია:

1. პროპოზიციული აღრიცხვის ოპერატორები: სიმბოლოები  $\uparrow$ ,  $\&$ ,  $\vee$ ,  $\rightarrow$  და  $\equiv$ .
2. “სინკატეგორემატული” საშუალებები: ფრჩხილები და წერტილები.

3. სახელები: სიმბოლოებად მათთვის გამოვიყენებთ ანბანის საწყის ნუსხურ ასოებს: a, b, c.
4. პრედიკატები. თვისებებისათვის სიმბოლოებად გამოვიყენებთ ასოებს: F, G, H, ხოლო მიმართებებისათვის – R, S, T, (თუმცა ზოგჯერ არ დავიცავთ ამ შეთანხმებას).
5. ცვლადები. მათთვის სიმბოლოებად ალგებრის მსგავსად გამოვიყენებთ ლათინური ანბანის ბოლო ნუსხურ ასოებს: x, y, z.
6. ორი კვანტორი: საყოველთაობისა (ზოგადობისა), რომელიც აღინიშნება  $\forall$  სიმბოლოთი მის მარჯვენე მდგომ ცვლადთან ერთად, მაგალითად,  $(\forall x)$ ,  $(\forall y)$ ,  $(\forall z)$ , და არსებობისა, რომელიც აღინიშნება  $\exists$  სიმბოლოთი მის მარჯვენე მდგომ ცვლადთან ერთად, მაგალითად,  $(\exists x)$ ,  $(\exists y)$ ,  $(\exists z)$ . საყოველთაობის კვანტორი ასე იკითხება: “ყველა x-ისათვის ...”, ხოლო არსებობის კვანტორი – ასე: “არსებობს ერთი x მანც ისეთი, რომ ...”.

პრედიკატთა აღრიცხვის ენის წინადადებების კომპონენტების წყობა განსხვავდება სამეტყველო ენაში მიღებული წყობისგან. ეს განსხვავება უფრო ნათელი შემდგომში გახდება.

*მრავლობა:* პრედიკატების აღრიცხვის ენის წინადადებებში შეიძლება გვხვდებოდეს ნებისმიერი რაოდენობის სახელი, პრედიკატი და ცვლადი, კვანტორები კი ერთსა და იმავე წინადადებაში შეიძლება მრავალჯერ იყოს გამოყენებული.

### *ოპერატორები*

ოპერატორები ისევე გამოიყენება, როგორც პროპოზიციულ აღრიცხვაში.

### *საკუთარი სახელები, საზოგადო არსებითი სახელები და დესკრიფციები*

საკუთარი სახელები შეგვიძლია დავარქვათ ადამიანებს, პლანეტებს, ცხოველებს, ადგილებს, დღეებს და ა.შ. იგულისხმება, რომ ყოველი საკუთარი სახელი არაოზროვნად მიგვიითთებს იმაზე, რისი სახელიც ის არის.

საზოგადო არსებით სახელებს გამოხატავენ პრედიკატები და ცვლადები. საზოგადო არსებითი სახელებს, როგორც არის მაგალითად “კატა”, ვუყურებთ როგორც დესკრიფციებს, ე. ი. სიმბოლოების ენაზე ერთგვაროვნად



ითარგმნება “ფისო შავია” და “ფისო კატა”. “ფისო კატა” ნიშნავს “ფისო არის კატათაგანი”.

## პრედიკატები

პრედიკატების აღრიცხვის ენაში “პრედიკატი” ნიშნავს წინადადების ნაწილს არსებითი სახელებისა და კვანტორების გამოკლებით (მაგალითად, ინგლისური ენისაგან განსხვავებით, სადაც გრამატიკული პრედიკატი – შემასმენელი არ შეიცავს ზმნას და გრამატიკული დამატების სახით შეიძლება შეიცავდეს არსებით სახელებს). პრედიკატების აღრიცხვის ენაში დამატების ცნება არ გამოიყენება.

ზოგიერთი პრედიკატის (მაგალითად, “მსუქანია”) წინადადებად გადასაქცევად საკმარისია ერთი სახელი. ასეთ პრედიკატებს ერთადგილიანს უწოდებენ და ისინი თვისებებს გამოხატავენ.

*მაგალითი.* “პეტრე მსუქანია”.

სხვა პრედიკატების წინადადებად გადასაქცევად საჭიროა ორი ან მეტი სახელი. ასეთი ორ, სამ, ოთხ (და მეტ) ადგილიანად წოდებული პრედიკატები მიმართებებს გამოხატავენ.

*მაგალითი.* “პეტრე ვერ იტანს მალიორკას”. “ვერ იტანს” ორადგილიანი პრედიკატია. ამიტომ ორი სახელის დამატებით ის წინადადებად გადაიქცევა.

წინადადებად გადასაქცევად სამადგილიან პრედიკატს, მაგალითად “...სა და ...ს შორის მდებარეობს”, ესაჭიროება სამი სახელი.

*მაგალითი.* “ჩენდუ მდებარეობს პეკინსა და ლხასას შორის”.

გვხვდებიან პრედიკატებიც, რომლებსაც სჭირდება ოთხი, ხუთი და მეტი სახელი.

საპრედიკატო გამოსახულებაში პრედიკატის სიმბოლო სახელის ან ცვლადის წინ დაისმის.

p აღნიშნავდეს “პეტრეს”, m – “მერის”, F ნიშნავდეს “მსუქანია”, G კი – “უფრო მსუქანია, ვიდრე”, მაშინ “პეტრე მსუქანია” ასე ჩაიწერება Fp, “მერი უფრო მსუქანია, ვიდრე პეტრე” – ასე: Gmp, ხოლო “პეტრე უფრო მსუქანია, ვიდრე მერი” – ასე: Gpm.

*მრავლობა:* პრედიკატები ნებისმიერი რაოდენობის შეიძლება იყოს.

## მარტივი და შედგენილი პრედიკატები

შედგენილი პრედიკატები მარტივებისაგან აიგებიან.

მარტივი პრედიატები ტერმინებია, რომლებიც აღნიშნავენ თვისებებს (“წითელია”, “მსუქანია”) ან მიმართებებს (“ურტყამს”, “უყვარს”, “უფრო მაღალია, ვიდრე”)

a, b, და ა.შ. ასოებიშესატყვისად იყოს სიმბოლოები სახელებისათვის: “ანა”, “ბიძინა” და ა.შ. R კი აღნიშნავდეს მიმართებას: “ენდობა”. მაშინ “ანა ენდობა ბიძინას” შეგვიძლია ასე გამოვხატოთ Rab, ხოლო “ბიძინა არ ენდობა ანას” – ასე:  $\overline{R}ba$ , რაც Rba მარტივი წინადადების უარყოფას ნიშნავს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, “არ არის სწორი, რომ ბიძინა ენდობა ანას”.

“უყვარს” მარტივი პრედიატია. მაგრამ როგორ უნდა გამოვხატოთ საკუთარი თავის სიყვარული? ის, რომ “ბელას უყვარს საკუთარი თავი”, შეგვიძლია გავიგოთ როგორც “ბელას უყვარს ბელა”, რაც ასე გამოიხატება Lxb, სადაც L აღნიშნავს მიმართებას “უყვარს”, ხოლო b – სახელს “ბელა”.

შევადაროთ ერთმანეთს შემთხვევები, როდესაც საგნები ერთმანეთთან ერთსა და იმავე მიმართებაშია, მაგალითად, როცა საქმე გვაქვს ერთმანეთით აღტაცებასთან. ერთმანეთით აღტაცება შედგენილი პრედიატია, რომელიც შეგვიძლია გამოვსახოთ თვისების გამომხატველი ორი მარტივი პრედიატის “შეკავშირებით”. ქვემოთ მოყვანილ მაგალითში ერთი თვისების გამომხატველი პრედიატი (“აღტაცებულია ფილონით”) მიეწერება ჰიუმს, ხოლო მეორის გამომხატველი პრედიატი (“აღტაცებულია ჰიუმით”) მიეწერება ფილონს.

დებულება: “ფილონი და ჰიუმი ერთმანეთით არიან აღტაცებული”, ცხადია, ტოლფასია დებულებისა “ჰიუმი აღტაცებულია ფილონით და ფილონი აღტაცებულია ჰიუმით”. A ნიშნავდეს “აღტაცებულია”, h – “ჰიუმს”, ხოლო p – “ფილონს”. მაშინ თვისების აღმნიშვნელი ორი პრედიატის A...p-სა და A...h-ის შეკავშირება გვაძლევს შედგენილ პრედიატს: Ahp & Aph.

უიმედო სიყვარული წარმოქმნის შემდეგ შედგენილ პრედიატს: “ელგუჯას უიმედოდ უყვარს ბელა”, რაც ნიშნავს “ელგუჯას უყვარს ბელა და ბელას არ უყვარს ელგუჯა”, იგი სიმბოლურად შეგვიძლია ასე გამოვსახოთ: Leb & |(Lbe), სადაც L ნიშნავს “უყვარს”, b – “ბელას”, ხოლო e – “ელგუჯას”.

## ორი კვანტორი

( $\forall x$ ) სიმბოლო იკითხება როგორც “ნებისმიერი  $x$ -ისათვის” ანუ “ყველა  $x$ -ისათვის” და მას საყოველთაობის კვანტორი ეწოდება.

( $\exists x$ ) ნიშნავს “არსებობს ყოველ შემთხვევაში ერთი ისეთი  $x$ , რომ” და მას არსებობის კვანტორი ეწოდება.

$\forall$  ყოველთვის არის ( $\forall x$ ), ( $\forall y$ ) და სხვა ამგვარი გამოსახულებების ნაწილი. ასევე  $\exists$  ნაწილია ( $\exists x$ ), ( $\exists y$ ) და სხვა ამგვარი გამოსახულებებისა.

ჩვეულებრივ კვანტორები უარყოფის მსგავსად თავში დაერთვის წინადადებას ანდა მის აზრიან ნაწილს.

ყოველი კვანტორი “აბამს” იგივე სახელის მქონე ცვლადებს, რომლებიც წინადადების აგებაში მონაწილეობენ. ასე მაგალითად, ( $\forall x$ ) აბამს  $x$  ცვლადს, რომელიც  $\forall x$ -ს მოსდევს, ხოლო ( $\forall y$ ) –  $y$  ცვლადს, რომელიც მის მომდევნო წინადადებაში შედის.

ვთქვათ,  $F$  ნიშნავს “ოთხფეხაა”, ხოლო  $H$  “ცხენია”, მაშინ ( $\forall x$ )( $Hx \rightarrow Fx$ ) ასე წაიკითხება: “ნებისმიერი  $x$ -ისათვის თუ  $x$  ცხენია, მაშინ  $x$  ოთხფეხაა”. აქ ( $\forall x$ ) აბამს  $x$ -ს ( $Hx \rightarrow Fx$ )-ში.

თუ წინადადება მხოლოდ საკუთარი სახელებითაა შედგენილი, მაშინ კვანტორები ზედმეტია, ვინაიდან იგულისხმება, რომ ყოველი საკუთარი სახელი ერთადერთ საგანს აღნიშნავს, მაგრამ თუ წინადადების შედგენაში ცვლადებიც მონაწილეობენ, მაშინ ისინი კვანტორებით უნდა დაიბას.

*კვანტორების მრავალობა.* წინადადებაში კვანტორები რაგინდ ბევრჯერ შეიძლება შეგვხვდეს (იხ. 4, 7 და 8 მაგალითები პარაგრაფში: “ფორმალური-ზაციის მაგალითები”).

## ცვლადები

$x$ ,  $y$ ,  $z$  სიმბოლოები გაურკვეველად მიუთითებენ საგნებზე. ისინი გამოიყენებიან ისეთი სიტყვების ფორმალური ჩაწერისათვის, როგორიცაა “რალაც”, “რაიმე”, “ვილაც”.

მოცემულ წინადადებაში შემავალი ერთი და იგივე ცვლადი ყოველთვის ერთსა და იმავე ობიექტს მიუთითებს, რომელზეც ამ წინადადებაშია საუბარი. ასე მაგალითად, ისეთ გამოსახულებაში, როგორიცაა “ $x$  არის მსუქანი და  $x$  არის მკაცრი” ჩვეულებრივ იგულისხმება, რომ საუბარია ერთსა და იმავე ადამიანზე.

მრავლობა. წინადადებაში შეიძლება გვხვდებოდეს რაგინდ ბევრი კვანტორი (იხ. ქვემოთ მითითებული 4, 7 და 8 მაგალითი პარაგრაფში “ფორმალიზაციის მაგალითები”).

## ფრჩხილები

მარტივი პრედიკატების ჩასაწერად ფრჩხილები ზედმეტია. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ფრჩხილები აუცილებელია პრედიკატების გამოყენების არის ცალსახად წასაკითხად.

## ფორმალიზაციის მაგალითები

### 1. სახელები და თვისებები

F ნიშნავს “მსუქანია”,

G – “ხარბია”,

P – “პეტრეს”.

ფორმალიზება მოვახდინოთ ეტაპობრივად:

“პეტრე მსუქანია და ხარბია” იმავს ნიშნავს, რასაც “პეტრე მსუქანია და პეტრე ხარბია”. კვანტორი აქ არ დაგვჭირდება, ვინაიდან პეტრე არის საკუთარი სახელი.

ამგვარად, “პეტრე მსუქანი და ხარბია” ჩაიწერება ასე:

$Fp \& Gp$

### 2. არსებობა

ვთქვათ, H აღნიშნავს “ცხენს”, ხოლო C – “კენტავრს”.

“ცხენი არსებობს” ნიშნავს: “არსებობს ყოველ შემთხვევაში ერთი ისეთი საგანი, რომელიც არის ცხენი”. ჩაიწერება ასე:

$(\exists x)(Hx)$

კენტავრები არ არსებობენ ნიშნავს: “არ არის სწორი, რომ არსებობს ყოველ შემთხვევაში ერთი ისეთი საგანი, რომელიც არის კენტავრი”. ჩაიწერება ასე:

$\neg(\exists x)(Cx)$

### 3. “რაც” და “ვიღაც”

ვთქვათ, პრედიკატების ენაზე გვსურს გამოვთქვათ ფაქტი, ვიღაც მსუქანი და ხარბია. (ისე რომ მისი ვინაობა არ დავაზუსტოთ). ამის ფორმალური ჩაწერა კვანტორების გამოყენებას მოითხოვს, ვინაიდან “ვიღაც” გაურკვეველად მიუთითებს საგანს.

ფორმალიზება მოვახდინოთ ეტაპობრივად:

“ვიღაც მსუქანი და ხარბია” ნიშნავს: “არსებობს ისეთი ვინმე, რომ ის მსუქანია და თანაც ის ხარბია”, ან უფრო ზუსტად, “არსებობს ყოველ შემთხვევაში ერთი ისეთი  $x$ , რომ  $x$  არის მსუქანი და  $x$  არის ხარბი”. ეს ასე ჩაიწერება:

$$\exists x(Fx \& Gx)$$

### 4. კვანტორებისა და ცვლადების მრავლობა

“ $x=y$ ” ნიშნავდეს: “ $x$  არის იგივე საგანი (ან ადამიანი), რაც  $y$ ”. განვიხილოთ წინადადება “ვიღაც მსუქანია და ვიღაც ხარბია”. ის ცალსახად არ იკითხება, ვინაიდან იგი შეიძლება ნიშნავდეს, რომ “არსებობს ერთი ადამიანი, რომელიც მსუქანი და ხარბია” ან კიდევ ნიშნავდეს, რომ “არსებობს ორი ადამიანი, რომელთაგან ერთი მსუქანია, ხოლო მეორე ხარბი. პირველი ვარიანტი, ცხადია, იგივეს ნიშნავს, რასაც “ვიღაც მსუქანი და ხარბია”. ის უკვე გამოვსახეთ ფორმალურად.

მეორე ვარიანტი შეგვიძლია ასე წარმოვადგინოთ: “არსებობს ვიღაც მსუქანი და არსებობს ვიღაც ხარბი, თან პირველი განსხვავდება მეორისგან”. ამ შემთხვევაში დაგვჭირდება ორი ცვლადი, ვინაიდან წინადადებაში საუბარია ორ სხვადასხვა ადამიანზე, რომლებზეც მიგვითითებს ერთი და იგივე სიტყვა “ვიღაც”.

მოვახდინოთ ფორმალიზება ეტაპობრივად:

“არსებობს ვიღაც მსუქანი და ვიღაც ხარბი”. სხვაგვარად: “არსებობს ვიღაც მსუქანი და არსებობს ვიღაც ხარბი, თან პირველი განსხვავდება მეორისგან”. ანუ

“არსებობს ისეთი  $x$  და არსებობს ისეთი  $y$ , რომ  $x$  არის მსუქანი და  $y$  არის ხარბი, და არ არის სწორი, რომ  $x=y$ ”. ეს ჩაიწერება ასე:

$$(\exists x)(\exists y)[Fx \& Gy \& \neg(x=y)].$$

## 5. გაურკვევლობის გამორიცხვა

ჩვეულებრივ კონტექსტში წინადადება “ვილაც მსუქანია და ვილაც ხარბი” შეიძლება ორაზროვანი აღმოჩნდეს. ზემოთ ჩვენ ვუჩვენეთ, თუ პრედიკატთა ლოგიკის სიმბოლური ენის საშუალებით როგორ შეიძლება ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ამ წინადადების ორი მნიშვნელობა. როგორც ვნახეთ, ჩვეულებრივი სამეტყველო ენის ორაზროვნების გამორიცხვას ამავე ენის საშუალებებით მისი ანალიზი უძლოდა წინ.

გავიხსენოთ კარგად ცნობილი მაგალითი პრედიკატის არაცალსახა გამოყენებისა წინადადებაში “ყველას უყვარს ვილაც”.

ის შეიძლება ნიშნავდეს “ყველას უყვარს ესა თუ ის ადამიანი (ვთქვათ თავისი დედა)” ანდა “ყველას უყვარს ერთი და იგივე ადამიანი (ვთქვათ, პრინცი ჩარლზი)”.

ვთქვათ,  $L$  ნიშნავს “უყვარს”, ხოლო  $x$  და  $y$  აღნიშნავენ ადამიანებს.

პირველი ინტერპრეტაცია ასეთია: “ყოველი  $x$ -სთვის არსებობს რომელიღაც ისეთი  $y$ , რომ  $x$ -ს უყვარს  $y$ ”. ჩაიწერება ასე:

$$(\forall x)(\exists y)Lxy$$

მეორე ინტერპრეტაცია ასეთია: “არსებობს რომელიმე (ერთი) ისეთი  $y$ , რომ ყოველ  $x$ -ს უყვარს  $y$ ”.

$$(\exists y)(\forall x)Lxy.$$

ცხადია, რომ ეს ორი ინტერპრეტაცია ერთმანეთისგან არსებითად განსხვავდება (და ამ განსხვავებას საყოველთაობისა და არსებობის კვანტორების გადაადგილება ქმნის).

## 6. უარყოფა

“არც ერთი” არის სამეტყველო ენის კვანტორი, რომელსაც არისტოტელეც იყენებდა. პრედიკატების აღრიცხვა შეიძლება აიგოს ამგვარი უარყოფითი კვანტორის გამოყენების გარეშე, ვინაიდან მასში გვაქვს პროპოზიციული აღრიცხვის უარყოფის ოპერატორი. ამ ოპერატორის, აგრეთვე  $(\forall x)$  და  $(\exists y)$  კვანტორების საშუალებით შეგვიძლია გამოვხატოთ უარყოფითი კვანტორების განსხვავებული მნიშვნელობები, რომლებსაც ვაწყდებით სამეტყველო ენაში.

განვიხილოთ ორი მაგალითი: “არაა ყველა ცუდი” და “არც ერთი ადამიანი არაა ცუდი”.

ვთქვათ,  $B$  აღნიშნავს “ცუდია”.

“არაა ყველა ცული” ნიშნავს: “არ არის ყველა ცული ადამიანი”. ჩაწეროთ ასე:

$$\neg(\forall x)Bx$$

“არც ერთი ადამიანი არაა ცული” ნიშნავს: “არ არის სწორი, რომ ვინმეა ცული”. ჩაწერება ასე:

$$\neg(\exists x)Bx$$

## 7. მრავალობა და რაოდენობა

მრავალობა და ცალკეულობა ფორმალურად ჩაიწერება იგივეობის ცნების საშუალებით. “=” სიმბოლო იგივეობის აღსანიშნავად გამოიყენება.  $x=y$  ნიშნავს “ $x$  არის  $y$ -ის იგივეური”, ხოლო  $\neg(x=y)$  ნიშნავს: “არ არის სწორი, რომ  $x$  არის  $y$ -ის იგივეური”.

სამეტყველო ენაში წინადადება “ზოგიერთი რამ საზარელია” ხშირად ესმით როგორც “ყოველ შემთხვევაში ორი რამ არის საზარელი”.

ახლა ვცადოთ პრედიკატების აღრიცხვის ენაზე ჩაწეროთ ეს წინადადება, ე.ი. “ზოგიერთი რამ საზარელია, ანუ “ყოველ შემთხვევაში ორი რამ არის საზარელი”.

ვთქვათ,  $G$  ნიშნავს “საზარელია”.

უკვე ვიცით, რომ  $(\exists x)$  ნიშნავს “არსებობს ყოველ შემთხვევაში ერთი ისეთი  $x$ , რომ”. გამოიყენოთ ეს კვანტორი იმისათვის, რომ ფორმალურად ჩაწეროთ ფრაზა: “ყოველ შემთხვევაში ორი რამ არის საზარელი”.

ამისთვის ჩვენ უნდა ვთქვათ: “არსებობს ყოველ შემთხვევაში ერთი ისეთი  $x$ , და არსებობს ყოველ შემთხვევაში ერთი ისეთი  $y$ , რომ  $x$  არის საზარელი და  $y$  არის საზარელი და  $x$  არ არის  $y$ ”.

ამას შემდეგნაირად ჩაწეროთ:

$$(\exists x)(\exists y)(Gx \& Gy \& \neg(x=y)),$$

რაც ნიშნავს: “არსებობს ყოველ შემთხვევაში ერთი ისეთი  $x$  და არსებობს ყოველ შემთხვევაში ერთი ისეთი  $y$ , რომ  $x$  არის  $G$  და  $y$  არის  $G$  და  $x$  არ არის  $y$ ”.

ასევე შეგვიძლია ფორმალურად ჩაწეროთ წინადადებები: “ყოველ შემთხვევაში სამი რამ არის საზიზღარი”, “ყოველ შემთხვევაში ოთხი რამ არის საზარელი” და ა.შ. შესაბამისად გამოიყენებთ სამ, ოთხ და ა.შ. ცვლადს (მკითხველს ვთავაზობთ სცადოს ფორმალურად ჩაწეროს წინადადება: “ყოველ შემთხვევაში ოთხი საგანია მწვანე”).

## 8. “მხოლოდ ერთი”

როგორ გამოვსახოთ წინადადება “მხოლოდ ერთი საგანია საზარელი”? ის ტოლფასია შემდეგი წინადადებისა: “ყოველ შემთხვევაში ერთი საგანია საზარელი და სულ დიდი ერთი საგანია საზარელი”, რაც თავის მხრივ შემდეგის ტოლფასია: “ყოველ შემთხვევაში ერთი საგანია საზარელი და არ არის სწორი, რომ ყოველ შემთხვევაში ორი საგანია საზარელი”.

ეს წინადადება ფორმალურად ასე გამოისახება:

$$(\exists x)Gx \& |((\exists x)(\exists y)(Gx \& Gy \& |x=y))).$$

ის ასეც შეგვიძლია ჩაწეროთ:

$$(\exists x)Gx \& ((\forall y)(Gy \rightarrow y=x)).$$

## ლოგიკა და სამეტყველო ენა

ფორმალიზაცია საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ და გამოვიყენოთ დასკვნათა საკმაოდ რთული სახეები, რომლებიც არისტოტელეს ლოგიკაში არ იყო აღწერილი. მათი ფორმალიზაცია საშუალებას გვაძლევს გადავწყვიტოთ რთული მეცნიერული ამოცანები. მაგრამ, ჩვეულებრივ, ადამიანები აწარმოებენ სჯას თანამედროვე ფორმალური ლოგიკის შესწავლის გარაშეცხვინაიდან დასკვნის გამართულობის კრიტერიუმში სამეტყველო ენისთვის იგივეა: დასკვნა გამართულია, თუკი შეუძლებელია მისი წანამძღვრები იყოს ჭეშმარიტი, ხოლო დანასკვი მცდარი. ამის დადგენა კი უმრავლეს შემთხვევაში სამეტყველო ენაშიც არის შესაძლებელი.



ფილოსოფია  
და ცხოვრება



## ცხოვრების აზრი

შეიძლება სამი ფილოსოფიური კითხვა დაისვას ცხოვრების აზრის შესახებ.

აქვს თუ არა ადამიანის ცხოვრებას აზრი, რაიმე მიზანი?

არის თუ არა ადამიანის ცხოვრება ბედნიერი? ვინ არის მართალი – პესიმისტები თუ ოპტიმისტები?

ღირებულია თუ არა ადამიანის ცხოვრება როგორც ასეთი?

### დრო, მარადიულობა და მიზანი

დოსტოევსკის რომანის “ძმები კარამაზოვების” გმირი ივანე, ათეისტი, ამბობს, რომ თუ ადამიანი არ არის უკვდავი, მაშინ მის ცხოვრებას აზრი არა აქვს. თუკი მარადიული ცხოვრება შეუძლებელია, თუკი არ არსებობს ღვთაებრივი მიგება და დასჯა, მაშინ ყველაფერი დასაშვები ყოფილა. ივანე ფიქრობს, რომ აზრი და მიზანი დაკავშირებულია ზნეობასთან და ღირებულებასთან, ზნეობა და ღირებულება კი შეუძლებელია მაჩადიული ცხოვრების გარეშე. ამიტომ იგი ფიქრობს, რომ სასრული ცხოვრება იგივე მისი უმიზნობაა.

მაგრამ ზოგიერთი მოაზროვნე ამტკიცებდა, მარადიული ცხოვრებაც უაზრობააო. “ლოგიკურ-ფილოსოფიურ ტრაქტატში” ვიტგენშტაინი კითხვას სვამს: “განა მარადიული ცხოვრება ისეთივე გამოცანა არ არის, როგორც ჩვენი რეალური ცხოვრება?”

როგორ არიან დაკავშირებული დრო და მარადიულობა მიზანთან? განა დრო, მარადიულობა და მიზანი სრულიად განსხვავებული რამ არის? გვაქვს თუ არა საფუძველი ვივარაუდოთ, რომ მარადიული უფრო მიზანშეწონილია, ვიდრე სასრული? რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, სამყარო, მატერია და ენერგია შეიძლება მარადიული იყოს, მაგრამ რა ვიცით, აქვთ მათ მიზანი, და რა შეიძლება იყოს ეს მიზანი? მსჯელობა ცხოვრების მიზნის, ცხოვრების ღვთაებრივი ქმნილების მიზეზის შესახებ იგივეა, რაც მსჯელობა მატერიისა და ენერგიის არსებობის მიზეზზე. თუმცა ზოგიერთი ადამიანი აცხადებს,

რომ მათ შეუძლიათ ამ კითხვებზე პასუხის გაცემა, ჩვენ მათ განზე ვტოვებთ. როგორც მეტად რთულსა და ძნელს.

უზენაესი შემოქმედის ღმერთის შესაძლებელი და ჩვენთვის ცნობილი კაცობრიობის მიზნები ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ჩვენ ნამდვილადაც რომ ვიცოდეთ, რომ ცხოვრება არ შეუქმნია ღმერთს, რომელსაც საკუთარი მიზნები აქვს, კაცობრიობას შეიძლება ჰქონდეს და ნამდვილად აქვს კიდევ თავისი მიზნები.

შეიძლება თუ არა ერთეული ადამიანის ცხოვრებას, როგორც მთელს, ჰქონდეს ერთი მიზანი, ერთი აზრი? მოზრდილ ინდივიდს ნამდვილად შეუძლია ჰქონდეს ცხოვრების ერთი დიდი, ძირითადი მიზანი, მაგალითად ინდივიდის ცხოვრება, უეჭველია, შეიძლება მიეძღვნას რელიგიას. ალბათ, შუბერტის ცხოვრება მთლიანად მიეძღვნა მუსიკას. უნდა ითქვას, რომ ადამიანთა უმრავლესობას ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში განსხვავებული მიზნები აქვთ.

შეიძლება თუ არა ცხოვრების მიზანი ჰქონდეს მთლიანად ადამიანთა მოდგმას? ძნელი წარმოსადგენია, როგორი იქნებოდა ასეთი მიზანი. რა თქმა უნდა, ადამიანებს აქვთ საერთო მიზნები – ცდილობენ შეინარჩუნონ სიცოცხლე, იყვნენ ბედნიერნი და ა.შ. მათ შეიძლება ჰქონდეთ აგრეთვე საზოგადოებრივი მიზნები, მაგალითად ქალაქების მშენებლობა.

აქ შევჩერდეთ ადამიანთა ინდივიდუალურ მიზნებზე და გვახსოვდეს, რომ არსებობს განსხვავებანი მიზნებსა და გააზრებულ მიზნებს შორის. გქონდეს მიზანი და გქონდეს გააზრებული მიზანი ყოველთვის ერთი და იგივე როდია. ადამიანის ზოგიერთი მიზანი უაზრობამდე ტრივიალურია. ცხოვრებას მიანიჭონ აზრი შეუძლიათ მხოლოდ არატრივიალურ, მნიშვნელობის მქონე მიზნებსა და ზრახვებს – სერიოზულს თუ გასართობს.

რა არის არატრივიალური მიზანი? რა არის გააზრებული მიზანი? მიზნებისა და ზრახვების მიმართ ტერმინს “გააზრებული” აქვს “ღირსეულის” მნიშვნელობა.

(განა საჭიროა მაგალითები? უეჭველია, ადამიანთა უმეტესობა დაგვეთანხმება, რომ ღარიბთა და ჩაგრულთა შველა ღირსეული მიზანია, ხოლო დაუხმარო სასტიკ დესპოტებს – უღირსი მიზანია. მოუშხადო საკვები ოჯახს – გააზრებული ამოცანაა, შეაგროვო მატარებლის ბილეთები – ბავშვური თამაშია და ა.შ.).

ივანე კარამაზოვი ფიქრობს, რომ მთელი მორალი, ყველა ღირებულება ღმერთისაგან მომდინარეობს, და ამიტომ თუ არ არის ღმერთი, მაშინ არც ნამდვილად ღირსეული მიზანი ყოფილა. თუ არ არის ღმერთი, მაშინ ღარიბთა

და ჩაგრულთათვის შეველა არაფრით განსხვავდება სასტიკი მჩაგვრელ-ბისათვის დახმარებისაგან.

დოსტოევსკი გვიჩვენებს, მორალურ ნიჰილიზმს როგორ მიჰყავს ივანე შეშლილობამდე, ხოლო მისი ნახევარი ძმა სმერდიაკოვი – მკვლელობამდე და თვითმკვლელობამდე. ამიტომ შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ მხოლოდ ღმერთის რწმენა აძლევს ცხოვრებას აზრს.

და მინც, რომანი შეიძლება ორნაირად აეხსნათ. ერთი მხრივ, რომანი გვიჩვენებს, რომ ღმერთის სიკვდილი უეჭველად იწვევს ღირებულებათა დაღუპვას. მეორე მხრივ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ უკანასკნელი კატასტროფაც კი, “ღმერთის სიკვდილი”, არ სპობს ღირებულებებს. ღირებულებანი ცოცხლობენ, ვიდრე ცოცხლობს ადამიანთა მოდგმა, თუნდაც ადამიანებს არ სწამდეთ ღმერთი. ამ მეორე ინტერპრეტაციას კარნახობს თვით დოსტოევსკი, რომელიც ოსტატურად ახერხებს ჩააფიქროს მკითხველი (ურწმუნოცა და მორწმუნეც) ივანეს ნიჰილიზმის შედეგების თაობაზე. მკითხველი გმობს ივანეს და მის სიამაყეს, მაგრამ თანაგრძნობით ეკიდება მის უბედურებას. სმერდიაკოვის ბედიც საშინელებასა და სიბრაულეს იწვევს. სმერდიაკოვისა და ივანეს უკანასკნელი საუბრის და თვითმკვლელობის აღწერა თითქმის ბიბლიურ ძალას იძენს, ნაწილობრივ, რა თქმა უნდა, იუდას ამბავთან მისი ერთგვარი მსგავსების გამო. იუდა აქ სმერდიაკოვი კი არა, ივანეა, რომელიც ლალატობს ადამიანობას, ლალატობს თავის საბრალო ძმას, სუსტს, უბილესებს.

დოსტოევსკის რომანის მეორე ინტერპრეტაციის აზრი ურწმუნოთათვის იმით განისაზღვრება, რომ, ივანესაგან განსხვავებით, მათი უმრავლესობა სასოწარკვეთილებამი არ ვარდება ღმერთის სიკვდილის გამო. ივანე კარამაზოვისაგან განსხვავებით, ურწმუნოებს (ისევე როგორც მორწმუნეებს), როგორც წესი, უყვართ სამართლიანობა, სძულთ სისასტიკე, პატივს სცემენ ადამიანურ საწყისს და სწამთ ცხოვრების სიწმინდე. ცოტა ბუდისტს სწამს ღმერთი, მაგრამ ყველა მათ სწამთ ცხოვრების სიწმინდე. თანამედროვე მედიცინის ყველა წარმომადგენელს როდი სწამს ღმერთი, მაგრამ მათი უმეტესობა, იმედია, პატივს სცემს ადამიანის პიროვნებას, მის ავტონომიას და არ მიაჩნია, რომ მორალური თვალსაზრისით სიკეთე არ განსხვავდება სისასტიკისაგან.

## ცხოვრება და ბედნიერება: პესიმიზმი

მტკიცება. რომ ცხოვრება პრინციპულად არ შეიძლება იყოს ბედნიერი, ნიშნავს იდგე ფილოსოფიური პესიმიზმის პოზიციებზე. ფილოსოფიაში ყველაზე ცნობილი პესიმისტია არტურ შოპენჰაუერი. თავის დიდ წიგნში “სამყარო როგორც ნება და წარმოდგენა” იგი ატარებს იმ აზრს, რომ უკეთესი იქნებოდა, სამყარო არასოდეს არ არსებულებოდა. ამასთან მისთვის ამოსავალი მეტაფიზიკური და ემპირიული საფუძვლები.

მთავარი მეტაფიზიკური საფუძველი, განვითარებული მისი წიგნის პირველ ტომში, ის არის, რომ არსებობის საფუძველია ნება. ათასნაირი სურვილები, რომლებითაც შეპყრობილი არიან ცხოველები და ადამიანები, ნების გამოვლინებაა, და ეს სურვილები მუდმივი უბედურების წყაროა. მუდმივი და დაუკმაყოფილებელი სურვილები ხომ უბედურების ფარული მიზეზია, დაკმაყოფილებელი სურვილები კი გარდაუვლად და დაუყოვნებლივ იცვლებიან სხვა სურვილებით, რომლებიც შეიძლება არ იქნენ დაკმაყოფილებული. ცხოვრება თავისთავად არის თავისებური მუდმივი და დაუძლეველი სურვილი, მუდმივი ფრუსტრაციის მდგომარეობა.

პესიმიზმის ემპირიული საფუძველი, განხილული შოპენჰაუერის მიერ მეორე ტომში, ის არის, რომ რამდენადაც თვალი მიგვიწვდება, ყველგან ვხედავთ ტანჯვასა და უბედურებას. შოპენჰაუერი დაწვრილებით განიხილავს ამ მრავალ საშინელებას, რითაც იტანჯებიან ადამიანები და ცხოველები.

ბრძენი, დაასკვნის შოპენჰაუერი, აღიარებს, რომ ცხოვრება აღსაესება საშინელი უბედურებებით. ბრძენი ცდილობს თავიდან აიცილოს ყველა სურვილი, ვინაიდან ეს უკანასკნელი ფრუსტრაციისა და სხვა ბოროტებათა წყაროა. ბრძენი ადამიანი არ უნდა ესწრაფოდეს სიკვდილსაც კი, თუმცა იცის, რომ სიკვდილი სჯობს სიცოცხლეს. ბრძენი ცდილობს მშვიდად შეხვდეს სიკვდილს.

შოპენჰაუერის მიერ მეორე ტომში განვითარებული ემპირიული პესიმიზმი გულისხმობს, რომ შეიძლება აბსტრაქტულად შევადაროთ არა მარტო შესაძლებელი და ნამდვილი, არამედ აგრეთვე ზოგიერთი ან ყველა ადამიანის არსებობა და არარსებობა, ამასთან სხვადასხვა თვალსაზრისით. კორექტულია თუ არა ეს დაშვებანი?

აქ უნდა ვუპასუხოთ ხუთ კითხვას.

1. შეიძლება თუ არა წარმოვიდგინოთ სამყაროები, რომლებიც მხოლოდ შესაძლებელია?
2. შეიძლება თუ არა წარმოვიდგინოთ საკუთარი არარსებობა?

3. შეიძლება თუ არა შევადაროთ ნამდვილი შესაძლებელს?
4. შეიძლება თუ არა ინდივიდის არსებობა შევადაროთ მის შესაძლებელ არარსებობას მისი საკუთარი თვალსაზრისით?
5. შეიძლება თუ არა შევადაროთ ნამდვილი არსებობა შესაძლებელს აბსტრაქტულად, თითქოსდა არაეის თვალსაზრისით?

1. შესაძლებელი სიტუაციები სავსებით შეიძლება წარმოვიდგინოთ. მაგალითად, ადვილი წარმოსადგენია შესაძლებელი სამყარო, რომელშიც არ არსებობს რომელიმე პიროვნება, ვთქვათ, შეერთებული შტატების პრეზიდენტი.

2. შეიძლება აგრეთვე წარმოვიდგინოთ საქმის ისეთი ვითარება, როცა ინდივიდი არ არსებობს, როცა წარმოვიდგენ დედამიწას შორეულ წარსულში ან შორეულ მომავალში, მე წარმოვიდგენ საქმის ვითარებას თვით ჩემს გარეშე.

3. ჩვენ აგრეთვე შეგვიძლია მოვასხდინოთ წარმოსახვითი შედარება ნამდვილისა შესაძლებელთან. მაგალითად, შეიძლება წარმოსახვაში შევადაროთ ნამდვილი სამყარო შესაძლებელს, რომელშიც არ არსებობს იმუნოდეფიციტის ვირუსი, და დავასკვნათ, რომ ეს ნამდვილი სამყარო შესაძლებელზე უარესია.

ინდივიდს შეუძლია წარმოისახოს არსებობა და არარსებობა (მათ შორის საკუთარიც) სხვა ადამიანების თვალსაზრისით. მაგალითად, ადამიანები ზოგჯერ ამბობენ, რომ რომელიმე სასტიკი დიქტატორი, როგორც იყო სტალინი რომ არასოდეს არ დაბადებულიყო, მსოფლიო გაცილებით უკეთესი იქნებოდა. უკეთესი არა სტალინისათვის, არამედ სხვა ადამიანებისათვის.

4. მაგრამ ზოგჯერ ამბობენ (ძალზე უბედური ადამიანების შესახებ), რომ თვით მათთვის უკეთესი იქნებოდა არ დაბადებულიყვნენ, აქვს თუ არა ამას აზრი?

ასეთი მტკიცება არ შეიძლება იყოს პიროვნების ორი მდგომარეობის შედარების შედეგი, ვინაიდან არარსებობა არ არის პიროვნების მდგომარეობა. ამ შემთხვევაში შედარება “უკეთესია თვით ინდივიდისათვის” – უბრალოდ მეტყველების ფორმაა.

და მაინც, განა არ შემიძლია მივიჩნიო, რომ ჩემთვის უკეთესი იქნებოდა არ დაბადებულიყავი?

ვისთვის იქნებოდა ასეთ შემთხვევაში ეს უკეთესი?

როგორც ვნახეთ, ადამიანს შეუძლია წარმოსახვაში შეადაროს – ვილაც სხვა ადამიანის თვალსაზრისით – მსოფლიო, რომელშიც იგი იმყოფება, მსოფლიოს, რომელშიც იგი არ არის. მაგრამ ინდივიდი, რომელიც ჩივის:

“სჯობდა არ დავბადებულყავი”, ჩვეულებრივ არ ფიქრობს სხვების სიკეთეზე.

შეგვიძლია თუ არა აქედან დავასკვნათ, რომ ეს ჩივილი ირაციონალურია ან რომ მისი აზრი დაფარულია ჩვენთვის? სინამდვილეში მისი აზრი არ არის დაფარული, რამდენადაც შეიძლება გამოვთქვათ სურვილი, ისე რომ არ მოვხდინოთ შედარება. სურვილი რეალურია, შედარება არ არის რეალური. თუ ივარაუდება, რომ ეს სურვილი გამოხატავს *ჩემი ორი მდგომარეობის შედარებას*, ეს მოწმობს, რომ მე თავში დომხალი მაქვს.

5. სურვილი, რომ (მაგალითად), სტალინი არასოდეს არ დაბადებულიყო, შეიძლება ემყარებოდეს წარმოსახვაში განსხვავებას საქმის ნამდვილ ვითარებასა (მსოფლიო, სადაც არის სტალინი) და შესაძლებელ საქმის ვითარებას (მსოფლიო, სადაც არ არის სტალინი) შორის. ეს შედარება არ არის წმინდა აბსტრაქტული, ეს სტალინის მსხვერპლთა თვალსაზრისია.

შეიძლება თუ არა რეალური სამყარო შევადაროთ შესაძლებელ სამყაროს არავის თვალსაზრისით, აბსტრაქტულად? მაგალითად, აქვს თუ არა აზრი მტკიცებას, რომ მსოფლიო, რომელშიც არ არის ცხოვრება, თუ აბსტრაქტულად გავიაზრებთ, *სჯობს* მსოფლიოს, სადაც არის ცხოვრება? როგორც ჩანს, აბსტრაქტული შედარება, დამოუკიდებელი რაიმე შესაძლებელი თვალსაზრისისაგან, *შინაგანად უაზროა*. ცხოვრება კარგია ცოცხალთათვის. თუ ცხოვრებას საერთოდ ღირებულება აქვს, როგორც ასეთს, მაშინ მას აქვს ღირებულება ცოცხალთათვის, მცხოვრებთათვის.

## ცხოვრება და ბედნიერება: ოპტიმიზმი

არცთუ ბევრი ფილოსოფოსი იცავს ოპტიმიზმს როგორც საკუთარ კრედოს, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ყველა ფილოსოფოსი პესიმისტია.

ბერტრან რასელი ოპტიმიზმს იცავს წიგნში “თავისუფლების მოპოვება”. იგი თანახმაა, რომ ადამიანთა ცხოვრება ხშირად უბედურია, მაგრამ ამტკიცებს, რომ იგი შეიძლება ბედნიერი იყოს, რამდენადაც მეტაფიზიკური შედავება ამ შესაძლებლობის წინააღმდეგ არ არსებობს. უმეტეს შემთხვევაში უბედურება შეიძლება თავიდან ავიცილოთ, ამბობს ის, ვინაიდან იგი წარმოიშობა სულელური სიხარბით ან ადამიანთა უუნარობით – იყვნენ ბედნიერები. ჩვეულებრივი ადამიანების დიდი რაოდენობა უბედურია უბრალოდ და მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ მათ არ იციან, როგორ იყვნენ ბედნიერები. რასელი წერს: “მშრომელი ადამიანების ბრბოში ნახავთ უზრუნველობას, მეტისმეტ დაძაბულობას, ინტერესის უქონლობას



ყველაფრისადმი, გარდა ბრძოლისა, უგულისყურობას თანამოძმეთა მიმართ”. მდიდართა შესახებ იგი ამბობს: “მიჩნეულია, რომ სასმელები და გართობა კარს უღებს სიხარულს, ამიტომ ადამიანები ისწრაფვიან დალიონ და ცდილობენ არ შეიმჩნიონ, რა ზიზღს იწვევენ ამხანაგებში”. მეფეებიც კი უბედურნი არიან. რასელი იმოწმებს სოლომონ მეფეს: “ყველა მღინარე ზღვაში ჩადის, მაგრამ ზღვა ამით ნაპირებზე არ გადმოდის, არაფერია ახალი მზის ქვეშ, არ არსებობს ადრინდელის ხსოვნა... და შემჯავრდა მე მთელი ჩემი გარჯა, რომლითაც ვამაყობდი მზის ქვეშ, ვინაიდან იგი უნდა დავეუტოვო ადამიანს, რომელიც ჩემს შემდეგ იქნება”.

რასელი შენიშნავს, რომ მოყვანილი ფაქტები არ წარმოადგენენ საფუძველს ტოტალური პესიმიზმისათვის. მაგალითად, სოლომონის ვაჟის თვალსაზრისით, მამამისის მიერ დარგული ყოველგვარი ნაყოფის მოძცეში ხე სრულიადაც არ არის იმის საბაბი, რომ თავი უბედურად იგრძნო.

რასელი გვიჩვენებს, როგორ ვიყოთ ბედნიერები. “ბედნიერების წყაროები მრავალია, – ასეთია ცხოვრების გემო, სიყვარული და ერთგულება, ოჯახი, მუშაობა, უანგარო ინტერესები (მაგალითად, არქეოლოგია, თეატრი ან კინო), იმის უნარი, რომ მონახო ოქროს შუაგული ძალისხმევასა და მორჩილებას შორის. რათა თავიდან აიცილო უბედურება, უნდა ეცადო განთავისუფლდე შურისაგან, კონკურენტული შეჯიბრისაგან, დევნილობის მანიისაგან და საზოგადოებრივი აზრის შიშისაგან”.

შესაძლოა რასელის რჩევები ბანალურად მოგჩვენოთ, მაგრამ მეტწილად ისინი სრულიად გონივრულია, და რასელის ეს პატარა წიგნი შეიძლება უბედურად ადამიანს დაეხმაროს იმაში, რომ თავი ბედნიერად იგრძნოს.

## ცხოვრების როგორც ასეთის ღირებულება

როგორც ჩანს, ოპტიმიზტიებიც და პესიმიზტიებიც ეთანხმებიან უტილიტარიზმის თეორიას, რომლის შესაბამისად ბედნიერება საბოლოო მიზანია, იგი ღირებულებას სძენს ადამიანის ცხოვრებას. მართლაც, ზოგიერთი თანამედროვე ფილოსოფოსი ამტკიცებდა, რომ როცა ადამიანს ბედნიერების იმედი არა აქვს და არ ძალუძს ბედნიერი გახადოს სხვები, მას უნდა დაევენაროთ მოკვდეს.

კლასიკური უტილიტარიზმი (იხ. თავი 9) ემყარება იმ დებულებებს, რომ ყოველ ადამიანს ყველაფერზე მეტად სურს ბედნიერება. მაგრამ ჩვეულებრივი ადამიანების ჩვეულებრივი ქცევა ეწინააღმდეგება ამ თეზისს. ჩვეულებრივ ადამიანებს სიცოცხლე სწყურიათ მაშინაც კი, როცა ისინი უბედურები არიან.

რეალურ ცხოვრებაში ჩვეულებრივი ადამიანები ისე იქცევიან, რომ თვით ცხოვრება ყველაზე დიდ ღირებულებად მიაჩნიათ.

ასეთი ქცევა საფასვრით შეიძლება ინსტინქტური იყოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს მის არაგონიერულობას. კეთილდღეობის, ჯანმრთელობისა და ბედნიერების სურვილიც ასევე ინსტინქტურია. უტილიტარისმუს ბედნიერება უმაღლეს ღირებულებად მიაჩნია და ამით ურემს ხარებს წინ უბამს. ინსტინქტურად ცხოვრება გვინდა არა იმიტომ, რომ ჯანმრთელები და ბედნიერები ვიყოთ, უფრო სწორედ ინსტინქტურად გვსურს ვიყოთ ჯანმრთელები და ბედნიერები იმიტომ, რომ ეს გვშველის შევინარჩუნოთ ცხოვრება.

ფილიპა ფუტი იმ მცირერიცხოვან ფილოსოფოსთა წარმომადგენელია, ვინც ცხოვრების ღირებულების საკითხზე მსჯელობისას უტილიტარისმის საპირისპიროდ იცავს დებულებას, რომლის მიხედვითაც უბედური ცხოვრება მაინც იმის ღირსია, რომ ბოლომდე იცოცხლო. მხოლოდ უკიდურეს სიტუაციებში აქვს სიკვდილს უპირატესობა სიცოცხლესთან შედარებით, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში არავის არა აქვს უფლება სხვას შესთავაზოს ასეთი არჩევანი. სტატიაში “ევთანაზია” ფუტი განმარტავს, როგორ და რისთვის შეიძლება ღირებულად ჩათვალოს უბედური ცხოვრებაც კი.

მისი საფუძველმდებელი თეზისი ასეთია: დებულება – “ცხოვრება იმის ღირსია, რომ იცოცხლო”, ნიშნავს: “ცხოვრება იმის ღირსია, რომ იცოცხლო, იმ ადამიანისათვის, რომელიც ცხოვრობს ამ ცხოვრებით”. რასაც არ უნდა ფიქრობდეს კონკრეტული ადამიანის ცხოვრების ღირებულებაზე ვიღაც სხვა (მაგალითად, სახელმწიფო), გარეშე შეხედულებამ არ უნდა შეგიცვალოს შეხედულება თქვენი ცხოვრების ღირებულებაზე თქვენ, ადამიანს, რომელიც ცხოვრობს ამ ცხოვრებით. (ჩვენ შეგვეძლო აგრეთვე შეგვენიშნა, რომ აზრს, თითქოს ყოველი ინდივიდუალური ცხოვრების ღირებულება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ სასარგებლო იყოს ვიღაც სხვისთვის, მოსდევს უსასრულო რეგრესი და ამიტომ იგი მეტად აბსურდულია).

რა ქმნის ცხოვრებას იმად, რომ ღირდეს სიცოცხლე? ფილიპა ფუტი სამართლიანად ფიქრობს, რომ ადამიანებს ჩვეულებრივ მაშინაც კი სურთ სიცოცხლე, როცა უბედურება მათ ცხოვრებაში გაცილებით მეტია, ვიდრე ბედნიერება. იგი განიხილავს შესაბამის კონკრეტულ სიტუაციებს.

სიცოცხლე ციხეში უკეთესია ნაადრევ სიკვდილთან შედარებით; მძიმე ავადმყოფობით გატანჯული ადამიანის სიცოცხლე სჯობს ნაადრევ სიკვდილს; ცხოვრება მუდმივ გაჭირვებაში (როცა არ გაგაჩნია საკვები, საცხოვრებელი, სამედიცინო დახმარება სჯობს ნაადრევ სიკვდილს. ავტორი წერს: მაგრამ როგორ არის მძიმე ავადმყოფების საქმე? განა კარგია მათთვის ცხოვრება? როგორც ჩანს, ცხოვრება შეიძლება კარგი იყოს იმ ადამიანისათ-

ვისაც კი, რომელიც ცოცხლობს ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის აპარატით. ჩვენ არ შეგვიძლია გამოხატოს ჩავთვალოთ. თუ ის ამბობს, რომ ვიღაც *მწყალობელმა* იხსნა მისი სიცოცხლე. და შემდეგ: “იგივე შეიძლება ითქვას ფსიქიურ ავადმყოფებზეც”. მრავალი მძიმე ავადმყოფი ადამიანისათვის (მაგალითად, დაუნის სენით დაავადებულთათვის) შესაძლებელია უბრალო ცხოვრება, რომელსაც მხოლოდ ურთიერთობები ასულდგმულებთ. ფილიპა ფუტი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ცხოვრება კარგია როგორც ასეთი. და მანც ზოგიერთი ადამიანის ცხოვრება იმდენად საშინელია, რომ უფრო გონივრულია დაიხოცნენ ისინი. ამიტომ თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ცხოვრება როგორც ასეთი კარგია, მაგრამ აქვე აუცილებლად უნდა დაეძინოთ, რომ იგი უნდა იყოს გარკვეული აზრით *ნამდვილად ადამიანური ცხოვრება*. იგი უნდა იყოს ჩვეულებრივი ადამიანური ცხოვრება მინიმალური აზრით მანც. ჩვეულებრივი ადამიანური ცხოვრება ავტორს ასე ესმის: “ჩვენ გვინდა ჩვეულებრივი ადამიანური ცხოვრების იდეა, რომელიც გულისხმობს, რომ ადამიანს აქვს მინიმალური ძირითადი ადამიანური კეთილდღეობა. ჩვეულებრივი – თვით ყველაზე მძიმე – ადამიანური ცხოვრება ნიშნავს, რომ ადამიანს არ აიძულებენ იმუშაოს იმაზე მეტი, ვიდრე შეუძლია, რომ იგი სარგებლობდეს ოჯახისა და საზოგადოების მხარდაჭერით, რომ მას ჰქონდეს რაღაც იმედი მოიკლას შიმშილი და წყურვილი, და ჰქონდეს იმედი, რომ მომავალში აღიდგენს ძალას.

ფუტი ამტკიცებს, რომ ჩვეულებრივი ადამიანური ცხოვრების იდეა გულისხმობს კავშირს ცნება ცხოვრებასა და ცნება კეთილდღეობას შორის. ჩვეულებრივი ადამიანური ცხოვრება ამ სიტყვის აღნიშნული აზრით კარგია თავისთავად და მისი ღირებულება არ არის დამოკიდებული ბედნიერებაზე. უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვა “ჩვეულებრივის” ასეთი გაგება რამდენადმე არაჩვეულებრივია. ჩვეულებრივი ცხოვრების ასეთი გაგება ვრცელდება ადამიანის ცხოვრებაზე, რომელიც სხვა თვალსაზრისით სრულიად არაჩვეულებრივია. მაგალითად, ბეთჰოვენის ცხოვრება ბევრი მხრივ ექსტრაორდინარული იყო, მაგრამ, ფუტის შეხედულებით, იგი აღწერილია როგორც ჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრება. იგივე შეიძლება ითქვას იმ ადამიანის ცხოვრებაზე, რომელიც მთლიანად დამოკიდებულია ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის აპარატზე.

ფილიპა ფუტის შეხედულებანი ცხოვრების ღირებულების როგორც ასეთის შესახებ უახლოვდება ადამიანთა უმეტესობის ცხოვრებისეულ აღქმას. ამრიგად, ვხსნით რა ცხოვრებასა და კეთილდღეობის ცნებებს შორის კავშირს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ფუტის თვალსაზრისი შეესაბამება საღ აზრს. ეს კი სრულიადაც არ უნდა ჩავთვალოთ ფილოსოფოსის ნაკლად.

შევაჯამოთ.

მიზნის ცნებას არ გააჩნია განსაკუთრებული კავშირი მარადიულობის ცნებასთან.

თუ ღმერთი არსებობს, მისი მიზნები განსხვავებულია ჩვენი მიზნებისაგან, და არ არის სწორი, თითქოს ღმერთის გარეშე შეუძლებელია ადამიანის მიზანიც და ზნეობაც. ღმერთის სიკვდილი არ არის ღირებულებათა სიკვდილი.

პესიმიზმი ემყარება ნაწილობრივ იმ წანამძღვარს, რომ შეგვიძლია ერთმანეთს შევადაროთ უკეთესი და უარესი არავეის თვალსაზრისით, ნაწილობრივ იმ იდეას, რომ შესაძლებელია ერთმანეთს შევადაროთ ინდივიდის არსებობა და არარსებობა მისი საკუთარი თვალსაზრისით, ნაწილობრივ კი იმის დაშვებას, რომ ბედნიერება ერთადერთი აბსოლუტური ღირებულებაა. ამ წანამძღვრებიდან მესამე უკეთეს შემთხვევაში არ არის დასაბუთებული, პირველი და მეორე კი აშკარად ყალბია.

რასელის ოპტიმიზმი ემყარება არა იმდენად ფილოსოფიას, რამდენადაც საღ აზრს, მაგრამ ზოგიერთი მისი რჩევა უბედური ადამიანებისათვის ძალიან სასარგებლოა.

ბოლოს, აზრი აქვს იმას, ვიფიქროთ, რომ ცხოვრება როგორც ასეთი ღირებულების მქონეა მაშინაც კი, თუ მასში ცოტაა ბედნიერება. ჩვეულებრივ სწორედ ასე აღიქვამენ ადამიანები საკუთარ ცხოვრებას.

## ფილოსოფიის გავლენა ცხოვრებაზე

აქვს თუ არა ფილოსოფიას დამოკიდებულება რეალური ცხოვრების პრობლემებთან? დიას, აქვს.

ფილოსოფია გვეხმარება ზუსტად ჩამოვაყალიბოთ პრობლემა, ხოლო პრობლემის ნათელი გაგება სასარგებლოა, როცა ადამიანი დგას რეალური ცხოვრებისეული არჩევანის წინაშე.

ფილოსოფია აანალიზებს რთულ იდეებს, ხოლო რთული იდეების ნათელი გაგება ნაწილობრივ აუცილებელი წინასწარი პირობაა წიგნიერ და გონივრულ გადაწყვეტილებათა მისაღებად.

ფილოსოფია განიხილავს მრავალ აბსტრაქტულ საკითხს, როგორცაა სწორი და არასწორი მსჯელობა, სამართლიანობა და უსამართლობა, მნიშვნელობა და ღირებულება. ასეთი სახის აბსტრაქტულ ცნებათა უფრო ზუსტი გაგება შესაძლებლობას გვაძლევს უკეთესად ჩაეწვდეთ ცხოვრებასა და ცხოვრებისეულ შესაძლებლობებს.

ფილოსოფია განიხილავს ძველ დავიწყებულ საკითხებს და ახალ, ადრე განუხილავ პრობლემებს, სხვანაირად შეუძლებელი იქნებოდა ადრევე გადაგვეწყვიტა, აქვთ თუ არა მათ დამოკიდებულება რეალურ ცხოვრებასთან.

## ფილოსოფიის ფართო და ვიწრო გაგება

ზოგიერთ ისტორიულ ეპოქაში ფილოსოფოსებს თავიანთი საგანი ფართოდ ესმოდათ, სხვა ეპოქებში – ვიწროდ. XX საუკუნის პირველ ნახევარში ფილოსოფოსები ძირითადად ფილოსოფიას ვიწრო აზრით განიხილავდნენ. ასეთი თვალსაზრისის მომხრენი იყვნენ პოზიტივისტური ვენის წრის თეორეტიკოსები, ლინგვისტური ანალიზის მეთოდების მომხრენი და ეგრეთ წოდებული ოქსფორდის ფილოსოფიის წარმომადგენლები. შესაძლებელია, გარკვეული ზომით მათი პოზიცია იყო რეაქცია XIX საუკუნეში მეცნიერების

აყვავებაზე, რომელმაც შეძლო ზოგიერთი პროფესიონალი ფილოსოფოსის სულში აღეძრა გაუცნობიერებელი ინტელექტუალური შიში.

დროდადრო ზოგიერთ ფილოსოფოსს იპყრობს ბუნებრივი დაუქმყოფი-ლებლობის გრძნობა ფილოსოფიის ვიწრო გაგების გამო. 1959 წელს ასეთი სერიოზული გულგატეხილობა აისახა ერნსტ გელნერის ნეგატიურ, დესტ-რუქციულ, მაგრამ მეტად საინტერესო წიგნში "სიტყვები და ნივთები". გელნერმა განაცხადა, რომ პროფესიონალი ფილოსოფოსები ოქსფორდში აღარ აღიქვამენ თავიანთ საგანს როგორც ისეთს, რომელსაც დამოკიდებულე-ბა აქვს ფუნდამენტალურ მეტაფიზიკურ პრობლემებთან ან ცხოვრებისეულ გადაწყვეტილებებთან მორალისა და პოლიტიკის დარგში. გელნერის თანახ-მად, ეს აკადემიური მოაზროვნენი, ეგრეთ წოდებული ფილოსოფოსები, ამოდ-ხარჯავენ ძალებს არსებითად უინტერესო მსჯელობებზე ჩვეულებრივი ენის შესახებ.

## გამოყენებითი ფილოსოფია

წიგნის გამოსვლის დროს ისე ჩანდა, რომ გელნერის გაკიცხვა ვაკუუმში იკარ-გებოდა, მაგრამ ბოლო დროს ანალიტიკოსი ფილოსოფოსები დაუბრუნდნენ მეტაფიზიკის ტრადიციულ დიდ პრობლემებს, ხოლო ზოგიერთი მათგანი შეუდგა რეალური ცხოვრების პრობლემებზე ფიქრსა და წერას.

70-იან წლებში ავსტრალიელმა პიტერ სინგერმა გამოაქვეყნა ნაშრომი "ცხოველთა განთავისუფლება", მიძღვნილი ცხოველთა უფლებების დაცვი-სადმი. აღბათ, ეს პირველი ფილოსოფიური ნაშრომია, რომელშიც არის პირუტყვთა საკლავების ფოტოსურათები, რომ აღარაფერი ვთქვათ ვეგეტარი-ანული რეცეპტების ჩამოთვლაზე. წიგნმა ზოგიერთი მკითხველი უმაღ-ვეგეტარიანულად აქცია. გამოყენებით თემებზე წერდნენ სხვა ფილოსოფო-სებიც – ჯ.ე.მ. ენსკომბი (კონტრაცეფციის შესახებ), სიზელა ბოკი (სიცრუისა და საიდუმლოს შესახებ საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში), სტივენ კლარკი (ცხოველთა უფლებების შესახებ), ფილიპა ფუტი (ევთანაზიის შესახებ), იუდიტ ჯარვის ტომსონი (აბორტების შესახებ), მერი მიჯლი (ცხოველების, მანკიერების, ფემინიზმისა და ევოლუციური თეორიის შესახებ), როჯერ სკრატონი (კონსერვატორების პოლიტიკისა და სექსის პრობლემების შესახებ), ამარტია სენი (ფილოსოფიისა და ეკონომიკის შესახებ) და ბერნარდ უილიამსი (უხამსობის შესახებ). დაარსდა ახალი ფილოსოფიური ჟურნალები, რომელთა ფურცლებზეც განიხილებოდა რეალური ცხოვრების პრობლემები, მაგალითად, ამერიკული ჟურნალი "Philosophy and Public Affairs". 80-

იან წლებში დაფუძნდა გამოყენებითი ფილოსოფიის ბრიტანული საზოგადოება და მისი ბეჭდვითი ორგანო – *“The Journal of Applied Philosophy”* (“გამოყენებითი ფილოსოფიის პრობლემები”).

## ფილოსოფია და საზოგადოებრივი ცხოვრება

დროდადრო ფილოსოფოსებს სთავაზობენ თანამშრომლობას ორგანიზაციებში, რომლებიც იღვწიან კანონმდებელთა საქმიანობაში აუცილებელი მორალური ორიენტირების შესამუშავებლად. არ შეიძლება ითქვას, რომ ფილოსოფოსების პროდუქცია მუდამ უზაღოა, ვინაიდან ფილოსოფოსები ყოველთვის როდი არიან თავისუფალნი ბუნდოვანებისა და გაურკვევლობისაგან, ზოგჯერ კი სოციალური ცრურწმენების და ფსიქოლოგიური, განსაკუთრებით სკეპტიკური განწყობებისაგან, რომლებიც უცხოა საღი აზრისათვის. XX საუკუნის მოაზროვნეებს ჯერ კიდევ ვერ დაუღწევიათ თავი ჰიუმის გავლენისაგან და ზოგიერთი თანამედროვე ფილოსოფოსი შეგნებულად თუ შეუგნებლად ჰიუმის სკეპტიციზმს ახორციელებს მიზეზობრიობის საკითხში (იხ. თავი 17). ასეთი ფილოსოფოსები, სოციალურ საკითხებს რომ აწყდებიან, “თავდაყირა დგებიან” და აცხადებენ, რომ არაფერია იცის, ვთქვათ, რასისტულ ან სექსისტურ პროპაგანდას მოსდევს თუ არა ცუდი შედეგები, რამდენადაც (უწუმრად გულისხმობენ ისინი) ნამდვილად არაფერია იცის, არის თუ არა რაიმე რაიმეს მიზეზი.

რაც უფრო მნიშვნელოვანია, ძალზე ხშირად სახელმწიფოს მიერ შექმნილი მორალური პრობლემების კვლევის ორგანოებს უსახავენ შეუძლებელ ამოცანებს და უყენებენ შეუძლებელი საკითხებს. მაგალითად, შეუძლიათ ფილოსოფოსები მიიწვიონ არსებითად იმ შედეგების ასათვლელად, რომლებიც მოჰყვება იმ კანონმდებლობის ნაწილების ხელახლა ფორმულირებას, ძველეთიკურ პრინციპებს რომ ასახიერებენ. ან მათგან მოელიან ფუძემდებლური ტაბუების გაუქმების დასაცავი არგუმენტების შემუშავებას. ფილოსოფოსები არცთუ ისე ძლიერნი არიან პრაქტიკული შედეგების შეფასებაში (მაგალითად, უხეში პორნოგრაფიის აკრძალვის მოხსნის პრაქტიკულ შედეგებზე) და ფაქტი როდია, რომ მათ სხვებზე უკეთესად იციან, როგორი უნდა იყოს ჩვენი ფუნდამენტალური ტაბუები.

ყოველგვარი შენიშვნების მიუხედავად, ფილოსოფოსებს შეუძლიათ სასარგებლო სამსახური გაუწიონ საზოგადოებას. საჯარო გამოყენებითი ფილოსოფია ყველაზე ძლიერია იქ, სადაც შეუძლია უარყოს ზოგიერთი მთავარი პრინციპი, მიღებული ასე თუ ისე ცივილიზებული საზოგადოების მიერ,

მაგალითად, გაეროს ქარტიის პრინციპები ადამიანის უფლებათა შესახებ. ასეთი ფუძემდებლური პრინციპის საფუძველზე ფილოსოფიურად მოაზროვნე ორგანომ შეიძლება განმარტოს, თუ როგორ ცნებებს აქვს მნიშვნელობა განსახილველი საკითხის თვალსაზრისით, ხოლო შეიძლება დაიწყოს კიდევ გადაწყვეტილებათა განხორციელების პრაქტიკული წესების შემუშავება.

ამის კარგი მაგალითია 1989 წელს გამოქვეყნებული დოკუმენტის პროექტი სრული ინფორმაციის საფუძველზე შეთანხმების შესახებ, რომელიც მოამზადა ახალი ზელანდიის ჯანდაცვის საბჭოს ჯგუფმა. ეს დოკუმენტი იმის რეალური მაგალითია, თუ როგორი სასარგებლო გამოყენება შეიძლება ჰქონდეს ფილოსოფიამ იმ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებათა მიღებაში, რომლებიც ეხება მრავალ ადამიანს. მივმართოთ ამ დოკუმენტს.

მუშა ჯგუფში შევიდნენ ექიმები, ექთნები, იურისტები, აგრეთვე მთელი რიგი არაპროფესიონალები, მათ შორის პაციენტები, მაორის თემის წარმომადგენლები და სხვები. ერთ-ერთი ასეთი არაპროფესიონალი აღმოჩნდა პენსიაზე გასული პროფესიონალი ფილოსოფოსი, რომელიც არცთუ ცნობილია ახალი ზელანდიის ფარგლებს გარეთ. ჯგუფმა საერთოდ და კერძოდ ამ ფილოსოფოსმა ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთეს.

დოკუმენტის პროექტი აგებულია მარტივ და ბუნებრივ გადასვლებზე ფილოსოფიური ანალიზიდან და ცნებათა განმარტებებიდან პრაქტიკულ მეთოდებსა და საშუალებებზე და პირიქით, იგი ეძღვნება ოთხ მთავარ თემას.

1. პირველყოვლისა დოკუმენტში ახსნილია თემის დიდი მნიშვნელობა: “თანხმობა სრული ინფორმაციის საფუძველზე საფუძველმდებელი სამართლებრივი და ეთიკური პრობლემაა. იგი გულისხმობს ინდივიდის ავტონომიას, ინდივიდის უფლებას – მიიღოს გადაწყვეტილებანი მის იმ მოქმედებებზე, მეთოდებზე, რომლებიც ეთანხმება ინდივიდების მიზნებსა და ღირებულებებს და მათს თავისუფლების უფლებას და გარედან ჩაურევლობისაგან დაცვას.

თანამედროვე მობრუნება თანხმობისაკენ სრული ინფორმაციის საფუძველზე წარმოიშვა ნიურნბერგის კოდექსის შემდეგ 1947 წელს (გაჩნდა ნაცისტების გასამართლების შედეგად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ) და 1964 წლის ჰელსინკის შეთანხმების შემდეგ. ამ პროექტში ნათლად არის ჩამოყალიბებული იმის ვალდებულება, რომ მიიღონ პიროვნების თანხმობა თერაპევტულ და არათერაპევტულ გამოკვლევაში მონაწილეობის შესახებ. ფუძემდებლური პრინციპი ის არის, რომ პიროვნების სხეულებრივი მთლიანობა დაცული უნდა იქნას არასანქცირებული შეხებისა და შეჭრისაგან”.



2. ფუნდამენტალური პრინციპების დადგენის შემდეგ დოკუმენტში მოყვანილია ის სხვადასხვა საფუძვლის ნუსხა და კლასიფიკაცია, რომლებითაც თანხმობა სრული ინფორმაციის საფუძველზე განამტკიცებს ადამიანების კონტროლს საკუთარ სიცოცხლეზე. თანხმობა სრული ინფორმაციის საფუძველზე განამტკიცებს ნდობას მედიკოსებსა და პაციენტებს შორის, იცავს ადამიანებს არასასაჭირო მკურნალობის და არასავალდებულო სამედიცინო პროცედურებისაგან; ხელს უწყობს მკურნალობის წარმატებას, ზრდის იმის ალბათობას, რომ პაციენტები ნებაყოფლობით და აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას მკურნალობაში; იძლევა იმის გარანტიას, რომ პაციენტებს სპეციალურად არ დაამუშავებენ კომერციულად სარფიან ექსპერიმენტულ პროექტებში იძულებითი მონაწილეობის მიღების მიზნით. თანხმობა სრული ინფორმაციის საფუძველზე გარანტიას იძლევა აგრეთვე, რომ პერიფერიული სამედიცინო მუშაკების ღირებულებანი დარჩება ზოგადსაკაცობრიო და პაციენტებისათვის, მთელი საზოგადოებისათვის სასურველ ღირებულებად, უმცირესობის ღირებულებების ჩათვლით; დაბოლოს, აუცილებლობის შემთხვევაში იგი უზრუნველყოფს მედიკოსების დაცვას.

3. შემდეგ დოკუმენტის პროექტში მოცემულია იმ მრავალი დამხმარე ცნების ანალიზი, რომლებიც დაკავშირებულია ამ საქმესთან. ამ მხრივ გამოყენებულია ფილოსოფია, რომელიც ხელს უწყობს მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხების უკეთ გაგებას. აქ განხილული იდეები შეიძლება ბანალურად მოგვეჩვენოს, მაგრამ მანამდე, სანამ ისინი არ არიან გაცნობიერებული და განმარტებული, დეკლარაციული მაღალი პრინციპებით არ მოითხოვენ პრაქტიკულ აღვსებას. ეს მნიშვნელოვანი და აუცილებელი ცნებები ასეთია: ექსპლიციტური თანხმობა, სავარაუდო თანხმობა, საერთო თანხმობა, განსაკუთრებული თანხმობა, წერილობითი თანხმობა, ზეპირი თანხმობა; მძიმე მდგომარეობა და არცთუ მძიმე მდგომარეობა; რისკი, დიდი რისკი, უმნიშვნელო რისკი, არაპირდაპირი ეფექტები; უფლებამოსილება (მაგალითად, გადაწყვეტის უფლება), პასუხისმგებლობა, ინფორმაცია; ენობრივი განსხვავება, კულტურული განსხვავება.

4. დაბოლოს, დოკუმენტში განხილულია მისი პრაქტიკული განხორციელების მეთოდები და საშუალებანი. მოცემულია პასუხი კითხვებზე იმის საიშედო გარანტიის შესახებ, რომ პაციენტები (რომლებიც განსხვავდებიან ენით, ასაკით, გონებრივი უნარებით და ა. შ.) საქმით ყოველთვის სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი მკურნალობის შესახებ, მათი არაპირდაპირი ეფექტებისა და მათთან დაკავშირებული რისკის შესახებ. დოკუმენტის ეს

ნაწილი აშკარად მოწმობს მუშათა ჯგუფის ღირსებების, როგორცაა პრაქტიკიზში და ფილოსოფიური გამჭრიახობა.

## ფილოსოფიის გავლენა

ამ თავის დასაწყისში დაისვა საკითხი იმის შესახებ, აქვს თუ არა ფილოსოფიას დამოკიდებულება რეალურ ცხოვრებასთან. ზოგიერთი პასუხი უკვე გავვეით, ჯერ ზოგადი ფორმით, შემდეგ კი კონკრეტული მაგალითების ფორმით იმის თაობაზე, თუ როგორ იყენებენ ფილოსოფიას რეალური ცხოვრების თანამედროვე პრობლემების გადასაჭრელად. მაგრამ ფილოსოფიის გავლენა ცხოვრებაზე რაღაც ახალი როდია. ფილოსოფიური იდეები ხშირად ღრმა და ხანგრძლივ ზემოქმედებას ახდენდნენ ადამიანთა საზოგადოებებზე, მაშინაც კი, თუ საზოგადოებას ეს არ ესმოდა; მაგრამ ეს უკვე სხვა საკითხია.

თანამედროვე საზოგადოება ფილოსოფიური იდეების დიდ გავლენას განიცდის, რომლებიც სათავეს იღებენ სულ სხვადასხვა წყაროებიდან. ზოგიერთი ისტორიული მაგალითი ყველაფერს თავი ადგილზე დააყენებს.

### *ძველი დროის მაგალითები: ებრაელები და ბერძნები*

ხშირად ამბობდნენ – და ამ შემთხვევაში გამეორება გამართლებულია, – რომ მთელი დასავლური ცივილიზაცია ემყარება ებრაელების ეთიკას და ძველი ბერძნების მეცნიერებასა და მეტაფიზიკას.

არც იერუსალიმის ის მწიგნობარნი და ბრძენნი, რომლებმაც ჩაწერეს ათი მცნება და შექმნეს ებრაელი ხალხის ლიტერატურა, არც იესო ნაზარეველი არ ყოფილან უბრალოდ ფილოსოფოსები. ეს დიდი მასწავლებლები მარტო ფილოსოფიას არ ასწავლიდნენ. (უწინარეს ყოვლისა, მაშინ არავინ არ ყოფდა ერთმანეთისაგან თეოლოგიას და ფილოსოფიას, ან ეთიკასა და მეტაფიზიკას. მაგრამ ეს მთავარი როდია).

სრულიად უუქველია, რომ ფართოდ იყო გავრცელებული ძველ აღთქმაში ფორმულირებული ფუნდამენტალური მორალური კანონები და უდიდესი გავლენა ჰქონდა იესოს პიროვნებასა და მოძღვრებას, რომელმაც ახლებურად განმარტა და ახსნა ხშირად ქარაგმულად ნათქვამი ეს ეთიკური კანონები. იუდაიზმისა და ქრისტიანობის მოძღვრებანი, რომლებიც ფილოსოფიურია სიტყვის ფართო გაგებით, შეადგენენ ეროვნული და საერთაშორისო კანონების, ზოგადად მორალური აზროვნების, დასავლური ცივილიზაციის საფუძველს. თუმცა ხალხები და მათი მთავრობები ხშირად უარყოფენ ამ

კრიტიკურობებს, მაგრამ ეს არ აუქმებს მათი თეორიული სისწორის საერთო აღიარებას.

თუ ვილაპარაკებთ ბერძნებზე, უნდა ვაღიაროთ, რომ ბერძნულმა ფილოსოფიამ და მეცნიერებამ საფუძველი ჩაუყარეს არა მარტო ფილოსოფიისა და მეცნიერების ინტელექტუალურ მეთოდოლოგიას, არამედ კვლევის სხვა ბევრ ფორმასაც. ბერძნებმა მოგვცეს პირველი და ზოგიერთი მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანი წარმოდგენები იმის თაობაზე, თუ როგორ არის საჭირო ფილოსოფოსობა, ბუნებისა და საზოგადოების შესწავლა, მეცნიერების შექმნა – მოკლედ რომ ვთქვათ, აზროვნება.

აქ უნდა მოვიხსენიოთ არისტოტელე, რამდენადაც იგი, უეჭველია, წარმოადგენს პროფესიული ფილოსოფიისა და ისტორიის ყველაზე გავლენიან მასწავლებელს. იგი აგრეთვე ყველა დროის ყველაზე გავლენიანი მოაზროვნეა. არისტოტელეს აზრების მოკლედ გადმოცემა შეუძლებელია, ვინაიდან ფართო და მრავალსახოვანია მისი საკვლევი საგნები, და ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ერთგვარი წარმოდგენა შევქმნათ ამ სიფართოესა და მრავალსახეობის თაობაზე. არისტოტელემ არა მარტო შექმნა ლოგიკა, მან აგრეთვე დაწერა საფუძველმდებელი ნაშრომები მეტაფიზიკაში, ეთიკაში და ბევრ სხვა საგანში, რომლებიც დღეს მეცნიერებას მიეკუთვნებიან, მექანიკის, ბიოლოგიისა და ფსიქოლოგიის ჩათვლით. მანვე შექმნა დიდმნიშვნელოვანი ტრაქტატები პოლიტიკის, რელიგიისა და ლიტერატურის შესახებ.

XIII საუკუნეში თომა აქვინელი მიზნად ისახავდა არისტოტელეს თხზულებანი შეეთანხმებინა ქრისტიანულ თეოლოგიასთან. საეკლესიო ხელისუფალთა სასიხარულოდ, მან შეასრულა თავისი მიზანი და არისტოტელიზმი იქცა ეკლესიის ოფიციალურ ფილოსოფიად. ამიტომ იგი განაგრძობს გავლენას ევროპულ აზრსა და იდეოლოგიაზე დღემდე.

### *ჯონ სტიუარტ მილი*

ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ქვეყნების მოქალაქენი, რომლებიც იცავენ პრესის თავისუფლების და სიტყვის თავისუფლების პრინციპებს, ადრე თუ გვიან მიმართავენ ჯონ სტიუარტ მილის იდეებს. ფემინისტი ქალებიც ვალში არიან თავისი იდეებით მილისა და მისი მეუღლის ჰარიეტის წინაშე.

XIX საუკუნის 20-იან წლებში ვენის წრის ლოგიკური პოზიტივისტები მეცნიერებას ყველა ადამიანურ ძიებაზე მალლა აყენებდნენ. ახლანდელი მთავრობებიც აღიარებენ მეცნიერების განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თანამედროვე ცხოვრებაში, არა მარტო იმიტომ, რომ მასში ხედავენ სიმდიდრის წყაროს. პოზიტივიზმი მეცნიერული იდეალის დამცველებს აძლევს ერთგვარ თეორიულ დაფუძნებას, ამიტომ პოზიტივისტური პრინციპების დამახინჯებული ან აუთენტური ვერსიები ზოგჯერ შეიძლება მოვისმინოთ საჯარო დისკუსიებზე მეცნიერებისა და მისი დაფინანსების შესახებ.

მკითხველები, რომლებიც ერკვევიან კომპიუტერებში, ალბათ, ამ წიგნის 22-ე თავს მეტად ნაცნობად მიიჩნევენ. ეს იმით აიხსნება, რომ კომპიუტერის გამომგონებელი მათემატიკოსი იყო და სწავლობდა თანამედროვე ფორმალურ ლოგიკას. კომპიუტერში გამოყენებული ბინარული სისტემა – ეს არსებითად იგივე ბინარული სისტემაა (ჭეშმარიტი/მცდარი), რომლის საფუძველზეც, როგორც ვნახეთ, აგებულია ჭეშმარიტობის ცხრილები პროპოზიციულ აღრიცხვაში. გიგანტური კომპიუტერული ინდუსტრია შესაძლებელი გახდა მათემატიკოსებისა და ინჟინრების – და ფილოსოფოსების იდეათა მეოხებით.

ზემოქმედებს თუ არა ფილოსოფია რეალურ ცხოვრებაზე? რა თქმა უნდა, ზემოქმედებს, ეს ერთერთი მიზეზია იმისა, რის გამოც იგი შესწავლის ღირსია.

## დიდი ფილოსოფოსები

### სოკრატე და პლატონი

სოკრატე (469-399 წწ. ჩვენს ერამდე) დაიბადა და სიკვდილით დასაჯეს ათენში. მას არ დაუწერია წიგნები და პრაქტიკულად ყველაფერი, რაც ცნობილია მისი ცხოვრების, მოძღვრებისა და პიროვნების შესახებ, ჩვენ ვიცით მისი მოწაფის პლატონის თხზულებებიდან.

პლატონმა (427-347 წწ. ჩვენს ერამდე) დაწერა დაახლოებით ოცდათხუთმეტამდე ფილოსოფიური ნაშრომი; ყველა მათ დიალოგის ფორმა აქვთ. დიალოგების უმეტესობის მთავარი გმირია სოკრატე. იგი წარმოდგენილია ფიზიკურად მახინჯ ადამიანად, რომელიც, ამის მიუხედავად, პატივცემული და საყვარელია სიმამაცის, თავმდაბლობის, სიბრძნის, მახვილგონიერების, ოპტიმიზმისა და ინტელექტუალური პატიოსნებისათვის.

პლატონის ადრინდელი დიალოგები მანერითა და შინაარსით მეტად უახლოვდებიან სოკრატეს ფილოსოფოსობას. ისინი ეძღვნება უმთავრესად ცოდნის ბუნებასა და შესაძლებლობას, განსაკუთრებით ცოდნას სათნოების, სულის შესახებ.

პლატონის გვიანდელ დიალოგებში გადმოცემულია მისი საკუთარი ფილოსოფია. მათში განხილული თემებია ცოდნა, აღქმა, გრამატიკა, პარადოქსები, უკვდავება და სხვა ფილოსოფოსების მოძღვრებანი. პლატონი ქმნის ფორმების თეორიას, რომლის მეოხებითაც ხსნის მრავალ საკითხს – ცოდნის შესაძლებლობას, სიკეთის მნიშვნელობას და განასხვავებს კონკრეტულსა და ზოგადს შორის. მისი ყველაზე ვრცელი ორი დიალოგი – “სახელმწიფო” და “კანონები” ეძღვნება პოლიტიკურ ფილოსოფიას და აღწერს იდეალურ სახელმწიფოს. პირველ მათგანში პლატონი ამტკიცებს, რომ კარგი მმართველობა შეუძლებელია, ვიდრე მმართველები არ გახდებიან ფილოსოფოსები ან ფილოსოფოსები – მმართველები.

სამოცდაათი წლის სოკრატე წარდგა ათენის სასამართლოს წინაშე. მას ბრალად ედებოდა ათენელი ახალგაზრდობის გარყვნა. იგი გაასამართლეს და სიკვდილი მიუსაჯეს. მან უარი თქვა მეგობრების დახმარებაზე, რომლებიც ცდილობდნენ მის დახსნას. სასიკვდილო განაჩენის აღსრულებისათვის მან დალია ერთი ფინჯანი შხამი. პლატონი რომელიც მაშინ ოცდარვა წლის იყო, როგორც ჩანს, არ ესწრებოდა დასჯას. მაგრამ დატოვა ამ მოვლენის ამალელებელი აღწერა. სოკრატეს სიკვდილის შემდეგ ათენში დააარსა სკოლა, რომელსაც უწოდა აკადემია, სადაც ერთ-ერთი მოწაფე იყო არისტოტელე. პლატონი 80 წლისა გარდაიცვალა ამხანაგებთან შეხვედრისას.

## ძენონ ელეელი

ცხოვრობდა V საუკუნეში ჩვენს ერამდე. ჩამოაყალიბა მთელი რიგი პარადოქსები, რომლებსაც დღემდე იხსენებენ მათემატიკის შესწავლისას. ყველზე ცნობილია ძენონის პარადოქსები “აქილეესი” და “ისარი”.

## ძენონ სტოელი

ეს გვიანდელი ძენონი (335-262 წწ. ჩვენს ერამდე) ასწავლიდა: თუ მიწიერი სურვილების საგნები სიკეთეა, მხოლოდ შედარებითია, და ადამიანმა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უარი უნდა თქვას თავის სურვილებზე. მან თავი მოიკლა 72 წლის ასაკში.

## არისტოტელე

არისტოტელე დაიბადა 384 წელს ჩვენს ერამდე სტაგირაში (მაკედონია). მამამისი იყო მაკედონიის მმართველის სასახლის კარის ექიმი. 17 წლისა ჩავიდა ათენში, სადაც დარჩა 20 წელიწადს როგორც პლატონის მოწაფე და კოლეგა. პლატონის სიკვდილის შემდეგ 347 წელს ჩვენს ერამდე იყო აკადემიის მეთაურის თანამდებობის ერთ-ერთი პრეტენდენტი, მაგრამ ბედმა გაუღიმა პლატონის ძმისშვილს სპეესიპეს. მაშინ არისტოტელემ რამდენიმე თავის მოწაფესთან ერთად დატოვა ათენი; რამდენიმე წელიწადს ცხოვრობდა მცირე აზიასა და მაკედონიაში. მოკლე ხანს იყო ალექსანდრე მაკედონელის დამრიგებელი, რომელიც მაშინ 14 წლისა იყო. 335 წელს ჩვენს ერამდე, დაბრუნდა ათენში და აქ დააარსა სკოლა, რომელსაც ლიცეუმი უწოდა. 323

წელს ათენში მოხდა ანტიმაკედონიური ამბოხებები, არისტოტელე დაადანაშაულეს. სოკრატესაგან განსხვავებით, გასამართლებამდე ათენში გაიქცა. 62 წლისა გარდაიცვალა კუნძულ ევბეაზე.

არისტოტელე ითვლება ლოგიკის შემქმნელად, იგი კითხულობდა ლექციებს, რომლებიც შემდგომ მეტაფიზიკას, ეთიკასა და ფსიქოლოგიას მიაკუთვნეს. იკვლევდა აგრეთვე საკითხებს, რომლებიც შემდგომ მექანიკის, ბიოლოგიისა და პოლიტიკური მეცნიერების საგანი გახდა. იგი თავის ლიცეუმის მოწაფეებს სთხოვდა შეეგროვებინათ მისთვის მასალები და შეიძლება ამიტომ ეწოდა კვლევითი პროგრამის იდეის მამამთავარი.

არისტოტელეს ეძღვნება ასობით კომენტარი, მათ შორის ავეროესის, მაიმონიდისა და აქვინელის ვრცელი ნაშრომები (იხ. ქვემოთ). მისი სიკვდილის მრავალი წლის შემდეგ ქრისტიანულმა ეკლესიამ მისი მოძღვრება საფუძვლად დაუდო საკუთარ ფილოსოფიას. ერთხანს მომძლავრდა ანტიარისტოტელესეული შეხედულებანი. მაგრამ XX საუკუნის დამლევით გახდა არისტოტელესადმი ინტერესის განახლების მოწმე.

## ევკლიდე

ევკლიდე (დაახლოებით 365-300 წწ. ჩვენს ერამდე) – ბერძენი მათემატიკოსი, ცხოვრობდა ალექსანდრიაში. მისმა მათემატიკურმა მეთოდმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ფილოსოფიურ აზროვნებაზე.

## ციცერონი

მარკუს ტულიუს ციცერონი (106-43 წლ. ჩვენს ერამდე) – რომაელი სახელმწიფო მოღვაწე და მწერალი. ავტორი რამდენიმე ფილოსოფიური ტრაქტატისა, მათ შორის ნარკვევებისა ღმერთების ბუნების, მოვალეობისა და მეგობრობის შესახებ.

## ანდრონიკე

ანდრონიკე როდოსელი – ბერძენი ფილოსოფოსი, ცხოვრობდა რომში დაახლოებით 60 წელს ჩვენს ერამდე. სისტემაში მოიყვანა და გამოსცა არისტოტელეს თხზულებანი.

## ავგუსტინე

ფილოსოფოსი და თეოლოგი ავგუსტინე დაიბადა ახლანდელი ალჟირის ტერიტორიაზე 354 წელს და გარდაიცვალა ჰიპოში (ჩრდილოეთი აფრიკა) 430 წელს. დედამ იგი აღზარდა ქრისტიანული სულისკვეთებით.

17 წლის ავგუსტინე სახლიდან წავიდა; ცხოვრობდა ჯერ კართაგენში, შემდეგ რომსა და მილანში, სადაც სწავლობდა ბიბლიას და პლატონის თხზულებებს. რამდენიმე წელიწადს იტალიაში ცხოვრების შემდეგ აფრიკაში დაბრუნდა და აქ დააარსა ბერების საზოგადოება; შემდგომ გახდა ჰიპოს ეპისკოპოსი.

ავგუსტინე ცხოვრობდა იმ დროს, როდესაც რომის იმპერიას თავს ესხმოდნენ გოთები, ჰუნები და ვანდალები. როცა გოთები რომში შეიჭრნენ, მან იწინასწარმეტყველა, რომ ახალი, ქრისტიანული იმპერია (“ღვთის ქალაქი”) შეცვლიდა წარმართობას და ბარბაროსი-დამპყრობლების ერეს. თავისი თხზულებებით წვლილი შეიტანა ქრისტიანული მმართველობის ფორმის იდეოლოგიის ჩამოყალიბებაში, რომელმაც ბოლოს და ბოლოს რეალური არსებობა შეიძინა.

დაახლოებით 800 წლის განმავლობაში ავგუსტინე რჩებოდა ქრისტიანული აღმსარებლობის საკითხებში მთავარ ავტორიტეტად; არისტოტელეს თხზულებანი აღმოჩენილი XII საუკუნეში, კვლავ აიკრძალა პარიზის უნივერსიტეტში. მაგრამ აქვინელმა შექმნა არისტოტელეს ფილოსოფიისა და ავგუსტინეს თეოლოგიის სინთეზი, და არისტოტელეს თხზულებათა და იდეათა აკრძალვა წარსულს ჩაბარდა.

430 წელს ვანდალებმა ალყა შემოარტყეს ჰიპოს და ალყის დროს ავგუსტინე გარდაიცვალა.

## ბოეციუსი (დაახლოებით 480-524)

რომაელი ფილოსოფოსის ბოეციუსის სიცოცხლის წლებში რომის იმპერიას გოთები მართავდნენ. იგი წაუჩხუბა გოთების მეფეს, რომელმაც ფილოსოფოსი ციხეში ჩასვა, შემდეგ კი სიკვდილით დასაჯა. პატიმრობაში ბოეციუსმა დაწერა თავისი ყველაზე ცნობილი ტრაქტატი “ფილოსოფიით ნუგემისცემა”. მან იცოდა ბერძნული ენა და ლათინურად თარგმნა არისტოტელეს ზოგიერთი ნაშრომი.



## აბელიარი (1079-1142)

პიერ აბელიარს, რომელიც დაიბადა შექლებულ ბრეტონულ ოჯახში, დღემდე იხსენიებენ იმასთან დაკავშირებით, რომ ფართოდ იყოს ცნობილი ელოიზასთან თავისი სამიჯნურო ამბით, რომელსაც მისთვის მძიმე შედეგები მოჰყვა.

აბელიარი წერდა თეოლოგიურ, ლოგიკურ, ეთიკურ და მეტაფიზიკურ თემებზე. სიცოცხლეში ითვლებოდა თავისი ეპოქის უდიდეს მოაზროვნედ. მაგრამ მისი თეოლოგიური შეხედულებანი მრავალჯერ დაგმეს, მათ შორის ბერნარ კლერვოელმა, რომელმაც დააარსა მონასტრები და ემხრობოდა ჯვაროსნებს. 1142 წელს აბელიარი გარდაიცვალა რომში მიმავალ გზაზე, სადაც გაემგზავრა, რათა თავი ემართლებინა ერესში დანაშაულში.

## ავეროესი (1126-1198)

ავეროესი დაიბადა კორდოვაში; ყადის (მუსულმანთა მოსამართლის) შვილი, თვითონ იყო ყადი კორდოვაში, სველიასა და მაროკოში.

ავეროესმა შექმნა არისტოტელეს თხზულებათა კომენტარები და ყურანი გადმოსცა არისტოტელეს ფილოსოფიის ტერმინებით; ამის გამო მას კომენტატორი უწოდეს. მისმა ფილოსოფიამ გავლენა მოახდინა შუა საუკუნეების ქრისტიანული თეოლოგიის განვითარებაზე, აგრეთვე საფუძვლად დაედო რამდენიმე მუსულმანურ ერესს.

## მაიმონიდი (1135-1204)

მაიმონიდი დაიბადა ესპანეთში და გარდაიცვალა ეგვიპტეში. მისი ბიოგრაფის ჰემელის სიტყვებით, “მაიმონიდი იყო მეტად გავლენიანი პოლიტიკოსი” (როგორც იუდეური თემის მეთაური); იგი მიაჩნდათ თავისი დროის ყველაზე გამოჩენილ ექიმად, თალმუდის ყველაზე დიდ მცოდნედ, ეპოქალური მნიშვნელობის ფილოსოფოსად, გამოჩენილ მათემატიკოსად, მეცნიერად და იურისტად; მისით აღფრთოვანებული იყო ხალხი, მას ადიღებდნენ და ხოტბას ასხამდნენ მეცნიერები.

მაიმონიდმა დაწერა არისტოტელეს თხზულებათა კომენტარები, რომლებმაც, ავეროესის კომენტარებთან ერთად, საბოლოო ანგარიშით განსაზღვრეს არისტოტელიზმის ქრისტიანულ ფილოსოფიასთან და საერთოდ დასავლეთის ფილოსოფიასთან სინთეზის ხასიათი. მის წიგნს “მერყევა გზამკვლევი” დღესაც, 850 წლის შემდეგ, კითხულობენ.

## აქვინელი (1225-1274)

წმინდა თომა აქვინელი დაიბადა იტალიაში დიდებულთა ოჯახში. მამამისმა ნება არ დართო შესულიყო დომინიკანურ ორდენში. მაგრამ მან დაარღვია მამის ნება, დაიჭირეს თავის ძმებმა და ორ წელიწადს დაამწყვდიეს საგვარეულოს ციხე-კოშკში. ბოლოს და ბოლოს მან მოახერხა გაქცევა, და გაემგზავრა საფრანგეთში, სადაც ასწავლიდა ფილოსოფიას. მის მრავალ თხზულებათა შორის “თეოლოგიის კრებული” ჩაფიქრებულია როგორც თეოლოგიის სრული კრებული. რომის კათოლიკური ეკლესია ამ ნაწარმოებს დღემდე თვლის თეოლოგიის ფუძემდებლურ თხზულებად.

## დუნს სკოტი (1265-1308)

იოან დუნს სკოტი, ანუ ჯონ დანი შოტლანდიიდან, იყო ფრანცისკანელი ბერი. სწავლობდა, ხოლო შემდეგ ასწავლიდა ფილოსოფიას ოქსფორდში. სკოტმა დაწერა არისტოტელეს თხზულებათა და ბიბლიის კომენტარები, აგრეთვე აკრიტიკებდა აქვინელს.

## ოკამი (დაახლოებით 1285-1349)

უილიამ ოკამი დაიბადა სურეაში. შევიდა ფრანცისკანულ ორდენში, სწავლობდა ოქსფორდსა და პარიზში. წაეჩხუბა პაპს, რომელმაც იგი მიიწვია ავინიონში, და გაიქცა ბავარიაში, სადაც კეთილგანწყობილობით მიიღო მეფემ. იგი ამტკიცებდა, რომ საერო მმართველებს აქვთ ღვთაებრივი ხელისუფლება, პაპის მიერ ბოძებული ხელისუფლების დამოუკიდებლად. ლოგიკური ტრაქტატებისა და არისტოტელეს ნაწარმოებთა კომენტარების ავტორი. მისი განთქმული გამონათქვამი, რომელსაც ოკამის სამართებელი ეწოდა, გვამცნობს “აუცილებლობის გარეშე ბევრ რამეს ნუ დავადგენთ”.

## გროციუსი (1583-1645)

ჰუგო გროციუსი – ჰოლანდიელი იურისტი და ავტორი მნიშვნელოვანი წიგნისა სამართლის ფილოსოფიის შესახებ, “ომისა და მშვიდობის შესახებ”. სიტყვა სამართალი მისი გაგებით აღნიშნავს ბუნებრივ კანონს, ან მორალურ

კანონს და არა ადამიანის მიერ შექმნილ კანონს. ჰობსი და ლოკი განიცდიდნენ გროციუსის გავლენას.

## ჰობსი (1588-1679)

ინგლისელი ფილოსოფოსი თომას ჰობსი დაიბადა ესპანელთა არმადის განადგურების წელს. სამოქალაქო ომის დროს ცხოვრობდა ინგლისში, და ამ გამოცდილებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მის პოლიტიკურ ფილოსოფიაზე.

მართვის ჰობსის თეორია შეიცავს თეზისს იმის შესახებ, რომ მეფეს (სახელმწიფოს მეთაურს) უნდა ჰქონდეს აბსოლუტური ძალაუფლება, ვინაიდან გაყოფილმა ძალაუფლებამ შეიძლება გამოიწვიოს სამოქალაქო ომი. ჰობსის იდეები, ბუნებრივია, ეწინააღმდეგებოდნენ იმ ადამიანთა შეხედულებებს, რომლებსაც პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ კარლ I-ის სიკვდილით დასჯისათვის. მეფესა და პარლამენტს შორის კონფლიქტის დასაწყისში (1640 წ.) ჰობსი გაიქცა პარიზში. იქ დაჰყო თორმეტი წელიწადი და შესაძლებლობა ჰქონდა ეკამათა დეკარტთან. ერთხანს იყო ჭაბუკი კარლოს II-ის დამრიგებელი, აგრეთვე დევნილობაში მონარქიის რესტავრაციის შემდეგ კარლოს II-მ დაუნიშნა პენსია.

ჰობსის ყველაზე ცნობილი წიგნი – “ლევიათანი” – გამოქვეყნდა 1651 წელს.

## დეკარტი (1596-1650)

რენე დეკარტის ეჭვის მეთოდმა, ანუ მეთოდოლოგიურმა სკეპტიციზმმა, რომელიც მან აღწერა წიგნში “ფიქრები პირველი ფილოსოფიის შესახებ”, ღრმა გავლენა მოახდინა თანამედროვე აზროვნებაზე. ამავე წიგნში მან ჩამოაყალიბა ღმერთის არსებობის რამდენიმე დასაბუთება, მათ შორის ონტოლოგიური არგუმენტის საკუთარი ვერსია (იხ. თავი 2). დეკარტმა შექმნა აგრეთვე ანალიზური გეომეტრია.

## ლოკი (1632-1704)

ინგლისელმა ფილოსოფოსმა ჯონ ლოკმა სიცოცხლის მნიშვნელოვანი ნაწილი ოქსფორდში გაატარა. იგი ბრიტანული ემპირიზმის ფუძემდებელია.

ეს ფილოსოფია ყოველგვარ თეორიას საფუძვლად უდებს ცდას. ლოკი ამტკიცებს, რომ ადამიანის გონება არის “ტაბულა რაზა” ანუ ქალაღდის სუფთა ფურცელი, რომელსაც თითქოს ცდა ავსებს ინფორმაციით.

“მართვის შესახებ” ლოკის ორმა ტრაქტატმა მოახდინა გავლენა ამერიკული კონსტიტუციის შემქმნელებზე, მაგრამ მეცნიერები კამათობენ, იყო თუ არა თვით ლოკი დემოკრატიული იდეების მომხრე. მისი მთავარი ნაშრომია “ცდა ადამიანის გონიერების შესახებ”.

## სპინოზა (1632–1677)

ბარუხ სპინოზა დაიბადა ამსტერდამში ებრაელი ემიგრანტების ოჯახში. ოცდაოთხი წლის ასაკში გარიცხეს იუდეველთა თემიდან, ალბათ, იმ ასტრონომიული და ოპტიკური გამოკვლევებისადმი განსაკუთრებული ინტერესისათვის, რომელიც შორს იყო თალმუდის მოძღვრებისაგან. არ იყო ამქვეყნიური ადამიანი და ცხოვრობდა ლინზების გაპრიალებით.

სპინოზას “ეთიკა” ფორმით იმეორებს ევკლიდეს “საწყისს”. როგორც “საწყისი”, ეს თხზულებაც იწყება აქსიომებით, რომელთა საფუძველზე ჩამოყალიბებულია თეორემები. სხვა თხზულებებს შორის აღსანიშნავია დეკარტის გეომეტრიის კომენტარები და ტრაქტატი ღმერთისა და ადამიანის შესახებ.

## ლაიბნიცი (1646–1716)

გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცი, ლაიფციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორის შვილი, იყო ერთ-ერთი დიდი ერუდიტი. მისი ჩანაფიქრია გამომთვლელი მანქანა, ევკლიტეში ფრანგების შეჭრის გეგმა (რომლითაც 100 წლის შემდეგ დაინტერესდა ნაპოლეონი), კათოლიკური და პროტესტანტული ეკლესიების შერიგების გეგმა. მასვე ეკუთვნის აგრეთვე მრავალი ფილოსოფიური ნაშრომი. ლაიბნიცი იყო არა მარტო ფილოსოფოსი, არამედ მათემატიკოსიც. მან აღმოაჩინა დიფერენციული აღრიცხვა ნიუტონისაგან დამოუკიდებლად. მის გამონათქვამს, რომ ეს სამყარო საუკეთესოა ყველა შესაძლებელ სამყაროთა შორის, დასცინოდა ვოლტერი “კანდიდში”.

## ბერკლი (1685-1753)

ჯორჯ ბერკლი (ეპისკოპოსი ბერკლი) დაიბადა კილკენიში და იყო ბრიტანელი ემპირისტების ირლანდიელი თანამოაზრე. ემპირიზმის სხვა მომხრეა ჯონ ლოკი (იხ. ზემოთ) და შოტლანდიელი ღვეიდ ჰიუმი (იხ. ქვემოთ).

ბერკლი ამტკიცებს, რომ სამყარო შედგება სულუბისაგან (ადამიანებისა და ღმერთისაგან) და იდეებისაგან. ადამიანური იდეები მიმდინარე და არამდგრადია, ღმერთის იდეები მდგრადი და მოწესრიგებულია. ბერკლი თავის დოქტრინას გამოხატავს შემდეგი ლოზუნგის ფორმით “esse est percipi” (არსებობა – ნიშნავს იყო აღქმული). მისი უმნიშვნელოვანესი ფილოსოფიური თხზულებებია “შხედველობის ახალი თეორია”, ტრაქტატი “ადამიანური ცოდნის პრინციპების შესახებ”, “სამი საუბარი ჰილასსა და ფილონუსს შორის”.

## ჰიუმი (1711-1776)

ღვეიდ ჰიუმმა გამოაქვეყნა ნაშრომები ბრიტანეთის ისტორიის შესახებ, რომლებშიც ემხრობოდა სტიუარტების მეფეთა დინასტიას. მაგრამ იგი უწინარეს ყოვლისა ცნობილია როგორც ფილოსოფოსი.

ახალგაზრდობაში ჰიუმი თავს იჩენდა თავდაპირველად როგორც დიპლომატი, რომელიც ასრულებდა მეორეხარისხოვან როლებს, შემდეგ როგორც ხუშტურნიანი ახალგაზრდა არისტოკრატის დამრიგებელი, ბოლოს კი როგორც ბიბლიოთეკარი. ჰიუმი აგროვებდა ფულს, რამაც შესაძლებლობა მისცა ცხოვრების ბოლოს ემუშავა თავის თხზულებებზე.

მიზეზობრიობის ბუნების სკეპტიკურ ახსნას (იხ. თავი 17) ჰიუმი ამუშავებს ტრაქტატში ადამიანის ბუნების შესახებ და, შემდეგ, თავისი სამი გამოკვლევის პირველ წიგნში. დიალოგებში “ბუნებრივი რელიგიების შესახებ” განიხილავს და აკრიტიკებს ღმერთის არსებობის ცნობილ დასაბუთებას (იხ. თავი 2). მისი ცდები მოიცავენ იმ თემების ფართო წრეს (ფილოსოფიურს, ისტორიულს), რომლებიც საინტერესოა ფართო საზოგადოებრიობისათვის.

## კანტი (1724-1804)

იმანუელ კანტი დაიბადა კენიგსბერგში (გერმანია). ამბობენ რომ, მთელ თავის სიცოცხლეში ათ მილზე მეტი მანძილით არ გასცილებია მშობლიურ ქალაქს.

კანტი ამბობდა, რომ ჰიუმის ნაშრომის წაკითხვამ გამოაფხიზლა იგი დოგმატური თვლემისაგან და ამის შემდეგ ცდილობდა ეპოვნა საშუალება დაეცვა წარმოდგენები, რომლებსაც ჰიუმის სკეპტიციზმი ემუქრებოდა. იგი ისწაფოდა დაემტკიცებინა, რომ მიზეზობრივი აუცილებლობა მართავეს ემპირიულ სამყაროში, ხოლო თავისუფლება და ზნეობა – ადამიანური ნების სამყაროში. იგი განიხილავს ღმერთის არსებობის ყველა ტრადიციულ დასაბუთებას და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ადამიანის გონება სუსტია და არ ძალუძს გაიაზროს ღმერთის, მარადიულობისა და უსასრულობის იდეები. მისი მთავარი ნაშრომებია “წმინდა გონების კრიტიკა” (მეტაფიზიკის შესახებ) და “პრაქტიკული გონების შესახებ” (ეთიკის შესახებ).

## უოლსტონკრაფტი (1759-1797)

მერი უოლსტონკრაფტი პოლიტიკური ფილოსოფოსი და ფემინისტი; ერთ-ერთმა მისმა თანამედროვემ მას უწოდა “ჰენა კაბაში”.

მისი მწერლობის კარიერა დაიწყო 1790 წელს, როცა შექმნა ნაშრომი “მამაკაცის უფლებების დაცვა”. არსებითად, ეს წიგნი წარმოადგენს რადიკალურ პასუხს ედმუნდ ბერკის სრულიადც არარადიკალურ ნაშრომზე “ფიქრები საფრანგეთის რევოლუციის შესახებ”. 1792 წელს მან გამოსცა უმნიშვნელოვანესი ნაშრომი – “ქალების უფლებათა დაცვა”, რომელმაც მოუტანა სახელიც და შეუქმნა ცუდი რეპუტაციაც. იგი იწყებს რუსოს უარყოფით, რომლის განათლებების სისტემა (აღწერილი “ემილსა და სოფიაში”) ამკარად მიზნად ისახავს ქალის დამორჩილებას მამაკაცისადმი. უოლსტონკრაფტის სხვა თხზულებებს შორის აღსანიშნავია “შეხედულება საფრანგეთის რევოლუციაზე” (თვითმხილველის ნაამბობი).

## ჰეგელი (1770-1831)

გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი ყველაზე ცნობილი სისტემის შემქმნელია ფილოსოფიის ისტორიაში. მისი შეხედულებით, მთელი ცოდნის სისტემატიზირება შეიძლება სამ ნაწილად: ლოგიკად, ბუნების ფილოსოფიად და გონის ფილოსოფიად. ჰეგელი გეთვალვინებოდა დიალექტიკის ახლებურ გაგებას. იგი ამბობს, რომ ისტორია არის პროგრესი, რომელსაც ამოძრავებს თეზისისა და ანტითეზისის შეჯახება, შემდეგ სინთეზად რომ ერთიანდება. ამ პროგრესის ელემენტებია გონითი ან ინტელექტუალური და არა მატერიალური.

ახალგაზრდობაში ჰეგელი საფრანგეთის დიდი რევოლუციისა და ნაპოლეონის მომხრე იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში მან შეიძულა ყოველივე დემოკრატიული ინსტიტუტი და თაყვანს სცემდა ავტორიტარულ პრუსიულ სახელმწიფოს. ჰეგელის აზრით, სახელმწიფო არის ღმერთის მსვლელობა დედამიწაზე. ჰეგელის მთავარი ნაშრომებია “ლოგიკის მეცნიერება”, “ფილოსოფიურ მეცნიერებათა ენციკლოპედია” და “სამართლის ფილოსოფიის საფუძვლები”.

## რიკარდო (1772-1823)

დევიდ რიკარდო იყო ინგლისელი ეკონომისტი. ლონდონის ბირჟის მაკლერის შვილმა ორმოცდაორი წლისამ შეიძინა დიდი ქონება. ორი წლის შემდეგ, 1819 წელს, აირჩიეს პარლამენტში რადიკალებისაგან.

მთავარ ნაშრომს, რომელმაც მას სახელი გაუთქვა და მარქსზე დიდი გავლენა მოახდინა, ეწოდება “პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის პრინციპები”. ამ ნაშრომში ღრმად არის გაანალიზებული ისეთი ეკონომიკური ცნებები, როგორიცაა ღირებულება, ხელფასი და რენტა.

## შოპენჰაუერი (1788-1860)

არტურ შოპენჰაუერს ჰეგელი მიაჩნდა ნამდვილ არამზადად, ხოლო ჰეგელიანელობა – ყველაზე სულელურ და უაზრო მოტყუებად. იგი ვრცლად მსჯელობს ამის თაობაზე თავისი წიგნის “სამყარო როგორც ნება და წარმოდგენა” მეორე ტომში. ახალგაზრდობის დროს ლექციებს კითხულობდა იმავე საათებში, როდესაც ჰეგელი, მაგრამ სტუდენტებში ვერ სარგებლობდა მოწონებით, ვერ გადმოიბირა ისინი ამ ფილოსოფიური დიქტატორისაგან და 1821 წელს მიატოვა საუნივერსიტეტო მოღვაწეობა და ცხოვრების დარჩენილი ნაწილი მოახმარა ფილოსოფიური თხზულებების წერას.

შოპენჰაუერმა ევროპაში ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო ინდური რელიგიის შესწავლა, რომლის იდეებიც გავლენას ახდენდა მის თხზულებებზეც. შოპენჰაუერისათვის გონება და ნება რეალურია, ხოლო მატერიალური სამყარო გარკვეული აზრით ფანტასმაგორიაა. რეალობა უფარგისია, რამდენადაც სურვილი და ნება მხოლოდ ტანჯვას იწვევს. პესიმიზმი ცხოვრების ერთადერთი გონივრული ფილოსოფიაა.

## ჯეიმს მილი და ჯონ სტიუარტ მილი

ჯეიმს მილი (1773-1836), ჯონ სტიუარტ მილის მამა, იყო მწერალი და ჟურნალისტი, შემდეგ – ოსტინდური კომპანიის მოსამსახურე. მისი მთავარი თხზულებანი ეძღვნება იურისპრუდენციას და პოლიტიკურ ფილოსოფიას; ეს ფილოსოფოსი ემხრობოდა რადიკალურ პოლიტიკურ შეხედულებებს, ხელმძღვანელობდა შვილის აღზრდას, რომელიც “ავტობიოგრაფიაში” წერდა, რომ სწავლა დაიწყო სამი წლისამ.

ჯონ სტიუარტ მილი (1806-1873) მსახურობდა ინდოეთის საქმეთა დეპარტამენტის მოხელედ. მისი ყველაზე ცნობილი ფილოსოფიური ნაშრომებია “უტილიტარიზმი”, “ლოგიკის სისტემა”, “ქალების დამორჩილება” და ნარკვევი “თავისუფლების შესახებ”.

ფილოსოფოსი და სახელმწიფო მოსამსახურე მილი იყო აქტიური პოლიტიკური რეფორმატორი. 1824 წელს იგი დააპატიმრეს ღარიბთა შორის მშობიარობაზე კონტროლის შესახებ ლიტერატურის გავრცელებისათვის. იყო საყოველთაო განათლებისა და საარჩევნო უფლების გაფართოების (მათ შორის ქალებისათვის საარჩევნო უფლების მინიჭების) მომხრე. მონაწილეობდა კემბრიჯის ნიუჰემ-კოლეჯის, ინგლისში ქალთა პირველი კოლეჯის, დაარსებაში. 1865 წელს აირჩიეს პარლამენტში, სადაც უმთავრესად იბრძოდა ქალებისათვის ხმის უფლების მისანიჭებლად და ვინაიდან ასეთი მოღვაწეობა არ სარგებლობდა პოპულარობით ამომრჩევლებს შორის, მომდევნო არჩევნებში დამარცხდა.

## მარქსი (1818-1883)

კარლ მარქსი დაიბადა ადვოკატის ოჯახში. იგი თანამედროვე საერთაშორისო კომუნიზმის შემქმნელია. სწავლობდა ბონსა და ბერლინში. დაინტერესდა ჰეგელის ფილოსოფიით, მიხვდა, რომ ჰეგელიანელობა შეიძლებოდა მიეყენებინა ეკონომიკური ისტორიისათვის და რადიკალური პოლიტიკის მიზნებისათვის.

როცა პოლიტიკური დევნილი გახდა, მარქსი გადავიდა ლონდონში, სადაც მას და მის ოჯახს მატერიალურად ეხმარებოდა მდიდარი მეფაბრიკე ფრიდრიხ ენგელსი.

მარქსის ფილოსოფია თავისებური ყირაზე დაყენებული ჰეგელიანელობაა: ჰეგელი ამბობდა, რომ სახელმწიფო არის ღმერთის მსვლელობა დედამიწაზე, მარქსი კი სახელმწიფოსა და მმართველებში ხედავს მხოლოდ დათრგუნვის



ინსტრუმენტებს. ჰეგელი ამბობს, რომ ისტორიის დიალექტიკური ძალები იდენტაა შეჯახებაა, მარქსი კი ამბობს, რომ დიალექტიკური ძალები მატერიალურია.

მარქსის ფილოსოფია მნიშვნელოვანია არა როგორც ასეთი, არამედ უფრო როგორც XX საუკუნის პოლიტიკური ისტორიის უდიდესი გავლენის მქონე მოძღვრება. მარქსი საქმის ასეთი ვითარებით კმაყოფილი იქნებოდა, ვინაიდან იგი წერდა: “ფილოსოფოსები მხოლოდ ასე თუ ისე ხსნიდნენ სამყაროს, მაგრამ საქმე ის არის, რომ შევცვალოთ იგი”.

## ჯეიმსი (1842-1910)

უილიამ ჯეიმსი, ამერიკელი ფსიქოლოგი და ფილოსოფოსი, მწერალ ჰენრი ჯეიმსის ძმა, ჯერ სწავლობდა ნიუ-იორკში, შემდეგ კი ჰარვარდში, სადაც ეუფლებოდა მედიცინას.

ფსიქოლოგიაში ჯეიმსი იყო ბიჰევიორისტი; ამტკიცებდა, რომ ემოციები ფიზიოლოგიური ცვლილებების აღქმაა. ფილოსოფიაში პრაგმატიკისტი იყო; მისი აზრით, ჭეშმარიტია ის, რაც მოქმედების პრაქტიკულ წარმატებას უზრუნველყოფს.

## ნიცშე (1844-1900)

ფრიდრიხ ნიცშე დაიბადა ლუთერანელი პასტორის ოჯახში, სწავლობდა ბერლინსა და ლაიფციგში. მას ისეთი ბრწყინვალე ნიჭი ჰქონდა, რომ ჯერ კიდევ სწავლის დამთავრებამდე შესთავაზეს კლასიკური ფილოლოგიის კათედრა ბაზელში და მან მიიღო ეს წინადადება. იგი მაშინ ოცდაოთხი წლის იყო. ახალგაზრდობაში მეტად აღფრთოვანებული იყო შოპენჰაუერით (რომელსაც არ იცნობდა) და რიჰარდ ვაგნერით (რომელთანაც მეგობრობდა), მაგრამ ორივეზე გული აუცრუვდა.

ნიცშემ თავი დაანება აკადემიურ მუშაობას საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს და ჰოსპიტალში სანიტრად მუშაობდა. მაგრამ სულ მალე ეს სამსახურიც მიატოვა და მოხეტიალე ცხოვრება დაიწყო. ამის შესაძლებლობა მას იმ გარემოებამ მისცა, რომ ავადმყოფობის გამო უნივერსიტეტი პენსიას აძლევდა. ამბობენ, რომ პრუსიაში ყოფნისას სიფილისი შეეყარა. სოცოცხლის უკანასკნელი თორმეტი წელიწადი ფსიქიკურად იყო დაავადებული.

ნიცშე ისწრაფოდა უკუეგდო ტრადიციული მორალური ღირებულებანი და ისინი შეეცვალა თავისებური არისტოკრატიული ეგოიზმით (იხ. თავი 7 და 8). მაგრამ მისი პროექტი უფრო ფართოა – მიზნად ისახავს ძირი

გამოუთხაროს არა მარტო ზნეობას, არამედ მეტაფიზიკასაც, ლოგიკასაც და, როგორც ჩანს, რაციონალურობასაც კი. იგი ხშირად წერს იმ სულისკვეთებით, რომ რელიგია, ფილოსოფია, მეცნიერება და ფაქტიურად აზრის ყველა სისტემა სხვა არა არის რა, თუ არა პროფესიონალების თაღლითური ცდები, ხელთ იგდონ ძალაუფლება.

ნიცშეს თეორია ენთუზიაზმით აღიქვეს ნაცისტებმა, რასაც ხელი შეუწყო ნიცშეს დამ ელიზაბეტმა, რომელიც ჰიტლერთან მეგობრობდა.

## ფრეგე (1848-1925)

გოტლიბ ფრეგე – გერმანელი მათემატიკოსი და ლოგიკოსი ლექციებს კითხულობდა იენაში. ზოგ მეცნიერს იგი მიაჩნია ყველაზე დიდ ლოგიკოსად არისტოტელეს შემდეგ. 1879 წელს გამოსცა სიმბოლური ლოგიკის სრული სისტემა; მაგრამ იგი შეიცავდა წინააღმდეგობას (კლასების პარადოქსს), რომელიც შეამჩნია რასელმა და შეეცადა გადაეწყვიტა.

ფრეგე განასხვავებს საზრისს და საგნობრივ მნიშვნელობას (რეფერენციას). ამ განსხვავებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თანამედროვე ფილოსოფიაში. იგი ყველაზე კარგად აიხსნება მაგალითებით. მაგალითად, ორ გამოთქმას “ცისკრის ვარსკვლავი” და “მწუხრის ვარსკვლავი” ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ (რამდენადაც აღნიშნავენ ერთი და იგივე პლანეტას – ვენერას), მაგრამ განსხვავებული საზრისი.

## XX საუკუნის ფილოსოფოსები

### ჰუსერლი (1859-1938)

ედმუნდ ჰუსერლი ფრაიბურგის უნივერსიტეტის პროფესორი გახდა 1916 წელს. მან საფუძველი ჩაუყარა *ფენომენოლოგიას* – აზრის თეორიას, რომელმაც დღეს აღიარება ჰპოვა კონტინენტური ევროპის, ინდოეთისა და იაპონიის ბევრ უნივერსიტეტში. ჰუსერლმა კვლავ შემოიტანა ფილოსოფიაში ტერმინი EPOCHE, ამ ცნებით აღნიშნა პროცესი, რომელიც შეადგენს ფენომენოლოგიური მეთოდის მნიშვნელოვან ნაწილს. ტერმინი EPOCHE გადმოღებულია ძველი ბერძენი სტოიკოსების ფილოსოფიიდან და აღნიშნავს *მსჯელობისაგან თავშეკავებას*. ფენომენოლოგიის პირველი პრინციპი შეჯამებულია თეზისში: ჭეშმარიტების აღმოჩენა ზოგიერთი ნივთის შესახებ ვარაუდობს თავშეკავებას მსჯელობისაგან სხვა ნივთების შესახებ.

### დიუი (1879-1952)

ჯონ დიუი გახდა კოლუმბიის უნივერსიტეტის (ნიუ-იორკი) პროფესორი 1904 წელს. მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შეერთებულ შტატებში განათლების იდეოლოგიაზე; მისი შეხედულებით, განათლების მთავარი მიზანი უნდა იყოს სოციალური და ფსიქოლოგიური განვითარება, ბავშვის შეგუება საზოგადოებაში ცხოვრების პირობებთან.

### რასელი (1872-1970)

ბერტრან რასელი უდიდესი ლოგიკოსია არისტოტელეს შემდეგ. მათემატიკასა და ფილოსოფიას სწავლობდა კემბრიჯში, ეკონომიკას – ბერლინში. 1910 წელს გამოაქვეყნა ა. ნ. უაიტჰედთან ერთად წიგნი “მათემატიკის პრინციპები”,

რომელიც მიჩნეულია მათემატიკური ლოგიკის ქვაკუთხედად. ასევე შეფასებული მისი დესკრიფციების თეორია.

ცხოვრების მეორე ნახევარში დაწერა მრავალი პოპულარული წიგნი და ბროშურა, მათ შორის “ბედნიერების მოპოვება”, “ქორწინება და მორალი”, “რატომ არა ვარ ქრისტიანი” და “განათლების შესახებ”.

რასელი ფართოდ იყო ცნობილი როგორც პოლიტიკური პოლემისტი. 1907 წელს მან კენჭი იყარა პარლამენტში, სადაც გამოვიდა ქალებისათვის ხმის უფლების მინიჭების მხარდასაჭერად. პირველი მსოფლიო ომის დროს დადგა პაციფიზმის პოზიციებზე და ჩასვეს ციხეში სამხედრო სამსახურში გაწვევის წინააღმდეგ პამფლეტების გავრცელებისათვის. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ წერილები მისწერა მთელ რიგ მსოფლიო ლიდერებს და აფრთხილებდა მათ ბირთვული ომის საშიშროების შესახებ. უკვე მოხუცებულიობისას კვლავ ციხეში აღმოჩნდა – ლონდონში თავდაცვის სამინისტროს წინ ავტომაგისტრალის ბლოკირებისათვის.

## ვიტგენშტაინი (1889-1951)

ლუდვიგ ვიტგენშტაინი დაიბადა ვენაში, სწავლობდა საინჟინრო საქმეს ბერლინსა და მანჩესტერში. შემდეგ დაინტერესდა მათემატიკური ლოგიკით. იგი ვიზიტად ეწვია ფრეგეს, რაომელმაც ურჩია მიემართა რასელისათვის. 1912 წელს ჩავიდა კემბრიჯში და გახდა რასელის მოწაფე. ახალგაზრდა ვიტგენშტაინმა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა რასელზე, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი მისი ფილოსოფიური რეპუტაციის ჩამოყალიბებას.

პირველი მსოფლიო ომის დროს ვიტგენშტაინი მსახურობდა ოფიცრად ავსტრიის არტილერიაში. ტყვედ ჩაუვარდა იტალიელებს, სადაც დაწერა თავისი პირველი წიგნი “ლოგიკურ-ფილოსოფიური ტრაქტატი” (გამოქვეყნდა 1921 წელს), რომელშიც ჩამოყალიბებულ თეორიას რასელმა “ლოგიკური ატომიზმი” უწოდა.

30-იან წლებში ვიტგენშტაინის იდეები ძირეულად შეიცვალა. იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ფილოსოფიური საკითხები და პრობლემები ჩნდება ენის არასწორი გაგების შედეგად. მაგრამ როგორც იგი აღნიშნავს “ფილოსოფიური გამოკვლევის” წინასიტყვაობაში, მან ვერ შეძლო დაეწერა წიგნი, რომელშიც გადმოცემული იქნებოდა მისი ახალი შეხედულებანი. ვიტგენშტაინის სიკვდილის შემდეგ მის ხელნაწერებს რედაქცია გაუკეთეს და გადათარგმნეს ჯ. ე. მ. ენსკომბმა, გ. ჰ. ფონ ვრიგტმა და რაშემ რისმა. მათ შორის აღსანიშნავია “ცისფერი და ყავისფერი წიგნები”, “ფილოსოფიური

გამოკვლევები”, “შენიშვნები მათემატიკის საფუძვლების თაობაზე” და “სიცხადის შესახებ”.

## ლოგიკური პოზიტივისტები, ანუ ვენის წრე

ვენის წრე შეიქმნა 20-იანი წლების დამდეგს, რომელშიც შედიოდა მეცნიერების, მათემატიკოსებისა და ფილოსოფოსების ჯგუფი. ისინი რეგულარულად იკრიბებოდნენ ლოგიკური და ფილოსოფიური საკითხების განსჯისათვის. ამ წრის წევრები იყვნენ, კერძოდ, მორის შლიკი (დამფუძნებელი), კურტ გიოდელი, რუდოლფ კარნაპი, ოტო ნოირატი, ჰერბერტ ფაიგელი, ფრიდრიხ ვაისმანი და ფილიპ ფრანკი.

1929 წელს მათ გამოაქვეყნეს თავისებური მანიფესტი, სადაც ჩამოთვალეს წარსულისა და თანამედროვეობის ის მოაზროვნენი, რომლებიც, ავტორების შეხედულებით, პოზიტივისტურ პოზიციებზე იდგნენ. დასახელებული იყვნენ პიუმი, მილი, აინშტაინი, რასელი და ვიტგენშტაინი. პოზიტივისტები ვარაუდობდნენ, რომ ავითარებდნენ მეცნიერულ ფილოსოფიას, და, როგორც ჩანს, მიაჩნდათ რომ, ფილოსოფია როგორც ასეთი მოწოდებულია მეცნიერება უზრუნველყოს საიმედო საფუძვლებით.

ჯგუფი დაიშალა 30-იან წლებში შლიკის მოკვლისა (1936) და ხელისუფლებაში ნაცისტების მოსვლის შემდეგ.

## მარკუზე (1898-1979)

ჰერბერტ მარკუზე დაიბადა ბერლინში, სწავლობდა ბერლინისა და ფრაიბურგის უნივერსიტეტებში, იყო ფრაიბურგის სოციალურ კვლევათა ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი. უნივერსიტეტის დახურვისა და ხელისუფლებაში ნაცისტების მოსვლის შემდეგ გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში და მასაჩუსეტში, ხოლო შემდეგ კალიფორნიის უნივერსიტეტში გახდა პროფესორი. მისი ფილოსოფია ძირითადად წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოებისა და თანამედროვე კულტურის კრიტიკას.

## ჰაიდეგერი (1889-1976)

გერმანელმა ფილოსოფოსმა მარტინ ჰაიდეგერმა, რომელმაც ლოიალობა გამოხატა ნაცისტების მიმართ, შეცვალა ედმუნდ ჰუსერლი ფრაიბურგში ფილოსოფიის პროფესორის თანამდებობაზე. მოიხსნა აკადემიური პოსტიდან 1945 წელს ჰიტლერულ რეჟიმთან შემთანხმებლობის გამო.

ჰაიდეგერის მოძღვრება უმთავრესად წარმოადგენს მსჯელობას არსებობის ან ყოფიერების შესახებ, რომელსაც იგი იაზრებს როგორც თავისებურ თვისებას. ამრიგად, მისი ფილოსოფია უპირისპირდება არსებობის რასელისეულ ანალიზს, რომლის მიხედვით არსებობა სრულიადაც არ წარმოადგენს თვისებას (იხ. თავი 1).

## ადორნო (1903-1965)

თეოდორ ადორნო იყო ფრანკფურტის სოციალური კვლევის ინსტიტუტის თანამშრომელი. ნაცისტების ხელისუფლების სათავეში ჰიტლერის მოსვლისა და ინსტიტუტის დახურვის შემდეგ ჯერ ოქსფორდში, შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩავიდა.

იგი იყო შესანიშნავი პედაგოგი, მის მოწაფეებს შორის რამდენიმე ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსია. ადორნოს ძირითად ინტერესს წარმოადგენდა კულტურის და ესთეტიკის, განსაკუთრებით მუსიკის ესთეტიკის სფერო. სწავლობდა კომპოზიციის თეორიას არნოლდ შონბერგის ხელმძღვანელობით და შექმნა მრავალი მუსიკალური ნაწარმოები.

## პოპერი (1902-1994)

კარლ პოპერი, ლონდონში ეკონომიკის სკოლის ყოფილი პროფესორი, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მეცნიერების ფილოსოფოსი გახდა. იგი ავტორია “მეცნიერული აღმოჩენის ლოგიკისა”, რომელიც, კერძოდ, შეიცავს ლოგიკური პოზიტივიზმის კრიტიკას. დაწერა აგრეთვე მნიშვნელოვანი წიგნი პოლიტიკური ფილოსოფიის დარგში “ღია საზოგადოება და მისი მტრები”.

## უან-პოლ სარტრი (1905-1980) და სიმონა დე ბოვუარი (1908-1986)

უან-პოლ სარტრი და მისი მეგობარი სიმონა დე ბოვუარი ეკზისტენციალიზმის ფრანგული სკოლისა და პარიზის ინტელიგენციის მემარცხენე რადიკალური სკოლის გამოჩენილი წარმომადგენლები არიან.

სარტრი, როგორც ჰაიდეგერის დამწყები მოწაფე, ამტკიცებდა, რომ ადამიანი არის რაღაც მის მიერ განხორციელებული არჩევნების ერთობლიობის გარდა, რომლებიც ამავე დროს შეიძლება შემცდარიც იყოს და თავისუფალიც. იგი დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს თავიდან ავიცილოთ ცუდი რწმენა, რომელიც ორმაგი აზროვნების გვარეობაა. წლების განმავლობაში იგი ახლოს იდგა საფრანგეთის კომუნისტურ პარტიასთან, თუმცა მისი წევრი არ ყოფილა.

დე ბოვუარი ფილოსოფიას სწვლობდა სორბონაში, სადაც მალე პროფესორი გახდა. 1949 წელს გამოაქვეყნა თხზულება, რომელიც შეიცავდა ფემინისტურ ფილოსოფიას; 1956 წელს ნაშრომი ითარგმნა ინგლისურ ენაზე სახელწოდებით “მეორე სქესი”. მის სხვა თხზულებებს შორის აღსანიშნავია რომანები და მოგონებები.

ბოლო დრომდე სარტრი ითვლებოდა გაცილებით უფრო მნიშვნელოვან ფილოსოფოსად, ვიდრე დე ბოვუარი, მაგრამ ფემინისტური ორიენტაციის და სხვა მოაზროვნეთა თანამედროვე დისკუსიების მსვლელობაში ეს შეხედულება საეჭვო გახდა. მეორე მხრივ, ზუსტად რომ ვთქვათ, არ შეიძლება სარტრის შედარება დე ბოვუართან. მის ფილოსოფიას ფესვები გადგმული აქვს ჰაიდეგერის მეტაფიზიკაში, მაშინ როდესაც დე ბოვუარის ნაშრომებში მოხაზულია ახალი მიმართულება და იგი შეიცავს თანამედროვე ფილოსოფიური ფემინიზმის საფუძვლებს.

## რაილი (1900-1976)

ჯილბერტ რაილის ცხოვრების დიდმა ნაწილმა, თუ არ ჩავთვლით მეორე მსოფლიო ომის დროს არმიაში სამსახურს, ოქსფორდში გაიარა, სადაც იგი კითხულობდა და წერდა ლექციებს ფილოსოფიურ თემებზე. მისი წიგნი “ცნობიერების ცნება” გამოიცა 1949 წელს, ბესტსელერად იქცა და რამდენჯერმე გამოქვეყნდა. რაილი იყო მთელი რიგი ცნობილი ფილოსოფოსების, მათ შორის ა. ჯ. აიერის, მასწავლებელი.

## რენდი (1905-1982)

ენ რენდი დაიბადა რუსეთში. ემიგრაციაში წავიდა ამერიკაში, სადაც სწავლობდა ფილოსოფიას. წერდა პოპულარულ წიგნებს, აგრეთვე აქვეყნებდა პერიოდულ ჟურნალს ("Ayn Rand's Newsletter"), რომელშიც გამოხატავდა თავის ფილოსოფიურ და პოლიტიკურ იდეებს.

ენ რენდი იყო კაპიტალიზმის მტკიცე დამცველი და გარკვეული გავლენა მოახდინა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ კლიმატზე. იგი იყო პროფესიონალი ფილოსოფოსი და, გარდა ამისა, ჰქონდა ნათელი და გონებაბაზვილური საკუთარი ლიტერატურული სტილი. იგი თეორიულად ამართლებდა ამერიკელი მემარჯვენე ბიზნესმენების საქმიანობას.

რენდის მეტაფიზიკური თხზულებანი გამოირჩევა საღი აზრებით, რომლებიც ნაწილობრივ ემყარებიან არისტოტელეს შეხედულებებს. იგი იყენებს საღი გონების თავისებურ დუალიზმს. ბერკლის მსგავს იდეალისტებს უწოდებს სულის მისტიკოსებს, ხოლო თანამედროვე მატერიალისტებს – კუნთების მისტიკოსებს. მისი მორალის ფილოსოფია კაპიტალიზმის ეთიკური უპირატესობის ღრმა რწმენის დასაბუთებაა.

## აიერი (1920-1989)

ალფრედ ჯულს აიერმა ფილოსოფია შეისწავლა ოქსფორდში ჯილბერტ რაილის ხელმძღვანელობით, რომელმაც მას ურჩია ჩასულიყო ვენაში და გასცნობოდა ლოგიკურ პოზიტივისტებს. ამის შედეგად გამოჩნდა აიერის ცნობილი წიგნი "ენა, ჭეშმარიტება და ლოგიკა" – ინგლისელი მკითხველისათვის გასაგები ვენის წრის იდეების შესავალი. დღეს ლოგიკური პოზიტივიზმის ფილოსოფიამ ერთგვარად ადგილი დაუთმო სხვა იდეებს, მაგრამ ზემოაღნიშნული ნაშრომი XX საუკუნის უმნიშვნელოვანესი ფილოსოფიური თხზულებაა.

წიგნის მთავარი იდეა ვერიფიკაციის პრინციპი, რომლის თანახმად არცერთ გამოთქმას არა აქვს მნიშვნელობა, თუ იგი (1) არ მიეკუთვნება მათემატიკას ან ლოგიკას, (2) არ შეიძლება მოხდეს მისი ვერიფიკაცია მეცნიერების იმ მეთოდებით, რომლებიც ემყარებიან უშუალოდ გრძობად გამოცდილებას.

აიერი გახდა ჯერ ლონდონის, შემდეგ ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი. დაწერა მრავალი წიგნი და ბრიტანული ემპირიზმის ტრადიციების ერთგული დარჩა. საკუთარ თავს თვლიდა დევიდ ჰიუმისა და ბერტრან რასელის მემკვიდრედ.



## ზოგიერთი გამოჩენილი თანამედროვე ფილოსოფოსი

გთავაზობთ თანამედროვე ფილოსოფოსების ნუსხას, რომელთა უმრავლესობა მუშაობს ანალიტიკური ტრადიციის სფეროში და რომლებიც, ჩვენი შეხედულებით, სარგებლობენ გავლენით როგორც ლექტორები, მწერლები ან ორივე ამ დარგში. ბუნებრივია, ჩვენს ნუსხას სისრულის პრეტენზია არა აქვს.

### გეტერი (Gettier)

ედმუნდ გეტერიმა ჩამოაყალიბა გეტერიის პრობლემა კონტრარგუმენტების ფორმით, რომლითაც გააკრიტიკა ცოდნის სამსაფეხურიანი განსაზღვრება.

### გუდმენი (Goodman)

ნელსონ გუდმენმა ჩამოაყალიბა ინდუქციის ახალი პრობლემა. მიაჩნია, რომ ინდუქციაზე დამყარებული პროგნოზი ალბათური ხასიათისაა.

### დამიტი (Dummett)

მაიკლ დამიტი, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, ფრეგეს ფილოსოფიის სპეციალისტი.

### დევიდსონი (Davidson)

ამერიკელი ფილოსოფოსი დონალდ დევიდსონი იყო ლექტორი პრინსტონის და ამერიკის სხვა უნივერსიტეტებში. განსაკუთრებით ცნობილია ანალიზური მეტაფიზიკის დარგში, ავტორია ნაშრომებისა მოვლენების ბუნებისა და ცნობიერების ბუნების შესახებ.

## ენსკომბი (Anscombe)

ჯ. ე. მ. ენსკომბი (ელიზაბეტ ენსკომბი), თავდაპირველად ფილოსოფიის პროფესორი კემბრიჯში, სწავლობდა ოქსფორდში, ხოლო შემდეგ კი კემბრიჯში ვიტგენშტაინთან. ვიტგენშტაინის თხზულებათა მთავარი მთარგმნელი. გამოაქვეყნა აგრეთვე ბევრი საკუთარი ორიგინალური ნაშრომი ფილოსოფიური პრობლემების სხვადასხვა საკითხზე.

## კრიპკე (Kripke)

საულ კრიპკე ავტორია ფილოსოფიური ლოგიკისა და ვიტგენშტაინის ფილოსოფიის ინტერპრეტატორი.

## კუნი (Kuhn)

თომას კუნის იდეები მეცნიერების ფილოსოფიის დარგში ცნობილია როგორც არსებითი გარღვევა ამ დარგში.

## ლიუისი (Lewis)

ამერიკელმა ფილოსოფოსმა დევიდ ლიუისმა ჩამოაყალიბა შესაძლებელი სამყაროების თეორია.

## მაკინტაირი (MacIntyre)

ალასდერ მაკინტაირი – ავტორი პოპულარული წიგნებისა ეთიკასა და შუა საუკუნეების ფილოსოფიაში. სწავლობდა ოქსფორდსა და საფრანგეთში, ამჟამად ნოტრდამის უნივერსიტეტის პროფესორია.

## მიჯლი (Midgley)

ბრიტანელი ფილოსოფოსი მერი მიჯლი – ავტორი წიგნებისა არაპროფესიონალი მკითხველებისათვის განკუთვნილ გამოყენებით ფილოსოფიაში.

## ნაგელი (Nagel)

თომას ნაგელი ფილოსოფიას კითხულობს ნიუ-იორკის უნივერსიტეტში. მისი წიგნი “მზერა არსაიდან” ეძღვნება იმ თეზისის დაფუძნებას, რომ მატერიალისტურ ფილოსოფიას პრინციპულად არ შეუძლია ახსნას სუბიექტური გამოცდილება და ამიტომ ვერ მოგვცემს სამყაროს სრულ აღწერას.

## ნოზიკი (Nozick)

რობერტ ნოზიკი, მემარჯვენე ორიენტაციის ფილოსოფოსის ეინ რენდის მოწაფე, ავტორია გავლენიანი წიგნისა “ანარქია, სახელმწიფო და უტოპია”, რომელშიც აკრიტიკებს ამერიკულ ლიბერალიზმს და ახალი კურსის იდეებს.

## როლზი (Rawls)

ამერიკელი ჯონ როლზი მუშაობს პოლიტიკური ფილოსოფიის პრობლემებზე. მისი ყველაზე ცნობილი თხზულებაა წიგნი “სამართლიანობის თეორია”.

## სინგერი (Singer)

ავსტრალიელმა პიტერ სინგერმა ვეგეტარიანელობა აქცია ფილოსოფიური კამათის საგნად. თანამიმდევრული უტილიტარისტი, იგი თვლის, რომ ერთადერთი ფუნდამენტალური ეთიკური მოვალეობაა ტანჯვისათვის თავის არიდება; იცავს ევთანაზიას როგორც სოციალური პოლიტიკის ნაწილს.

## სმარტი (Smart)

ინგლისელ-ავსტრალიელი ფილოსოფოსი სმარტი იყო ადელაიდის, ლატროუბის და კანბერის უნივერსიტეტების პროფესორი. ფლეისის კოლეგა, იზიარებდა ცნობიერების ფიზიკალისტურ თეორიას. მისი ფილოსოფია მატერიალისტური და სიენტიურია.

## სტროსონი (Strawson)

პიერ სტროსონი, ოქსფორდის უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორი, ყველაზე ცნობილია თხზულებებით ფილოსოფიური ლოგიკისა და მეტაფიზიკის დარგში, აგრეთვე დესკრიფციის რასელისეული თეორიის კრიტიკით. ავტორია ნაშრომისა ნების თავისუფლების შესახებ, კანტის ფილოსოფიის აღიარებული მცოდნეა.

## ვლესი (Place)

ბრიტანელი ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი პლესის ერთხანს ლექციებს კითხულობდა ავსტრალიაში, ჩამოაყალიბა თეზისი, ცნობილი როგორც ცნობიერებისა და ტვინის იგივეობის თეორია, რომელსაც ფიზიკალიზმსაც უწოდებენ. კოლეგები, მაგალითად სმარტი, მას თვლიან ავსტრალიური მატერიალისტური ფილოსოფიური სკოლის ფუძემდებლად.

## ფუტი (Foot)

ფილიპა ფუტი სწავლობდა და ასწავლიდა ოქსფორდში, შემდეგ კალიფორნიაში. მას უმთავრესად აინტერესებს ეთიკა, აკრიტიკებს უტილიტარისმს და პრესკრიფციონიზმის ყიდის ნახევრად სუბიექტივისტურ თეორიებს. ბევრი მისი სტატია გამოქვეყნდა კრებულში “სათნოებანი და მანკიერებანი”.

## ქუაინი (Quine)

უილარდ ვან ორმან ქუაინი, ამერიკული ფილოსოფიის დიდებული მოხუცი. ბევრს წერს ლოგიკის პრობლემებსა და არსებობის ბუნებაზე. დაწერა აგრეთვე ავტობიოგრაფია.

## ჰეარი (Hare)

რიჩარდ ჰეარი, ადრე ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი ამჟამად ასწავლის ფლორიდაში. მისი გავლენა ვრცელდება უმთავრესად მორალის ფილოსოფიაზე. თავის ადრინდელ წიგნებში ჩამოაყალიბა ეგრეთ წოდებული პრესკრიფციონიზმის თეორია, რომელიც შეუერთა თავისებურ უტილიტარისმს.

## სახელთა საძიებელი

- აბელიარი - 198, 257  
ადორნო თ. ვ. - 150, 151, 152, 270  
ავეუსტინე - 11, 256  
ავეროესი - 255, 257  
აიერი ა. ვ. - 74, 75, 271, 272  
ალექსანდრე მაკედონელი - 254  
აინშტაინი - 77, 269  
ანდრონიკე როდოსელი - 9, 255  
ანსელმ კენტერბერიელი - 29, 30, 31  
არისტოტელე - 9, 11, 12, 14, 19-21, 28, 29, 154, 157, 171, 172, 179, 198, 205, 206, 209, 213, 230, 232, 251, 254-258, 266, 267, 272  
ბაირონი ვ. - 125  
ბოჰოვენი - 243  
ბენტამი ი. - 11, 89  
ბერკი ე. - 262  
ბერკლი ვ. - 261, 272  
ბერნარ კლეროველი - 257  
ბოეციუსი - 256  
ბოკი ს. - 246  
ბრაგე ტიხო - 182  
ბუში ვ. - 219  
გალენი - 164  
განდი მ. - 114  
გასკინგი დ. - 176, 177  
გაუნილო - 31  
გელნერი ე. - 246  
გეორგ III - 125,  
გეტეერი ე. - 273  
გიოდელი კ. - 269  
გრამში ა. - 152  
გროციუსი - 102, 258, 259  
გუდმენი ნ. - 273  
დამიტი მ. - 273  
დე ბოუარი - 152, 155, 157, 271  
დევიდსონი დ. - 14, 273  
დეკარტი რ. - 29, 30, 69, 78, 259, 260  
დერიდა ე. - 14  
დიუი ვ. - 267  
დოსტოვესკი თ. მ. - 235, 237  
დუნს სკოტი იოანე - 258  
ევანსი ქ. - 5, 6, 8  
ეკლიდე - 196, 255, 260  
ეილერი ლ. - 201, 205, 207  
ელოიზა - 257  
ენგელსი ფ. - 264  
ენსკომბი ვ. ე. მ. - 14, 119, 120, 121, 246, 268, 274  
ეტლი - 135  
ეგნერი რ. - 265  
ვანინგერი ო. - 157  
ვაისმანი ფ. - 269  
ვეზალიუსი - 164  
ვიტგენშტაინი ლ. - 39, 235, 268, 269, 274  
ვიტორიო - 102  
ვოლტერი ფ. მ. ა. - 57  
ვრიგტი გ. ჰ. ფონ - 268  
ვულფი ვ. - 155  
თეიშმანი ვ. - 5, 6, 8  
თომა აქვინელი - 11, 14, 28, 31, 251, 258  
ივანე IV (მრისხანე) - 47

- კალიგულა - 125  
 კანტი ი. - 31, 34, 89, 90, 93, 261, 262, 276  
 კარნაპი რ. - 269  
 კასტრო ფ. - 152  
 კუნსი ჯ. ნ. - 209  
 კეპლერი ი. - 182-185  
 კისინჯერი პ. - 221  
 კლარკი ს. - 246  
 კლინტონი უ. - 20  
 კობი - 262  
 კრაიკე ს. - 14, 274  
 კროპოტკინი პ. ე. - 113  
 კუნი თ. - 167-170, 274  
  
 ლაპლასი - 49  
 ლაიბნიცი - 57, 260  
 ლენინი - 150  
 ლოკი - 11, 35-41, 105, 117, 130, 137, 138, 259, 260  
 ლიუსი დ. - 274  
 ლიუსი კ. ს. - 57  
  
 მაიმონიდი - 55, 255, 257  
 მაკინტაირი ა. - 274  
 მათ ძედუნი - 152  
 მარქსი - 3, 11, 14, 115, 143, 144, 145, 146, 147, 148, 149, 150, 151, 152, 264, 265  
 მარკუზე პ. - 150, 152, 269  
 მეიჯორი ჯ. - 21, 22  
 მილი მ. - 156  
 მილეტი ქ. - 156  
 მილი ჯეიმს - 89, 264  
 მილი ჯონ სტიუარტ - 11, 12, 89, 178, 251, 264  
 მილტონი ჯ. - 131, 132  
 მიჯლი - 50, 51, 246, 274  
 მური ჯ. ე. - 97  
 მეკი ჯ. ლ. - 74-78  
  
 ნაგელი - 154, 275  
 ნაოლუონი - 18, 194, 260, 263  
 ნაიტინგელ ფ. - 47  
 ნიუტონ - 78, 168, 260  
 ნიცშე - 73, 74, 77, 78, 79, 85, 86, 87, 88, 160, 265, 266  
 ნოზიკ - 11, 96, 127, 129, 136, 137, 138, 139, 141, 275  
  
 ობრი ჯ. - 80  
 ოკამი უ. - 198, 258  
 ორუელი ჯ. - 135  
 ოსტინ ჯ. ლ. - 14, 264  
 ოტსი, კაპიტანი - 105  
  
 პატნემი პ. - 14  
 პეინი თ. - 131  
 პელი უ. - 33  
 პლატონი - 11, 62, 73, 154, 253, 254, 256  
 პოლ პოტი - 125, 135  
 პოპერი კ. - 164, 165, 166, 167, 168, 170, 270  
 პრუდონი პ. ე. - 113  
  
 რაილი პ. - 14, 271, 272  
 რამსეი ფ. - 69, 70, 187  
 რასელი ბ. - 23, 24, 171, 175, 179, 182, 183, 184, 240, 241, 244, 266, 267, 268, 269, 270, 272, 276  
 რენდი ე. - 115, 127, 129, 136, 139, 141, 272, 275  
 რიკარდო დ. - 143, 263  
 რისი რ. - 224  
 როლზი ჯ. - 11, 275  
 რუზველტი ფ. დ. - 123, 124, 131, 135  
 რუსო ე. - ე. - 154, 262

სარტრი ჟ. პ. - 14, 152, 271  
სენი ა. - 246  
სინგერი პ. - 246, 275  
სკინერი ბ. ფ. - 48, 115  
სკრატონი რ. - 154  
სმარტი ჯ. - 275, 276  
სოკრატე - 14, 37, 38, 88, 104, 105,  
106, 181, 184, 194, 197, 210,  
253, 254, 255  
სპექსიპი - 254  
სპინოზა ბ. - 260  
სტალინი ი. ბ. - 47, 55, 75, 239, 240  
სტროსონი პ. - 24, 41, 276

ტერეზა (დედა ტერეზა) - 92  
ტული მ. - 41

უაიტჰედი ა. ნ. - 267  
უილიამსი ბ. - 246  
უოლსტონკრაფტი მ. - 131, 155,  
262

ფაიგელი პ. - 269  
ფლეისი უ.ტ. - 275, 276  
ფოიერაბენდი პ. - 167, 168, 169,  
170

ფრანკი ფ. - 269  
ფრანცისკ ასიზელი - 47  
ფრეგე გ. - 266, 268, 273  
ფროიდი ზ. - 63, 157  
ფუკო მ. - 152  
ფუტი ფ. - 242, 243, 246, 276

ქუაინი უ. ვან ო. - 276

შლიკი მ. - 269  
შონბერგი ა. - 270  
შოპენჰაუერი ა. - 14, 73, 88, 154,  
157, 238, 263, 265  
შუბერტი ფ. პ. - 236

ჩერჩილი უ. - 39, 40

ციცერონი - 198, 255

ძენონ ელველი - 254  
ძენონ სტოელი - 254

ჯეიმსი უ. - 265  
ჯეიმსი პ. - 265  
ჯეფერსონი თ. - 130, 131

ჰაბერმასი ი. - 14, 152  
ჰაიდეგერი მ. - 14, 270, 271  
ჰეარი რ. - 276  
ჰიტლერ - 55, 75, 87, 88, 150, 266,  
270  
ჰემპელი კ. - 164, 165, 168, 170  
ჰიუმი დ. - 27, 34, 44, 45, 47, 53,  
57, 58, 174, 175, 176, 178, 179,  
180, 226, 247, 261, 262, 269,  
272  
ჰობსი თ. - 11, 80, 81, 102, 105,  
117, 118, 119, 121, 259  
ჰუსერლი - 267, 270



სოკრატე



კლატონი





არისტოტელე



ავუსტინე

აქვინელი



კობეი



დეკარტი



ლმპი



სპონტონი



სპონტონი



კანტი



კეპლერი

*„Mit großem Vergnügen ist die Gesellschaft in  
Vormittag zu den Feiern im Hofe“*




ბენჭაში



ბარჰანი



ნიცუი



ფროიდი



მიწი



რახელი





300305803060



67-060